

652
1992/2

ISSN 0134-3459

გეოგრაფია



1992

6

მოდისენი, უფალო, ღვთის დაცული
ერი ჩვენი და მათება მისი, გარე
უზღუდა მკაცრებალგანი მათნი და
დაუმორჩილენ ქვეზე ფარსთა მათთა
პოველნი მბარნი და მგროლნი მათნი,
და უთაუთსრენ გულთა ზინა მათთა კეთილი
და მუვიდობა წმიდისა ეკლესიისათვის,
და მოვლისა ერისა ჴენისა, და მიც მათ
მუვიდობა და დაწყნარება, რათა
მუუდრობასა ჴინა მათსა, დაწყნარებული
ცხოვრება გვაქვდეს, მართლითა
სარწმუნოებრი და კეთილ-მსახურებით
ვსცხოვრობდეთ...

ლოცვა ცოცხალთათვის

გოგონები

დამკვეთი

1992

გამოცემის

მ4-ე წელი

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



გ ა თ უ მ ი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უზრუნველყოფის
საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განვითარების ორგანო

მთავარი რედაქტორი
სოსო აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია შარვაშიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

შოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
ალექსანდრე სამსონია,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, მელიქიშვილის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გაიცემა წარმოებას 29.10.92, ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.12.92,
საბეჭდი თაბახი 8,5, საგამომცემლო თაბახი 7,8, შეკვეთის № 906, ქალა-
ლდის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 1.500.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
აჭარის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების სტამბა, ბათუმი,
იბერიის, 91.

ამირან საბაზი

დღე 169
ღმერთმა ინებოს

აღბათ, ქართველო, ღმერთმა
ინება,
გადაგვიქროლეს ბედუინებმა.
ზოგმა წარგვტაცა ოქროს
საწმისი,
შხამით შეგვივსო ზოგმა სასმისი.
მამული ჩვენი მამაუფალი,
ჩვენი უსიზმრო თავსასთუმალი.

ენა ქართული, ღმერთის
ღარღილი,
თმენა ნალოკი, ვით ქვამარღი.
ნატვრით დაღლილი ჩვენი
თვალები,
ჟანგდაუდები ხმალი ხალიბის.
ღარღი მარტოსი, მიწა ზიარი,
მოყვრად მოსული მოყვრის
ზიანი...

აღბათ, ქართველო, ბედმა ინება,
გადაგვიქროლეს ბედუინებმა.

გუყურებ ახლა შენს აღტყინებას,
თოკებდაგლეჯილ შენს
მოთმინებას...

ღმერთმა ინებოს, ღმერთმა
ინებოს,
ღმერთის ზვარაკნო, ღმერთის
შვილებო...

როდის ყოფილა...

როცა კოლხობდა კოლხეთი,
როს ფალავნობდა ივერი,
როდის ყოფილა ქართველი,
საქართველოზე ძლიერი.

ჩამომასწავლე რაც გინდა,
მალალი, ზეცისმერი,
როდის ყოფილა ქართველი,
საქართველოზე ხნირი.

ჩამოდი, ჩამომესვეტე,
იავზე დამადექ ნათელით,
საქართველოა პირველი,
მერმინდელია ქართველი.

მადინე სისხლი თქრიალა,
შემომაწივლე მათრახი,
ჩვენ შენგან გადმოვაბიჯეთ,
შენი აკვნით და არტახით...

მოაქვს მშობლიურ ღელეებს
ალვის ხის ჩამონათალი...
ჯერ არ გვყოლია ქართველი,
საქართველოზე მართალი.

ს ა პ ა რ ი ლ ო დ

საქართველო სააპრილოდ,
იცრემლება ვაზივით,
გამოვიხმე ყველა მეფე,
ყველა დიდი ვაზირი.

მირიანიც, ფარნავაზიც,
დავითიც და თამარიც,
ყველა თავდადებული და
ყველა მამამთავარი.

გამახსენდა ალაყაფი,
გელათის და ვარძიის,
სულხან-საბაც გამახსენდა,
მომავალი ტანძით.

ვეკითხები ჭყონდიდილს,
წილენელს, ბოდბელს,
გელათელს,
ვეხვეწები ცის ნათელს,
ცაო, ჩამომენათე..

შემოაღო მზემან კარი,
ათინათის ფართხალით,
ვეკითხები გზას და მეგზურს,
ვისი გზაა მართალი..

გავადვიძე ყველა გმირი.
ყველა დროის მედროვეც...
ისევ ზეცამ ჩამომძახა:
ბერი, ბერი თედორე...

გუზან ტაოელი

ეს ტაოელი გუზანი,
შაითანის მუგუზალი.

ორგულობით დაოსტატდა,
მტერს მოუძღვა ტაოსკართან.

მოახსენეს თამარ მეფეს,
შეაგება ჯარი სეფე.

თვე ყვაოდა მარიოტა,
შეება და განიოტა.

შეუბყრიათ კოლას ტყეში,
ჩაუგდიათ სასტიკ დღეში.

დასცემია გუზანს მეხი,
გაუბაწრავთ მეფის ფერხით.

უთხოვიათ მოკვლა მთავართ,
შეებრაღა მაინც თამარს:

ეყოს როგორც სჯელით,
მოლაღაჟის სახელით...

მაგრამ სოსლანა ერტყა ხმალი,
მამულისთვის ძილგამკრთალი.

და გავაზე (ხელი ნალით,
გატანა ცხილი კვალი.

და გუზანმა,
ღონღუზანმა,

მიღალა, დრო მიხანა,
ერთი ლექსი მომიგზავნა,

ტაოს გზაზე გამიყოლა,
გზა ღალატით ამიყროლა.

ექსტრასენსები და ტრიბუნები

მეორე ექსტრასენსია,
ყველა მესამე — ტრიბუნი,
ულელდადგმული ხარივით,
მესმის გლეხკაცის ბუბუნი.

ბიოდენები რაზეა?
ალბათ ჩვენებურ ჰავაზე,
თეთრა უყოფრო ხელები,
ცეცხლს უკიდებენ გავაზე.

ვდგავართ და ხელებს
ვაფიცებთ,
ყანა დაგვირჩა სამკალი,
ხელის ფიცებით რას მიზამ,
თუკი შიმშილით მომკალი.

მამათა სული მიცხონდა,
დედათა წმინდა მანდილი,
რომელ კაცზე ვსტეო, მითხარი,
მკურნალიაო ნამდვილი...

ღმერთო, ყოველად ძლიერო,
თუ მწამლობ, თუ მეშველები,
მოაპყარ შენს წილ ქვეყანას,
ეგ შენი თბილი ხელები.

ქველუბი და მედროვეები

მე მეშინია ისეთი,
ლექსიფრენია მესიტყვის,
ძეგლი დადგეს და ლექსი თქვა,
დაანგრევენ და ლექსს იტყვის.

მეტნაკლებია ამქვეყნად,
ნიჭი გალობა — ოსანის,
მაგრამ მგონია ბრბოსავით,
არ უნდა ბჰობდეს მგოსანი.

და მე რომ ვიცი ამბავი,
ლექსიფრენია მესიტყვის,
კვლავ რომ აღმართონ ეს ძეგლი,
დაიქუხებეს და ლექსს იტყვის...

თუ კაცის ფიქრი არ ახლავს
სიკეთით განათებული,
ძეგლი უაზრო ქვა არის,
სასკორედ გამეტებული...

მე მეშინია ისეთი,
ლექსიფრენია მესიტყვის,
ძეგლი დადგეს და ლექსი თქვა,
დაანგრევენ და ლექსს იტყვის.

ხუთპარტია განაშვები ექვსპარტია ნაყოლი

ლაპარაკობს ტრიბუნიდან,
ამყოლი და წამყოლი,
ხუთპარტია განაშვები,
ექვსპარტია ნაყოლი.

სიმართლეზე ტაშდამკრავი,
სიცრუეზეც დამყოლი,
ხუთპარტია განაშვები,
ექვსპარტია ნაყოლი.

მაგას ძამა, ნაღდი ვიცი,
გულ-ღვიძლს უღრნის რა მატლი,
ორჯერ „ვაშას“ დაძახებას
საქართველოს ამადლის.

შენ მეპატრის პური გინდა,
დაფი გინდა მედოლის,
ერთი „ვაშაც“ არ გინდოდეს
მესკამია მედროვის.

მაგას ვერცხლი ესიზმრება,
იღუმალი ნათელით,
საშიშარზე საშიშია
ვერცხლის ტრფობა ქართველის...

ლაპარაკობს ტრიბუნიდან,
ამყოლი და წამყოლი,
ხუთპარტია განაშვები,
ექვსპარტია ნაყოლი.

წყარო

გავთალე ღერი ლერწამი,
მოჭრილი მწყემსის კარავთან
და ღარზე წყარო იმწამით,
კაცივით აღაპარაკდა.

ახშიანა ქვის ტინი,
ხან მღერიო, ხანაც ქვითინით,
შეხე, ჩვენს ენას თუ არ ჰგავს,
წყაროს ენაზე ტიტინი.

ყური მიუგდე ეს ხმები,
თუ არ ჰგავს ქართის ენასა,
იმ შორეული ფესვებით
ჩვენს ენა — დედანასა.

მოდის, მოდელავს ვეფხვივით,
შუმერის ლერწმოვანებით.

ის, გავარდნილი მესხეთის
სა, ხმოვან-თანხმოვანებით

წყაროს მუხლმოყრით ხვდებიან,
ხელაღებული ურჩებიც,
ამბორით ეწაფებიან.
გახურებული ტუჩები...

ასე ვჭუჭჭუკებთ ქართულად,
მე და საცივი მარტონი,
ისე, რომ ვერას გაგვიგებს,
ზანტი მდინარის პატრონი.

ფოთლის გოდება

ხან დავეცემი, ხან ცად ვმაღლდები,
გზადაბნეული მიწის ავღრებით,
შემომცქერიათ სახლის ფანჯრები,
ჩამავალი მზის ოქროს კვადრებით.

ხედავ, დავბერდი, ქარში მივფრინავ,
ვინც დამაბარა, მივალ იმ ქართან...
რატომ არ ძალმიძს, ტუჩზე ქვითინად,
იმას მივეყრა, ვინაც მიყვარდა...

ღარჩენ დღეები გადარაზული,
დღეები ჩემი გზაარეული,
წვიმის ხაზებით გადახაზული,
ვით შეცდომებით სავსე რვეული.

თუკი ეს იყო, სხვა არაფერი,
რად შემომოკლე დღენი ლოთობით,
ვაი, რატომ ვარ ვერცხლით ნაფერი,
რატომ არა ვარ დაფნის ფოთლი.



ქალის ცხოვრების ერთი დღე

(ფრაგმენტი რომანიდან)

ზაფხულის ხვატივით ჩამოწოლილ-ჩამოგუებული ოთახისეული სიმყუდროვე ტელეფონ-ს მიუღოდნენღმა წკრიაღმა დაარღვია.

— ნეტავი ვის გავახსენდი ამ სამინელ სიცხეში? — უკმაყოფილოდ გაიფიქრა ქალმა, ყურმილი აიღო და დაღლილი, მოთენთილი ხმით იკითხა: — ალო, რომელი ხარ?

— მე ვარ, მარიამ! — მოესმა პასუხად მამაკაცის ფრთხილი, მფრთხალი და რაღაცნაირად გაუბედავი ხმა.

— ვინ შენა? — მაშინაღუთად იკითხა შემცბარმა და საქციელ-წამხდარმა ქალმა, რომელსაც კაცის ხმა ეცნო, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ სწორედ ის — ქმარყოფილი ურეკავდა და არა სულ სხვა ვინმე. — ვინ შენა? — გაიმეორა მაშინაღუთად, რაღაცნაირი შიშითა და შეცბუნებით დაელოდა პასუხს.

— მე ვარ, მარიამ! — აკვიატებულივით გაიმეორა კაცმა, ისევ ფრთხილი, შემპარავი ხმით, — რაო, მართლაც ვერ მიცანი თუ რაშია საქმე?

— გიცანი! ფი, შენს ცნობას დიდი ამბავი კი სჭირდება, შე გლახის ჭირო, შენა! დიდი ვინმე მყავხარ, აი! — გაიფიქრა ქალმა უკმაყოფილოდ, ტუჩაბზუებით, სახე მოექუფრა, ტუჩები მოკუმბა, დახარა თავი და შეკავებული მრისხანებით და მოგონილი სიმშვიდით გამოსცრა კბილებს შორის: — შენ რა, ისევ გამომეცხადე ქრისტესავით? ბოლოს და ბოლოს აღარ უნდა დამანებო თავი თუ რაშია საქმე? აღარ გეყო რაც შენს გამო ვეწამე და ვეწვალე? რა ჯანდაბამ და დოზანამ შეგახსენა ჩემი თავი? მე..

— ღაცა, მარიამ! — დინჯად შეაწყვეტინა კაცმა უხერხული, უადგილო ჩაცინებით, — გამოდის, რომ შენ ოდნავადაც არ შეცვლილხარ და ისეთივე დარჩენილხარ, როგორიც იყავი.. ამდენი ხანია აგერ, ჩემი ხმა არ გსმენია და შენ ისევ შენებურად მამკობ.

— რატომ უნდა შევცვლილიყავი ვითომ? — გაბრაზებით გამოსცრა კბილებში ქალმა, მოუთმენლად ამოიქშინა, ხელის ზურგი გადაისვა თმაზე და ცხვირის ნესტოები დაებერა.

— კეთილი, კეთილი! — ჩუმი ჩაცინებითა და ოდნავი დაყვავებით შეაწყვეტინა კაცმა ისევ, — დაწყნარდი, დამშვიდდი, მარიამო, ღმერთი გწამს! შენი ხასიათი ვიცი, რაც არ უნდა მითხრა, მაინც არ გეწყინება, ღმერთმანი! აღარც მწყინს და აღარც მიკვირს არაფერი.

— ჩემთვის კიდევ, სულერთია გიკვირს თუ არ გიკვირს, გწყინს თუ არ გწყინს! აღარ იტყვი, ბოლოს და ბოლოს, რა გინდა? კიდევ რა გასარკვევ-გასაგები დაგრჩენია? თქვი, ამოღერლე, ამოშაქრე, მორჩი და შენს გზას ეწიე მერე!

— გასაგებია, მარიამ! — წყნარად, ამოხვრასავით ამოაყოლა კაცმა, — კაცმა რომ თქვას, სწორი ხარ და გემორჩილები. მართლაც, სათქმელი მოკლედ და გასაგებად უნდა მოჭრას კაცმა და მეც შევეცდები მოკლედვე გითხრა: საქმე მაქვს შენთან, აუცილებელი, გადაუღებელი საქმე და აუცილებლად უნდა გნახო! ხომ გესმის, მარიამ?

— ფი, საქმე! — ქალმა დაუფარავი ამრეზითა და ზიზღით აიბზუა ტუჩები და აგდებულად, გულისგარეთ იკითხა: — საქმე? ჩემთან? ჰმ, ვატყობ. შენ მართლაც გამოგლევიო საქმე, თორემ, ჩემთან აბა შენ რა საქმე უნდა გქონდეს? რაც ჯრის, არის, ამ ერთს გაბატონებ, მეორედ კი აღარ გაბედო და აღარ დამირეკო იცოდე! გესმის რასაც გეუბნები? აღარ, აღარასოდეს დამირეკო მეტი..

— დაიცა, მარიამ! — ვედრებით შესთხოვა კაცმა, — ერთი წუთით, სულ ერთი წუთით მომისმინე და არ დადო ყურმილი, ძალიან გთხოვ და გვედრები, არ დასდო ყურმილი.

— ჰო, კარგი, კარგი, ჯანდაბას შენი თავი! — მოწყალედ დათანხმდა ქალი ყოყმანის მერე.

— შენ, ყოველივეს შემდეგ, ცხადია, გიკვირს და რომ გიკვირს, არაა გასაოცარი, მაგრამ მე მართლაც საქმე მაქვს მარიამ, აუცილებელი საქმე! — ფრთხილად შეაპარა კაცმა.

— მერე? მე რა მესაქმება მაგ შენს საქმესთან? გაქვს და გქონდეს! მე კი არავითარი საქმე არ მაქვს შენთან და მორჩი ახლა!

— იცი, მარიამ, აქედან ვერაფერს აგიხსნი და გაგაგებინებ. ამიტომ, თუ შეგიძლია, შემხვდი და აგიხსნი ყველაფერს! როდის გეცლება?

— როდის მეცლება.. ფი, შენ კი გაქრი ადრე თუ გვიან.. შენთვის მე არასოდეს მეცლება, ყოველთვის დაკავებული ვარ!

— მარიამ, ძალიან გთხოვ, გემუდარები, შემხვდი ცოტა ხნით, სალაპარაკო მაქვს შენთან და..

— შენ რა, დარწმუნებული ხარ, რომ შენს ჭკუაზე, ბრძანებაზე გავივლი და მოვალ?

— არა, არა, ეს როგორ იფიქრე? ცხადია, არა ვარ დარწმუნებული

ლი! — ლამის იყო შეიცხადა კაცმა. — რომ აუცილებლად მოხვალ
მაგაში როგორ ვიქნები დარწმუნებული? მაგრამ ძალიან გთხოვ და თუ
ჩნებებ მოსვლას, არასოდეს დაგივიწყებ და ყოველთვის, სიკვდილამდე
სულ შენი მადლიერი ვიქნები!

— დაივიწყებ თუ არ დაივიწყებ, მადლობელი იქნები თუ არ იქ-
ნები, ეს სულ ფეხებზე მკიდია რომ იცოდე შენ!

— ვიცი, მარიამ ვიცი!

ქალმა თავი ფიქრთანად ააღირა, ჯერ ჰერს მიაჩერდა, მერე მაგ-
რად, მაგრად მოკუმა ტუჩები. ეტყობოდა რაღაცაზე ყოყმანობდა და
ვერ მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება. ეს შინაგანი ჭიდილი სულ
რამდენიმე წამს გაგრძელდა, მერე თვალები მილულა და როცა გაახი-
ლა ისევ, გაიფიქრა: — ღმერთმა დასწყევლოს და ამოაგდოს ქალის ჯი-
ში და ჯილაგი, ღმერთმა! უსაზღვროა ქალის ცნობისმოყვარეობა. ეს
სე ღრმად გვაქვს გამჯდარი სულსა და სხეულში, ველარაფერი შეგვც-
ვლის და გვიშველის აწი! — თავი უკმაყოფილოდ გააქნია და კაცს რომ
ვაეგონა, ხმამაღლა თქვა: — კარგი, რაც არის არის, ეშმაკმა წაიღოს
შენი თავი და ტანი შენი ტანისამოსიანად, რაკი დარწმუნებული არ
ხარ რომ მოვალ, მხოლოდ ამიტომ მოვალ რომ იცოდე შენ, თო-
რემ, აბა რა დამრჩენია შენთან? ნახევარ საათში მოვალ, სად აგდისხარ
მანც?

— სადგურის წინ რომ სკვერია, იქა ვარ, მარიამ! რომ იცოდე,
როგორი მადლობელი ვარ შენი, როგორი! — აშკარად გაუხარდა კაცს.

— ფი, ძალიანაც კი მაინტერესებს მადლობელი ხარ თუ არა! შე-
ნაც ეიბოეა რაღა საპაემანო ადგილი, თუმცა, რაღა მნიშვნელობა
აქვს მაგას?.. კარგი, ეგდე მანდ, დამელოდე!

— გასაგებია, მარიამ და მზადა ვარ დავემორჩილო შენს განკარ-
გულებას!

— ფი, შენ კი გაქრი! — უკმაყოფილოდ ააბზუა ტუჩები ქალმა,

— მანქანით მოგაკითხავდი, მაგრამ ვერ გავზედე, ვიფიქრე, ეწყი
ჩება-მეთქი და შევიკავე თავი!

— ერთი მოგებედა მართლაც და ნახავდი მაშინ! სულ კინწის-
კვრით გაგაგდებდი. ესღა მაკლია ახლა შენ მაკითხო და მე კახასავით
ჩაგიჯდე მანქანაში.

— რას ამბობ? რატომ კახასავით, მარიამ? ჩვენ ხომ...

— ნუ ბეუტუტუბე შენებურად, ეგდე მანდ და მოვალ! — ქალმა
კურმილი დასდო, მკლავები მკერდზე დაიკრიფა და რამდენიმე წამს
გარინდებული, ღრმად ჩაფიქრებული გასცქეროდა ერთ ამოჩემებულ
წერტილს. მერე ნელა დაიძრა ადგილიდან, დაფიქრებული და ნიკაპის
სრესა-სრესით მივიდა მაგიდასთან და ჩამოჯდა. — არა, მაინც რა ჭი-

რი ეცა და ეტაკა იმ არდასაცლელსა და არგასახარებელს? **პარკიანელი**
 თვის სასიკეთო, გასახარებელ საქმეზე რომ არ მივიდოდნენ, ამათი ყ
 ვარ დარწმუნებული, არა, არა, მაინც რატომ შეევირდი მოვალ-მეთქი?
 არ უნდა შეევირებოდრი, მაგრამ ახლა უკვე გვიანია ამაზე ფიქრი და სი
 ნანული, რაკილა შეევირდი... — მწარე, საწყალობელი ღიმილი ადებე
 ჭდა ტუჩებზე, ჯერ კედლის საათს მიაცქერდა. მერე ადგა, ტანსაცმლის
 კარადასთან მივიდა, კარი გამოაღო, მერე კარგა ხანს ყოყმანობდა,
 ეღარ გადაწყვიტა, თუ რომელი კაბა ჩაეცვა და რომელი ფეხსაცმე
 ლი.

— რა გჭირს, ეს რა გემართება შე უბედურო და გასაქრობელო? — უსაყვედურა საკუთარ თავს, — რა გემართება ასეთი? ისე ყოყმანობ, ისე ხარ ერთ ამბავში, ისეთ მნიშვნელობას ანიჭებ ამას, თითქოსდა პირველ პაემანზე მიდიოდე, გიხაროდეს, გეშინოდეს, გული ღიფანქალებდეს და ძალიან გაინტერესებდეს, როგორ გამოჩნდები იმის თვალში... რა მოხდა ასეთი? ქმარყოფილმა დავირეკა და მეტი არაფერი! ჰოდა, სულერთი არაა, რომელ კაბას ჩაიცვამ? ექვს სულელთ, სულელთ! აი, ასე იცის მარტობამ. ასე! დავირეკეს და მორჩა, აფორიაქდი მაშინვე, დაკარგე სიმშვიდე და წონასწორობა. იმას კი არ უფიქრებდი, ვინაა ის დამრეკველი, რას წარმოადგენს, რა სურს და რა უნდა! — უკმაყოფილოდ აიბზუა ტუჩები და დამცინავ-გამკილავად გაიღიმა. მერე წამით რაღაცაზე ჩაფიქრდა და ის-ის იყო მიღებული გადაწყვეტილება მაშინვე უარყო: — არა, არა, ასე ნამდვილად არ ივარგებს. პირიქით, იმის თვალში შენ სულ სხვანაირი უნდა გამოჩნდე, სულ სხვანაირი. არაფრით არ უნდა აგრძნობინო, რომ მის შემდეგ ყველაფერი სულერთი გახდა შენთვის, ყოველგვარი ინტერესი დაკარგე, მოეშვი, ხელი ჩაიქნე ყველაფერზე, დაგლახავდი, დაჩაჩანაკდი. პირიქით: ისე უნდა წარმოეჩინო მას, ეს როგორ გამოცვლილაო, ეს რა კარგი გამხდარაო, იფიქროს! კი, კი, ასეა ეს ნამდვილად და მიდი აბა, მიდი! — გაიმხნევა თავი, რაღაცნაირად მოეშვა-მოეფონა გულზე, კაბა შეარჩია, ჩაიცვა ახალი ფეხსაცმელი, თმა დაივარცხნა და რამდენჯერმე შეტრიალ-შემოტრიალდა სარკესთან, კრიტიკულად შეაფას-შეამოწმა საკუთარი თავი, საბოლოო ჯამში კმაყოფილი დარჩა, გაუხარდა გუნებაში და ლამის იყო არ აღიღინდა ამ კმაყოფილების გამო.

ხელჩანთა აიღო, ერთხელ კიდევ ახედა კედლის საათს წამიერად, გაიხურა კარი და ნელა, დაღლილივით დაეშვა კიბეზე, განვლო სადარბაზო და დაადგა ქუჩას.

— შენ ახლა ისე მიდიხარ, როგორც მაშინ, იმ პირველ პაემანზე მიდიოდი. — გაიჯიქრა თუ შეახსენა საკუთარ თავს და წამიერად მსუბუქი სევდა თუ კაეშანი აღებეჭდა სახეზე. ის დღე, ის შორეული,

დიდი ხნის გარდასული დღე გაახსენდა—პირველი პაემანის დღე, როცა გახარებული და აღტაცებულ-აღფრთოვანებული, სიხარულით ერთიანად გაცისკროვნებული, აჩქარებული ნაბიჯით მიეშურებოდა დანიშნული ადგილისაკენ, იქ, სადაც მისთვის ყველაზე ახლობელი, ყველაზე სასურველი და ყველაზე უფრო საყვარელი ადამიანი ეგულებოდა. რა ლაღი, რა დაუოკებელი, რა მიზანსწრაფული და მრავლისმომცველი იყო ეს ღტოლვა, ეს სურვილი, ეს გატაცება, ის ნდობა და ინტერესი. ახლა კი წარსული იყო ყოველივე ის — ძალიან შორეული, ბუნდოვანი, უკვე ძნელად აღსაქმელ-დასაჯერებელი და უკან მოუბრუნებლად, სამუდამოდ, საბოლოოდ ჩავლილ-წარდგენილი. ეს დაწყევლილი ცხოვრება მოულოდნელობითა და უცნაურობებითაა აღსავსე... ბედის ირონია იყო ალბათ, ბედის უკუღმართობა, იორემ, აბა, სხვანაირად როგორ უნდა აეხსნა ეს? მაშინაც ზომი იმ კაცთან მიუხაროდა და ახლაც იმ კაცთან მიდიოდა — ახლა უკვე ყოველგვარი აღტაცების, აღფრთოვანების და სიხარულის გარეშე, თითქოს იძულებით, ნაძალადევად... და ამ ბოლო პაემანს აღარათფერი ცეხო იმ პირველი პაემანისა — აღარც ერთი მისხალი, აღარც ერთი ფიორი...

ერთგან ნაბიჯს უკლო, მერე სულ შეჩერდა იმაზე მოყოყმან-მოჭოჭმანე, წასულიყო, გზა განეგრძო თუ მსწრაფლად გამობრუნებულყო უკან, თავის ოთახში, თავის სიმყუდროვესთან, მოჩვენებით, მაგრამ მაინც სიმშვიდესთან განმარტოვებულიყო — შეჩვეულ-შეგუებულითან, მისეულთან, კანონად ქცეულთან და აუცილებლობად გადაქცეულთან. რატომ წამოვედიო, ნანობდა უკვე, საკუთარ თავს კიცხავდა და თათხავდა ამ მოუფიქრებელი, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღების გამო.

კაცმა რომ თქვას, მართლაც რაღა აზრი ჰქონდა ამ წასვლას? აღარც რაიმე აზრი, აღარც რაიმე მიზანი, აღარც სურვილი და აღარც რაიმე ღტოლვა: — ჰმ, არ მინდა, არ მსურს, გული, გული არ მთხოვს, არ მაიძულებს და მე მაინც მივდივარ! არა, მაინც რა სუსტნი ვართ ეს ქალები, რა უნებისყოფონი. მთელი ჩვენი ცხოვრება ჩვენივე სურვილისა და მიზნის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებთ და ვვიკვირს კიდევაც ამის გამო. მაგრამ არ ღირს ახლა უკან გამობრუნება, არ ღირს ახლა! — ჯერ ყოყმანით, გაუბედავად გადადგა ნაბიჯი, მერე აუჩქარა და განაგრძო გზა.

მიდიოდა რიტმული ნაბიჯით, წელში გამართულ-აწვართული, ალვისხესავით აშოლტილი, ამაყი, შეუვალი, ნაზი და დიდებულად ჰარმონიული, მხრებზე ჩქერივით ეყარა ჩამავალ, მზესავით ქერა თმა და ჩუმი, უთქმელი, ნაზი სევდა ედგა ცისფერ თვალებში.

ფართო მოედანი გადასჭრა, დიდ, კათედრალურ ტაძარს აუგო, გვერდი, მერე მარჯვნივ შეუხვია და... ესეც შეპირებული აღვიღო. ეგებერთელა ნაძვებით, ფიჭვებითა და მაგნოლიებით დაბურულ სკვერში სასიამოვნოდ გრილოდა და სიმშვიდე, მყუდროება იდგა. რატომღაც ირგვლივ კაციშვილი არ ჰაჰანებდა და ამიტომაც მიტოვებულ-მიგდებულსა ჰგავდა აქაურობა. შეჩერდა, იქაურობა მიათვალ-მიათვალეოდა და უკმაყოფილოდ გაიფიქრა: — სად არის ის გლახის პირი ნეტავი? — გზა განაგრძო და რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ დაინახა კიდეც იგი. ელდანაცემივით შეჩერდა და თვალმოუშორებლად მიაჩერდა. ქმარყოფილს ჯიბეებში ჩაელაგებინა ხელები და ალბათ დრო რომ მოეკლა როგორმე, თავდახრილი და რაღაცაზე ჩაფიქრებული სცემდა ბოლთას აქეთ-იქით. რამდენიმე წუთს იდგა ქალი და გამომცდელი მზერით, რაღაცნაირი დაუოკებელი ინტერესით შესცქეროდა მას. კაცი საოცრად შეცვლილი ეჩვენა. ერთ დროს ზშირი, გრუზა, ნახშირივით შავი თმა გამეჩხრებოდა, გამოხუნებოდა, ჭაღარა მოძალებოდა, შესამჩნევად მოტეხილ-მოხერხებულიყო და ზოხრილიყო წელში.

— როგორ დაგლახებულ-დაჩაჩანაკებულა ეს ბედოვლათი და ზბედური, — ყოველგვარი ნიშნის მოგებით, სიხარულისა და ბოროტების გარეშე, ლამის სინანულითაც კი გაიფიქრა ქალმა — რა ეწია, რა ეძგერა ისეთი? დარდობს ვითომ? მაგრამ რაზე, ვისზე, რატომ და რა მიზეზით? მაგრამ დარდი და ფიქრი მაგ თავცარიელისთვის ხომ უცხო ხილი იყო ყოველთვის? ნუთუ მართლაც შეიცვალა მასში რამე? ნუთუ, რომ იყო, მართლაც აღარაა ისეთი? ჰეი, ჰეი, შე ძველო დონ-ჟუანო, ასე რამ წაგახდინა და დაგაგლახა მართლაც? — მიხვდა ქვეცნობიერად, ინსტინქტურად იგრძნო, რომ სადღაც გულის კუნჭულში რატომღაც თანაგრძნობის სიმმა ჩამოჰკრა, მას კი, ცხადია, არ სურდა თანაგრძნობა გამოეხატა ამ მოღალატე, უგულო კაცის მიმართ,

— სულიც გავარდნია! რა ჩემი საქმეა ყველაფერი ეს? — გაიფიქრა თუ ჩაიჩურჩულა ქალმა, — არა, აქეთაც რომ არ იხედება ეს ზბედური? რას დაბოროიალებს აქეთ-იქით ახალგაგიყვებულივით და არის ერთ ფორიაქში? — კაცის ყურადღება რომ მიეპყრო, აქა ვარო, რომ გაეგებინებინა მისთვის, ხმამაღლა, ნაძალადევად ჩაახველა.

ხმაურზე კაცი მოწყვეტით შედგა, თავი მოაბრუნა, შემოტრიალდა, მოიხედა და როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ქვეცნობიერად იგრძნო ქალმა, თუ როგორ შეცბა, შეტოკდა, როგორ ეცვალა ფერი სახეზე კაცს და როგორ წაუხდა საქციელი მაშინვე. იდგა კაცი გაუნძრევლად, გაშეშებული, სრულიად უმოძრაოდ, უსუ-

ლოდ თითქოს, შესცქეროდა ქალს დაჟინებული, მონატრებული, ნდომით, რიდიო აღსავსე მზერით, გაოცებული, ფართოდ დაჰყვებოდა თვალებით და მის დიდრონ, თაფლისფერ და მეტყველ თვალებში ჩუმი, უტყვი, ხელოვნურად მიჩუმათებულ-მიფუჩეჩებული სევდა იდგა, თავისთავადი, გაუმხელელი და გამოუმზეურებელი კარგა ხანს იდგა ასე, თვალი ველარ მოეშორებინა ქალისათვის. ბოლოს მაინც, ყოყმანის მერე თქვა: — რომ იცოდე, თუ როგორ მიხარია, მარიამ, რა უსაშველოდ მიხარია...

— გიხარია... შენს მდგომარეობაში მყოფს თუ კიდევ გაქვს რაიმე გასახარებელი, ალარ ვიცი პირდაპირ! — მიახალა ქალმა და ისევ აათვალიერ-ჩათვალიერა დაუბრუნებლად, ხაზგასმულად, რაღაცნაირად თავისი უპირატესობის გამომხატველი მზერით და მის ამ საქციელში რომ მისხალი თანაგრძნობა არ იგრძნობოდა, მაშინვე მიხვდებოდა კაცი. — ახლა მეცა მკითხე ერთი, მე თუ მიხარია, შენ რომ გხედავ! არა, რა გახარებს მაინც?

— მეგონა არ მოხვიდოდი და... რომ მოდი, შენ რომ გხედავ, ის მიხარია, მარიამ! — მსწრაფლად, ალაღად გამოუტყდა კაცი და ისევ ვაიკინა მფრთხალი გაუბედაობით, საქციელწამხდარი, დაბნეული კაცის ჩაცინებით.

ქალს აშკარად დაეტყო სახეზე ნაწყენი და უკმაყოფილო რომ იყო და არც უცდია კიდევ ამისი დაფარვა: — არ გეგონა! ფი, შენ კი გაქრი! არ გეგონა ესე იგი... გამოდის, არ მიცნობ კარგად. თუმცა, მეც ვამბობ რაღა, შენ ამისი გაგების და აღქმის უნარი რომ გქონებოდა... მივხვდი, ასე რომ იფიქრებდი და იმიტომაც მოვედი, შენს ჯიბრზე მოვედი, იმიტომაც, თორემ შენი სიფათის დანახვის სურვილი რომ არ მკლავდა და ძალიან რომ არ მეხატებოდი გულზე, ამას კი უნდა მიმხედარიყავი მაინც.

პასუხად კაცმა ისევ ისე შემცბარად, მფრთხალად გაიღიმა ნაძალადევი გაღიმებით, საქციელწამხდარივით აიწურა წელში, მოწიწებით. მიიღო ხელი მკერდზე და ჩაილაპარაკა: — ვიცი, მარიამ; ვიცი და მწყენს ძალიან... ცხადია, ასე თუ ისე, გიცნობ და შეიძლება ითქვას, შენში ბევრი რამაა კარგი, დაღებული და ნამდვილად მისაბადი. კი, კი, ასეა ნამდვილად ეს!

ქალმა ტუჩები აიბზუა და ირონიულად შეხედა: — იცი, ძალიან მიხარია, ჩემში რაიმე დადებითი თუ შეამჩნიე მაინც...

კაცმა ქალის ნათქვამში აშკარა ირონია და დაცინვა იგრძნო, წელში რაღაცნაირად დაიწმინა სულიერი ტკივილისა და პროტესტის ნიშნად და საცოდავად გაიღიმა: — არ გინდა მარიამ, არ გინდა!

— რა არ მინდა? — ვერ მიუხვდა ქალი.

— რა და ასეთი დაცინვა, გაკიღვა და ირონია რაღა საჭიროა? — კაცმა ისევ მკვეთრად გაიქნია ხელები, სახე მოექცა, მღელვარებისაგან ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი და ოდნავ ხმისდაწევით განაგრძო: — იცი, მარიამ, უმჯობესია საერთოდ მოვეშვათ ერთმანეთის ძაგებას, განქიქებას და გაკიღვას... მე იმისთვის კი არა გთხოვე მოსულიყავი, რომ ასეთი რამეები მომესმინა.

— აბა როგორ გინდა შენ? — გოროზად შეიკრა შუბლი ქალმა. — აბა რას ელოდი, კაცმა რომ თქვას? ქებას, ტკბილ, დაშაქრულ სიტყვებს? ასე თუ გეგონა, მაშინ, გამოდის, იმაზე უფრო დიდი შტერი იფილხარ, ვიდრე მე მეგონა!

— მე არაფერს არ ველოდი, მარიამ, — ისევ აიქნია ხელი კაცმა, ჯიბე მოიქექა, სიგარეტი ამოიღო, აღელვებულმა მოუკიდა და ხაზბად გააბოლა. მოულოდნელად ხველა აუტყდა დიდ ხანს ასველა სახეწამოწითლებულმა და ხველისაგან თვალებზე ცრემლებმომდგარმა. მე-რე, როგორც, იყო, შეიკავა ხველა, ხელისხურგით, დაუდევრად მოიხრცა კურცხალი და მობოდიშებასავით ჩაილაპარაკა: — მკლავს, ასეთ ცილეში მაგდებს ეს ოხერი და მაინც ველარ ვანებებ თავს!

— ასეა, შენისთანა უნებისყოფო, უპრინციპო და უცხვირპირო კაცს თამბაქოზე უფრო ადრე მოყვასისა და ერთგულის მიტოვება შეუძლია-ხოლმე! — ქალმა ხელჩანთა ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა და ხშივრად ამოიოხრა.

კაცმა ყურადღება არ მიაქცია მის ნათქვამს, მზერა აარიდა, ორმად, ბოდმიანად მოქაჩა სიგარეტი და თამბაქოს მყარალ ბოლში გაჩვეულმა მუდარით სთხოვა: — მოვეშვათ მარიამ ასეთ ლაპარაკს... ნე ჩემიც მყოფნის, საკმაოზე მეტად მყოფნის, აი აქამდე ვარ უკვე, აქამდე! — საჩვენებელი თითი გაისვა ყელზე და განაგრძო დაძაბულ-ნოგუდული, შინაგანი მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით: — დიდი ხანია რაც შენთან შეხვედრა მსურდა, მინდოდა, ვერ წარმო-რდგენ, ისე უსაშველოდ მინდოდა შენთან შეხვედრა, მარიამ, მინდოდა დამერეკა შენთვის, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადავწყვიტე... არა, გადავწყვეტიტ როგორ ვერ გადავწყვიტე, ვერ გავბედე უბრალოდ, და-მერიდა, დამეხატრა. არა, უფრო მეშინოდა შენი და სწორედ ამ შიშის გამო ველარ მოვახერხე, ერთხელაც კი ველარ მოვახერხე... იცი, რა-ტომღაც მჯეროდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ არ ისურვებ-დი ჩემთან შეხვედრას, აღარც ჩემი ხმის გაგონებას ისურვებდი, ეს ასე რომ გამეკეთებინა, დარწმუნებული ვიყავი, ძუნქალ ძუნქნასავით გამაგდებდი.

— კი, კი. ნამდვილად ასე მოვიქცეოდი გლახის ჰირო, ნამდვილად! — გაიფიქრა მარიამმა და ტუჩები ჯიუტად მოკუმა. მართალია, მართალია, გაგაგდებდი!

— იცი, ძალიან მიხარია, ვერც კი წარმოიდგენ ისე მიხარია, რომ გხედავ, მარიამ! — განაგრძო კაცმა წუთიერი დუმილისა თუ ჩაფიქრების მერე და ხელისხურგი გაისვა შუბლზე: — ო, რა კარგი ქენი, რომ დამიჯერე და მოდი მარიამ!

— შენ კი გაქრი ადრე თუ გვიან! რა იდიოტიც იყავი, ისეთივე დარჩენილხარ! — შეაწყვეტინა ქალმა მკვეთრი ხმისაწევით და შუბლის უკმაყოფილო შეკვრით, — ერთხელ უკვე გითხარი და ახლაც გიმეორებ აგერ — სულ ამაოდ გიხარია და სულ ტყუილად აძლევ რაიმე მნიშვნელობას ამას. საჭიროდ ვცანი, ასე მსურდა, მინდოდა და იმიტომაც მოვედი, რომ იცოდე, შენ არაფერ შუაში ხარ, მე რომ არ მდომებოდა, შენისთანა გლახისჰირი კი არადა, მამაზეციერიც ვე-
არ მაიძულებდა აქ მოსვლასა და შენი ჩამყავებული სიფათის ხილ-
ვას.

— ვიცი, მჯერავს მარიამ, რომ ასეა ეს! — კაცმა ღრმად მოქაჩა სიგარეტი. ნამწვი შორს გაისროლა: მკერდზე დაიკრიფა მკლავები, რაღაცნაირი გაუბედაობით მიაცქერდა და ყოყმანით განაგრძო მერე: — მაგრამ ასეა ეს თუ ისე, ეს იმას ნიშნავს, რომ თურმე ისე არ გეზიზ-
დები როგორც მე მგონია და როგორც შენ გჯერა!

ქალი წამიერად შეცბუნდა, დაიბნა, უნებლიეთ, ინსტინქტურად გადაგვერდზე ბიჯი, ხანგრძლივი, დაკვირვებული მზერა მიაპყრო და კარგახნის დუმილისა თუ ფიქრის მერე თქვა წყნარად და რაღაცნაირი დანაწებით: — მიუხედავად ყოველივესი, მე მაინც ვწუხვარ, რომ შენში მისხალი ცვლილებაც კი არ მომხდარა ამდენი ხნის განმავლობაში. როგორც აქამდე გამოგქონდა ნაჩქარევი, დაუფიქრებელი და უტკუო დასკვნები, ახლაც ისე გამოგაქვს — ზერეულედ, ნაჩქარედ და მოუფიქრებლად. ასე რომ, შენ აღარაფერი გეშველება და ბოლომდე ასე იქნები — ქარაფშუტა და თავცარიელი, საკმარისი იყო, მოვსულიყავი და შენ მაშინვე დაასკვენი, რომ არ მძულხარ! ფი, შენაც მყავხარ, რაღა! მიყვარხარ თუ მძულხარ, მაგაზე არც მიფიქრია

ალარც აწი ვაბირებ მაგაზე ფიქრს, რადგანაც არ მინდა, არ მსურს ვიფიქრო მაგაზე. არ ვიცი მე ეს, არ ვიცი, მაგრამ ეს შენი დამსახურება კი არ არის, არამედ ჩემი! რადგანაც თუ მართლაცდა არ მძულხარ, მაშინ, გამოდის, რომ საერთოდ არ შემძლებია ადამიანის შე-
ძლება, არ მქონია მე სიძულვილის ნიჭი, * თორემ როგორ შეიძ-
ლება ასე იყოს ეს?

— ჰო, კი, შეიძლება მართლაც ასეა ეს, მარიამ! — ორჭოფულად ჩაილაპარაკა კაცმა: — იცი, შინაგანად აღარც შენში შეცვლილა რამე, როგორც იყავი, ისეთივე ხარ, ზუსტად ისეთივე და აღარ ვიცი პირდაპირ, კარგია თუ ცუდია ეს, მიხაროდეს უნდა თუ, პირიქით, არ მიხაროდეს... გარეგნობით კი... სიმათლეს გითხრა, ნამდვილად შეცვლილხარ, მარიამ! შეცვლილხარ და მერე როგორ, გარდაქმნილხარ პირდაპირ. გამოტეხილად უნდა გითხრა, სწორედ ამის გამო მეწყინა, მეტყინა და დამწყდა გული, საოცრად დამწყდა, მარიამ.

— შენსავით დაგლახავებულ-დაჩაჩანაკებული და გასაცოდავებული, მიჩვარხულ-მოჩვარხული რომ გეხილე, გაგეხარდებოდა ალბათ! აი, რას ნიშნავს, რაიმე კარგი რომ არ გემეტება ჩემთვის. ვიცი რა ეგოისტიც ბრძანდები! შენ არ გინდა, შენზე კარგად, უკეთესად რომ გამოიყურებოდეს ვინმე და სწორედ მაგიტომაცაა მასე რომ ბრძანდები! გეგონა, შენთან დაშორების შემდეგ შავებს გავიჭრიდი. ყორანივით ჩამოვშავდებოდი, გლოვად დავჯდებოდი და ნაცარს წავიყრიდი თავზე, შენზე ფიქრსა და წუხილში ზეზეულად ჩამოვხმებ-ჩამოვჭენებოდი, არა? ვიცი მე, ასე რომ მოვქცეულიყავი, ეს გსურდა სწორედ და დღეს როცა დამირეკე, ძალიან გაინტერესებდა ალბათ, ერთი სული გქონდა, გენახე, თუ როგორი ვიყავი. შეიძლება ზოგიერთი ქალი მოქცეულიყო კიდეც ასე, მაგრამ ასე რომ მოიქცე, მიზეზია საჭირო, საჭიროა გული დაგწყდეს, საჭიროა ნანობდე, წუხდე, განიცდიდე, გტკიოდეს, უსაშველოდ გეწოდეს. მაგრამ ღირდი შენ კი ამაღ, რომ შენზე მეფიქრ-მედარდა, ღირდი ამაღ? ნამდვილად არ ღირდი და ამიტომაც აღარ მოვიქეცი ასე, ამიტომაც მოვედი შენთან, როგორც კი დამირეკე. სიმათლეს თუ გინდა. მოვედი იმიტომ, რომ ჩემი ასეთი გარდაქმნით რაღაც ტკივილი მაინც მომეყენებინა შენთვის. ეს იყო და ეს! ახლა კი, მითხარი რა გნებავს, რისთვის მიხმე და მოვრჩეთ ამით, თორემ მე არც მცალია ამდენი და არც იმის სურვილი მაქვს, ამდენ ხანს დავყოვნდე შენთან! არა, მაინც რისთვის დამირეკე და მიხმე?

კაცი ჯერ წამიერად შეყოყმანდა, ჯერ ორჭოფულად შეხედა, მერე აარიდა მზერა, მოუყიდა სიგარეტს და ბოლოს ბედშერივებულევით თქვა: — უმიზეზოდ არ დამირეკავს, ღმერთმანი. მაქვს ამისი მიზეზი... ჯერ ერთი, ძალიან მომენატრე, შენი ხმის გაგონება მომენატრა, ძალიან, რომ არ შეიძლება, ისე მომენატრა..

— შენ კი გაქრი და გადაშენდი იმის მეტი! — დაუცაცხანა ქალმა. — გაგახსენდი! მერედა როდის? ამდენი წლის შემდეგ! მთელი ამ დროის განმავლობაში შენ ხომ ერთხელაც არ დაინტერესებულხარ და აღარ გიკითხავს ჩემი ამბავი. ჰოდა დავიჯერო რომ ახლა, ამდენ

ნი ხნის შემდეგ... დაეუშვათ, მართალს მეუბნები, მაგრამ მხოლოდ ამისთვის მომიყვანე აქ?

— არა, არა! — იუარა კაცმა და ღრმად მოჭაჩა სიგარეტი, — არა, მარტო ამისთვის როდი მოგიხმე, უბრალოდ, მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან და...

— რაო? მოსალაპარაკებელი? — ისევ აზიდა გოცემით წარბი ქალმა, — რატომღაც არ მგონია რომ მე და შენ რაიმე გასარკვევი და მოსალაპარაკებელი დავგრჩენოდეს. ყველაფერი ხომ კარგა ხანია დადგინდა, გაირკვა და გამოიკვეთა უკვე, ჰოდა, რაღა ჯანდაბა დავგრჩენია კიდევ? მაგრამ, ჯანდაბას შენი თავი და ტანი, რაც არის არის, ამოდერდ-ამოშაქრე, თუ მართლაც დავგრჩენია სათქმელი და მოათავი ამით შენ რა, მართლაც მოცლილი და უსაქმური ხომ არ გგონივარ? რამაყენე აქ ზეზეულად მთვლემარე ცხენივით და მაიძულებ შენს ეაზრო ჩმახვასა და ბლუკუნს ვუგდო ყური.

— კი, კი, გეტყვი, ახლავე, მარიამ. ოღონდ შენ დაწყნარდი, ოღონდაც შენ დამშვიდდი და არ გეტყვი, აბა? — შეეცადა კაცი მის დამშვიდებას, — მაგრამ ასე, ფეხზე მდგარსა და გასაქცევად გამზადებულს, როგორ ვითხრა, როგორ აგისხნა და მიგახვედრო? რაკილა მოდი და პატივი დამდე, ჩამოვჯდეო ბარემ და... — ქალის პასუხსა და რანხმობას აღარ დაელოდა, შებრუნდა და მოშორებით, ხის ძირას მდგარი ძელსკამისაკენ გაეშურა.

— უჰ, შე გლახის ჭირო! — გაიფიქრა ქალმა, კაცს კუშტი, ბრაზიან-ბოლმიანი მზერა გაადევნა და რამდენიმე წამს ყოყმანობდა მერე, ვიღარ გადაეწყვიტა. დამორჩილებოდა თუ არა მის სურვილს. ბოლოს მაინც უწყადინოდ დაჰყვა მის ნებას, კაცისგან მოშორებით ჩაოჯდა ძელსკამზე და გაირინდა.

კაცი კი, სანამ რაიმეს იტყოდა, შინაგანად ღელავდა, განიცდიდა, ეტყობოდა, უჭირდა სათქმელის წამოწყება, იმ სათქმელ-გასამხელს, რომლის თქმას აპირებდა, ეტყობოდა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამიტომაც უჭირდა დაწყება, ამიტომაც ყოყმანობდა აგრერიგად. ძელსკამზე მოუსვენრად ცმუკავდა, ხელისთითებს ერთმანეთში ხლართავდა, ფერმკრთალ სახეზე რაღაცნაირი დაბნეულობა და გაურკვევლობა აღბეჭდოდა და მოჩურჩულესავით თუ მლოცველივით აცმაცუნებდა ტუჩებს. მერე ასწია თავი, მიმოიხედა, იქაურობა ისე მიათვალ-მოათვალიერა, თითქოსდა პირველად ხედავდა ყოველივეს, მიაპყრო მზერა გარინდებულ ქალს და მოულოდნელად იკითხა: — ეს ადგილი ხომ გახსენდება, მარიამ?

ქალმა, თითქოს ბურანიდან ეს-ესაა გამოერკვაო, ასწია თავი და მანაც მიმოიხედა. ცხადია, ადგილი ეცნო და მსწრაფლადვე გაახსენ-

და ყველაფერი. ეს ძელსკამი, ეს ბუჩქნარი, ეს ხეები, ეს სკვერი და ყველაფერი საერთოდ, რაიც კი მის წინაშე. თვალსაწიერზე განსვენებულ ნილ-გამომწეურებულებს, სრულიად, ოდნავადაც არ შეცვლილიყო თითქოს და ყველაფერი ისევე — ფერუცვლელი და ნირუცვლელი დარჩენილიყო, როგორც მაშინ, იმ დროს.. მხოლოდ ისინი, მოქმედი პირნი, ქალი და კაცი შეცვლილიყვნენ ასე. და მისდაუნებურად, მოულოდნელად მისტუმრებულმა გახსენების მსუბუქმა სევდამ წამიერად მოადუნა ქალი, დაალონ-დაასევდიანა, ჩააფიქრა და მისდაუნებურად აიძულა, იმ წარსულისათვის იძულებით მაინც გადაეცვლათ, რომლის დავიწყებასაც ასე თავგამოდებით, ასე თავდაუზოგავად, ასე მონდომებითა და მოწადინებით, რაღაცნაირი ზიზღნარევი მოკრძელებით ცდილობდა, და ასე თუ ისე ახერხებდა კიდევ. ახლა კი ზელმეორედ უკან უკუღმა დატრიალდა გახსენების კარუსელი და ქალი იძულებული გახდა, უნდოდა. თუ არ უნდოდა, სურდა თუ არ სურდა, სურვილის საწინააღმდეგოდ, ასე თუ ისე, ანგარიში გაეწია ამ წარსულისათვის... ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შესხვედრიან ერთმანეთს აქ, ამ სკვერში, ამ ძელსკამზე, ამ ხის ძირას, რადგანაც აქ იყო მათი პაემანის, მათი თავშეყრის ამორჩეული, საყვარელი, საიმედო, საგანგებო და დაგუშანებული ადგილი.. რამდენჯერ მჯდარან ამ ძელსკამზე, გვერდი-გვერდ, მხარი-მხარ, ერთმანეთის სიყვარულით, სუნთქვით, სიახლოვის სურვილისა და ლტოლვით გამთბარნი, ერთმანეთისაკენ მლტოლველნი, ერთმანეთით უზომოდ გატაცებულნი. რა გატემორებელი, რა გაცისკროვნებული, უღრუბლო და კრიალა დღეები იყო მაინც, რა გატაცებით უოცნებით მომავალზე, წინასწარ, უშურველად, დაუწყევიათ მომავლის გეგმები, უოცნებით, აღუქმიათ და წარმოუდგენ-წარმოუსახავთ.. ახლა, ამჟამად, ყოველივე იმას, უკვე ჩავლილს, ჩადენილსა და გარდასულს, მხოლოდღა წარსული ვერკეა, სამწუხაროდ, მწარე წარსული, მწველი რეალობა, გარდაუვალად მოხდენილი გარდუვალობა.. მათი ნაოცნებარიდან აღარცერთი აღარ ასრულებულა. ზღაპარი იყო თითქოს ყოველი, წუთიერი სიზმარი, მირაჟი, მოჩვენება. და აღარც აღარაფერი მეტი. ახლა კი.. ახლა უკვე ძელსკამის ერთ ბოლოში უარყოფილი, მიტოვებული და ბედგამწყვრალი ქალი იჯდა, მეორე ბოლოში კი მიმტოვებული მამაკაცი. ქალს უკვე აღარაფერი გააჩნია სათქმელ-მოსაყოლი, გასამხე-ლი და გულის გადასაშლელი. კაცი კიდევ ცდილობდა რაღაცის თქმას, რაღაცის გამხელას, მაგრამ ჯერჯერობით დუმდა და ეშმაკი ვერ გაიგებდა, რატომ, რა მიზეზით და რა მიზნით აჭიანურებდა ასე. ეს ყველაფერი — ყველაფერი, მაგრამ ქალს ვერაფრით ვერ გაეგო, აეხსნა და გაეშიფრა, თუ რისთვის, რატომ, რა მიზეზითა და მიზნით

დასჭირდა კაცს მაინც და მაინც აქ, ამ ადგილას მოსვლა, მისი საგან-
გებოდ გახსენება. მითუმეტეს ახლა, ამ სიტუაციაში, ამ მეტად უხერ-
ხულ და შეუსაბამო დროს. ეს შემთხვევით, დაუფიქრებლად, ინსტინქ-
ტურად ჩაიდინა თუ რაიმე დაფარული აზრი, მიზანი დევს ამაში?
იქნება, ვინ იცის და, ამ მოქმედებით კაცი მიანიშნებს მას, რომ სულ
ადვილი შესაძლებელია ხელმეორედ განმეორდეს ის, რაც დიდხნის
წინათ იყო, რამაც უკვე კარგა ხანია განვლო, ჩაიარა და სამუდამოდ
და საბოლოოდ მიეფარა თვალს? ნუთუ მას, ამ მართლაც გლახისჭირ-
სა და ქარაფშუტას, მართლაც დარჩენია ამისი იმედი? მაშინ, გამო-
დის, მართლაც არა ჰქონია საზღვარ-სამანი, დასასრული და ზღვარი
ამის სიშტერესა და სიბეცეს. ქალი ახლა სერიოზულად ფიქრობდა
ამაზე, ბჭობდა, ანგარიშობდა გუნებაში, ჭოჭმანობდა, და ველარ დაე-
დგინა რომელი წუთზე იყო სწორი, სად იყო ტყუილი და სად კიდევ
სიმართლე. მეორჭოფე ქალს კარგახანს ეწყო ხელები მუხლებზე
და დაბინდული, აზრჩაუტანებელი და ფიქრიანი მზერით დასჩერებო-
და საკუთარ ხელებს, მერე როდის-როდის ასწია თავი და უსიტყ-
ვოდ, დაჟინებულ-დაკვირვებული მზერით შეაქცერდა კაცს, თითქოს-
და მის სახეზე სურდა ამოეკითხა და გაეგო ნაღდი, მართალი და სწო-
რი პასუხი. მაგრამ ვერ შეძლო ეს, რადგანაც საოცრად გამოუმეტყ-
ველებადი, აზრჩაუტანებელი და რაიმე ნიშანდაუდებელი ეჩვენა იმი-
ს სახე.

მათი თვალეზი მოულოდნელად ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. კაცი
შეაცბუნა და შეაერთო ქალის თვალეზის გამომეტყველებამ, ამ ჩაციფ-
ბულ-დაჟინებულმა მზერამ, ველარ გაუძლო. აარიდა მზერა, მფრთხა-
ლი, უნიათო, ნაძალადევი ყალბი, გაცრეცილი ღიმილი აღებგჭდა
ტუჩებზე და სასხვათაშორისოდ იკითხა თითქოს მოყოყმანე და გაუბე-
ღავი ხმით: — რაო, ველარ გაიხსენე აქაურობა, მარიამ?

ამჯერად ქალმაც აარიდა თვალი, ისევ საკუთარ ხელებს დააჩერდა
და წყნარად, მაგრამ უკმეხად, გაბრაზებით თქვა: — რაა აქ გასახს-
ნიბელ-მოსაგონებელი? მერე რა, რომ გავიხსენე? რაში მჭირდება,
რაში მჭირდება, რაში მარგია მერე ეს?

— არა, მაგოტომ კი არა... — თავი უხერხულად შეიფხანა კაცმა,
ტუჩები მოკუმა და ერთ წერტილს მიშტერებულმა ფიქრიანად, ოც-
ნებაში წასულივით განაგრძო: — მე კი სულ ყოველთვის, ყოველ
წუთს მახსოვს აქაურობა, ყველაფერი, სულ ყველაფერი მახსოვს, მა-
რიამ! — ისევ პაუზა გააკეთა, თვალეზი მინაბ-მილულა და განაგრძო
მოჩურჩულესავით წყნარი, ძლივსგასაგონი ხმით: — შენ არ ვიცი და
პე ძალიან მიყვარს ეს ადგილი, მარიამ, რადგანაც ამ ადგილის გახსე-

ნება ყოველთვის იმ ბედნიერ წუთებს მახსენებს, როცა ჩვენ ერთად
ჯიყავით და ერთმანეთი გვიყვარდა, მარიამ!

— როცა ერთმანეთი გვიყვარდა... — გაიფიქრა თუ დაიხურჩულა
ქალმა. — ის დღე დაიქცეს, როცა ჩვენ პირველად შევხვდით ერთმა-
ნეთს... თუმცა, ისედაც დაქცეული არ არის? — დაწყევლილი ადგი-
ლი და ის დღეები რომ გამახსენდება, თავის ნოკვლა მომინდება-
ხოლმე! შენ აქ იმიტომ მომიყვანე, ის დაწყევლილი დღეები გაგხსე-
ნებინა და უზომო ტკივილი მოგეყენებინა, ჩემთვის? — სიბრალისა-
გან სახე აუვარდისფერდა და შუბლი შეუწანა.

— რას ამბობ, მარიამ?! — თვალები გაცრებით აახამხამა კაცმა,
უმწეოდ გაშალა ხელები და საქციელწამხდარი და უზომოდ გაკვირ-
ვებულ-გაოცებული კაცის იერით გაიღიმა. — ასეთი რამე როგორ
გაიფიქრე, როგორ მოგივიდა აზრად და როგორ გაივლე გულში?
თუმცა, არც მიკვირს, კაცმა რომ თქვას, შენ სადღაც მართალი ხარ,
ჩადგნაც როცა ერთხელ უკვე გაგიტყდება გული ადამიანზე, როცა
ერთხელ დაკარგავ მასზე წარმოდგენას, მერე ყოველთვის რაღაც-
ნაირი ეჭვითა და უნდობლობით უცქერი იმ ადამიანს, იმისი აღარა-
ფერი გვერა და არ შეგიძლია კარგი იფიქრო მასზე... — გაჩუმდა, რა-
ღაცზე ჩაფიქრდა და მერე ისევ განაგრძო წყნარი, მოშვებულ-მოთენ-
თილი, უნიათო ხმით, ოცნებაში წასული კაცის გამომეტყველებით: —
არა, მაინც რა დიდებული, რა განუმეორებელი დრო იყო, მარიამ!
ნამდვილი ოქროს ხანა, ნამდვილი ყვავილობისა და ვარდობის დღე-
ები. არა, მაინც სად წავიდნენ ის დღეები, მარიამ? ჩვენ ერთმანეთი
გვიყვარდა და სულ თვალებში შევციცინებდით ერთმანეთს, ერთმანეთ-
თან დაშორება გვეძინებოდა და მოუთმენლად მოველოდით მეორე
დღის გათენებას, რათა ხელმეორედ შევხვედროდით ერთმანეთს... აჰ
ბოლო ხანებში, როდესაც იმ დღეებს ვიხსენებ, რომ იცოდე, თუ რო-
გორ მწყდება გული, როგორი განუზომელი სინანული და კაეშანი
მიპყრობს და ალბათ რას არ მივცემდი, რას არ დავთმობდი და გა-
ვიღებდი, იმ დღეების შემობრუნება რომ იყოს შესაძლებელი, მარიამ!

— გაჩუმდი! — მოულოდნელად დაიყვირა ქალმა. — გაჩუმდი შე
იდიოტო! შენ რა, აქ მართლაც იმისთვის ჩამოეთრე, რომ მაგ იდიო-
ტურად გულისამრევ და მელანქოლიურ მოგონებებზე მესაუბრო?
აბა, ერთი მითხარი, მე რაში უნდა მაინტერესებდეს, შენ რა გახსენ-
დება და რა გიკლავს გულს? გული გწყდება? ახია, დაგწყდეს უნდა
კიდევ. რა ჩემი საქმეა, მე რა შუაში ვარ და რაში მაინტერესებს ყო-
ველივე? მე კი პირიქით, იმ დღეებს ვწყევლი და მინდა გადამავი-
წყდეს, გადამცილდეს, გადამშორდეს გულზე; მოისპოს, გაცამტვერ-
დეს, განადგურდეს საბოლოოდ და სამუდამოდ... შენ კი, მართლაც

სულელი ადამიანო, რატომ გინდა, რატომ ცდილობ, ის მაძულე, რაც არ მსურს?

კაცმა მხრები შეარხია, უკმაყოფილოდ დაიღრიჯა. დაელოდა და როცა ქალი ბოლოს და ბოლოს გაჩუმდა, განაგრძო ისევ, მოჩვენებითად წყნარი, მაგრამ შინაგანად აღელვებულ-აფორიაქებული ხმით: — ვერ ვამიგია, რატომ გწყინს და რატომ ცხარობ, მარიამ? ვერ ვამიგია, თუ რას ხედავ იმაში ცუდს, მე რომ წარსული მახსოვდეს, გული მწყდებოდეს, ვნანობდე? აბა რა გქნა, როცა იმისი დავიწყება ველარ მონიხერხებია? იცი, ხანდახან ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა იგი მარტოსულად, მიუსაფარად და უმწეოდ იგრძნობს თავს და როგორღაც იძულებული ხდება გაენდოს ვინმეს, გადაუწალოს გული, მოუთხროს თავისი დარდის, ფიქრის, ტკივილის გარშემო, რომ ამით როგორღაც და როგორმე მოიხოს გული, შეიმსუბუქოს დარდი და სიმძიმელი.

— მნახე რაღა გულის მომოოხებელი და შენი სულელური დარდის გამზიარებელი! — დამცინავად, გამჭირად-გამკილავად გაიცინა ქალმა და უკმაყოფილოდ შეარხია მხრები. — მე ჩემი დარდი, ჩემი საფიქრალ-სატირალი და მისახედ-მოსაგვარებელიც მეყოფა და შენიც რატომ დავიმატო კიდეც? ყველამ თავის სატკივარზე და სადარღებელზე იფიქროს უნდა.

კაცმა ყურადღება არ მიაქცია მის სიტყვებს და აკვიატებულივით განაგრძო: — ეეჰ, რომ იცოდე, მარიამ თუ რაოდენ უბედური კაცი ვარ მე, ვერც კი წარმოიდგენ, ისეთი უბედური... მაგრამ ჩემი უბედურება გამომზეურებული არაა, იგი ჩემშია, ჩემეულია, დაუნახავი, მიჩქმალულ-მიფუჩეჩებული და მიმალული, ზოგიერთების თვალში ალბათ ბედნიერიც კი გჩანვარ, თითქოსდა არაფერი მაქვს სადარღებელი, სანატრელი და მოსაგვარებელი, თითქოსდა საფიქრალ-საწუწუნო აღარაფერი დამრჩენია და უხადო, იდეალური ცხოვრებით ვცხოვრობ. მაგრამ ფაქტიურად ასეა კი ეს? არა, არაა ეს ასე! ყველაფერი ზერელეა, გულის გარეთაა, მოჩვენებითია მხოლოდ და აღარავითარი კავშირი არა აქვს რეალობასთან, სინამდვილესთან, ჭეშმარიტებასთან. რაც დრო გადის, ვხვდები უფრო და უფრო ვრწმუნდები, სულ უფრო გარკვევით, სულ უფრო ცხადად, მარტივად, მძაფრად, მკვეთრად, ტკივილივით ვხვდები. მაჯლაჯუნასავით მაწვება რაღაც გულზე, უსაშველოდ მძიმე, აუტანლად აუტანელი, აღარ მაძლევს მოსვენებასა და დასაქანს... — გაჩუმდა, წამიერად, დაკვირვებით გახედა ქალს, მერე მკერდზე დაიკრთა მკლავები და გარინდებული, დაბინდული მზერით გააშტერდა სივრცეს.

ქალი გაუძრევლად იჯდა და ფიქრიან-დარდიანი, მოწყენილი

და მჭმუნვარე მზერით დაშტერებოდა საკუთარ ხელებს და აღთქმულივით ჯიუტად სდუმდა. მას ვერასდიდებით ვერ გაერკვია, თუ რატომ და რა მიზნით უყვებოდა ქმარყოფილი ყოველივე ამას, რისი იმედით, რა წინასწარი ჩანაფიქრის გამო. ის, რაც მისგან მოისმინა, მისი მდგომარეობისა და უბრალოდ, ლოგიკურობის გამო. უნდა გახარებოდა კიდეც. და თუ მართლაც არ უხაროდა ეს, არც წყინდა ყოველ შემთხვევაში და რაღაცნაირად მშვიდი, აუღელვებელი სიცივითა და გულთან ახლოს მიუტანლად, ყოველგვარი სიბრაღულისა და თანაგრძნობის გარეშე აღიქვამდა მის ნათქვამს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, რატომღაც ის კი სჯეროდა მაინც, რომ რასაც კაცი ამბობდა, აშკარად გულწრფელად იყო ნათქვამი და მასში არ იდო არავითარი სიყალბე, ტყუილი და მოგონილი.

— არა, ეტყობა, ნამდვილად უჭირს ამ უღდეურსა და ქარაფშუტას, — ფიქრობდა ქალი — ეს გარეგნულადაც ეტყობა. მაგრამ ვისი ბრალია ეს? მე რა შუაში ვარ? არა, იქნება მე მადანაშაულებს რაიმეში? მაგისაგან ხომ აღარაფერია გასაკვირი და მოულოდნელი. არა, იმას ხომ არ მაყვედრის, მისგან რომ განვთავისუფლდი, თავი რომ დავიხსენი მისგან, ავდექი და წამოვედი? რა მექნა, რა გზა მეძებნა კიდეც, სხვანაირად როგორ მოვქცეულიყავი, აბა? კიდეც რამდენ ხანს მეთმინა, რამდენ ხანს გამეძლო, გამეტანა, არ დამენახა, არ მესმინა, აღარაფრისათვის არ მიმეჭტია ყურადღება და ყველაფერი ისე აღმეჭტა, როგორც კანონზომიერი, აუცილებელი, გარდაუვალი? არა, ხუთუ მართლაც ჩემი ბრალია რაიმე? არასწორად, წინდაუხედავად მოვიქეცი? ხუთუ ოჯახის დაქცევაში მეც მიმიძღვის წილი? და მეც ისევე ვარ დამნაშავე, როგორც ეს ვაჟბატონი? მაგრამ როგორ, რა გზით. რა საშუალებით, რა ძალითა და ძალისხმევით ამეტანა, გამეძლო და გადამეტანა? შემეძლო კი დარჩენა, როცა საბოლოოდ დაგრწმუნდი, რომ აღარ ვუყვარდი უკვე, არაფრად არ მივაჩნდი, ჩემს არსებობას ვეღარც კი გრძნობდა? ჩემს ადგილას, ბევრი ამდენ ხანსაც ვეღარ გაუძლებდა და ამდენს ვეღარ აიტანდა. ახლა კი... მაგრამ შეედრება კი ამისი გასაჭირი, ტანჯვა და ტკივილი ჩემს გასაჭირს, ტანჯვასა და ტკივილს? არა ცხადია, ჩემი უფრო დიდი იყო, უფრო არსებითი, უფრო ხანგრძლივი. მტკივნეული და გამაწამებელი... მე ამას ვეძახი ქარაფშუტას და წინდაუხედავს, მაგრამ გამოდის, აღარც მე ვარ ნაკლები ქარაფშუტა და წინდაუხედავი. თორემ აბა რა ჯანდაბამ მომიყვანა აქ და ამის გვერდით დამსვა? მოდი, იჯექი ახლა და ყური უგდე ამის გაუთავებელ წუწუნსა და ჩივილს... ჰმ, თურმე უბედურია, საცოდავი, საბრალო და უნუგეშო! — განაგრძობდა ფიქრს ქალი და იანაც, ერთი სული ჰქონდა, თუ როდის ადგებოდა ბოლოს და ბოლოს

და გაცელებოდა აქაურობას, დაუნანებ-დაუნანებლად, უკან მოუხე-
დავად. დააპირა კიდევაც წამოდგომა, მაგრამ ვეღარ შეძლო, ვერ
მოახერხა, რაღაცამ შეაჩერა, შებოჭა, რაღაც ძალამ, რაღაც იდუმალ-
მა, გაურკვეველმა, გამოუცნობმა, მის ნებისყოფაზე, მის სურვილზე
გაცილებით ძლიერმა, მტკიცემ და კატეგორიულმა. ეს პირველი შემ-
თხვევა იყო ქალის ცხოვრებაში, როცა იგი საკუთარი სურვილის წი-
ნალმდეგ მიდიოდა — რატომღაც, უმიზეზოდ, უწადინოდ, უგულოდ.
მაგრამ მაინც მიდიოდა, სწორედ ამან გააკვირვა და გააოცა ახლა
ყველაზე უფრო: — არა, მაინც რატომაა ასე და ეს რა მემართება,
ღმერთო? მაინც რა მეტაკა ასეთი? რა მაკავებს, რა მბოჭავს და მი-
ტულებს დავრჩე, როცა დარჩენა არა მსურს? ნუთუ ამისი, ამ გლახის-
ჭირის სიბრალოლი მაკავებს და მბოჭავს ასე? კი მაგრამ, მაინც რა
შუაშია აქ სიბრალოლი? არა მგონია, მაგრამ თუკი მაინც ასეა ეს.
რატომ და რისთვის უნდა მებრალებოდეს ეს გულსაყოლილი, ქარაფ-
შუტა, მოღალატე კაცი, რომლისათვის ცხოვრებაში მხოლოდ ქალია
თავარი, სხვა დანარჩენი კი იმდენად არამნიშვნელოვანი და მეორე-
ხარისხოვანი. ამდენი ხანია ვაგდივარ აგერ, ვუსმენ ამის ბუტბურსა
და გრიმასებს და მაინც ვერ მივმხვდარვარ, რა უნდა, რა სურს, რა აქვს
გუნებაში და რისთვის მომართია აქ..

ამასობაში კაცმა მოულოდნელად გასწყვიტა სათქმელი, უსიტყ-
ვოდ მიაჩერდა ქალს სევდიან-ნალვლიანი და ოდნავდამცინავი ღიმი-
ლით. გადაისვა მერე ხელისგული შუბლზე და განაგრძო ისევ დუნე,
მონოტონური და მოთენთილი ხმით: — შენ ახლა ალბათ ვერც კი
წარმოიდგენ. თუ როგორ მიჭირს, მარია, ჩემი შველა კი შენ შეგიძ-
ლია. მხოლოდ შენ, ერთადერთს, სხვას კი არავის ამ ქვეყანაზე. ვიცი,
ვხვდები, თუ რას ფიქრობ ჩემზე, როგორი ვჩანვარ შენს თვალში და
სიმაართლე გითხრა, არც მიკვირს არაფერი. რადგანაც მე ყველაფრის
ღირსი ვარ, მე ხომ ვხვდები და მესმის, თუ რა სულმდაბლურად მო-
გეჩეცი, რა დაუფიქრებლად და დაუნანებლად დაგგმე და დაგთმე...
მაგრამ.. ეს რომ მცოდნოდა, ეს რომ მაშინ მეფიქრა... ახლა კი გვიანია
მაგაზე ფიქრი. ძალიან გვიანია უკვე. ქალი, რომლის მიზეზითაც შენ
უარგყავი, მეგონა მიყვარდა, მაგრამ ვცდებოდი თურმე. მან ისე დამ-
იპყრო და დამიმორჩილა, ისე შემბოჭა, ყველაფერი გადამავიწყდა ამ
ქვეყანაზე, საკუთარი თავიც კი გადამავიწყდა. და რაღა გასაკვირია,
შენ რომ დაგივიწყე. კაცი რომელიც საკუთარ თავს არ ეკუთვნის,
სულ ადვილი შესაძლებელია რომ მოღალატე გახდეს, საერთოდ ყვე-
ლაფერი დაავიწყდეს. ასეთი კაცი ყველაფერზე აწერს ხელს და
იმისი ბოლოც ერთია საბოლოო ჯამში — დაცემა, სინანული, სირც-

ხელი და სულიერი ტკივილი... შენ ჩემში შეცდი, მე კიდევ იმ ქალ-
ში, მეგონა ვუყვარდი და მიყვარდა... ახლა კი ვერავითარ საშუალებას
და გამოსავალს ვეღარ ვხედავ და აქეთ-იქით ვაწყდები ტალღებზე
შეგდებული ნავივით ნაპირი არა და არა ჩანს, ძალიან შორსაა ნაპი-
რი. ობობას ქსელში გაბლანდული ბუზივით ვარ და რაც უფრო
ვცდილობ ქსელიდან თავის დახსნას, მით უფრო კიხლართები ამ ქსე-
ლში. ობობა კი ნელ-ნელა, თანდათან და უმოწყალოდ მიახლოვდება და
უმოწყალოდ მცირდება მანძილი ჩვენს შორის... ახლა კი ვხვდები
ყველაფერს, და ამ ჩემს ნავვიანე მისვლასაც აღარ გააჩნია რაიმე
აზრი. იცი მარიამ, ახლა ვხვდები, თუ რა ყოფილხარ ჩემთვის, რა სა-
კირო, რა აუცილებელი, რა განუმეორებელი და ერთადერთი, რა
მამები, რა გამგონე, მთანაგრძნობელი, ყველაფრის გულთან ახლოს
მიმტანი, სათნო, კეთილი, და ალალი. მაგრამ მე ვერ დავინახე, ვე-
ღარ შევამჩნიე და შევნიშნე ეს, ვეღარ აღვიქვე და მიგიხვდი. თურმე
შენს გარდა აღარც არავინ მყვარებია. მე მხოლოდ ახლა შევამჩნიე,
შევნიშნე, და დავინახე ისეთივე, როგორც სინამდვილეში ხარ, მაგ-
რამ ახლა უკვე გვიანია და შენ უკვე შორსა ხარ ჩემგან, გაღმა ნაპირ-
ზე იმყოფები და რაც დრო გადის, უფრო და უფრო მცილდები, მშო-
რდები და ეფარები თვალს... აფსუს, რამდენჯერ გაწყენინე, რამდენ-
ჯერ გაწვალე და რა უღვთოდ! დაუფიქრებლად გაგტანჯე. შენ კი ძა-
ლიან დიდხანს ითმენდი, უძლებდი, რადგანაც იმედი გქონდა მაინც,
მაინც გჯეროდა რაღაცით ჩემი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როცა ეს
იმედიც გადაგეწურა, ადექი და წადი, არც მიკვირს მე ეს, რადგანაც
შენს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა.

— ჩემს ადგილას მართლაც ყველა ასე მოიქცეოდა, — გაიფიქრა ქა-
ლმა, ფიქრიანად გადაისვა თმაზე ხელი და ტუჩები მოკუმბა.

— შენისთანა ქალი მართლაც რომ იშვიათზე იშვიათია, მარიამ
— განაგრძო კაცმა ზანტი მონოტონურობით: — მხოლოდ დიდი, ხან-
გრძლივი ძებნის შემდეგ შეიძლება მიაგნოს კაცმა შენისთანა ქალს,
შეიძლება, საერთოდაც ვერ იპოვოს ცხოვრებაში. მე შენ თავის დროზე
გიპოვე, მაგრამ ჩემივე უხეირობის გამო მალევე დაგკარგე... მიუხე-
დავად ყველაფრისა, როცა მე გთხოვე, როცა მე დაგიძახე, შენ გაი-
გონე ჩემი ძახილი და მოდი, ახლა ჩემს გვერდით ზიხარ აგერ და გინ-
და თუ არა, გსურს თუ არა გსურს, გიხარია, გწყინს თუ გაინტერე-
სებს, მაინც მისმენ...

ქალი შეიშმუშნა და უკმაყოფილო, მაყვდრებელი მზერა მია-
პყრო კაცს: — შენ ჩემს მოსვლას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას
ნუღარ მიანიჭებ და ნუღარც რაიმე იმედი გაქვს იმისა, რომ რაიმე

შეიძლება შეიცვალოს ამ ჩვენს ურთიერთობაში! — ხმა დაღლილი ჰქონდა, მოთენილი, გაწამებული და ყოველგვარ ემოციას მოკლებული. — ჩემი მოსვლა არაფერს ცვლის, გინდა ვიყო და გინდა არა, ისე ჩასთვალე... ერთსაც გეტყვი კიდევ: თუ კაცი ხარ, ნუღარ წუწუნებ ქალივით და ნუ ხარ ერთ ფორიაქსა და გაწამაწიაში. რა ამბავია ბოლოს და ბოლოს? რაც გაწუხებს, რაც ხელს გიშლის, ყველაფერი კი არ უნდა გამოამხეურო და გამოამჟღავნო, შენივე გულში, შენივე არსებაში უნდა ჩაიკლ-ჩაიმარხო და ძვირფას საიდუმლოსავით, სახსოვარივით უნდა შეინახო. აბა, ერთი მიზნარი, რაც არ უნდა იწუწუნო, რაც არ უნდა იტყუო და ილაღლო, ვინ მოგისმენს, ვინ გაიგონებს, ვინ გიშველის, ვინ გამოგიწვდის ხელს და ვინ გითანაგძნობს? ვის აინტერესებს ახლა შენი პირადული, როცა ყველას თავისი დარდი, წუხილი, საფიქრალ-მოსაგვალებელ-გადასაჭრელი აქვს თავზე საყრელად? როცა ყველას თავისი სატიკვარ-საწუხარი მძიმე ხურჩინივით ჰკიდია ზურგზე და თან ატარებს გამუდმებით, მოუშორებლად, შენს ტვირთს ვინდა აიკიდებს დამატებით? აბა, მე რა უნდა გითხრა, გირჩიო, მოგეშველო, დაგეხმარო? რითი, როგორ, რა საშუალებებით, რა უფლებითა და რა მოვალეობით? როცა იყო დრო, როცა მქონდა მე ამისი სურვილი, უფლება და საშუალება, როცა ვაღდებული ვიყავი და შემეძლო კიდევ, მაშინ შენ აღარ ისურვე, არ მოისმინე და არც შეისმინე ჩემი, აღარ მენდე და ვეღარ დაინახე... ახლა კი... ახლა აღარც მინდა და აღარც შემეძლია, აღარც უფლება გამაჩნია ამისა და აღარც სურვილი მაქვს. აღარ შეიძლება ყველაფრის თავიდან დაწყება და განმეორება, აღარ ხდება უკვე ასეთი რამ ამ ჩვენს დაწყებულ, წუნკალ და წაწყმედილ ცხოვრებაში, აღარ! — ქალი გაჩუმდა, ნერვულად შეარხია მხრები, სახე მოექუფრა, მუხლებზე დადებულ ხელჩანთას ნერვულად მოუჭირა თითები და მცირე ფიქრის და ღუმელ-პაუზის შემდეგ განაგრძო ისევ მოჩვენებითი სიმშვიდითა და შინაგანად დაძაბული მონოტონურობით: — ასე მგონია, სასამართლოზე ვიმყოფებოდეთ თითქოსდა, სასამართლოზე, სადაც აღარც მოსამართლეა, აღარც მსაჯული, აღარც მოწმე, აღარც დამცველი და ჩვენვე ვისამართლებდეთ თითქოსდა საკუთარ თავს, ჩვენვე ვუყენებდეთ ბრალდებებს... მე ახლა ერთი რამ მაოცებს და მაკვირვებს ძალიან, ვერაფრით ვეღარ გამიგია ერთი რამ — შენ, ამხელა კაცი, ერთი შეხედვით ასე, კულტურული, განათლებული, რატომ არ უფიქრდები, თუ რა გსურს, რას ცდილობ და რას მოითხოვ? ნუთუ ვერ ხედავ ვერავითარ იბსურდულობასა და უხერხულობას მაგ შენს საქციელში? ვერ გამიგია, როგორ გაქვს იმი-

სი იმედი, რომ მე, იმ გოლგოთისა და ჯოჯოხეთის გამოვლის შემდეგ ისევ ვითანაგრძნობ, არაფერს არაფრად არ ჩავაგებ, დავივიწყებ ყველაფერს და ისევ მომიბრუნდება შენზე გული? მაგრამ გიცნობ მე შენ, ზედმიწევნით, საკუთარ თავზე უფრო გიცნობ. მაშინ აღარც უნდა მიკვირდეს აღარაფერი შენი. მე მხოლოდ ჯერ კიდევ ის მაკვირვებს მხოლოდ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში, შენ შინაგანად ოდნავადაც არ შეცვლილხარ და ზუსტად ისეთივე დარჩენილხარ, როგორიც იყავი. ოღონდ შენ იყო კარგად, ოღონდ შენ არ მოგაკლდეს აღარაფერი, არაფერი გაგიჭირდეს და სხვა ყველაფერი შენ აბა რაში უნდა გაინტერესებდეს? შეგაწუხა რაღაცამ, რაღაც ისე ვერაა, როგორც შენ გინდა იყოს და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა აწუწუნდე და აიღერლო, აფორიაქდე და შეგეშინდეს იმისა, რომ რაიმე პატივი არ მოგაკლდეს, არ გაგიჭირდეს რაიმე... აბა, თავად დაფიქრდი, მართლაც სინდისგარეცხილი უნდა იყო კაცი, რომ ყოველივეს, — იმ გულცივობის, იმ არდაფასების, იმ ჯოჯოხეთის შემდეგ თანაგრძნობა, გაგება მოსთხოვო ადამიანს და კიდევ გჯეროდეს იმისა, რომ იგი ისევ ვითანაგრძნობს, ისე მოიქცევა — როგორც შენ გსურს და თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყოს. თავად ორგულმა და მოლაღატემ აბა როგორ შეიძლება ჩემგან მოითხოვო ერთგულება და თანაგრძნობა? ჰმ, ცოლი არ მიყვარსო, მეუბნები უსინდისოდ! მე რა გიყო, აბა, რითი გიშველო და გისაშველო? ესეც ჩემი ბრალი ხომ არაა რომ არ გიყვარს? და რომ არ გიყვარს, ამაში არაფერია გასაგებობა და არც მიკვირს, რადგან ესეც შენი ხასიათიდან გამომდინარეობს, შენი ხასიათის ბრალია ყველაფერი. შენ არ შევიძლია ბოლომდე გიყვარდეს, რადგანაც საკუთარი თავი გიყვარს ყველაზე უფრო... პირველად კი... ალბათ როცა იმ ქალს ეკურკურებოდი ცოლი არ მიყვარსო, ეუბნებოდი და სიყვარულს ეფიცებოდი. ასეა ეს და ესაა სიმართლე. შენ გგონია ყველაფერი დამავიწყდა, ყველაფერი გადამცილდა გულზე? არა, გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი გარკვევით მახსოვს... მიყვარხარო მეფიცებოდი, გიტყვია კიდევ და მე მართლაც შტერი და ქარაფშუტა თუ არ ვიყავი მაშინ, აბა ისეთი კაცისთვის, ქალის გულისთვის ქალივით რომ ატირება შეუძლია, როგორ უნდა მეგდო ყური, როგორ უნდა დამეჯერებინა და ვნდობოდი? ახლა კი... არ მიყვარსო, მეუბნები, შემოვჭაო, ძალით დამიმორჩილაო! აბა, რომელი თექვსმეტი წლის ბიჭუკელა შენ მყვანდი, არა გსურდა, არ გინდოდა და ძალით დაემორჩილებინე ვინმეს? არა, ნაინც რატომ არ გრცხვენია ამას რომ მეუბნები? ო, როგორ სულ მთლად წასულხარ ხელიდან და სულ არარაობად ქცეულხარ, როგორ საბოლოოდ მოგღებია ბოლო... იცი, მიუხედავად ყველაფრისა, რატომ-

ლაც მაინც გული მწყდება და მეორეს მხრივ, კიდევ უფრო ვერ მიბატეხება საკუთარი თავისათვის, ისეთმა ბედოვლათმა, როგორიც შენ ხარ, რომ მაცდუნა თავის დროზე... რასაც შენ ახლა მეუბნები, ამაში გასაკვირი, მოულოდნელი და საოცარი არაფერია, რადგანაც კარგად ვიცი, შენისთანა ბედოვლათ მამაკაცებს, როცა ქალი მოყირჭდებათ, რაღაც მიზეზების გამოძებნას დაიწყებენ ხოლმე. არა, როგორ და როდემდე უნდა ისმინოს ადამიანმა ასეთი საზიზღრობები და როგორ არ უნდა აგერიოს ამის შემდეგ გული?

— შენზე არასოდეს დამცდენია რაიმე საყვედური მარიამ! — შეაწყვეტინა აქამდე გაჩუმებულმა კაცმა, — როგორც გითხარი, შენ სულ სხვა ყოფილხარ, სულ სხვანაირი, განსხვავებული, ყველასაგან გამორჩეულ-გამოცალკავებული, უჩვეულო და საოცარი. მაგრამ ამის თქმას უკვე აღარა აქვს რაიმე აზრი, რადგანაც გვიან მიხვდი ამას და ძალიან გვიან. ძალიან ნაგვიანევად გეუბნები აგერ... — სათქმელი აღარ, თუ ველარ დაასრულა, სახე ხელისგულებში ჩაფლო და მდუმარედ, დაძაბული და მკმუნვარე გამომეტყველებით დააშტერდა მიწას.

ისევ ჩამოწვა მომლოდინე, დაძაბულ-დამუხტული ღუმილი. მარიამი რაღაცნაირი, სევდიანი ინტერესით. შეფარვით ათვისებდა თავჩაქინდრულ კაცს. მერე აარიდა მხერა, აადირა თავი, ერთ ამოჩემებულ წერტილს მიაბჯინა მხერა და თითქოსდა საკუთარ თავს ეთათბირებო, განაგრძო წყნარი, მდორე, მონოტონური ხმით: — მე კარგად ისიც კი არ ვიცი, რასაც მეუბნები, მართალია თუ არა და არც მაინტერესებს ეს. მაგრამ, თუკი მართლაც ყველაფერი მართალია, თუკი შენ მართლაც ასე იტანჯები და განიცდი, გამოდის, რომ შენში ჯერ კიდევ შემორჩენილა რაღაც ადამიანური. მართალია მცირე, მაგრამ მაინც... შენ რომ ზერელედ არ უცქეროდე ცხოვრებას, რაიმე, ოდნავ მაინც გაგეგებოდეს, მიხვდებოდი, არაფერი განსაკუთრებული, უსაშველო და საოცარი რომ არაა შენს თავზე და ეს ჩვეულებრივი ამბავია, რადგანაც ყოველი ადამიანი მხოლოდ იმისთვისაა გაჩენილ-მოვლინებული ამ ცოდვილ წუთისოფელში, რათა ყველაფერი იხილოს, გამოცადოს, გადაიტანოს, ყველაფერში დარწმუნდეს და ყველაფერს გაუძლოს; გეცოდინებოდა, რომ ყოველი ჩვენთაგანი მხოლოდღა ტანჯვისთვისაა, განსაცდელისთვისაა გაჩენილი და მართლაც რომ იშვიათია დაღუბნებული და ჭეშმარიტად ბედნიერი კაცი, სულელები და გიჟები ერთ რამეში მაინც არიან ბედნიერები — ისინი ხომ არაფერზე არ ფიქრობენ, არ განიცდიან, არ სწუხან, არ ოცნებობენ და მათთვის აბსოლუტურად სულერთია ყველაფერი. მე ვერაფრით ვერ გამეგო, ყოველთვის მიკვირდა ქცევა, ისეთი

კაცისა, რომელსაც ნაკლებად თუ ადარდებს რაიმე, ოდნავ ახლოს არ მიაქვს გულთან რაიმე და ყოველთვის ერთ დონეზეა — მზიარული და ალტაცებული, იცინის, გამაძლარი და კმაყოფილის, ჯანმრთელის, დაჟღავნებული გამომეტყველება აღბეჭდია სახეზე, უარესად თვითდაჯერებულია, უსაშველოდ დარწმუნებული საკუთარ თავში.. სამაგიეროდ სევდიან-ფიქრიანი, მოწყენილი და პირქუში კაცის მესმის კარგად. რადგანაც მჯერა, გასაგებია ჩემთვის, რომ სევდიანი იმიტომაცაა, ამ ცხოვრების რომ ესმის კარგად, ჩამწვდარია მის არსში, სხვისი გასაჭირი მიაქვს გულთან და ცდილობს, შეძლებისდაგვარად უთანაგრძნოს ყოველ გაჭირვებულს, მიუსაფარს. არ ვიცი მე, კეთილ, გამგებიან ადამიანებს რატომ ემართებათ ასე, რატომ ხდება ასე, ეს ველარ გამიგია მხოლოდ, მაგრამ ისე უკუღმართულადაა ეს ცხოვრება მოწყობილ-აწყობილი, მეტი რომ არ შეიძლება! სიმათლევ თუ გინდა გაიგო, მე შენი არა მჯერა, რადგანაც ორივენაირი მახსოვხარ, მაშინდელიც და ახლანდელიც, მაშინდელი—უდარდელი, გაცინებული და მზიარული, ახლა, მოწყენილი ხარ და რომ ვიცი, რომ არა იმის გამო, ჩაწვდი და გაუგე ცხოვრებას, არამედ.. განა შეიძლება ადამიანი, ორმხრივი, ორივენაირი იყოს, ერთდროულად ორივე ნაპირზე იდგეს? არა, ცხადია, ან იქეთ უნდა იდგეს ან კიდევ, აქეთ. მე ასე მგონია, რომ მაგ შენი ტანჯვა-წუხილი სულ მოგონილია, ყალბი და ხელოვნურად შექმნილი, ვიცი მე, შენში აღარაფერია ხანგრძლივი. მყარი, მტკიცე, მარადიული და საბოლოო, შენში ყველაფერი პირიქითაა—ჩამოუყალიბებელ-დაულაგებელი, ნაკლებად ჰკვიანური, ყოველგვარ ლოგიკას და კანონზომიერებას მოკლებული. თუ ამ კუთხით მოგიდგება ადამიანი, მაშინ ველარაფერს იტყვი, შენ მართლაც უბედური ხარ და შენზე უბედური მეორე არ შეიძლება არსებობდეს. შენი ტანჯვა რომ სხვისი მიზეზით იყოს გამოწვეული, მაშინ, მიუხედავად ყველაფრისა, რამენაირად გაგიგებდი, მიგიხვდებოდი და გითანაგრძნობდი, მაგრამ როგორ ვქნა, როგორ მოვიქცე ასე, როცა ვიცი, თავად რომ ხარ ყველაფრის მიზეზი, ყველაფერში დამნაშავე და სხვას არავის რომ არ მიუძღვის ამაში რაიმე წვლილი?

ამ სიტყვების შემდეგ აქამდე მდუმარედ მჯდომი კაცი მოულოდნელად აღელდა, აფორიაქდა, აწრიალდა და მოწოლილ-მოზღვაებულ ბრაზისაგან სახე წამოუჭარხლდა. სიგარეტი ამოიღო, აღელვებულმა მოუკიდა, ხარბად, ბოლმიანად გააბოლა, მერე მწარედ ჩაიცინა და დაუფარავი მღურვით, საყვედურით თქვა: — განა მოსვლა იმიტომ გთხოვე, საყვედურებით ამიკლო, გამათახო, ლაფსა და სიბინძურეში ამომსვარო? ცხადია, დამნაშავე ვარ შენს წინაშე, ვაღიარებ

კიდევ ამას. დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი ხელმეორედ შეხვედრა მეგობრული რომ არ იქნებოდა, მაგრამ ასეთ რამეს მაინც აღარ მოველოდი სიმართლე გითხრა! — ხელისგულით მოიწმინდა შუბლზე დაცვარული ოფლი: ღრმად, ბოლმიანად მოქაჩა სიგარეტი და თამბაქოს ბოლში გახვეული დაღუმდა.

ქალმა ფიქრიანი მზერა მიაპყრო და კარგახნის ყურებისა და ფიქრის მერე, წყნარი, მოჩვენებითად მშვიდი, აუღელვებელი ხმით თქვა: — რატომღაც მეგონა, ასე თუ ისე მაინც მიცნობდი და ჩემი ხასიათი იცოდო... მას შემდეგ კი ხასიათი არ შემიცვლია. მაშინ თუ არ ვიყავი ყალბი და მოჩვენებითი, რასაც ვფიქრობდი, რაც მწამდა, რაც სიმართლედ მიმაჩნდა, მხოლოდ იმას ვამბობდი, ახლაც ასეა და რაკილა მომიხმე, ახლა ნულარ მსაყვედურობ. აბა რა ჩემი ბრალაა. ზოგჯერ სიმართლე მწარეა და ძნელად მოსასმენი. ეს ასე რომაა, შენივე ბრალაა და შენვე უნდა ზღო, უნდა გაუძღო და აიტანო, აბა როგორ გგონია შენ? ახლა კი, ბოლოს და ბოლოს მითხარი. რისთვის მიხმე. რა სათქმელი დაგჩა და მორჩი, თორემ რასა გავს ეს? ვზივარო აგერ ამ გაგანია სიცხეში, შეყვარებულებივით და... მორჩი მაგ აბდა-უბდის ბოლიალს და გაუთავებელ წუწუნს. გეკითხები და მიპასუხე: — რისთვის მიხმე მაინც?

კაცი შეჩქეფდა, მხრებში აიწურ-დაიწურა დამნაშავესავით, მფრთხალი, გაუბედავი მზერა მიაპყრო ქალს და ფრთხილი, შიშვეპარებული ხმით, გაუბედავი ორჭოფობით დაიწყო: — მეტი გამოსავალი არაა, მარიამ, ჩვენ ისევ უნდა დავუბრუნდეთ ერთმანეთს! — თქვა ეს როგორც იყო, აარიდა მზერა, გაიხედა გაურკვეველი მიმართულებით და რომელიღაც წერტილს მიაპყრო ფიქრიანი. დაბინდული და მღვრიე მზერა.

— რაო?! რა მითხარი?! — გაკვირვებისაგან ცალი წარბი აზიდა ქალმა და ცხვირის ნესტოები დაებერა: — ეს რა მითხარი და რა წამოგცდა ეს? არა, ეს როგორ იფიქრე და როგორ გაივლე გულში-ვაუბატონო? შენ, შემთხვევით, ხომ არ შექანებულ-შერყეულხარ ჭკუაზე? შენ რა, მართლაც ამის სათქმელად მიხმე. ეს გქონდა სათქმელი და მოსახსენებელი ჩემთვის? — ქალს თანდათანობით იტანდა სიბრაზე, ლამაზი სახე აუვარდისფერდა და აჩქარებულად დაიწყო სუნთქვა, თვალები დაუწვრილდა და ტუჩები აუტოკდა: — თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს არც უნდა მიკვირდეს შენგან. შენ ხომ ისეთი კაცი ხარ, ყველაფერს რომ იკადრებს. და ყველაფერზე რომ მოაწერს ხელს. შენი მოუფიქრებელი და უთქმელი არაფერი რომ არაა, ეს კი ვიცი ძალიან კარგად მე... არა, იქნება მეხუმრები მართლაც და სერი-

ოზულად არც გითქვამს ეს? მეხუმრები. ხომ? ჰოდა, თუ ხუმრობ, მაინც რანაირი ხუმრობაა ეს? უჰ, შე მართლაც გლახეს ჰერო და მართლაც გადაგვარებულ-ბოლომოღებულ!

— როცა ასეთ სერიოზულ საკითხზეა ლაპარაკი, მე მაშინ არასოდეს არ ვხუმრობ, მარიამ! — შეაწყვეტინა სათქმელი კაცმა მოგონილი სიმშვიდით, მტკიცე, ყოველგვარ ყოყმანსა და შიშს მოკლებული ხმით: — აი, რას ნიშნავს, შენ რომ არაფერი გჯერა ჩემი და ჩემი სიმართლე ტყუილი გგონია! ამხელა მანძილი იმისთვის გამოვიარე, რომ მოსულიყავი და ასეთი რამ მეხუმრა შენთან? არა, მარიამ, თუ ღმერთი გწამს, დამიჯერე, ეს სიმართლეა და სრული სერიოზულობით გეუბნები აგერ! თუ საჭირო დარჩა, კიდევ გავიმეორებ იგივეს, უსასრულოდ, გავიმეორებ, მარიამ!

ამჯერად ქალის ჯერი დადგა: — თუ არ მეხუმრები და სერიოზულად მეუბნები, მით უარესი შენთვის: გამოდის, ნამდვილად შექანებულიხარ ჭკუაზე და ისაა. როგორც თავად ხარ უხეირო, უცხვირპირო და არამზადა, ასევეა შენი ნათქვამიც! არა, არ იქნება, არასდიდებით არ იქნება მაგი, არავითარ შემთხვევაში! — ხელები გაასავსავა ქალმა, სიბრაზისაგან ისევ აუვარდისფერდა სახე და მოგუბებულმა ბრაზმა სიმშვიდე, წონასწორობა დააკარგვინა: — უყურეთ ერთი, ვაჟბატონს! თურმე რა სურს, თურმე რა მოუფიქრებ-მოუსურვებია და გადაუწყვეტია გუნებაში. არა, არ იქნება მაგი და არ არსებობს ისეთი ძალა და საშუალება, ხელმოვრედ შენთან ყოფნა რომ მაძულ-დამავალდებულოს! რას გეტყვი იცი? ადექი და წადი ახლა შენს გზაზე, შენს საქმეს, საზოგადოებრივ მოვალეობებს მიხედ! ასე უკეთესი იქნება ალბათ. მაგაზე, ჩემზე ფიქრს კი მოეშვი მირჩევია შენთვის! ჩასთვალე, რომ აღარ ვარსებობ, მოგვედი, გარდავიცვალე და მორჩა!

— მე არ შემიძლია, მარიამ! — შეაწყვეტინა კაცმა მორთოლვარე ხმით, რაღაცნაირი აკვიატებითა და სიჯიუტით, შუბლი შეჭმუხნა და იმისმა სახემ განუზომელი ტკივილი და ტანჯვა გამოსატა: — ბევრიც რომ ვეცადო მაგი, აღარ შემიძლია და მომკალი!

— არ შეგიძლია და ნუ შეგიძლია მერე! რა შეგიძლია და რა არა, განა ესეც ჩემი საკითხავია, განსასჯელი და საზოგადოებრივ მოვალეობის? შენია ეს, პირადული, შენ უნდა მიხედო, შენვე უნდა იზრუნო და მოავარო! — გაბრაზებით მიახალა ქალმა, — მერე რაღაცაზე ჩაფიქრდა ჯიუტად ტუჩებმოკუმული, ბოლოს, მცირე დუმისისა თუ ფიქრის მერე, ეტყობოდა, რაღაც გაახსენდა, მიუბრუნდა კაცს და განაგრძო: — ჰო, ახლა გამახსენდა და რა კარგია რომ გნახე. რაო, ხელის გაწერას არ აპირებ, ვაჟბატონო? აბა როდემდის უნდა ვიყოთ ასე? აქამდე არც ვანიჭებდი ამას დიდ მნიშვნელობას, რადგანაც

სულერთი იყო ყველაფერი ჩემთვის და ხელი მქონდა ჩაქნეული ყველაფერზე. მაგრამ ახლა... — სათქმელი აღარ თუ ვეღარ დაამთავრა, ჩაჰკიდა თავი და დაძაბული, მღვრიე და აზრჩაუტანებელი მხერით დააშტერდა მიწას.

ერთ ხანს დაძაბული, მძიმე, მოლოდინით, გაურკვევლობით აღსავსე ღუმილი ჩამოწვა, რომელიც მერე, როდის-როდის, კაცმა დაარღვია. სანამ რაიმეს იტყოდა, მძიმედ, დაღლილად ამოიქშინა, ხელის-გულებით ამოისრისა თვალები, და თქვა ბოლოს: — მე რას ვფიქრობდი და შენ თურმე რას ფიქრობ, მარიამ! ნამეტარი აწეწილ-დაწეწილი, ბოლომდე გაურკვეველ-მოუგვარებელია ჩვენი საქმე, მარიამ, და აღარ ვიცი პირდაპირ, როგორ უნდა მოვბას თავი ამას, როცა, რაცა მსურს, შენ არ გსურს, არ გინდა და სულ სხვა რამეზე ფიქრობ...

— აბა როგორ?! — აღარ დაახანა, აღარ დააცალა ქალმა ბოლომდე ეთქვა სათქმელი. — აბა, მე და შენ ერთნაირი აზრი როგორ უნდა გვქონდეს, ან ერთნაირად როგორ უნდა ვიფიქროთ?.. იცოდე, მე არ გეხუმრები, გავიყაროთ, უნდა და რაც უფრო ადრე იქნება ეს, მით უფრო უკეთესია ჩემთვისაც და შენთვისაც!

— ჰმ! უკეთესი! — ჩაილაპარაკა კაცმა, ტუჩების ბრეცითა და დამცინავ-გამქირდავი ჩაღიმებით: — შენთვის იქნებ კი დარჩეს უკეთესი, ჩემთვის კი... მე კი... მე არ მსურს, მარიამ, არა და არა! მაინც რატომ უნდა გავაწეროთ ხელი? მე შეირგებას ვთხოვ, შენ კი... — აღვა, აღელვებულ-აფორიაქებულმა, ღრმად, რაღაცნაირი ბოღმითა და სიმწრით ამოიოხრა, მერე ისევ დაჯდა, მოწყვეტით დაეგდო და დაგნარცხა ძელსკამზე, სიგარეტს მოუკიდა და განავრძო მოგუდული ხმით: — არა, არა, მაინც რა მნიშვნელობა აქვს ამას? რას გიშლის და რას გაწუხებს...

— მაწუხებს, აბა არ მაწუხებს? — ცხარედ შეაწყვეტინა ქალმა; — აჭამდე სულერთი იყო ჩემთვის, ახლა კი მაქვს მიზეზი იმისა, რომ როგორმე გავთავისუფლდე შენგან, გამოჩნდა კაცი, რომელმაც შენზე უკეთ გამიგო და მიმიხვდა, ჩემი ხასიათი არ იუცხოვა და სწორედ ისეთივე ვუნდივარ, როგორიცა ვარ... და, ბევრი რომ არ გავავრძელო, გადაწყვეტილი მაქვს გავთხოვდე!

— რაო?! — ლამის იყო არ წამოიყვირა მოულოდნელობისა და გაოცებისაგან კაცმა, ფეხზე წამოიჭრა, თვალები აახამხამა და მთელი არსებით, მთელი სიგრძე-სივანით გამოხატა ის შეშფოთება, გაოცება-გაკვირება, შინაგანი დაძაბულობა და იმედის გაცრუება, რომელიც ამ დროს დაეფულა და მძლავრად დარია ხელი, ყოვლისწამლეკავი დაუნდობლობითა და მთელი სისასტიკით. — რა თქვი, მარიამ? — იკითხა ისევ, ამჯერად უკვე საწყალობელი, ჩავარდნილი ხმით, იმედგა-

დაწურული კაცის იერთო. იკითხა და მერე დიდხანს, უსიტყვოდ ჯამომცდელი, იჭვიან-მოჭოქმანე მზერით შესცქეროდა თვალებში და რაღაცის მოჩურჩულესავით თუ მლოცველივით უტოკავდა ტუჩები. მერე თანდათანობით მოდუნდა, მოიმჩვარა, მოიდვენთა, წელში ვაგ-ლახად მოიდრიკ-მოიკუნტა, თითქოსდა, ერთბაშად დაბერდა რამდენიმე წლით. ძელსკამზე მიეგლო და მაშინალურად, უნებლიეთ, აზრ-ჩაუტანებლად ისვამდა კარგა ხანს ხელისგულს გაცრეცილ და წამო-ფითრებულ სახეზე. ბოლოს, რაღაცის დამკარგველივით ისევ დააშ-ტერდა მიწას, დაძაბული, აბინდული მზერით, და აკანკალებულ-ათრთოლებული, გაღიზიანებული და ჭირვეული ხმით ჩაილაპარაკა: — არა, არაა ეს სწორი! შენ მეხუმრები, მარიამ, ჩემი წვალება გიხა-რია და მეხუმრები!

— რა დაგიჩემებია ეს „მეხუმრები“, „მეხუმრები“, ბოლოს და ბოლოს? მეტი სათქმელი აღარ გაქვს თუ რა აგეკვიატა ეს? გითხარი უკვე: სწორია ეს! შენთან ხუმრობის სურვილიც არ მაქვს... ანდა რა, რა გაგიკვირდა ასეთი? რაა აქ გასაკვირველი? ჩვეულებრივი საქმეა და მეტი არაფერი! — თქვა ქალმა ტუჩებაბზუებით და უკმაყოფილოდ შეარხია მხრები.

— არა, შენ არ იზამ ამას, შენ არ გათხოვდები, მარიამ! — თქვა კაცმა მოულოდნელად, წყნარი, მაგრამ მტკიცე, ჯიუტი ხმით, — შენ არ გათხოვდები!

— რაო? — ცალი წარბი გაკვირვებით აზიდა ქალმა, ამჯერად მისი ვაოცების ჯერი დადგა, მსწრაფლ მიაბრუნა თავი და მრისხანე მზერით მიაცქერდა კაცს, გაკვირვებული და თვალებგაფართოებული. კარგა ხანს უცქეროდა ასე, მერე მოულოდნელად მოსტუმრებულმა ტკივილიან-სევდიანმა, ნერვულმა, მთელი მისი არსებიდან, ერთბა-შად, გაგარვარებულ ლავასავით ამოფრქვეულ-ამოტკლევცილმა სი-ცილმა აუტოკა მხრები. აიფარა სახეზე ოდნავ-ოდნავ მტოკავი ხელის-გულები და რამდენიმე წამის განმავლობაში იცინოდა ასე — ყრუ, მოგუდულ-დახშული და ნაძალადევი სიცილით. მერე ის იყო, ერთბა-შად მოისხიბა სიცილი, სიცილისა და სიმწრისაგან თვალზე მომდგარი კურცხალი მოიწმინდა, უკმაყოფილოდ, ფიქრიანად გააქნია თავი, ისევ მუხლებზე დაილაგა ხელები და წყნარი, მაგრამ შინაგანად დახ-შულ-დაძაბული ხმით, ყოველგვარი დაცინვა-გაკილვის გარეშე განა-გრძო: — არ გავთხოვდები!.. შენე რა მოინდომა გაჟბატონმა! რა შენი საქმეა, შენ ვინ გეკითხება საერთოდ და რა უფლების ძალით? რო-დის აქეთაა რომ ეს უფლებები მოიბოვე? ისე გავთხოვდები, შენი მოწონებული და სულ ძალიან მალეც, რომ იცოდე შენ! ეს რა ისურ-

ა... აბა ვიყო ყოველთვის ასე — მარტოდ, საკუთარი თავის ანაბა-
ჩად, უპატრონოდ, საკუთარ არსებაში ჩაკეტილი და უიმედოდ? მაგრამ რისთვის, რატომ, რა მიზეზისა და რა ინტერესის გამო?

კაცი გაუწივლად იჯდა გასუსულ-განაბული და მიჩუმათებულ-
გჩქმალული ისევ მიწას დაჩერებული და კრიშნეგებული... იჯდა, და
გალუწული უგდებდა ყურს დაბნეულ-გაოგნებულ... მოსმენილით
უსაშველოდ შეძრწუნებული და დამფრთხალი ამავე დროს, მთელი
ამ ხნის განმავლობაში, ვინ მოთვლის, თუ რამდენჯერ დააპირა საუ-
ბარში ჩარევა, კრინტის დაძვრა, ხმის ამოღება, იმ ბრალდების გაბა-
თილება-უარყოფა, რასაც ქალი აყვედრიდა ახლა. მაგრამ იგი ისე
შეებოჭა ქალის ეკლიან სიტყვებს, რომ ვერ მოეხერხებინა კრინტის
დაძვრა. არადა როგორ სურდა ახლა ეს, მთელი გულით. მთელი არსე-
ბით. შინაგანად თუ გარეგანად; ძალიან უნდოდა ცოლყოფილისათვის
აეხსნა, მოეთხორო, გაემხილა ყველაფერი, ისე ეთქვა, ქალს მოესმინა
მისთვის, გაეგო მისთვის, მიმხვდარიყო. ეთანაგრძნო და აღრე თუ
გვიან თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა. ძალიან სურდა ეს, ისე ძა-
ლიან, მეტი რომ არ შეიძლება, მაგრამ ველარ მოახერხა ეთქვა რამე.
მაინც არა და მაინც ველარ. როცა დიდი ყოყმან-ჭოჭმანის მერე,
როგორც იყო გადაწყვიტა მარიამის მოსანახულებლად წამოვიდა, მან-
ცხადია. წინასწარ იცოდა, რომ კარგსა და სასიხარულოს გულის მო-
საფონებელს, ველარაფერს მოისმენდა და წინასწარვე იყო ამისათვის
მომზადებულ-მობილიზებული და წინასწარვე, გზაშივე აიძულებდა
საკუთარ თავს, რათა დინჯად, აუღელვებლად და წონასწორობადაუ-
კარგავად შეგუებოდა ყოველს მაგრამ ის, რაც ეს-ესაა უთხრა ქალმა,
ამაზე არასოდეს უფიქრია, არ გაუთვალისწინებია წინასწარ. რადგა-
ნაც ასეთი რამ; რატომღაც ვერც კი წარმოედგინა. სწორედ ამიტომ
იყო, ასე ერთბაშად რომ გამოითიშა, გააოგნა და დასცა ზაფრა. ამი-
ტომაც გახდა მოსმენილი ასე მძაფრი, მიძიმე და ძნელზე-ძნელი მოსა-
სმენი... არსებობდა კიდევ სხვა მიზეზიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე
უფრო მნიშვნელოვანი. უფრო პირდაპირ დაკავშირებული ამ საქმეს-
თან, ეს-ესაა მოსმენილის რაღაცნაირად ამხსნელ-გამხსნელი... იგი,
რაც უფრო გადიოდა დრო და ხანი, მით უფრო ცხადლივ, გარკვევით,
ნათლად ხედავდა და რწმუნდებოდა, რომ ქალი, რომელიც ერთ დროს
ასე დაუფიქრებლად, ასე ხელაღებითა და ყოველგვარი სინანულის
გარეშე უარყო, უყვარდა, თავისებ-რად, თავისი თვალსაწიერით თა-
ლი გაგების სფეროში, მაგრამ მაინც უყვარდა და იმასაც ხედავდა
თანდათანობით, ძნელი იქნებოდა იმისი გადავიწყება. რაკილა დარწ-
მუნდა ამაში, რაკილა ველარ დაივიწყა, ცხადია, ახლა იმისი სურვი-
ლიც გაუჩნდა, რათა წასულიყო და მოენახულებინა იგი, ეცადნა, ეც-

დილა, ყოველგვარი ღონე და საშუალება ეხმარა და ერთხელ უკვე უარყოფილ-მივდებული, ისევ დაებრუნებინა, გასხვისებული, თუ ნაარვისო, ისევ თავისი გაეხადა. თანდათანობით, უფრო და უფრო მძაფრი და ყოვლისმომცველი ხდებოდა ლტოლვა ქალისაკენ, მაგრამ იმდენად დიდად მიაჩნდა დამნაშავედ თავი მის წინაშე, ველარ ბედავდა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას, რომ თავისი ჩანაფიქრი რეალობად ექცია. და ასე, ამ ყოყმან-ჭოჭმანში გადიოდა დრო — დღეები, კვირები და თვეები. ბოლოს კი როგორც იქნა, დიდი ძალისხმევისა და საკუთარ თავზე დიდი ზემოქმედების შემდეგ, გაბედა, წამოვიდა, ჩამოვიდა, მოიხმო და როგორც შეძლო და როგორც შეიძლო, ისე, იმგვარად აუხსნა ყველაფერი. მაგრამ, გამოდის, ტყუილად დამშვრალა, ამაო, განუხორციელებელი ყოფილა მისი ჩანაფიქრი. ადვილი საქმე რომ არ იყო, ადვილ საქმეს რომ არ ედგა, ეს კი იცოდა, მაგრამ ასეთი ბოლო თუ იქნებოდა ამ საქმეს, ეს რომ სცოდნოდა, რა ეშმაკი, რა ჭირი და დოზანა გადმოადგმევინებდა აქეთგან ნაბიჯს? და ეს ყველაფერი საკუთარი შეცდომის, საკუთარი, ამდენი ყოყმან-ჭოჭმანის, ამდენი ზოზონისა თუ დახანების ბრალი რომ იყო, იმასაც მიხვდა ცხადია. ეს კი უკვე ზღვარი იყო, საბოლოო წერტილდასმული და გათავებული. ამის შემდეგ აღარავითარ ცდასა და ცდილობას უკვე აღარ ჰქონდა რაიმე აზრი და მნიშვნელობა. მაგრამ, მიუხედევად ყველაფრისა, მისი აზრით, კიდევ იყო რაღაც დარჩენილი, სრულიად უმნიშვნელო, ერთი ფიორი. მაგრამ მაინც... და, როგორც ხავსს ჩაჭიდებული წყალწაოებული, ისე ჩაეჭიდა იგი ამაო იმედს: მიუხედევად ყველაფრისა, ხომ შესაძლებელია ტყუოდეს და სრულებითაც არ აპირებდეს ხელმოკრედ გათხოვებას? აი, ამაში, ამის იმედზე დაყრდნობაში იყო მხოლოდ ხსნა. მიუხედევად იმისა, რომ იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქალის ჩვევებსა და ხასიათს, ეს ვარაუდიც იყო დასაშვები და ახლა სწორედ ამაზე უნდა გადაეტანა მთელი თავისი ყურადღება, მთელი თავისი დაკვირვების უნარი, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ეცდილა და გაეგო, დაედგინა სიმართლე. სიმართლის გაგებაში მდგომარეობდა ახლა ან მისი ადარჩენა, ანდა კიდევ დაღუპვა.

მერე და მერე, როცა კარგად ჩაუფიქრ-ჩაუტკირდა ყველაფერს, გონებაში კარგად განსაზღვრ-გააანალიზა და დააკონკრეტა, როცა ქალის მტკიცე შეუვალად და დაბეჯითებით ნათქვამმა, მისმა სახის გამომეტყველებამ საბოლოოდ დაარწმუნა თავისი, იმ მცირეზე-მცირე იმედის არარეალობასა და აბსურდულობაში, ერთბაშად იმედ-გადაწურული და ზაფრადაცემული, მიჩუმათა, მიყრუვდა და ჩაი-

ფერფლა. უკვე აღარ ჰქონდა რაიმეს თქმის სურვილი, აღარც შეეძლო ეთქვა რამე და აღარც უცდია, რადგანაც საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ აღარ ჰქონდა უკვე რაიმე აზრი და რაიმე გამართლება ამას.

და იმ წუთებში, როცა კაცში ასეთი გარდაქმნა მოხდა, როცა ასე ერთბაშად, ასე საპირისპიროდ შეიცვალა იმის არსებაში ყოველი და ეს გარდაქმნა იმისი ქცევითა და სახის გამომეტყველებით ასეთი აღვილი და მარტივი გასაშიფრავ-დასადგენი გახდა, ქალს რომ შეეხედა მისთვის, შეიძლება, მიუხედევად ყველაფრისა, როგორღაც და რაღაცით მაინც თანავეგრძნო, ახლა მაინც დაეჯერებინა, რომ ამჯერად კაცი გულწრფელი, ალალი და პირუთენელი იყო მის წინაშე, ამჯერად არც ტყუილად და რასაც ამბობდა, გულში, გულწრფელად ამბობდა! ცხადია, ახლა უკვე ამას აღარ ჰქონდა დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა და ამით უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ წამბდარ საქმეზე, ესეც ერთგვარი შეება, ერთგვარი, ნაგვიანევი ნუგეში მაინც იქნებოდა კაცისთვის. მაგრამ ქალს აღარაფერი შეუშინებია დაუნახავს და აღუთქვამს. იგი თავადერილი და დაფიქრებული, ბინდ-ჩამდგარი მზერით გასცქეროდა სივრცეს და ოდნავ წამოფითებულ თუ ჩატეტილ სახეზე წუხილი, წყენა, იღუმალი და ამოუცნობი სევდა აღბეჭდოდა.

კარგა ხანს სდუმდნენ ორივენი და თითოეულს თავისი საფიქრალ-სადარდებელი, თავისი საწუხარ-თავშისაცემი გააჩნდა. თავთვისი, საკუთარი, პირადული და ერთმანეთისაგან დაშორებულ-დაცილებული.

— გამოდის, რაც მითხარი, სწორია და მართალი? — როდის როდის იკითხა კაცმა ჩავარდნილი ხმით.

შეება მარიამი, მსწრაფლად გამოერკვა ფიქრისაგან. ისე დანა-ბით, ისე იმედისგაცრუებით, ისეთი წუხილითა და ტკივილით თქვა ეს კაცმა, მისდაუნებურად, ინსტინქტურად. ყოველგვარი მოწადინების, სურვილის გარეშე შეხედა და ქალის ყოვლისაღმთქმელმა, წარმომსახველ-დამნახველმა თვალებმა მყის, მეყვსეულად შეამჩნიეს ის არსებითი შეცვლა და გარდაქმნა, რომელიც ამ მცირე დროის განმავლობაში ამ ზერელე, ქარაფშუტა და დაულაგებელი კაცის არსებაში მომხდარიყო. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ის სათქმელი — მკაცრი, გამჭირდავ-გამაქიქებელი, აგდებული და გესლიანი, რომელიც ენის წვერზე უტრიალებდა უკვე და ის-ის იყო ლავასავით ამოფრქვევას აპირებდა, არა თქვა, შეიკავა თავი. მხოლოდ ის იყო თანხმობის, დასტურის ნიშნად ნელა, უხალისოდ და უწყადინოდ დააქნია თავი.

კაცმა, დახშულად, ბოღმიანად ამოიოხრა, ტუჩები ფიქრინად მოაუშმა, სახე მძიმე ტვირთაკიდებულივით დაეძაბა, კრინტის დაუძვრე-

ლად ჩაქინდრა თავი და კარგახანს დასჩერებოდა მოხსნა ცივი განუკითხავი, არაფრის მტემელი მზერით. ისევ ჩამოწვა ის უზერბული, დაძაბულ-დამუხტული და მომლოდინე დუმილი. კარგახანის მერე კი ისევ მანვე დაარღვია სიჩუმე. თითქოსდა საკუთარ თავთან ბჭობსო, დაიწყო წყნარი, სევდიანი ხმით: — მე სულელს კი რამხელა იმედი მქონდა, მჯეროდა, დარწმუნებული ვიყავი, შეპირიგებდა და მერე ისევ ერთად ვიქნებოდით მე და შენ, სულ ერთად ვიქნებოდით... შევეცდებოდი, ისე მოგპყრობოდი, ჩემი შეცდომაში გამომესწორებინა, შენ რომ დაგვეკერებინა, ჩემზე აზრი რომ შეგეცვალა, ძალიან მსურდა, ძალიან მინდოდა ასე რომ ყოფილიყო. მაგრამ არაფერი გამოვიდა!

ქალმა მფრთხალი, ზანტი მზერით შეხედა და ვუთხრა თუ არაო, ამაზე ყოყმანის მერე, გაუბედავად თქვა: — არა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია ახლა! ძალიანაც რომ მინდოდეს, მაინც ვეღარ მოვახერხებ, მაინც ვეღარ შევძლებ მაგას! — გაჩუმდა, ალელი ქალმა ხმაურით გადაყლაბა ნერწყვი და განაგრძო წყნარი, დუნე, მოშვებული და ყველგვარ გესლსა და ბოლმას მოკლებული ხმით: — გვიანია ახლა ამაზე ლაპარაკი, ძალიან გვიანია! ან ჩვენი შეუღლება იყო შეცდომა, ან კიდევ დაშორება, და ეს, ხელმეორედ შეერთებაც არ იქნება არაფრით გამართლებული... ვიცი მე, მესმის კარგად, რომ ქალი, რომელიც მეორეჯერ თხოვდება, არ იქნება ბედნიერი და ყოველმხრივ კმაყოფილი ცხოვრებაში. ასეთი ბედნიერება ყოველთვის მოჩვენებითია, უღიმამო, ნაძალადევი, სინხალისეს მოკლებული, მაგრამ წამხდარ საქმეზე ესეც ხომ რაღაცაა, ესეც ხომ ნიშნავს რაღაცას და მეტიც აღარ მინდა რა, მეტსაც აღარ მოვიტოვებ, რადგანაც ვიცი, მეტის მოთხოვნის უფლება არა მაქვს. მარტოდ დარჩენილი ქალი ცოდოა და ყოველმხრივ დაუტყველი, უიმედო. მე დიდხანს მიფიქრია მაგაზე, მიყოყმანია დიდხანს და ვერაფრით ვეღარ გადამიწყვეტია... ბოლოს მაინც ასე გადავწყვიტე, რადგანაც მარტოდ ყოფნას, სინამდვილეში თუ არ ვიქნები ბედნიერი, მოჩვენებით-თად მაინც ვიყო, ესეც ნიშნავს რაღაცას ბოლოს და ბოლოს.

კაცმა თავი ასწია და მიაცქერდა. კარგახანს უცქეროდა თვალმომოუშორებლად, დაჟინებით, გამომცდელად, მერე უხმოდვე დაუქნია თავი თანხმობისა თუ დამოწმების ნიშნად და ჩურჩულივით წყნარად დაილაპარაკა: — ჰო, კი, ნამდვილად ასეა ეს... არც გამტყუებ, აღარც გაყვედრი და აღარც არაფერი. შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი ალბათ! — თქვა, ზანტად, უწყალოდ, ზოზინით წამოდგა და დასძინა: — წავედი აბა მე... უარს მეუბნები და გაწბილებულს მიშვებ, მაგრამ, შენ რომ იცოდე, მე მაინც მინდა ახლა მაინც იყო ბედნიერი... ახლა მაინც... შენ რომ ამბობ, ისე მოჩვენებითად კი არა, არამედ ნამდვილად! — ხელი გაუწოდა, შეაქცერდა და ნაძალადევად შესცინა: —

აბა კარგად, ხელი მაინც ჩამომართვი, უკანასკნელად მაინც ჩამომართვი ხელი და ამაზე მაინც ნულარ გამაწბილებ! იცი, მინდა კარგა ხანს გამყვეს შენი ხელის სითბო, მარიამ!

ისეთი თხოვნა, ისეთი სურვილი და წადილი ამოიკითხა მის თვალებში და ნათქვამში ქალმა, მისდაუნებურად გაუწოდა ხელი და წარად თქვა: — კარგად იყავი და ეცადე ყველაფერს შეეგუო საერთოდ!

და როცა კაცმა მისი ხელი ხელში მოიქცია და უსიტყვოდ შეაქცერდა, ველარ აიტანა მისი მზერა ქალმა, მსწრაფლად აარიდა თვალი და გვერდზე მიაბრუნა თავი, რადგანაც გარკვევით იგრძნო, თუ როგორ მოუწყლიანდა თვალები, როგორ მოაწვა-მოაგუზბდა კურცხალი. მას კი არ სურდა, ახლა, ამ წუთში მისი სისუსტე, მისი ცრემლი შეემჩნია ქმარყოფილს. — წადი ახლა, წადი, დროა უკვე! — ჩაილაპარაკა წყნარად, სასხვათაშორისოდ, რაღაც რომ ეთქვა მხოლოდ იმიტომ.

— ჰო, ჰო, ნამდვილად დროა უკვე და მივდივარ კიდეც. — ამავე ტონით თქვა კაცმაც, შებრუნდა, შეაქცია ზურგი და უწადინოდ და უნიათოდ გადადგა ბიჯი. მერე ოდნავ, სულ ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს და წავიდა ასე, — წელში მოხრილი, მხრებჩამოყრილი, ეშაფოტზე მიმავალის დამძიმებული ნაბიჯებით.

ქალმა მაჯით მოიწმინდა ცრემლი და ტუჩებმოკუმული, დაძაბული და კრიჭაშეკრული, ოდნავ სახეწამოფითრებული და შინაგანად ერთიანად აღერდილ-აფორიაქებული ფიქრიანი მზერით გააცქერდა მიმავალს. იდგა კრიჭაშეკრული, შეუვალი, გოროზი, ამაყი, მკაცრი, ცივი, დიდებული, და ხედავდა, თუ როგორ ნელ-ნელა, თანდათანობით, მაგრამ მაინც დაჟინებით შორდებოდა კაცი და თანდათან უახლოვდებოდა თავის მანქანას, რომელიც ვეებერთელა მაგნოლიის ძირას იდგა ტროტუარის მახლობლად.

როცა მანქანასთან მივიდა, შეჩერდა, ერთხელ კიდეც მიაბრუნა თავი და მოიხედა. მათი თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, რაღაც წამის განმავლობაში გაუსწორეს ერთმანეთს მზერა და მერე კაცმა პირველმა აარიდა თვალი, გამაღო მანქანის კარი, მიუჯდა საჭეს და მანქანა ადგილიდან დასძრა.

ქალი კი ისევ ისე იდგა — ისევ ისე გაუნმრევლად, მკაცრი, შეუვალი და დიდებული და მაგრად, ჯიუტად მოკუმულ ტუჩებზე ფიქრისა და განცდის ნაოჭი აჩნდა. წასვლა სურდა და ველარ წასულიყო უნდოდა, რაც კი შეიძლება სწრაფად გასცლოდა აქაურობას, მაგრამ რაც უფრო სურდა ეს, მით უფრო ველარ ახერხებდა ამას უხილავი თოკით დაბმულივით, რაღაც აკავებდა, უსაშველოდ აკავებდა რაღაც,

სახელდაურქმეველი და რაღაც ზებუნებრივი, თვალით დაუწინავე და მაინც არსებული, მაინც რეალური, მაინც გადაულახველი და მათზე თავის ნება-სურვილზე წამყვანი. მაგრამ იგი ამ უნებლიე შეყოვნების მიზეზზე აღარ ფიქრობდა ახლა. არამედ სულ სხვა რამეზე, სულ სხვა რაღაცაზე. გასცქეროდა მოცარიელებულ-მიჩუმებულ ქუჩას და აწუხებდა რაღაც, უსაშველოდ, ტკივილივით აწუხებდა, და ერთადერთი თამ, რაც უნდოდა, სურდა ახლა, ტირილი, იყო, მხოლოდ ტირილი და აღარაფერი იმისი მეტი. მხოლოდ ის ვერ გაეგო, ველარ მიმხედარ-ჩამწვდარიყო, თუ რისთვის, რატომ, რა მიზეზის გამო სურდა ეს, ვისთვის და რატომ მოეხადა ცრემლებით ხარჯი თუ ვალი.

— რა არის ეს? — გაიფიქრა მან, — რა მჭირს და ეს რა გემართება ასეთი უცნაური და უსაშველო მაინც? — რაა, ასე რომ მბოჭავს, მიპყრობს და მითავებს ხელს? რატომაა რომ ასე მწყდება გული? რატომ მეუფლება ეს ოხერი, ეს უადგილო. გაუმართლებელი სევდა? დაილოცა შენი სამართალი, ღმერთო! ნუთუ ამ წყევულ, ამ ოხერ და უხეირო, ყველაფრის დამტევ და ყველაფრის მიმტევებელ გულში კიდევ დარჩა რაღაც? და თუკი მართლაც დარჩა რაიმე, თუკი მართლაც ჯერ კიდევ არის, რატომაა, როგორაა და რისთვისაა დარჩენილი ვიცოდე მაინც? — ისევ მოუწინა ტირილი, რაღაც ძალიან, მთელი არსებით მოუწინა და იმდენად დიდი, მძაფრი იყო ეს სურვილი, დიდი ძალისხმევა და ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა იმისათვის, რათა აქ, ღლისით-მზისით, საქვეყნოდ, ყველას თვალწინ და დასანახავად არ აქვითინებულყოფილ უიმედოდ დარჩენილივით თუ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილივით. — ღმერთო მაღალო! შენ ყოვლის დამნახავამსჭვრეტე, ყოვლის მიმტევებელი და უცოდველი, ხომ ხედავ შენ ერთადერთი, ხომ უწყი მაინც, რომ მართალი ვარ ამ კაცის, საკუთარი თავისა და ყველას წინაშე? აბა რაღას მერჩი, რისთვის, რომელი ცოდვისათვის მსჯი ასე და რისთვის მიგყავს ასე უკუღმართულად ჩემი ცხოვრება? მაინც რატომ მაიძულებ ვიტანჯო, ვინანო, ვიწვალო, ვივაგლახო ასე? — ფიქრიდან გამორკვეულივით შეინძრა, აქეთ-იქით შიმოტარა მზერა, მერე ნელა დაიძრა ადგილიდან, განვლო სკვერი და დაადგა ქუჩას.

მიდიოდა და მძიმე ტვირთივით მიჰქონდა თან რაღაცნაირად ბლანტი, მდორე, მოზოზინე, მთრთოლვარე და მთვლემარე, გაურკვეველი და ამავე დროს ხაზგასმულად არსებული სევდა. სევდა იმ კაცზე, ქმარყოფილზე, რომელიც ამდენი ხანია აღარ ენახა, რომელიც შივიდა, ინახულა, გამოეთხოვა, ეს-ესაა გაწბილებული წავრდა და რომელსაც ამიერიდან ველარასოდეს იხილავდა ხელმოვრედ ალბათ.



მიუყვებოდა ქუჩას ფიქრიანი, შინაგანად აფორიაქებული, სიმ-
ყიდდაკარგული ქალი და ფიქრებში წასულს, სიზმრად ნახულივეთ
უნდოვნად ჩაესმოდა ავტომობილების ხმაური, მუხროვების პრია-
ლი, გამვლელ-გამომვლელთა საუბარი, სიცილი და წმამალაღი ლაპა-
რაჟი. ირგვლივ სიცოცხლე დუღდა, ფეთქავდა და ზიზზიმებდა. ამდენ
ხალხში მხოლოდ ისღა გრძნობდა თავს მიტოვებულივით მარტოდ-
მარტოდ, მიგდებულივით უმწეოდ, უიმედოდ და მიუსაფრად. რაღაც
უტანლად მძიმე, დიდზე-დიდი, ერთიანი, განუზომელი და ყოვლის-
შემეტყველი იყო ეს ჩუმი, ნაზი, ამატირებლად სათნო და სათუთი, წმინ-
თა სევდა საკუთარი მარტოსულობის განცდისა. სულ ერთიანად, ზო-
რციელად და სულიერად დაღლილ-გადაქანცულს, გასაგათებულსა და
მოდუნებულ-მოთენთილს, ერთი სურვილია აწუხებდა ახლა მხო-
ლოდღა — რაც შეიძლება ადრე დაეფარა ეს მანძილი აქედან სახ-
ლამდე, მისულიყო სახლში, თავის პატარა ოთახში. მიგდებულიყო
საწოლზე, დაეხუჭა თვალები და ვინ იცის უკვე მერამდენეჯერ, ჩვეუ-
ლებრივი ნდომით, სურვილით ატანილი, ქალწულებით უშურველად
და დაუნებლად დანებებოდა აგრერივად შემოჩვეულ-შეთვისებულ
სიმარტოვეს.

მიხვდა, ქმარყოფილის გამოჩენამ კიდევ უფრო მძაფრად, გარ-
კვევით, მთელი სიგრძე-სიგანით, მთელი სიმძაფრითა და მთელი კ-
ტეგორიულობით აგრძნობინა თავისი მარტოობა, უმწეობა და უპერს-
პექტიულობა.

— ნამდვილად აღარ, ნამდვილად აღარ შემიძლია მეტი, ღმერთო!
ასე გაძლება აღარ შემიძლია მეტი, ღმერთო! — გაიფიქრა, როცა სა-
კუთარი ბინის კარს მიაღდა ბოლოს და დაღლილი და გაწავათუ-
ბული — მეყო რაც ვიფიქრე, რაც ვიყოვნე, რაც ამდენხანს ვითრიე
ფეხი. როგორც კი ლევანი დაბრუნდება, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი,
უნდა გავთხოვდე! — ფიქრიანად, საცოდავად, სევდიანად, ნაძალადე-
ვი გაღიმებით გაიღიმა, ხელჩანთიდან გასაღები ამოიღო, საკეტს მოა-
რგო, კარი შეაღო, შევიდა და მიიხურა.

* * *

გაუხდელი მიგდებულიყო საწოლზე. ფიქრიანი, მოთენთილი მზე-
რით შესცქეროდა რომელიღაც წერტილს და ისვენებდა ერთიანად
დაღლილ-მოთენთილი, ძალაგამოლეული და ფიქრებშემოჩენილი. ფი-
ქრობდა დაესვენა, აღარაფერზე ეფიქრა, სრულიად არაფერზე, მაგ-
რამ ყველაფერი მაინც მისივე სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა,
ვეღარ შეიძლო მწარე, სევდიან-ნაღვლიანი ფიქრებისაგან თავის

დახსნა და ახლა მხოლოდღა სხეული თუ ისვენებდა ასე თუ ისე მხოლოდ. სული კი აფორიაქებული იყო, ველარაისში პოულობდა ხსენსა და შველას, წრიალებდა, წუხდა, განიცდიდა, სადღაც, გაურკვეველი მიმართულებით ილტვოდა და თავადაც უკვირდა ქალს, ვერაფრით ვერ გაეგო და მიმხედარიყო, თუ რა ეწია ასეთი, რამ ააფორიაქა, დაუზრღვია სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა ასე ერთბაშად, ასე მოულოდნელად. ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

თუმცა, ამის მიზეზი როგორ არ არსებობდა, მაგრამ მას არ სურდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მისი სულის ასეთი მკვეთრი გარდაქმნა, მხოლოდღა ქმარყოფილის გამოჩენით რომ იყო გამოწვეული. მაგრამ ბოლოს მიხვდა, რამდენიც არ უნდა ეცადნა და ეცდილა, მაინც ველარ გაექცეოდა ამ სიმაღლეს, რადგან ეს იყო ერთადერთი მიზეზიც, სიმაღლესა და ჭეშმარიტებაც. ამ შედარებით მცირე მონაკვეთში, ამ მცირე დროის განმავლობაში ნათლივ, გარკვევით, გაჭრილად და ცხადად დაინახა და აღიქვა, რაც წლების განმავლობაში, თავის მარტოდ დარჩენიდან დღემდე არ დაუნახავს, არ აღუქვამს, არ დარწმუნებულა. რაც მთავარია, მან დღეს საკუთარი მარტოსული ცხოვრების აბსურდულობა, უაზრობა და არაარაობა შენიშნა, დაინახა და აღიქვა. და ახლა რომ მისი მარტოობას მიჩვეული სული ასე წრიალებდა, ასე განიცდიდა, ასე ეძებდა საშველსა და შესახიდებს, როგორღაც იძულებულს ხდიდა ქალს, რათა გამოეჩინა სიმტკიცე, ნებისყოფა, დაედგინა-გამოეკვლია შემდგომში სავალი გზა, ბილიკი და როგორღაც, როგორმე გაქცეოდა სიმაღლეთვეს, ცხოვრება გარდაექმნა და გარდაქმნილიყო თავადაც.

— არა, ასე არ შეიძლება, წამდვილად არ შეიძლება ასე და ბოლოს და ბოლოს არც უნდა ვფიქრობდე და ვყოყმანებდე ამდენს! მაგრამ რა ვქნა, როგორ გადავწყვიტო, როცა დარწმუნებული არა ვარ, როცა ერთხელ უკვე შეშინებულს, დღესაც მეშინია და ასე მგონია, ეს შეცდომა ხელმეორედ განმეორდება? — გაიფიქრა მან.

მოულოდნელად ტელეფონი აწკრიალდა და მისი წკრიალი მკვეთრად, მჟღერად და შეუსაბამოდ გაისმა ოთახისეულ ბლანტ, ჩამოხუთულ-ჩამოგუბებულ სიმყუდროვეში.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მისდაუნებურად შეცბა, შეტოკდა და ისეღაც სიმშვიდედაკარგული კიდევ უფრო აფორიაქა-აწრიალდა. არ მოელოდა, რომ ვინმე დაურეკავდა და ამიტომაც ალბათ, ჯერ რამდენიმე წამს ყოყმანობდა, ველარ გადაეწყვიტა ეპასუხა თუ არა, ბოლოს მაინც ზანტად, უწადინოდ აიღო ყურმილი: — გისმენთ! რომელი ხარ? — იკითხა დაღლილ-მოთენთილი ხმით.

ყურმილიდან კაცის ნაძალადევი ჩახველებისა და მოხშირებული-
არქარბული სუნთქვის ხმა გაისმა.

— ალო, რომელი ხარ, შე უდღეურო? მეთამაშები თუ რაშია საქმე, რატომ არ იღებ მაგ ჩასაგდებ ხმას?

ამის პასუხად მამაკაცის გულიანი ხარხარი გაისმა: — მეტი არაფერი დაუმატო, მარიამ! მე ვარ, მე!

— ვინ შენ? ჰო, შენა? შენა?

— ჰო, კი, მე ვარ... რა გაგიკვირდა?

— არაფერი... — დაღლილად, რალაცნაირი სიმშვიდით ჩაილაპარაკა ქალმა. — არაფერი... შენგან რა უნდა გამიკვირდეს ან კი? — თვალები მილულა და საოცრად კეთილი, მშვიდი, სათნო, მორჩილი და თვინიერი, თვითმყოფილი და ამავე დროს ნაზად სევდიანი ღიმილი გამოესახა ტუჩებზე. — საიდან რეკავ ახლა? — იკითხა მცირეოდენი პაუზის მერე.

— ჩამოვედი და ახლა აქა ვარ რალა. შენს მახლობლად... იცი, როგორ მომენატრე, მარიამ? ვერც კი წარმოიდგენ ისე საშინლად მომენატრე. გავთავდი კაცი და ეგაა! ორი დღეა რაც ჩამოვედი და ვერასდიდებით ვერ დავიკავშირდი... სახლში მოსვლა კი ვერ გავბედე, მეუხერხულა, თანაც არ გავანაწყენებ-მეთქი და...

— რა გამანაწყენებდა? არა, მაინც რა გამანაწყენებდა, შე უტვინო და რამ გაფიქრებინა მაგი? — გაიფიქრა ქალმა, ნაზი, სევდიანი და სათნო ღიმილი ისევ აჩნდა ტუჩებზე. თავი ააღირა და ფიქრიანი მხერვა მიაპყრო ერთ წერტილს, ეტყობოდა რალაცის თქმა სურდა. მაგრამ ვერ გადაეწყვიტა თუ ვერ მოეხერხებინა. კაცის ხმის გაგონებამ თანაც გაახარა. თანაც გააოცა. ცხადია ელოდა, უტდიდა, იცოდა დაურეკავდა. მაგრამ ასე ადრე, მაინც და მაინც დღეს თუ მოხდებოდა, ეს ვეღარ წარმოედგინა. კაცის ხმის გაგონება იმდენად მოულოდნელი, იმდენად უჩვეულო ეჩვენა, ახლა იმაშიაც ვერ დაარწმუნა თავი, რომ ნამდვილად, სახელდობრ და სწორედ ის იყო, ის ურეკავდა და სხვა არავინ.

— ალო, შენ მისმენ, მარიამ? — წამიერი ფიქრისა თუ ყოყმანისაგან გამოიყვანა კაცის ხმამ. — რატომ არ იღებ ხმას, მარიამ?

— გისმენ ხო, აბა მეტს რა ჯანდაბას ვაკეთებ ახლა? — ჩაილაპარაკა დაღლილ-მოთენთილი ხმით.

— თუ მისმენ, რატომ დუმხარ და რატომ არაფერს მეუბნები, მარიამ? იქნება ჩემი ჩამოსვლა არ გაგიხარდა?

ქალმა უკმაყოფილოდ მოკუმა ტუჩები, ის სათნო, კეთილი და მშვიდი ღიმილი, რომელიც ამდენხანს შერჩენოდა სახეზე, გაუქრა და ოდნავ, ოდნავ მილულა თვალები: — გამიხარდა, აბა მეწყინა, შე

გლახისჭირო? თ. რა უცნაური ხარ ხანდახან ლევან! — გაიფიქრა და ჩაილაპარაკა დაღლილად და მოჩვენებითად გულისგარეთ, — გიჟი ხოზი, გისმენ და რაღა გქნა მეტი? აბა სხვანაირად კიდევ რითი გამოგზავნა შენი ხმის გაგონებით გამოწვეული აღტაცება და სიხარული? ისე, არ უნდა დაგერეკა...

— რაო?! არ უნდა დამერეკა? — შეაწყვეტინა კაცმა, — კი მაგრამ რატომ მარიამ?

— რატომ და აღარ იყო საჭირო, აღარ! — აკვიატებულივით, რაღაცნაირი დაჟინებით გაიმეორა ქალმა...

გაურკვეველობაში ჩავარდნილმა და აღელვებულმა კაცმა სუნთქვას მოუხშირა, პაუზა გააკეთა, ეტყობოდა სათქმელს, საჭირო სიტყვებს ეძებდა. ბოლოს კი თქვა: — ველარაფერს მივმხვდარვარ, ვერაფერი გამიგია, მარიამ, ღმერთმანი! ახლა ვისხენებ, შემთხვევით ხომ არაფერი დამიშავებია-მეთქი, მაგრამ ვერაფერი გავისხენე ისეთი და...

— რა უნდა დაგეშავებინა..

— აბა, რაშია საქმე?

ქალმა სატირლად გამზადებულივით აიწურა მხრები, სახე მოექცა და ერთბაშად მოეძალა ვინ იცის საიდან, რის გამო მოსტუმრებული სევდა, წუხილი და კაეშანი. ამოიოხრა, დახარა თავი და უაზროდ მაშინალურად დააჩერდა იატაკს. ძალიან, მთელი არსებით, მთელი განცდით უნდოდა ახლა ეთქვა რამე, უმთავრესი, აუცილებლად სათქმელ-გასამხელი სათქმელი. ის, რაც ამდენხანს აწუხებდა-აწამებდა. არ აძლევდა საშველსა და გასაქანს, რაც სიმშვიდესა და მოსვენებას აკარგვინებდა, რაიც მარად, დაუწყუხებელ ტკივილად ჰქონდა შეჩენილი. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც იკავებდა თავს ახლა, რადგანაც იცოდა, ის სათქმელი — დიდი ხნის მოფიქრებული და ამდენხანს შენახული, არ შეიძლებოდა ასე ნაჩქარევად. ასე მოუფიქრებლად, ტელეფონით ეთქვა. იგი არც იმაში იყო მტკიცედ დარწმუნებული, რომ კაცი, რომელიც მის ნათქვამს მოისმენდა, ისე მიიღებდა, აღიქვამდა მას, როგორც ქალს სურდა და, საერთოდ, როგორც საჭირო და მართებული იყო. ეს იყო თორემ რა ჰქონდა გასაჩუქმებელი, საჭოჭმანო და გადასაწყვეტ-გადასაჭრელი მაშინ, როცა ხმის გაგონება იმ კაცისა, მთელი არსებით გაუხარდა და უიმედობის ჟამს მხსნელად და მწედ მოვლენილივით მოუსალბუნა გულზე. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, თავისივე მიზეზით, საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, საკუთარ თავზე ძალდატანებისა და ზემოქმედების წყალობით, ცდილობდა როგორმე არ გამოემყდარებინა საკუთარი განცდა, მღელვარება, აღტაცება და სიხარული. ამასობაში კი შეწუხებული, გაოცე-

ბული კაცი, რომელსაც ვერაფრით ვერ გაეგო ამ ღუმლის მიზეზი, ამოდ ცდილობდა მის დადგენას: — რა დაგემართა, მარიამ? მინდა ჩამე? ახალია რამე თუ რაშია საქმე?

ქალი საწოლზე იჯდა, ხელში ყურმილი ეჭირა და რალაცნაირად გამოფიტულ-დაშრეტილს, ჭმუნვა, წუხილი, ფიქრი და სიმძიმე ალბეჭდოდა და დაშრეტილ-გამოცარიელებული მხერით უაზროდ, უმიზნოდ დასჩერებოდა იატაკს. ყველაფერი ასე ერთბაშად მოხდა, მწარედ, სიმწრითა და სიმძიმით მოსაგონარმა წარსულმაც შეახსენა თავი და როცა ჯერ ამ წარსულისაგან ველარ დაეხსნა თავი, მომავალიც გამოჩნდა აგერ. ესე იგი, რეალურად გამოჩნდა ახალი გზა, კარგახნის წინათ ნავარაუდები, მარტობისაგან თავის დასახსნელი. მაგრამ ეს იმდენად მოულოდნელი, უეცარი და მეყვსეული იყო მისთვის, დაიბნა, გონება დაებინდა და გადაწყვეტილების მიღების გზა დაუხშო თუ ჩაუხერგა... მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბოლოს მიხვდა, არ შეიძლებოდა ამდენი ღუმილი, ამდენი ყოყმან-ჭოჭმანი. კაცი პასუხს ელოდა: უცდიდა და მას, უნდოდა თუ არ უნდოდა, სურდა თუ არ სურდა, შეეძლო თუ არ შეეძლო, უნდა დაეკმაყოფილებინა ეს სურვილი. სხვა გზა, სხვა გამოსავალი არ არსებობდა, ან ძველი გზით უნდა ევლო და ყველაფრისათვის დაეხვა წერტილი, ანდა კიდევ — გაებედა და მტკიცედ დიდი, ერთიანი რწმენით, დიდი სურვილითა და ნებისყოფით, დადგომოდა ამ ახალ გზას, დანებებოდა კაცის სურვილს, გაეგონა მისი ძახილი, გამოხმაურებოდა. ახალგამოღვიძებულივით შეიშმუშნა, ხელი ფიქრიანად ჩამოისვა დაძაბულ სახეზე და გაიფიქრა: — ეეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი, ჯანდაბას, რაცაა ეგაა და მორჩა! — კიდევ წამიერი ყოყმანის მერე ხმამალა დასძინა: — მოსახდენი უკვე მოხდა, კარგახანია მოხდა უკვე და ახალი რა უნდა იყვეს? მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, აბა?

— ჰო, მარიამ, ესე იგი ახალი არაფერია და... — აშკარად შევებით, ხალვათად ამოისუნთქა კაცმა, — როგორ შემაშინე რომ იცოდე, როგორ... ჩვენ ხომ შევთანხმდით, ჩვენ ხომ... ჰოდა, ჩამოვედი აგერ და...

მოულოდნელად ქალი აღელდა, აწრიალდა და აღევზნო: — ვიცი, ჰო, ვიცი! — შეაწყვეტინა მკვახედ: — ჰოდა, თუკი გახსოვს, რომ შეგპირდი, შე ბენტერავ და შე უღმერთოვ, მაშინ რაღას მაღაპარაკებ ამდენს? — სათქმელი ველარ დაამთავრა, ხმა აუთრთოლ-აუკანკალდა და უჩვეულოდ სწრაფად მოუგუბდა თვალებში ცრემლი.

— როგორ მიხარია, მარიამ, როგორ! — ლამის იყვირა სიხარული-საგან კაცმა, — მე მეტი არც მაინტერესებს, ჩემთვის მთავარია, რომ შენ ჩემი ხარ, მე მეკუთვნი! ხომ გესმის ჩემი, მარიამ?

— ჰმ, მესმის, შე მართლაც ბენტერავ, მიუხედავად იმისა, მაგრამ სამწუხარო ისაა, შენ რომ ვერ ხვდები ბევრ რამეს, რომ ვერ იმისა რომ ვერ მიმხვდარხარ და კიდევ იმასაც, ცოტა მოითმინო, ხმა არ ამოიღო, ტირილი და გულს მოოხება მაქალი აგერ! — გაიფიქრა ქალმა, ტუჩები მოკუმა, ააღიზა თავი და ცრემლიანი და ფიქრით დამუხტული მზერა მიაპყრო სივრცეს.

— შენ ჩემი ხარ, მარიამ! ჩამოვედი, დაგბრუნდი და ვერაფერი დაგვაშორებს ერთმანეთს აწი! — განაგრძობდა კაცი, — იცი, რაც იქნება-იქნება, მოვალ შენთან, და...

— ნუ სულელობ ერთი! — შემფოთდა ქალი და ზანტად, უწყალოდ მოიხიოცა ცრემლი.

— გავგიჟდები რომ არ გნახო, მარიამ, აუცილებლად გავგიჟდები, იცოდე!

— გავგიჟდები კი არა... რა უბედური, დაწყევლილი და უკუღმართი ბედი მაქვს მაინც? ყველა გიჟი, დამთხვეული და ოხერ-მუდრეგი მე როგორ გადამეყრება და ჩემთან მოიყრის თავს?

— მე არ გეხუმრები, მარიამ! — ისე ვარ, ისეთ მდგომარეობაში ვარ, შენს გარდა ველარაფერი მიხსნის და მიშველის იცოდე!

— ჩემს გარდა! ფი, შტერი, შტერი! რა გეტაკა მაინც ასეთი უსაშველო? დაკიდე ახლა ყურმილი და დაწყნარდი ბოლოს და ბოლოს! არა, სა ჯანდაბიდან მირეკავ მაინც?

— ფოსტასთან ვარ აგერ, ფოსტასთან! რაო, ხომ მოხვალ, მარიამ?

— ჯანდაბას შენი თავი და ტანი! — ბედსდამორჩილებულ-შერიგებულივით ჩაიქნია ხელი ქალმა, — ძალიან ვარ დაღლილი და აღარაფრის თავი აღარ მაქვს, მაგრამ რას იზამ? გიჟის ნებასაც უნდა აყვე ხანდახან. იყავი მანდ და დამელოდე. ვნახოთ ერთი, რას გიშველის ჩემი დანახვა.

— ო, რა კარგია! — გაეხარდა კაცს, — მოუთმენლად გელი რომ იცოდე, მოუთმენლად!

— ფი, შენ კი გაჭირი და გადაშენდი ადრე თუ გვიან! — გაიფიქრა ქალმა, ჯერ შუბლი შეიკრა, მერე მისდაუნებურად გაეღიმა, ყურმილი დასდო, ადგა და წასასვლელად მოემზადა.

* * *

— მარიამ... რა კარგია რომ მოდი, მარიამ! — გახარებულმა, ზომაზე მეტად აღტაცებულ-აღფრთოვანებულმა კაცმა აღარ იცოდა რითი, რა გზითა და საშუალებით გამოეხატა თავისი განცდა.

იმისი შემხედვარე ქალი წამიერად დაიბნა და შეცბა: — ამ მარ-
თლაც დამთხვეულს მეტი თავდაჭერისა და დაფიქრების უნარი გააჩნია
გაჩნია და დროულად თავი თუ არ დაეჭირე და ლაგამი არ ამოვდე,
ომ აიშვებს, ძნელია მერე მაგისი დაკავება! — გაიფიქრა. — აღვი-
ლი შესაძლებელია, ამ გაგანია სიცხეში, ღლისით, მზისით, სუყველას
დასანახად, დამეტაკ-დამეძგეროს და გადამლოშნოს! — განგებისად
შეიკრა შუბლი, მკაცრი, ცივი, შეუვალი ვახდა და უკმაყოფილოდ,
უკმახად მიუგო: — მოვედი როგორც ხედავ და ნუკი გადაირევი შენე-
ბურად ახლა! ხალხი გვიყურებს და სირცხვილია!

კაცმა დაბნეულად, ფრთხილად, უაზროდ ჩაიციხა, სახეზე ჩამოის-
ვა ხელისგული და მოგონილი არხეინობით თქვა: — ხალხმა თავის სა-
ქმეს მიხედოს, მარიამ, ჩვენთან აბა რა ხელი აქვს ვინმეს? იცი, მა-
რიამ, უშენოდ სიცოცხლე აღარ შემოძლია და აზრი არა აქვს!

— ეს შენ არ გაქვს აზრი! — შეაწყვეტინა ქალმა მოგონილი სი-
ცივით.

კაცი თითქოსდა გონს მოეგო, რაღაც უხერხულად შეიშმუშნა, ჯი-
ბე მოიქექა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. იდგა მერე და ეწეოდა
მდუმარედ, გარეგნულად მშვიდი, აუღელვებელი გამომეტყველებით
და უსიტყვოდ მისჩერებოდა თვალებში ქალს, რომელიც თავის
მხრივ, მდუმარედ უყურებდა რალაცნაირი უკმაყოფილო, ოდნავ გამკი-
ლაგ-დამცინავი მზერით, მსუბუქი ირონიით. კაცს ჩვეულებრივად,
ხაზგასმული დაუდევრობითა და აგდებულობით ეცვა იმისი შემხედვა-
რე ადამიანი იფიქრებდა, ალბათ ძალიან მიეჩქარებოდა სადღაც და
ამ სიჩქარეში, რაც მოიხელთა, რასაც მიაკვლია, ის გადაიცვაო სახელ-
დახელოდ.

კაცმა ქალის უკმაყოფილო, ირონიულ-დამცინავი მზერა დაიჭირა
და უხერხულად შეიშმუშნა. აარიდა მზერა დამნაშავესავით და გაუ-
ბედავად, წყნარად იკითხა: — ასე რატომ მიცქერი, მარიამ?

პასუხად ქალმა დემონსტრაციულად აარიდა თვალი, გამჭირდავად
აიბზუა ტუჩი და ირონიულად თქვა: — ფი, შენაც მყავხარ რალა... ქე
ხარ სანახავ-დასაკვირვებელი და რატომ არ მოგაცქერდებოდი ვითომ?
ვერაფერს იტყვი, კი გავხარ ნამდვილად პაემანზე მოსულ მიჯნურს!
გემოვნების ნატამალი არ გაგაჩნია. კაცი იმდენს რომ ვერ მიხვდება,
სად რა ჩაიცვას და როგორ... ეს რა გახეხილ-გასაცოდავებელი, გაჭუჭ-
ყიანებულ-ბოლომოღებულნი ჯინსის შარვალნი და ეს ჭრელა-ჭრულა პე-
რანგი ჩაიცვამს? ანდა, ამ გაგანაში ეს რა სქელძირიანი ზამთრის
ფეხსაცმელები მოგიძებნია, შე უბედურო? ეგ მკერდიც რომ მოგი-
წიშვლებია კაპიკიან კახპასავით? ამდენი ხანია გემზე გდიხარ და

ჩვენში თუ ვერ მიაგენი რაიმე ხეირიანს, იქ, რომელიმე ქვეყანაში
ველარ იშოვე მაინც?

კაცს ონდავდაც არ შეეცვლია ნირი და არ დასტყობია წყენა, რადგანაც იმ ქალს, რომელმაც ეს სიტყვები მიახალა, ზედმიწევნით კარგად იცნობდა და მისი ძარღვიანი, ნარ-ეკლიანი ენის ამბავიც კარგად მოესხენებოდა. ამიტომაც იყო ასე დანდობილად, ალაღად და მხიარულად რომ გაიცინა, დაუდევრად ჩაიქნია ხელი და თქვა: — მე ჩაცმაზე სულ არ მიფიქრია, მარიამ, არამედ შენ როგორ მენახე, მამაზე ვფიქრობდი, ისე მომენატრე, ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი და... — პერანგის ღილი შეიბნია და ჭიქურ შეჰკლიმა თვალებში. მას თითქოსდა აღარავინ და აღარაფერი აინტერესებდა და ველარ ამჩნევდა ქალის გარდა ველარავის. მას არ შეეძლო აქ, ასე ნაჩქარევად ეთქვა ქალისთვის ის, რასაც ფიქრობდა ახლა, რაც აქამდე, გაცნობიდან დღემდე ვერ შეძლო ეთქვა ზედმიწევნით. ზუსტად ისე, რასაც ფიქრობდა, რაც გადაწყვიტა და ჩაიფიქრა იმ დროის განმავლობაში, რაც ერთმანეთი არ ენახათ. მას არ ჰქონდა ზოგიერთებივით ზუსტი, მორგებული თქმის, დარწმუნებ-დაჯერების უნარი და ამბობდა ისე, როგორც შეეძლო, პირდაპირ, დაუფიქრებლად, მეზღვაურული პირდაპირობით, უხეშად, გაჭრილად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე. მას ცხადია, არ შეეძლო, გაერკვ-გაეშიფრა ქალის გულისნადები და ისიც არ იცოდა დანამდვილებით, თუ რა წარმოდგენისა იყო მასზე მარიამი, სჯეროდა თუ არა მისი. ასე იყო ახლაც — შესცქეროდა ქალს და ძალიან სურდა გაეგო, ნამდვილად გაუხარდა თუ არა მისი დანახვა მარიამს. მას რატომღაც სწამდა და სჯეროდა, რომ მასთან ურთიერთობაში მარიამი ყოველთვის ცდილობდა რატომღაც, რაღაც, არსებული თუ ქვეცნობიერი მიზეზების გამო, დაემაღლა თავისი ნამდვილი გრძნობები, სათქმელი თუ მოსაყოლი, ფიქრობდა ერთს, ამბობდა კი მეორეს. — სინამდვილისაგან განსხვავებულს, საპირისპიროს. იგი თავის სათქმელს ყოველთვის უხეშად, მკვეთრი ტონით, ლამის აგდებულად ამბობდა, რაიც, კაცის ვაგებით, ნამდვილად არ შეესაბამ-მიესადაგებოდა ქალის ხასიათს. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ამოდენა კაცი ისე ხელალებითა და გამეტებით დაუტუქსავს, როგორც პატარა ბიჭს დატუქსავენ ხოლმე, მაგრამ იგი რაღაც ქვეცნობიერი ალლოდი გრძნობდა, რომ ქალის ამ ხელოვნურად შექმნილ-გამოგონილ სიუხეშესა და სიმკაცრეში იყო რაღაც, თვისებრივად უშუალო, პირდაპირი, გულწრფელი, ამატირებლად ახლობელი, განუმეორებლად თბილი, მშობლიური და ადამიანური ზრუნვით გამთბარი, ამის გამო, ხანდახან ისე აიტანდა რაღაც დაუოკებელი სურვილი, ლამის იყო დაეკარგა საკუთარ თავზე კონტროლი, მოხვეოდა ქალს, ჩაეკრა გულში, დაეკოცნა

მისი სახე, შუბლი, ტუჩები, თვალები, ყელი და ასე, მესტეველი
პირდაპირობით და ინტიმურობით გამოეხატა თავისი ნამდვილი
გრძნობები ამ ქალის მიმართ. მაგრამ, რაც არ უნდა მძაფრი, მკვეთრი
და ყოვლისდამტვერი არ უნდა ყოფილიყო ეს სურვილი, იმის შიშით,
ვაითუ ჩემი საქციელი ვერ გაიგოს, სხვანაირად მიიღოს და გამინაწ-
ყენდესო. რაღაც ძალების საშუალებით, კაცი ყოველთვის იკავებდა
თავს ამ სურვილისა თუ ცდუნებისაგან. რადგანაც, რატომღაც დარწ-
მუნებული იყო, რომ ასეთი ქცევა კარგს არაფერს მოუტანდა და ამით
შეიძლება, ერთბაშად, ერთიანად დაენგრ-დაეფუშა და მოესპო ის ყო-
ველივე, რაიც ამ ხნის მანძილზე, დიდი ძალისხმევით შეძლო. ქალი კი
ისე უყვარდა (და რომ უყვარდა, ამაში იგი საგულდაგულოდ, მყარად
იყო დარწმუნებული,) ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა გაეძლო,
ეცოცხლა და გაეტან-გაეთრია ეს წუთისოფელი უმარიამოდ და მა-
რიამის გარეშე! ყველა ქალი საერთოდ მხოლოდ და მხოლოდ ერთად-
ერთ მარიამშიღა იყო განივთებული-გათანაბრებული და მარიამის გარ-
და, სხვა ქალიც აღარც არსებობდა მისთვის. და ახლა, ამდენი ხნის
უნებლიე დაშორების, ხელმეორედ შეხვედრის, ქალის ხილვის შემ-
დეგ, უზომოდ გახარებულ-აღტაცებულს, თუკი რაიმე აწუხ-ადარდებ-
თა საერთოდ, ის იყო მხოლოდ, რატომღაც მარიამი ისე რომ არ აღი-
ქვამდა. ისე არ განიცდიდა და ისე ვერ გამოხატავდა ყოველივეს, რო-
გორც, მისი, კაცის გაგებით, საჭირო იყო და აუცილებელი. მანველარ
შეძლო ამოეკითხა ქალის თვალებში ის, რისი ამოკითხვა-გაგებაც მას
სურდა — დაგუბულ-მოწოლილი სიხარული, აღტაცება, თავდავიწყე-
ბა და ყველაფრის გამაბათილებელი ლტოლუბა. მოკლედ, ყოველივე
ის, რაიც ამდენი ლოდინით მოთენთილ, გადაღლილი ქალის თვალე-
ბში შეიძლება ამოეკითხოს კაცმა. მისი გაგებით, მარიამს ოდნავადაც
კი არ გამოუხატავს თავისი ნამდვილი გაცნა და ჩვეულებრივ ისე
შეხვდა. თითქოსდა, სულ რაღაც ორიოდ დღის წინათ დაშორებო-
დნენ ერთმანეთს. პირიქითაც კი იყო. — შეხვდა გულგრილად, ცივად,
ნაძალადევად. ამიტომაც იყო რომ, მიუხედავად დიდი სიხარულისა,
კაცი მაინც შინაგანად ლელავდა და განიცდიდა ამის გამო.

— ღმერთო ჩემო! მაინც რა ქალია. რა ქალი, რა დიდებული,
არაჩვეულებრივი თავისი გარეგნობითა და თავისი უცნაურობით, —
ფექრობდა კაცი, — როგორ ძნელია მაინც გაუგო, მიუხვდე, ჩაწედე და
აღიქვა.

მოულოდნელად ჩამოვარდნილი უხერხული და მომლოდინე
დუმილი ისევ ქალმა დაარღვია: მქრქალი და მოთნე ღიმლით გაუ-
ღიმა და შემრიგებლურად უთხრა: — შენ რა, ხომ არ გეწყინა რამე?

ხომ მიცნობ და იცი, რომ ასეთი ხასიათი მაქვს და ჩემი გარდაცმნა და გამოსწორება არ შეიძლება?

საკმარისი დარჩა ეს ეთქვა და კაცს მაშინვე მოეშვ-მოეფონა გულზე, თითქოსდა დიდი, მძიმე ტვირთი ჩამოეხსნა ზურგიდან. მსწრაფლად დალაგ-დამშვიდდა და კალაპოტში ჩადგა ყოველი. გაქრა ყოველგვარი იჭვი. ორჭოფულობა და ყოყმანი. ხელმეორედ გამხიარულებულმა სიგარეტის ნამწვი გადააგდო, ბედნიერი, უდარდელი სიცილით გაიცილა და თქვა: — რას ამბობ, მარიამ? აბა როდის იყო რომ შენი ნათქვამი მწყინდა?

— აბა, რა დაგემართა? — ჩაემ-ჩაეკითხა აშკარად დაინტერესებული ქალი, — რაღაც რომ გწყინს, მიგიხვდი და ნულარ აყოვნებ. მითხარი ბარემ, მამ რაღა ჯანდაბა გეწყინა?

— რა და... — შეყოყმანდა კაცი, თავი შეიფხანა და მზერა აარიდა; — ასე ცივად რომ შემხვდი...

— ცივად? — მწარედ გაეცინა ქალს, ერთხანს შესცქეროდა ირონიული გამკილაგ-გამჭირდავი მზერით, მერე, მოულოდნელად მოხსიზა სიცილი და შუბლის შეკვრით დააბოლავა სათქმელი: — ბოთე და სულელი ხარ-მეთქი, რომ გეუბნები. გწყინს, მაგრამ სხვანაირად რა გიწოდო, როცა ნამდვილად ხარ ასეთი და ასეთი რომ გაგაჩინა იმ დალოცვილმა ღმერთმა? აბა შენის აზრით, სხვანაირად უნდა შეგხვედროდი, სხვანაირად უნდა გამომეხატა შენი დანახვა? როგორ გსურდა და გინდოდა მაინც? ჩამოგკიდებოდი საქვეყნოდ, ამ ქუჩაში კისერზე კახაბასავით და დამელოშნე ყველას დასანახავად? ასე რომ მოვქცეულიყავი, ცხადია, შენ უფრო გაგიხარდებოდა! ო, შე ჩერჩეტო და მართლაც ყეყეჩო; შენ რას ხვდები და იცი, რა გამიხარდა თუ მეწყინა? საქმე ის კი არაა, როგორ შეგხვდები და გამოვხატავ ამას, არამედ, სულ სხვა რაღაცებში, რომელსაც, უკაცრავლი პასუხია, შენისთანა ქერქება ვერ მიხვდება და აღიქვამს ვერასოდეს... თუკი მართლაც ჩიმი უნახაობა და მონატრება გკლავს და გიღებს ბოლოს, თუკი ჩემთან საუბარი გსურს, რაღას დამაყენე აქ, შუა ქუჩაში, ელექტრონის ბოძივით? რაღას ელოდები, წავიდეთ და ჩამოვყდეთ სადმე. ბოლოს და ბოლოს მე გასწავლო, მიგანიშნო, გაგახსენო და აგიხსნა ყველაფერი და შენით ვერ უნდა მიხვდე და გაიარო ამდენი?

— უპ, მაპატიე, მარიამ! — შეწუხდა და დაფაცურ-აწრიალდა კაცი. — ახლავე, ახლავე, სად წავიდეთ მაინც?

— ფი, შენ კი გამიჭრი აღბე თუ გვიან! — გაკილა ქალმა. — ესეც მე გასწავლო? შენც ხარ რაღა და ჩემი დაწყევლილი და უბედური

ხედის წყალობით შენ რომ გადაგეკიდე, სწორედ მაგაზე მწყდება და მიკვდება გული.

— არ ვარ მე ცუდი კაცი, მარიამ! — უხერხულად, პირუთნელად ჩაიციხა კაცმა და პირველმა გადადგა ნაბიჯი.

მოდით ნენ გვერდი-გვერდ, ნელი, აუჩქარებელი, დინჯი და მოსკრინის ნაბიჯებით. ქუჩა ისე განვლეს, არც ერთს არ დაუძრავს კრინტი. პარკში შევიდნენ და ვეებერთელა მაგნოლიის ძირას ჩამოჯდნენ ჯელსკამზე. აქაც კარგახანს გაგრძლდა ღუმელი. კაცს საუბრის წამოწყება სურდა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ყოყმანობდა, აღარ იცოდა რა ეთქვა, რითი დაეწყო, მოყოყმანე, დაბნეული კაცის იერით მოუკიდა სიგარეტს და გააბოლა.

ბოლოს და ბოლოს ღუმელი მაინც ქალმა დაარღვია, შეაცქერდა კაცს და უკმაყოფილოდ შეიკრა შუბლი: — შენ კი გაჭრი, როგორ ახრჩობინებ თავს მაგ თამბაქოს და ხარ ერთ ამბავში!

— ვნერვიულობ. მარიამ, ვნერვიულობ! — ცალკებად გაიციხა კაცმა.

— ფი, დაგაყარე მიწა! რა გაქვს სანერვიულო! სანერვიულო და თავში საცემი მე მაქვს შენს შემხედვარეს, თორემ შენ რა?

— ესეც მართალია რაღა და ამიტომაც მიყვარხარ, ასე გაჭრილად რომ იცი პირში მიხლა ყველაფრის! — თქვა კაცმა, ქალის ხელი აიღო. ჯერ თითებით მიესიყვარულა, მერე ფრთხილად გაუბედავად მოიტანა ტუჩებთან, ეამბორა და შიშით შეხედა თანაც ქალს — აქაოდა, ერთი ვაი-უშველებელი არ დამაწიოსო. მაგრამ სულ ამოდ, რადგანაც ქალს არაფრით არ გამოუხატავს უკმაყოფილება. მხოლოდღა ეს იყო, ღუმელის მერე იკითხა ნელი, მოთენთილ-დაღლილი ხმით: — შენ რა, ჩემი დავიწყება ველარ მოახერხე?

— რაო? დავიწყება?! — უზომოდ გაიკვირვა-გაიოცა კაცმა. — რატომ უნდა დავივიწყო ვითომ? — ეს რა მითხარი, მარიამ? — აღელვებული, საქციელწამხდარი მაშინალურად წამოდგა და დაჯდა, მერე სიგარეტის ნამწვი შორს მოიხროლა და უსიტყვოდ, მომლოდინე მზერით მიაჩერდა ქალს პასუხის მოლოდინში.

— ყოველი მამაკაცი ერთმანეთს ჩამოგავს როგორღაც და რაღაცით რაღაც აქვთ საერთო. დამახასიათებელი და ნიშანდობლივი: — გაიფიქრა ქალმა, მაგრამ ფიქრიანად და ჯიუტად მოკლმა ტუჩები და თქვა: — ჰო, მართლაც, რატომ უნდა დავივიწყებოდი? მაგრამ შენ რა იცი? შენ ბევრ რამეს ვერ ხვდები და გიკვირს. ცხადია ახლა... ახლა ასე რომ ვყოყმან-ვჭოჭმანებ, სწორი და გადამწყვეტი პასუხი რომ ვერ მომიცია შენთვის, ჩემი ნამდვილი სურვილი რომ ველარ გამომიხატავს და ველარც „პოს“ გეუბნები და ველარც „არას“, გიკვირს, ვიცი!

მე კი, საკუთარი თავისა არა მჯერა, საკუთარი თავისა არა მწამს და
 როგორ გავიგო და როგორ ვიწამო შენი? როცა ერთხელ წაიღე
 რხილებს, როცა დასაწყისშივე წაიკრავ ფეხს, როცა პირველი
 ლეხს, სულელი უნდა იყო ნამდვილად, რომ არაფერზე იფიქრო, არა-
 ფერზე იყოყმანო, იდარდო და ერთბაშად, დაუფიქრებლად გადაწყვი-
 ტო ყველაფერი. ასეა ეს და ნულარ გიკვირს, ნულარ გაოცებს ჩემი სა-
 ეციელი, გეთაყვა, ასე! — აარიდა მზერა კაცს, თავი ჩაჰკიდა, დაატყე-
 რდა მიწას თუ საკუთარ ფეხებს და გაიფიქრა: — ამას ვეუბნები და
 მეც კი გვარიანი სულელი და შტერი ვარ. სულს ცოდვილს, მეც ხომ
 მწაღია, მეც ხომ მიმდის მაგაზე გული, მეც ხომ მომწონს? ვიცი, მა-
 გასაც ვუყვარვარ, თვალთმაქცი არ არის, ვიცი, და მაინც ასე უღე-
 რთოდ ვაწვალ-ვაწამებ ამდენი ხანია. ისე ვიქცევი, დაიბნა ეს საცო-
 დაუ-უბედურ ღლეზე გაჩენილი, აზრი ვერ გამოუტანია ამ ჩემი ღალ-
 ვარჯილი საქციელიდან, რა მინდა, რას ვაპირებ, რა გზასა და ბილიკს
 ვადგინებ, ის ვერ დაუდგენია! ასეა თუ ისე, მაინც ველარ მომშორე-
 ბია, ვერ დაუთმევარ! ჰმ, ხომ არ შეიძლება ყველაფერი დაწვრილე-
 ბით, მთელი სიზუსტით, სულ კაკალ-კაკალ ჩაუვკაკლო და ავუხსნა?
 არადა, ჩემი საქციელი ჩვეულებრივი ქალურ კაპრიზ-ხელშეუხებლად მია-
 წინა ალბათ. არა, მაინც როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე? ამასაც
 ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული და ხომ უნდა დაესვას წერტილი
 ოდესმე? ველარაფერი გამიგია საკუთარი თავისა და ეგაა. არა, მაინც
 რისი მოთმედე ვარ ასე რომ ვიქცევი? კარგი და ხომ შეიძლება მობე-
 ჯდეს ეს ყველაფერი, ჩაიქნიოს ხელი ერთხელ და სამუდამოდ და
 წავიდეს? მაგას რა უჭირს, მე კი... მე ვიკითხო მაშინ! მე ხომ ველარ
 ვიბოვი სხვას, ასეთს, ხელმეორედ ველარ შევეჩვიე-შევეგუები,
 ველარ ვითვისებ, ვენდობი და მივენდობი... ჰოდა, რაღა და-
 რჩება ბოლოს? აღარაფერი, ცხადია. სიმარტოვის უიმე-
 დობისა და მწუხარების მეტი! და რაკი ასე იქნება ეს. შე მართლაც
 შტერო და შეუგნებლო დედაკაცო, შე ბატისტვინავ, რაღას აყოვნებ,
 რაღას ყოყმანებ, და ითრევ ფეხს? ვისაც სურხარ, ვისაც უნდისხარ,
 ვისთანაც ასე ხარ შეჩვეულ-შეგუებული. იმას მიენდე, ენდე იმას და
 შორჩი ბოლოს და ბოლოს. აბა, მტკიცედ, გაბედულად, ყოველგვარი
 ყოყმანის გარეშე! საბოლოოდ კი რა იქნება და როგორ იქნება, ეს ერ-
 თმა ღმერთმა უწყის მხოლოდ. ჰოდა, მიდი შე ოხერო და ნამდვილად
 თავის უამურო, მიდი! — მღელვარედ გადაყლაბა ნერწყვი, ენის წვე-
 რი გაისვა გამომშრალ ტუჩებზე და ფიქრიან-დაკვირვებული მზერით,
 მფრთხლად შეხედა კაცს, რომელიც იჯდა გახევებულივით, თავაღე-
 რილი იტყირებოდა საღდატ შორს. მოჭუტული მზერით, რაღაცაზე

ლაფიქრებული და დანდობილად ახრჩოლებდა სიგარეტს. ბოლოს კაცმა ინსტინქტურად ქვეცნობიერად იგრძნო ქალის მხერა, შეხედა მანაც, მათი თვალები ისევ შეხვდნენ, მიეხიზნენ ერთმანეთს და კაცმა ხელმოკრედ და მოწიწებით მიიტანა მისი ხელი ტუჩებთან, ეამბორა და ალაღად თქვა: — რაც არ უნდა იყო, რაც არ უნდა მოხდეს, ვერ შევძლებ მე შენს დავიწყებას მარიამ, მომკალი და ვერ შევძლებ!

— ვიცი, რომ ვერ შეძლებ, ვიცი! — წყნარზე-წყნარად, ლამის ჩურჩულით ჩაილაპარაკა ქალმა. აარიდა მხერა, დახარა თავი და გაიფიქრა: — უი, შე სულელო და ბოთევ შენა! ასეთი მიუხვედრელი როგორ ხარ მაინც? ასეთი გაუგებარი და გულუბრყვილო? განა ვერ ხედავ, ვერ ამჩნევს მაგ სამიწე თვალები, რომ ვყოყმანებ, ვერ გადამიწყვეტ-გადამიჭრია და რომ მიჭირს ასე? შენ არც კი მეხმარები, არც კი ცდილობ შემომეშველო, მისაშველო, და გზა გამიკვალო, რომ გითხრა, რომ შევიძლო, აგისხნა და გაგაგებინო! ქალი ვარ და მეპატიება, მაგრამ შენ, მამაკაცს, ამოდენა ოყრას, რა გაკავებს, და გამორცხვებს ამდენს? დავილია პირი ნაპირზე გამოგდებულ ღლავივით და ჩაგიგდ-ჩაგმეწყრია ლენჩივით ენა! ფუი, როგორ ამერია შენის შემხედვარე რომ იცოდე, გული! აბა, უფრო გაბედულად, სულელო, ვაჟკაცურად, უფრო მტკიცედ მომეძაღე, დამარწმუნე და მაიძულე, მაიძულე ოხერო! — რაღაცნაირად დაუოკებელ-დამორგუნველი ჰმუნვა, სევდა და სიმძიმილი შემოაწვა, გული აუჩვილდა და აშკარად იგრძნო, თუ როგორ მიაგუბდა თვალებზე ცრემლი, როგორ მოექცა სატირლად სახე. მისმა გონებამ მსწრაფლ წარმოიდგინა თუ რა მოხდებოდა მაშინ, კაცს რომ ყველანაირზე ჩაექნია ხელი, ამდგარიყო და წასულიყო, ამის გაფიქრება იყო და შიშმა შეიპყრო — ყოვლისმომცველმა, დიდზე დიდმა, უზომომ და განუსაზღვრელმა. შეიძლება სწორედ ამ შიშის გამო იყო და მისდაუნებურად, რაღაც დაუოკებელი, შინაგანი კარნახით გამოწვეული, მიიწია, მიეკრა და მიეტმასნა კაცს, მხარზე დანდობილად, მორჩილად და თვინიერად მიაყრდნო თავი და ათრთოლურული ხმით, ლამის ჩურჩულით თქვა — ო, შენ მიუხვედრელო, ბოთევ და სულელო, ნუთუ მართლაც ველარაფერს ხედება მაგ შენი ცარიელი თავი? ველარაფერს გრძნობ? ასე რა ცოდვის კითხვამ გამოგაბენტერ-გამოგაღენჩა მაინც? — თვალთა უბეღან დაძრული ცრემლი ნელი ზიგზავით, ზანტად ჩამოელვენტა ლოყაზე და არც კი უცდია მოხოცვა.

ჰოდა მაშინ, როცა კაცმა ხელისგულით, ნაზი გაუბედაობით, მოწიწებითა და მორიდებით მოსწმინდა ცრემლი, მიყვარხარო უთხრა და მის დამშვიდებას შეუდგა, ნაზად, კლდემით, სევდიანად გაუღიმა,

ნელა დაუქნია თანხმობის ნიშნად თავი და ძლიერგასაგონად დაიჩურ-
ჩულა ერთიდაიმავე დროს ატირებულ-გალიმებულმა: — შენ სულელი
და ბოთვე შენა, მეც!

მზე ჩადიოდა და ჩამავალი მზის დაღლილი, ფერნაცვალ სხივე-
ბი უკანასკნელად ეთხოვებოდნენ არე-მიდამოს, ნელ-ნელა, ფეხისწვე-
რებზე, მპარავივით შემოდის და შელამება და ი გვლივ რალაცნაირად
დამატრობელ-დამამშვიდებელი, გამაბრუებელი ძყუდროება იდგა, —
მოთენთილი, კმაყოფილი, ბევრის დამტევ-დამპირებელი და დამამე-
დებელი სიჩუმე.



ნოსტალგია

...მავთულები... ბოძები,
შემოდგომის ავდარი,
ზეცა — ჩამოქუფრული,
არა ცხრება ეგ ქარი!

ფრთხილებენ მერცხლები
მავთულების მწკრივებზე,
წერილს წერენ სევდისგან
ვიოლინოს სიმეზზე!

ნოტებს — რეკვიემისას,
განშორების სინანულს,
ვინ ჩაწვდება ნეტავი
ამ პატარა მერცხლის გულს?!

მავთულების მწკრივებში,
ქარო, რატომ ესკვნები?!
როგორ ბზინავს, ხომ ხედავ,
ეგ შავთეთრი ფრესკები?!

ნოტებს წერენ სევდისგან
ვიოლინოს სიმეზზე!..
ფრთხილებენ მერცხლები
მავთულების მწკრივებზე!..

წალკოტს თუ დაეძებენ, —
მაშ, რად არ იჩქარიან?!
ო, ეგ სუსტი მერცხლები
რა ერთგულნი არიან!..

გულმავიწყი მსახიობები

ხოტბას შევასხამთ ამ დიდ სამყაროს,
მზეს — ცხოველმყოფელს, ერთობას, ძმობას,
ლამაზი ქალის თვალებს ვუმღერებთ,
დავწყევლით ბოროტს, შურსა და მტრობას!
დავწყევლით, მაგრამ რამდენი გვისმენს,
თვითონ რომ არის სულით იუდა!
გვიღიმის კიდეც, თაფლად იღვრება.
მერმე ხელს მოგვხვევს, ჩაგვკოცნოს უნდა!
კაცმა, რომელმაც სულ გაგვითელა,
რაც გვაბადია მართალს და ალალს, —
რა დაგვაფიწყებს, მაგრამ წესია,
მტერსაც აძლეგდეს ვაჟკაცი სალამს!
საკუთარ თავს რომ გავეჭვით სადღაც,
აი, რად ვლოცავთ ერთმანეთს ღვინით,
მავლას სცენად ვაქცევთ თეატრის
და გვაფიწყდება როლები დილით!..

როცა მშვიდი ხარ, ლივლივი შენი
სულისთქმას იპყრობს ციმციმით ფერთა.
ზღაპრულ ნატს ჰგავხარ და ცისფერ სიზმარს,
შენ მეჩვენები სიკეთის ღმერთად.

და რატომ ღელავ ზოგჯერ ესოდენ,
გააფთრებული აწყდები ნაპირს,
ტალღების რისხვით არავის ინდობ,
როგორც ბოროტი ზმანება ზღაპრის.

ესოდენ ძლიერს და უსასრულოს
აბა, რა ჩრდილი აგეფარება,
რალას შეგმატებს ზვიადს ნეტავი,
ორსახოვნების ნიღბის ტარება.

ამ თვალთმაქცობას რამდენი ენდო,
ო, რამდენი ხარ ცოდვის ჩამდენი!
და მაგ თილისმით გაოგნებული
კვლავ მოგენდობა კიდევ რამდენი...

მონოგის მცენარე

ო, როგორ მინდა მართალი გითხრა,
როცა თავს გიჟნავ და ფხვნი გერთხნები,
ერთ გაგიბედო თქმა სიმართლისა —
ღვარძლით აგავსებს ეგ ჩემი ხმები.

რას მთხოვ, რად მტუქსავ, მე ვინლა მკითხავს,
რად არ იღლები ჩემი წვალებით:
მე ხომ არ ძალმიძს შენებრ ვიმღერო,
სამყაროს ვჰვრეტლე შენივ თვალებით.

სულ სხვანაირად ვხედავ ველ-მინდვრებს,
მთებსა თუ კლდეებს და ზეცის ტატნობს.
შენ კი არ მოგწონს მათი ფერები —
შავს თეთრს უწოდებ და უკუნს — მნათობს.

არ დაგეთანხმო, სად შემწევს ძალა,
ისე უმწეოს, ვით ცრემლის ნამი.

იქით ვიხრები, სითაც უბერავს,
ვკრთი და ვცახცახებ მუღამ ლერწამი.

როგორ მრცხვენია მე ჩემი მოდგმის,
სხვის პანგებზე რომ ვცეკვავ და ვცეკვავ,
მიგრამ ამ წიფლებს რა დაემართა,
რა მოუვიდა ამ კლდეებს, ნეტავ?!

ეს გუნების კანონი

ტირილს არა წყვეტს წვეთები წვიმის,
სარკმელს აწყდება, თან კენესის ქარი..
როდისღა უნდა გამოიღაროს
და დაიქარგოს ისევ ცისკარი.

განა ამ ქოხში წვიმა და ქარი.
სული ბოროტი იშოვის რამეს.
ან რას წაართმევს, რაც სხვამ წაიღო
და ღამე განა გაძარცვავს ღამეს?!

მბეუტავ სანთელს კი, პატარა ალს კი,
კეთილ სინათლეს, იმედს თუ რწმენას,
ვერას დააკლებს წვიმა და ქარი,
რადგან ასე სურს ოდითგან ზენას.



ჩვენ ცხოვრება გვინდა ანუ დაკარგული ცხოვრების ძროსიკა

ნაწყვეტი რომანიდან

სკოლის დირექტორმა შუა გაკვეთილიდან გამიხმო. გავედი თუ არა დერეფანში, მხარზე ხელი გადამდო, დამიყვავა, შენ კარგი ბიჭი ხარ, შენთან ერთ კეთილ ბიძიას სათქმელი აქვს და მოუსმინეო. ტანში დამერყოლა, ვინ ბიძია უნდა ყოფილიყო. კაციშვილთან კრინტი არ დამიძრავს, თავს შთავაგონებდი, ძილშიაც რომ ეკითხათ, მეტყვა, ჩემს ცხოვრებაში ღვინო პირველად დავლიე, არაფერი არ მახსოვს-მეთქი. ყოველდღე ველოდი, ვიღაც დამიძახებდა და მკითხავდა, იმ საღამოს თქვენ და გოგიმ რა ილაპარაკეთო. თითქმის ექვსი თვე გავიდა და მას შემდეგ და ახლა ვიღას გაახსენდა?! მივყვებოდი დირექტორს და გული ამოვარდნაზე მქონდა. გოგი პირში თუ წამიდგა, კი, ნამდვილად ასე ვილაპარაკეთო, რა ვთქვა?... მე მაინც ჩემსას ვიტყვი, მთვრალი ვიყავი და არაფერი არ მახსოვს მეთქი. შევედით გვერდით საკლასო ოთახში და მაგიდასთან ჭადრაშერეული ლამაზი მამაკაცი იჯდა. ჩვენს მოლოდინში საქაღალდე გაეშალა და რაღაცას კითხულობდა. ჩვენ რომ დავვინახა, საქაღალდე დახურა და გასწორდა. ძალიან კეთილი, მოლიმარი თვალები ჰქონდა, მესიამოვნა კიდეც, ასეთი ლამაზი, კარგი ბიძია მიბარებდა.

— დაჯექი! — მითხრა მან და სკამი გამომიჩოჩა როგორც ტოლმა ტოლს.

თავი შევიკავე.

— დაჯექი, დაჯექი! — მითხრა ახლა დირექტორმა და ისევ მხარზე გადამდო ხელი, — ბიძიას კარგად მოუსმინე რასაც გთხოვს, გაუკეთე, — დირექტორს ავხედე, დაღრეცილი სახე ჰქონდა, მომეჩვენა რომ იგი ჩემზე მეტად იყო შეშინებული.

— დაგვტოვეთ! — უთხრა უცნობმა დირექტორს.

დირექტორმა მარტოდ დაგვტოვა მე და უცნობი.

— მლა... — თქვა დაჯერებით მან და საქაღალდე გადაშალა, შეაყვინძა, დაელოდა წამების გასვლას, მე გუნებაში ვიმეორებდი: „არაფერი არ მახსოვს, მთვრალი ვიყავი, არაფერი არ მახსოვს!“ ცოტა

ხნის შემდეგ უცნობმა ცერად შემომხედა, მისი თვალები აღარ იყო ისეთი თბილი და ღიმილიანი, პირველი დანახვისას რომ მეჩვენა. ვიგნაძე ჩენი, სახეზე ფერმა გადამიარა და სიმხურვალე ტანზე მომედო. მან ყელსახვევზე ხელი შემავლო, გამისწორა და მითხრა.

— შენ პიონერი ხარ, ჭკვიანი ბიჭი იქნები!.. დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს ლენინელთა რიგებში ყოფნა!.. ჩვენი ქვეყანა ერთადერთი სამართლიანი ქვეყანაა მსოფლიოში. მას ერთგული შვილები სჭირდება. აი, ისეთი, როგორიც შენა ხარ!.. ჩვენ ქვეყანას ბევრი მტერი ჰყავს და თუ ჩვენ სიფრთხილე არ გამოვიჩინეთ, თავისუფლებას დაგკარგავთ!.. საკუთარი თვალით ხედავ, რამდენი რამ კეთდება ბედნიერი ცხოვრებისათვის და ჩვენ პირველებმა უნდა დავიცვათ მისი ინტერესები!

ვუსმენ მას და თანდათან ძალა მეცლება, ვგრძნობ, ნახევრადაც არ მესმის, რას მეუბნება იგი, ალბათ გაშეშებული გამოვიყურები. იგი უცებ დამაკვირდა, მგონი შემატყო, თავს კარგად არ ვგრძნობდი და მითხრა, წადი, წყალღ მომიტანეო. სკამიდან ძლივს წამოვდექი, ჟრღოლვით გავედი დერეფანში და სახეზე სიგრილე რომ მომელაშუნა, ოდნავ მოვსულიერდი. დარაჯს, რომელიც ჯინსურში იჯდა, გრაფინი და ჭიქა გამოვართვი. სკოლის ქვემოთ წყაროს წყალი იყო, ჩავედი წყაროზე და უცებ შინაგანმა ლტოლვამ ამიტანა — გავქცეულიყავი. გავიხედა-გამოვიხედე, სკოლის ღია ფანჯარაში უცნობი გადმომდგარიყო და მიეუბრებდა. წყაროსთან ჩავქუქდი, გრაფინი წყლით გავავსე, მერე საფე ჭიქა პირზე მოვიყუდე და თვალი უცნობისკენ გავაპარე — ჩემგან ოდნავ შებრუნებული იდგა. თითქოს მე ყურადღებას არ მაქცევდა. რა მექნა?! უკან დავბრუნდი. უცნობი მაგიდასთან დამჯდარი დამხვდა. წყალი ჭიქაში დაასხა და შემომთავაზა, ხომ არ დალევო. უარი ვუთხარი, მან ორიოდ ყლუბი მოსვა და ჭიქა გვერდით დაიდგა. მე შიშს აღარ ვგრძნობდი და ალბათ, სახეზეც მეტყობოდა სიმშვიდე. შემომხედა.

— მე მამაშენს ვიცნობდი. — თქვა მან და ჩუმი ოხვრა დააყოლა, — გვიან გავიგე, თორემ... ახალ ხელისუფლებაშიც მტრები აღმოჩნდნენ, უდანაშაულო ხალხი დახვრიტეს, მაგრამ ჩვენ მტრებმა არ უნდა შეგვაშინოს!.. მითხრეს, რომ შენ ხარ გაბედული, კარგი ბიჭი!

რა უნდა მეთქვა, თავი დავხარე.

— შენ გოგის იცნობ?

უცებ დავიბენი, კინალამ ვიკითხე, რომელი გოგი-მეთქი.

— კი, ვიცნობ!

— მეზობლები ხართ, ერთად იზრდებით?

— გოგი კარგი ბიჭია! — წამოვიძახე უნებლიეთ.

— ვიცი, კარგი ბიჭი რომაა, შენც კარგი ბიჭი ხარ და ამიტომ დაგვიძახე!... ერთი თხოვნა მაქვს და უნდა შემისრულო!

„მე არაფერი არ ვიცი, მთვრალი ვიყავი!“ — გავიმეორე გუნებაში.

— ხომ შემისრულებ? — განაგრძო მან, — აბა, შემომფიცე!..

— ვფიცავ!

— რას?

— პიონერის წმინდა სახელს!

— ყოჩაღ! — ჩემსკენ გადმოიხარა, — კარგად მომისმინე, გავა-
ლებ ახალი ხელისუფლების სახელით! — თავი ავწიე, — გოგის რომ
შეხვდები, ამხანაგურად, როგორც მეზობელმა მეზობელს გამრქითხე,
მამამისს აქვს თუ არა სადმე იარაღი გადამალული, ვის ხედებოდა, მე-
ტი არაფერი!.. ათქმევინე, ვინ იკრიბებოდა მათთან, რამდენ ხანს რჩე-
ბოდნენ, თუ იცნობს რომელიმე მათგანს, ან ახლა თუ აკითხავენ მას.
— გასწორდა, — ვინც პიონერის ფიცს გატეხს, ხომ იცი, ისჯება მთე-
ლი სიმკაცრით.

— მესმის!

— შიში ნურაფრის ნუ გექნება! თუ რამეს გაიგებ, გზაზე გამოდი,
კენჭები აკრიფე და გზადაგზა ხელში აათამაშე, შენთან მოვა ჩემი კა-
ცი, ენდე მას და ყველაფერი უამბე, გასაგებია?!

— კი!

გონება ისე წამერთვა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდაც
აქედან გავსულიყავი. იგი აღგა, გაიარ-გამოიარა, მოვიდა ჩემთან, თა-
ვზე დამადგა და მხარზე ხელი დამადო.

— წადი და ვნახოთ, როგორ შემისრულებ დავალებას! კრინტი
არავისთან არ დაძრა, თორემ... — თითოთ დამემუქრა, — დედაშენს არ
უთხრა, სამარედი იქეცი!

პასუხი არ გამიცია. დერეფანში რომ გავედი, მუხლები მომეკვე-
თა და კედელს მივეყრდენი, თანაც მეშინოდა, უცნობი ფეხდაფეხს არ
ვამომყვეს მეთქი. მე ფეხს ვერ ვიცვლიდი, ისიც რატომღაც აყოვნებდა
დერეფანში გამოსვლას. ნეტა, გამოვიდეს! ვიყვირებ, მთელი ხმით ვი-
ყვირებ, დამიჭირეთ, დამხვრიტეთ, ჩამომახრჩევთ!... მაშინალურად
შეგებრუნდი და კარი შევალე — იგი ოთახში აღარ იყო. სად წავიდა,
სად გაქრა?! ოთახს ერთი კარის მეტი არ აქვს, ალბათ ფანჯრიდან გა-
დახტა... კიდევ უფრო შემეშინდა. მთავარია, აქაურობას გავეცალო,
ჰო, წავალ, გადავიკარგები!.. დედა?.. საკლასო ოთახის კარის სახე-
ლურს ჩავეჭიდე. დერეფანში დირექტორი გამოვიდა, თვალი შემავლო
და მყისვე პირი მომარიდა, თითქოს არ დავენახო. მე გავემართე მის-

კენ, ვეტიყვი, გაკვეთილიდან გამათავისუფლოს, მგონი, მკაცრი გამოს
მეტყველება მქონდა, მასთან რომ მივედი, ხმის კანკალით თქვა, ჰო,
შენ აქ ხარ, კარგი, კარგი!.. მეტი არაფერი, თავის კაბინეტში შებრუ-
ნდა. მან, ალბათ, იცის, რატომ დამიბარა უცნობმა, იცის, ყველაფე-
რი იცის და... ეშინია, მე საშიში პიროვნება გავხდი, ჩემს სიტყვაზე
ადამიანის ბედია დამოკიდებული.

გაკვეთილზე არ შევსულვარ, მასწავლებელს არ უკითხავს, სად
იყავიო. ჩემი ტილოს საწიგნე მხარზე მოვიგდე და შინ წავედი. ახლა
იმდენად სულდატვირთული აღარ ვიყავი, შემეძლო მეაზროვნა, ვერც
ჩემს თავზე ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავდი. მივაბიჯებდი გზაზე
და უცებ მომინდა, კენჭი ამეკრიფა და ხელში ამეთამაშებინა, ვნახოთ,
ვინ მოვა ჩემთან?! უცებ წარმოვიდგინე, ახალი ხელისუფლება რამო-
დენა ნდობას მიცხადებდა... კომკავშირში პირველ რიგში მიმიღებენ,
როგორც აქტიურ და სანდო პიონერს!

გზაზე შექუჩებულ ბიჭებში გოგი დავინახე, გული ამითამაშდა,
სული შემეკრა. უნდა ვკითხო, მამას იარაღი აქვს თუ არა სადმე გა-
დამალული, იკრიბებოდნენ თუ არა მის ოჯახში და ახლა აკითხავთ
თუ არა ვინმე.. თუ ყველაფერი გავიგე, უნდა მოვასხენო მათ კაცს,
რომელიც გზაზე შემხვდება, როცა კენჭს ავკრეფ და ხელში ავთამა-
შებ.. გოგის მამას გაასამართლებენ და დახვრეტენ.. გოგი ჩემთან მო-
ვა ატირებული და მეტყვის, მამა დამისვრიტესო.. თვალწინ დამიდ-
გება ტყავის ქურთუკიანი მამაკაცი, რომელმაც მამას შუბლში ორი
ტყვია დაახალა.

- გოგი! — დავიძახე მე უნებლიეთ.
- გოგიმ დამინახა და ჩემსკენ წამოვიდა.
- შინ არ მოდიხარ?
- კი!

— ერთად წავიდეთ! — ვუთხარი მას და მხარზე ხელი გადავდევი-
ხომ შეიძლება, საერთოდ არაფერი არ ვკითხო და უცნობს ვუთხრა:
გოგიმ არ იცის, მამას აქვს თუ არა სადმე იარაღი გადამალული და
არც ვინმე აკითხავს.. ჰო, ასე ვეტიყვი, რა უნდა მიქნას?! კაციშვილი
ცილს ვერ დამწამებს, რომ ვინმე გავყიდე, რაიმე ცოდვა ჩავიღინე!

- გოგი, მამას რა ისმის? — ვკითხე მე.
- ჯერჯერობით არაფერი!
- სასამართლო როდის იქნება?
- ჯერ არ იციან!
- შენ დაესწრები?
- ნება თუ დამრთეს, კი!

მე, მისი მხრიდან ხელი ჩამოვიღე და ქვას ფეხი გავკარი, თითქოს

მთელი ჯავრი იმ ქვაზე ამოვიყარე. ქვამ ოდნავ ცერად მათში წიკ მოხაზა და გზის გაღალმა ბალახებში ჩავარდა. ავკრეფ ქვებს და ვილაც დამყვება ფეხდაფეხ... შეიძლება გოგი დაიბარონ და გამოკითხონ, ის, რაც მე დამავალეს! ანდა, მქონდა თუ არა მასთან საუბარი, რა შევეკითხე და რა მიპასუხა მან: გოგიმ რომ თქვას, ჩემთვის მსგავსი რამ არაფერი არ უკითხავსო?!

შუა გზაზე მივატოვე.

დედა შინ დამხვდა. მეშინოდა მასზე შეხედვა, რომ არ ეკითხა ცუდად გამოიყურები, მშვიდობა ხომაო. დედის თვალებს ვერ გამოაპარებ. საწიგნე საწოლზე მივაგდე და თვალი სტალინის სურათისკენ გამექცა. ისევ მომეჩვენა, მას მკაცრი თვალები აქვს... აი, გადმოვა სურათიდან და დამიჭერს, დედასთან კრინტი რომ დავძრა.

— ისაძილებ? — მკითხა დედამ ეჭვით.

— არის რამე?

— რა იქნება, მჭადი და ყველი, დღეს საძილი არ გამიკეთებია!

— მომეცი!

დედამ მჭადი და ყველი გამომიტანა, ხელში დავიჭირე და მჭადი ჩაგვბიჩე. შიმშილს ოდნავადაც არ ვგრძნობდი, მაგრამ ვგრძნობდი, ლუკმა ყელში არ გადამდიოდა.

— სიმინდის ტეხვა დაიწყო! — თქვა დედამ.

— მოსავალი კარგია?

— კი, კარგია, როგორც ამბობენ, თუ ისე განაწილდა, თხუთმეტ ფუთამდე მოგვიწევს!

— ეზოშიც ხომ გვაქვს?

— გვაქვს, შვილო, მჭადი არ მოგვაკლდება! ცოტა ფულსაც დარიგებენო, ამბობენ. ზამთარი კარზეა მომდგარი, ორივე შიშვლები ვართ!

მესამე წელია დედა ერთი კაბით დადის, გამოხუტებას ვინ ჩივის, კაბა ნიდაყვებზე გამოაცდა, თავშალიც სიფრიფანა გაუხდა, ოდნავადაც ვერ მოათბობდა მხრებზე. დედას მხარში ამოდგომა სჭირდებოდა, რალაც უნდა მელონა, რომ შიშველი სხეული დაგვეფარა. ვუთხარი, ვაშლს მოვკრეფ და ბაზარში წავიღებ-მეთქი. არ დამართო ნება, შენ ბაზარში ვერ გავიშვებ, ან მხრით რა უნდა წაიღო, რომ იქედან ორი კაბიკი დაგრჩესო.

— გოგისთან გადავალ! — ვუთხარი მე.

— გოგისთან რა გინდა?! — ეჭვით შემომხედა. ვერ ვიტყვი, რატომ? შეიძლება მასთან სიახლოვე, ისიც ამ დღეებში, როცა მამის სამართლო უნდა გაიმართოს, საშიშია, ვინმემ მიზეზი არ მინახოს... ან... არა, დედას გაგებულები არ ექნება!.. ეზოში გავედი. გოგის ენა-

ხავ, მე მაინც ვკითხავ, რომ შემამოწმონ, ნათქვამი ტყუილი დამტკიცებული
ჩება და დამსჯიან. გოგის არ ეცოდინება, სად ჰქონდა მამას იარაღი
დადამალული, ჩემს მოვალეობას მოვიხილი.. გოგომ თუ მითხრა, სად
ინახავდა მამა იარაღს? მისი მეზობელი ვარ, ერთად ვთამაშობთ და
დამავალეს... რატომ ვარ გოგის მეზობელი, რატომ?! დღეიდან არავი-
სთან არ ვითამაშებ, არც ვინმეს დავუახლოვდები.

გოგი ჩემს დაძახებაზე ეზოში გამოვიდა. ხის ქვეშ დავსხედით.
ერთ ხანს უბრად ვიყავით, მე გულში ცეცხლი მიტრიალებდა, რამდე-
ნჯერაც დავაპირე მეკითხა, იმდენჯერ სიტყვა ენის წვერზე დავიჭირე.

— გოგი, — ვუთხარი მე, — კომკავშირში შედიხარ?

— შევალ, აბა, რას ვიზამ! — ჯიქურ მითხრა მან.

— კარგია!

— დამაწინაურებენ, კაცი გავხდები!.. აბა, ამ მიწას ხომ არ ვზი-
ლავ?!

— კომკავშირში ისე არ მიგიღებენ, თუ აქტიური პიონერი არ
ხარ!

— ვარ! რა უნდა დამავალონ, არ გავაკეთო! ხალხის მტრებს არ
დავინდობ.

მომავლენა მისი სიტყვები, როცა ერთად დავთვევით. მაშინ ასე
არ ლაპარაკობდა. იქნებ ჩემთან საკუთარ თავს ნილბავს, ალბათ, უნ-
დო თვალთ მიყურებს. მისთვის რომ დაევალებიანათ?

— გოგი, აი შენ, მაგალითად, გაიგო, რომ ერთ-ერთ ოჯახში ია-
რალი ინახება, განაცხადებ?

შეყოვნდა, სიტყვა გატკეპნა.

— გააჩნია, ვინაა?

— ჰო!..

— ჰო!..

— მე რომ მქონდეს?

— შეენ? — შენ იარაღი რად გინდა, მაინც ვერ გამოიყენებ. ხა-
ლხის მტრებია საშიში. იარაღი მეც მიყვარს. დიდი რომ გავიზრდები,
აუცილებლად ვიყიდი. ისეთ სამსახურში შევალ, იარაღის ტარების
უფლება რომ მქონდეს!

— ასე გიყვარს?

— კი!

— მამაშენს ხომ ჰქონდა შინ? — და უცებ გულზე გამკენწლა, არ
მითხრას, კიო. პირი მოვარიდე და თავი ისე დავიჭირე, რომც ეთქვა,
არ გამეგონა.

— მამას? — ერთი სანადირო თოფი ჰქონდა და ისიც წაიღეს!

ადგილიდან კინაღამ წამოვხტი, ისე გამიხარდა მაშ, შინ იარაღი არ

ჰქონიათ. რა კარგი ბიჭია გოგი. დაუინებით შემოძლია მათე...
ლო, იარალი არ აქვთ და არც ჰქონიათ ოჯახში დამალული...
თად სანადირო თოფს მოვიყვან, რომ დარწმუნდნენ ნამდვილად მქო-
ნდა მასთან იარაღზე საუბარი. წელში გავიმართე. გოგი თუ გამოკით-
ხეს, იმასვე ეტყვის, რაც მე მითხრა და ჩვენი ნათქვამი ერთმანეთს
დაემთხვევა.

— მახსოვს, იარალი ჩვენს სოფელში ყველას ჰქონდა! — დავძინე
მე.

— კი, ჰქონდათ, შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ!
დედას არ უთქვამს, რომ სოფელი შეიარაღებული აჯანყებისათ-
ვის ემზადებოდა, რომ მამა თავანში ხალხის იარაღს ინახავდა, მამა ახა-
ლი ხელისუფლების წინააღმდეგი ყოფილა, გამახსენდა უცნობის ნათ-
ქვამი, გვიან გავიგე, თორემ... მამა მათ მომიკლეს, ახალი ხელისუფ-
ლების წარმომადგენლებმა.

— დომენტი ბიძია მონაწილეობდა აჯანყებაში? — ვკითხე მე.

— მამა, შინ ღამეს არ ათევდა!

— აკითხავდნენ? — და ისევ გამკენწლა გულზე, არ მითხრას კიო.

— მე უცხო არავინ არ მინახავს ჩვენს ოჯახში.

გოგის ლამის ყელზე მოვეხვიე. დავალება შესრულებულია, მი-
ზეხს ვერ მომიძებნია. და თუ მეორედ რაიმე დამავალეს, უარს ვე-
ტყვი, რაც უნდათ ის მიქნან. ერთი არც ისე ახლო მეზობელი — ბი-
ჭტორი გყავს. ხალხის დასმენა ყვარებია და მთელ სოფელს სძულს,
გამყიდველს ეძახიან. მას კი თავი მოაქვს, რევოლუციონერი ვარო,
კაციშვილი უბატონოდ ხმას ვერ გამცემსო და ცდილობს სოფლის ხე-
ლმძღვანელობაში შეძერეს. აბსოლუტურად წერა-კითხვის უცოდინა-
რია. თავმჯდომარესაც ეშინია მისი, რა უნდა სთხოვოს, არ გაუკეთოს,
შარშან სახლის ასაშენებელი მასალა გამოართვა მთავრობას და ახალი
სახლის წამოჭიმვას შეუდგა — სოფელში პირველი ოდა-მე მექნებოო,
იკვებნიდა იგი. არ მუშაობს, გაბარტახებული ეზო-კარი აქვს და მა-
ინც სხვებზე უკეთ ცხოვრობს.

— გოგი, მე წავედი, დედას მივეხმარები, ეზოში სიმიწლია მო-
სატეხი.

— გადმოვალ, მოგეხმარები!

— არა, ახლა არა!

— ხვალ სკოლაში იქნები?

— კი!

რატომ იკითხა, ვიქნები თუ არა ხვალ სკოლაში? უცებ ვიგრძენი,
ჩემი დანაშაული. უცნობს არ უნდა დავთანხმებულობიყავი. ახლა მეო-
რედ დამავალევენ, მეტე მესამედ... დავაშავე! მამა მათ მომიკლეს,

ახლა მეც უნდათ სახელი გამიტეხონ!.. რისი გაცემებაც არ შემიძლი-
ან, ვერ გავაკეთებ, ნუ მიმიღებენ კომკავშირში, ჩემთვის ვიქნები
დილით სკოლაში რომ მივდიოდი, გზაზე კენჭი ავკრიფე და ხე-
ლში ავათამაშე, თანაც გული ამოვარდნაზე მქონდა, ვინ უნდა შემხ-
ვედროდა ამ დილით გზაზე?! ვეტყვი ჩემს სათქმელს და გავცდები.
გზას ერთ მხარეს კოდმე გასდევდა და ეკალ-ბარდები ფარავდა. ყოვ-
ლად შეუძლებელი იყო, აქ ვინმე ყოფილიყო. თვალი მაინც გამირ-
ბოდა ეკალ-ბარდებისაკენ, გავცდი კოდმეს და ხველა შემომესმა გზის
გადაღმდიან. მაშინაღუტად გავჩერდი.

— მოდი აქ! — მომესმა ხმა.

გზიდან გადავდი.

— აქეთ, აქეთ!

კოდმის უკანა მხარეს გავედი.

— ნუ გეშინია! — თხმელის ხის ტანს მოშორდა ბიქტორი, — მე
ვარ, ვერ მიცანი?... მოდი აქ, არავინ არაა!

მივედი.

— კი, როგორ ვერ გიცანი! — ვუთხარი გაოცებულმა.

— დაჯექი!

ჩამოვჯექი ხის ფესვებზე. ბიქტორი თვალს ვერ მისწორებდა, თა-
ნაც გარემოს ზვერავედა, თუმცა იქ ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინ-
მეს დავენახეთ. ქუთუთუკის კალთა გადაიწია და განგებ შემახედა წე-
ლზე შემორტყმულ რევოლვერზე.

— შენ კარგი ბიჭი ყოფილხარ, დავალების გადადება არ გყვარე-
ბია. ჩვენ, ახალ ხელისუფლებას ასეთი ხალხი გვჭირდება. შენ თუ
დაგვიჯერებ, კაცი გამოხვალ!.. ყველაფერი გექნება!.. მე ვეტყვი, სა-
დაც საჭიროა და სახლის მასალას მოგცემენ, ფული გექნება! — გვე-
რდით დამიჯდა, — ხალხი სულელია, კარგსა და ცუდს ვერ არჩევს,
ვინც რევოლუციას ემსახურება, მომავალი მისია!.. კომუნისტები ისე-
თი ძლიერნი და სამართლიანი არიან, რომ არ არსებობს ძალა, ისინი
ვინმემ დაამარცხო!

მე გაშეშებული შეგყურებდი, სკოლაში მაგვიანდებოდა. მინდოდა
ჩემი სათქმელი მეთქვა და წავსულიყავი. შემატყო და მითხრა:

— ნუ გეშინია, ხმას ვერვინ ვერ გაგცემს!

— სკოლაში მაგვიანდება!

— არაფერია! აბა, მითხარი, როგორ შეგვისრულე დავალება?

გონება წამერთვა, რა ვუთხრა, არა-მეთქი, ეცოდინება, რომ მე
გუშინ გოგისთან შინ ვიყავი. იქნებ გვისმენდა კიდეც.

— ვნახე! — ვთქვი ინსტინქტურად.

— მერე?

— მამამისს ერთი სანადირო თოფი ჰქონია და ისიც წაუღიათ.

— ასე ვითხრა?

— ჰო!... შინ გვიან მოდიოდა და დღე იშვიათად ვხედავდიო. არც ვინმე უცხო ჩემს სახლში არ მინახავსო.

სახეზე სიბრაზე გამოეხატა, კბილები გააღრჭიალა.

— ვიცი, ვისი ნაშეიერიცა ხარ! — გესლით თქვა მან.

— მე... მე, მეტი არაფერი ვიცი! — ენა დამება.

— ახალი ვერაფერი მითხარი! — წამოდგა და ჩემს წინ გაიარ-გამოიარა, — შენ არ ტყუი? — მკითხა შემდეგ.

— არა, ასე მითხრა!

— გასაგებია! შენ მაინც კარგი ბიჭი ხარ, გამოდგები!

ავდექი:

— მაგვიანდება!

— კრინტი არ დაძრა, თორემ... რევოლვერზე ხელი გაივლო, — დაიღუპები! ჩემი სახელიც არ ახსენო!.. თუ რამე დაგჭირდეს, ჩემთან მოდი და გაგიკეთებ!.. კარგად დაფიქრდი, სწორ გზაზე დგახარ და არ აცდე, დიდ სკოლაში გაგვზავნით, სახლს აგიშენებთ!

თვალზე ცრემლი მომადგა, ხელჩანთა ილღიაში ამოვიდევდი და ველოდი, როდის დავიძვრენდი მისგან თავს. მან მხარზე ხელი დამკრა, შემაქო, კარგი ბიჭი ხარო, მითხრა და მანიშნა წადიო. გზაზე გავედი. ალბათ, თვალს მატანდა და უკან არ მიმიხედიო. გაკვეთილი დაწყებული იყო. დერეფანში დირექტორმა დამინახა, მაგრამ პირი მომარიდა. შევალე საკლასო ოთახის კარი და ჩემს მერხზე დავჯექი. მასწავლებელი მოსწავლეთა სიას კითხულობდა, ამოხედა და არც მას უკითხავს, რატომ დამაგვიანდა. დანა პირს არ მიღებდა, ბიქტორზე რასაც ამბობდნენ, მართალი ყოფილა. მე იგი აღარ მომეშვება, შემამოწმებს, ვთქვი თუ არა, რაც თავს გადამხდა. გული მიტიროდა, რომ მე საშიში პიროვნება გავხდი. გაიგებენ ამხანაგები, მეზობლები და დამიწყებენ ძაგებას, ჩემთან ლაპარაკს მოერიდებიან, როგორ დავიხსნა თავი?! მასწავლებელი გაკვეთილს სწნიდა, მე არ ვუსმენდი, გავყურებდი ფანჯრის წინ ბებერი ალუბლის ხეს, რომელსაც ფოთლები დასცვენოდა. ბავშვებს გვიყვარდა. ფანჯრიდან ალუბლის ხის ტოტებზე წაპოტინება. ზარი დაირეკა, მე არ გამიგია, რომ ზარი დაირეკა, ისევ გაქვავებული ვიჯექი და შევყურებდი ფანჯრის წინ ბებერი ალუბლის ხეს.

ბოლო გაკვეთილზე საკლასო ოთახში დირექტორმა შემოიხედა და გამიხმო. დერეფანში მითხრა, შედი იქ. ველოდებოდა. დირექტორს შეცბუნებული შეხედე, არ ესიამოვნა ჩემი შეხედვა, რატომ-

ლაც ჩემდამი ცივიც ჩანდა და უტეშიც. რა მექნა, შევედი იმ საკლასო ოთახში, მაგიდასთან ის უცნობი იჯდა, წამოდგა და კარებთან შემხვდა, ხელი ჩამომართვა და დიდის თანაგრძნობით სკამზე დამსვა.

— არ მეგონა, შენ თუ ასე მოხერხებული ბიჭი იყავი! — მითხრა მან და მხრებზე მამა-შვილურად ორივე ხელი დამადო, — ჩვენ გენდობით შენ და გვჯერა, ტყუილს არ იტყვი!

მხრები ავიჩეჩე, მეტი არაფერი ვიცი-მეთქი.

— გასაგებია, — დასძინა მან, — ჩვენი ცნობა დაადასტურე!

მოწყალების თვალთ შევხედე.

— დომენტი ბიძიას დაიჭერენ?

— დახვრეტას გადარჩა! — თქვა მან და ჩემი მხრებიდან ხელები ჩამოიღო, — ახალი ფაქტი ვერ აღმოვაჩინეთ!

— რა დააშავა?

— როგორ თუ რა?! — ხმა მკაცრი გაუხდა, — რევოლუციის მონაპოვარის წინააღმდეგია, ახალი წყობისა არ სჯერა!.. სოფელში ხალხის მტრებს ვერ შევინახავთ. ყველამ უნდა ვიბრძოლოთ, რომ სოფელი გავწმინდოთ ნაძირალებისაგან. ვინც ჩვენს მხარეზეა, მას კარგი ცხოვრება მოეღოს!.. მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა! — ახლა ცალი ხელი დამადო მხარზე, — შენი თაობა იცხოვრებს გამარჯვებულ სოციალისტურ ქვეყანაში!

ღეზზე ავდექი.

— შეიძლება წავიდე?

უნდოდ შემომხედა.

— წადი!.. ენას კბილი დააჭირე, თორემ ხალხის მტრების სიაში მოხვდები!.. გახსოვდეს, ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოს თუ ვინმე რაიმეს იტყვის, უნდა მოგვახსენო. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ.

— მე სკოლაში, ან შინ ვარ!

— ვიცით, მაგრამ ხალხში უნდა გაიარო, სმენა გაამახვილო, თუ იყოჩაღებ, დაგასაჩუქრებთ.

— შეიძლება წავიდე?

— წადი!

კარებთან რომ მივედი, მივხვდი, უკან მომყვებოდა. არ მიმიხედავს, მაგრამ კარის სახელურს ხელი რომ ჩავკიდე, მხარზე შეხება ვიგრძენი. მივიხედე, გველი რომ ბაყაყს მონუსხავს, ისე ვიდექი მის წინ.

— ზიტყვა არ დაგცდეს!

— შესვის!

— წადი!

ღერეფანში გავედი, ლამის ავტირებულიყავი. ჩემს საკლასო ოთახ-

ხში არავინ არ იყო. ხელჩანთა ავიღე და ეზოში გავედგა. აქაც ვიპოვე ვინ შევნიშნე, სად გაიკრიფენ, იქნებ მემალეზიან, იქნებ იტან, მე უცნობი მხედება?! სოფელში აღარ გამეჩერება, სად წავიდე, ვინ ვნახო, რომ გზაზე დამაყენოს. ამხანაგი სანდო აღარაა, იქნებ ისინიც ჩემს დღეში არიან?! დედას ვერ ვეტყვი, იგი ვერც დამეხმარება, ერთი უსწავლელი ქალია, ვინმესთან რომ წამოცდეს, ოჯახიანად ამოვწყდებით. თავიდანვე უარი უნდა მეთქვა, მაგრამ შიშისგან ენა ვერ მოვაბრუნე, მე ხომ შეგნებით არაფერი არ გამიკეთებია, ჩემდა დამოუკიდებლად რაღაც უხილავი ძალა მამოქმედებდა.

გზაში არავინ არ შემხვედრია. უცებ უცნაური აზრი ამეკვიტა, ავკრიფო კენჭი და ხელში ავათამაშო, შემომხვდება თუ არა ბიქტორი, ან ვინმე. მაგრამ რა ვუთხრა?... ვეტყვი, მეორედ არ დამიბარონ, მე არაფერი არ ვიცი, არც რაიმეს ვიტყვი!.. არ მინდა არავითარი კაცი ცხოვრება, არც უფლებები, ჩემთვის ვიქნები, ჩემს ფაცხაში დედასთან ერთად.

დედა შუა ცეცხლთან ფუსფუსებდა.

— მოხვედი? — მკითხა მან.

— მოვედი! — ისეთი ტონით ვუთხარი, დედამ იჩქითად შემომხვდა, შემატყო, უგუნებოდ ვიყავი.

— ცუდი ხომ არაფერია?

— რა უნდა იყოს, დავიღალე!

— არა, შენ რაღაც გაწუხებს, ორი დღეა ვერ გცნობ, რაღაცას მიმაღაც!

— არა, დედა, რა მაქვს დასამალავი?!

— დღეს სანდო არავინ არაა, შვილო, ვინმემ მახე არ დაგიგოს!

— დამიგონ, რაც მოსახდენია, მოხდეს!

— როგორ მამაშენივით ლაპარაკობ! — შემომიტია დედამ.

პირი მოვარიდე, კარებს მივაღექი.

— სიმინდს როდის ვტეხთ?

— ამ შაბათ-კვირას, წაგეხმარებითო, მითხრეს.

— ვინ?

— კოლექტიური შრომა ასეთია, შვილო, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. კაცს თუ დახმარება სჭირდება, დავეხმაროთ!.. თავმჯდომარე შემპირდა, წლის ბოლოს სახლის მასალას გამოგიყოფთო, ფულს სესხად მოგცემითო და შენ პირველი კოლმეურნე იქნები, რომელიც ახალ ოდაში იცხოვრებსო.

— ვინ, თავმჯდომარე შეგპირდა?

— ჰო, არ გჯერა?

თვალი ეზოს ბოლოსკენ გამეჭვა, სადაც გიორგინას ბუჩქები გვირგია. ყვავილები შემხმარი იყო და ტალახის ფერი დაჰკრავდა. მომეჩვენა, რომ გიორგინას შემხმარი ტოტები შექანდა. შევაცქერდი, ტოტები ისევ შექანდა. კი, იქ ვილატ არის. იქნებ პირუტყვია? ეზოში გავედი. თვალს არ ვაშორებდი გიორგინას ბუჩქებს.

— სად მიხვალ, შვილო?

— არსად, დედა!

ხელები ნერვიულობისაგან მოვმჯიღე, სხეული დამეძაბა. იარაღი რომ მქონოდა, თუნდაც აქვე დავეხვრიტე, ვესროდი. ვინც არ უნდა ყოფილიყო იქ, ვესროდი!... მაგრამ ცარიელი ხელებით რა მექნა, ფეხი ვერ მოვიცვალე, იქვე ჩავიყეცე და ავტირდი.

ოდა ნოემბრის ბოლოს გადავხურეთ, წინ გამსტვენნი აივანი ჰქონდა. სულ სამი ოთახისაგან შედგებოდა — ერთი ოცდაათი კვ. მეტრის ზალა და ორი ოთახი გვერდი-გვერდ — ერთმანეთში შუა კარით გაისვლებოდა. პატარა აივანი, ეზოში ჩასასვლელი უკანა მხარესაც ჰქონდა. ექვსი თვე შენდებოდა. ორი ღურგალი მუშაობდა დილიდან მოკიდებული მზის ჩასვლამდე. დამხმარე მუშად მეზობლები გვეხმარებოდა, ორი-სამი კაცი ყოველდღე. თავდაპირველად, ოდის სვეტები რომ დაასვეს, თვალს არ ვუჯერებდით, გვეგონა ყველაფერი ტყუილი იყო. იმ ექვსი თვის მანძილზე არავის არ დავუბარებიათ, მაგრამ გიორგინას ბუჩქები გაზაფხულზე მაინც ავჩიხე. დედა ხელებში მეცა, რას შვრებო: მე ვიცრუე, ბუჩქებში უხსენებელი ბუდობს და თუ არ ავჩიხეთ, ოდაში შემოგვივა-მეთქი. დედა დავიყოლიე, მაგრამ მე სული მიწრიალებდა, არა და არ იქნა, ვერ განვთავისუფლდი ექვებისაგან.

ვინ არ მოდიოდა ჩვენი ოდის სანახავად. ზოგს თვალი შუროთ ევსებოდა, ზოგიც კმაყოფილებას ვერ მალავდა. შრომა დაგიფასდაო, ჩემო მართა, შრომაო, ეუბნებოდნენ ისინი. დედაც ჭაბუკიანურით უბასუხებდა, არც თქვენ დარჩებით, თქვენც წამოჰყვით ოდასო, ოდესმე ვიფიქრებდით სახლის აშენებას?! ა, ზომ ხედავთ, კოლექტივმა ფეხზე დაგვაყენა, ადამიანების სიაში ჩავეწერეთ, ოღონდ იმუშავე და ყველაფერი გვექნებაო. დედას მოცლა არ ჰქონდა, აბა, რას დაგიდევდათ, მთავრობა სახლს უშენებდა. უთენია რომ გავიდოდა ჩაის ფოთლის საკრეფად, საღამო ბინდში ბრუნდებოდა შინ. ჩაის ფოთლებმა ხელისთითები დაუკაწრა და ჩაუშავა, სახეზე ჩამოლრა და ნაოჭები შემამჩნევდა დააჯდა. ოდნავ თეთრიც გაერია თმაში არა, დედა აღარ იცნობოდა, ვხედავდი, წელში მოიხარა, თავი ზომ მუდამ წაქრული

ჰქონდა, თავის ტკივილს უჩიოდა. დედა, რამდენიმე დღე დასვენებულა, მეტეხი, ვეტყოდი, არაო, შემომიტევდა, ხალხს ვერ ვუღალატებ სხვის ნაშრომს შინ ვერ შემოვიტანო.

— იცი თუ არა, შენ, შრომის ახალი წესი მკვიდრდება, — მითხრა მან.

— რა წესია?

— სოცშეჯიბრი!.. დიდი მოძრაობაა გაჩაღებული — კოლმეურნეობა კოლმეურნეობას შეეჯიბრება, ბრიგადა ბრიგადას, ვინც გაიმარჯვებს, გარდამავალ დროშას გადასცემენ!

— დროშას?!

— ჰო, დროშას!.. შენც უნდა წამოხვიდე ხოლმე ჩაის საკრეფად, წამომეხმარო უნდა!

— მე გეხმარები, რაც შემიძლია!

— ვიცი, შეილო, მაგრამ მეტი მუშაობა გეჭირდება. გუშინ ჩვენთან პლანტაციასი ავითატორი იყო. ერთი საათი გვიკითხა გაზეთი. ჩვენ ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა ვთვლიდართ, უჭმელ-ჩაუცმელი. დიდი შრომაა საჭირო, რომ ჩამორჩენა დავძლიოთ. ასე უთქვამს სტალინს!

მე დრო აღარ მქონდა, გაკვეთილი მესწავლა. ხან სიმინდის ყანაში ვიყავი, ხანაც ეზოში გაშენებულ ჩაის ფოთოლს ვკრეფდი. ვენახიც ჩემი მოსავლელი იყო და ბაღიც. ოდის მშენებლობა რომ დავიწყეთ, არდადეგობზე ეზოდან ფეხი არ გამიდგამს, დურგლებს ვეხმარებოდი. სახლის სახურავზეც კი ავყევი მათ და კრამიტს ვაწოდებდი. მართალი გითხრაო, მაშინ ნამდვილად ვიგრძენი, რომ სახლი შენდებოდა და მალე შიგ ვიცხოვრებდით მე და დედა, სახურავიდან სოფელს რომ გადავხედე, გული დამეწვა, ეზოებში, ხეებში ჩაფლული ქოხები ჩამკვდარი გამოიყურებოდა. ისლით დახურული სახურავები დაჭვრტლული იყო და ეზოში ტიტლიანა, წვივებშებრაწული ბავშვები დარბოდნენ. მე ყველაზე ბედნიერი ვიყავი მათ შორის — ოდა წამოვჭიმე, მალე იატაკს დავაგებთ, ჭერს შეგვჭედავთ და... დედა მართალია, ვიფიქრებდი ოდესმე სახლის აშენებას?! მასალა არ გვეყო და ზალაში და ერთ ოთახში დავაგეთ იატაკი. დედა იმ დღეს ჩაის ფოთლის საკრეფად არ გასულა, ალბათ, გულმა არ მოუთმინა, ახალ სახლში არ შესულიყო, ჯერ დღის სინათლეზე საკუთარი თვალით არ ენახა. კმაყოფილება ვერ დამალა, თვალები უღვივოდა და ენას სალაპარაკოდ ვერ აბრუნებდა. იატაკი მორეცხა და მითხრა, საწოლები ამოვიტანოთო. ჩვენი საწოლები ფიცრისგან იყო შეჭედილი და არ ამოიტანებოდა, სარის ფეხებს იატაკზე ხომ არ დავჭედავდით, სხვა

გზა არ გვექონდა, ლეიბ-საბანი იატაკზე გავშალეთ და მე ზედ გავშალეთ.
რდი.

— ცოტა მადროვე, შვილო, საწოლებსაც ვიყიდით! — მითხრა მან.

— რაკი სახლს მოვესწარიტ, ვიცი, საწოლებიც გვექნება.

— წელს შრომადღის ფულით ვიყიდი! — დედაც იატაკზე გაშლილ თავის ლეიბ-საბანზე წამოწვა. დაღლილობისგან მაშინვე ჩაეძინა. მე აივანზე გავედი, მისთვის ძილი მეცლია. ვიდექი აივანზე და ეზოში ჩასვლა არ მინდოდა, პაერი მსუბუქი და გამჭვირვალე იყო, ვიდექი სავსე ფილტვებითა და აღგზნებული გულით და ვფიქრობდი, მალე აივანს მოაჯირს გავუკეთებო, მესამე ოთახშიც იატაკს დავაგებო და მერე დედას შევვიხიდე — კოლექტივში გავალ სამუშაოდ. ჩემი ფული მექნება, დედას კაბას ვუყიდი, არც ისე ბავშვი ვარ, მუშაობა ვერ შევძლო, ოთახში შევიხიდე, დედას ისევ ეძინა. შიშველ კედლებს თვალი რომ შევავლე, მივხვდი ჩემი დანაშაული, კიდეც კარგი, ჩვენთან გარეშე არავინ ყოფილა. ჩავედი ძველ ფაცხაში, ჩამოვხსენი სტალინის სურათი, ქურდულად ავედი უკანა მხრიდან ოდაში. ვიდრე ვინმე მოვიდოდეს, სურათს კედელზე დავკიდებ. მოვძებნე ლურსმანი და ჩაქუჩი და ზალაში შევედი. ვიცი, ჩაქუჩის ხმაზე დედა გაიღვიძებს, მაგრამ სურათი უნდა დაიკიდოს!... შევარჩიე კედლის შუა წერტილი, ჯორჯოზე შევდექი და ვხედავ დედა მიყურებს. ლურსმანი კედელზე მივაჭდე და სურათი დავკიდე. მომეჩვენა, სტალინს ახლა თვალებში ღიმილი ედგა და მადლობას მეუბნებოდა დიდი პატივისცემით.

დედა წამოჯდა და შევნიშნე, იცრემლებოდა.

— დედა, რა მოხდა?

მან ცრემლიანი თვალებით გამიღიმა.

— ოდესმე ვიფიქრებდი?! რა მოხდებოდა, მამა იყოს ცოცხალი, რა ბედნიერები ვიქნებოდით!

— დედა, მამას არ მოსწონდა ახალი ხელისუფლება!

დედა შეცბა.

— ვინ ვითხრა?

— ვიცი!

— ჰო, შვილო, არ მოსწონდა, შრომაში სულს ამოგვხვდიან და თან მადლობას გვათქმევინებენო.

— დედა!... — ტანში დამყრუოლა. შეშინებულმა გარეთ გავიხედე, ვინმე ხომ არ გვისმენს მეთქი. იატაკაღუგებ ოთახშიც შევიხიდე, ვინმე ოდის ქვეშ ხომ არ დგას-მეთქი. გული რომ შევაჯერე, არავინ არ გვისმენდა, აივანზე დავდექი, რომ დედას თავისი გულისტკივილი არ გაემხილა, მე არ მინდოდა მომესმინა, რა იყო წარსულში, ფარუ-

ლი შიში ჩემდა უნებლიეთ არ მასვენებდა, თითქოს ვიღაც ფეხს
ფეხ მსდევდა და მათვალისწინებდა.

ქიშკარს ჩვენი ღურგლები მოადგნენ, რავა, ახალ სახლში შედი-
და არ უნდა აღვნიშნოთ. დედამ ქათამი დაკლა, მქადი გამოაცხობ
ცოტა მუავე წნილი ჰქონდა და ვიდრე სადილს გაამზადებდა, მუავე
წნილს, ყველსა და ღვინოს შეექცნენ სტუმრები. გვერდით დამისვეს,
როგორც ტოლი ტოლთან. ერთი სამოცდაათ წელს გადაცილებული
იქნებოდა, მეორე უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ორივეს ჰა-
ღარა წვერი ჰქონდა მოშვებული, თავზე ტილოს ფარფლიანი ქუდი
ეხურათ უკან კალთაწამოწეული. მუხლებზე კაი მოზრდილი შავი
ნაკვრები ეკერათ თეთრი ძაფით ამოკემსილი. გატალახულ შალის წინ-
დებში ჰქონდათ შარვლის ტოტები ჩაკრული, ოდნავ პირშეცვეთილი
ქალმენები ეცვათ. ოდის ქვეშ სუფრასთან მოკალათდნენ და უკბილო
ჩამოღარულ ყბებს ენერგიულად იქნევდნენ.

— დავლოცოთ, ჩემო თეოფილე, ოჯახი, — თქვა ხნიერმა და ქი-
ქა ასწია, — კოლექტივი ამათთვის დაარსებულა. ასეთ სახლს, ბიძია,
ვინ აგისვენებდა?! ეგ პატივი პირველი თქვენ დაგდეს!.. ყველაფერი
ერთად არ იქნება, ბუხარსაც გააკეთებთ, სხვა ოთახებსაც გააწყობთ
და გინდათ მეტი რამე?! დალოცვილი ყოფილიყოს ეგ ოჯახი!

— გმადლობთ! — ვუთხარი მე.

— ასეა, ჩემო ბიძია, — თქვა თეოფილემ და ჩაიქირქილა, —
კოლექტივი, ბიძია, ჩვენი მოგონილია. მთლად ისე კი არაა საქმე,
იმას რომ იძახიან, სოფელს ერთი საბანი ექნება და ქალი და კაცი,
ყველა ერთად დაწვებიანო. მართა მშრომელი ქალია, დაუზარებელი
და გაუმართლდა. მადლობის მეტი რა გეთქმით, ბიძია, სახლი ქე
გაქვს, მოიყვანე ცოლი და შენს ცოლ-შვილში იცხოვრე!

თავი მოკრძალებით დავხარე.

— ნუ გრცხვენია, ბიძია, — მითხრა ხნიერმა, — რაც უფრო ად-
რე მოიყვან ცოლს, მით უკეთესი. ქონებას ნუ გამოეკიდები, ქონებას
თავისი მტერი ჰყავს!

ქიქები რომ დასცალეს, დედამ ნიგვზით შეკაზმული ქათამი გამო-
იტანა.

— კი ღარჩით, მართა, მარტო მარა, — თქვა თეოფილემ, — აგერ
ბიჭი გეზრდება, არაფერი გაგიჭირდებათ!

— ერთი იმ დღეს მოვესწრებოდე, ეგ რომ დავაყვაცდებოდა და არა-
ფერს ვჩივი! — თქვა დედამ.

— შენ დედა ხარ და ვერ გრძნობ, თორემ მოგესწრო ვაჟიკი და
ეგ არის!

მე ჭიჭისთვის ხელი არ მიხლია, ვიჯექი რატომღაც გაოგნებული და ჯერ კარგად ვერ შემეცნო ჩემი თავი და უფლებები, რომელიც მე ოჯახში მენიჭებოდა. ჯერ კიდევ ვერ აღვიქვამდი, რომ ეს ოდა ნამდვილად ჩემია, მე მეკუთვნის და შემძლია თავისუფლად იცხოვრო. ტანში გამჯდარი ფარული შიში, მაინც თავისკენ მეწეოდა. დედა კოლექტივის მოწინავე წევრია, პირველი აუშენეს მას სახლი, მაგრამ ბიქტორის სიტყვები ყურებში ტყვიასავით ზუზუნებდა, სწორ გზაზე დგახარ, ყოჩაღი ბიჭი ხარ, სახლის აშენებაში დაგეხმარებითო. მე კრინტს ვერ დავძრავდი, დედას აუშენეს სახლი, დედას, ღმერთო!

თეოფილე ბიძიამ პატარა ჭიჭით ღვინო შემომამარა, მოწყენილი ამოიყურებდა, ერთი-ორი ჭიჭა დალიე და გახალისდებითო, — დავლიე ორი ჭიჭა.

— გრიგოლო, ჩვენ მოვესწრებით ამ ქვეყნის სიკეთეს?! — უთხრა მას თეოფილე ბიძიამ.

— ჩვენ რა ვიცი, მარა, ერთი კია, ისეთი ხოხოლა შენდება, ერთ დღეს ხელს წაკრავენ და დაიშლებს! — და ჩაიქირქილა მან.

— აი ხალხი ქე გააბრიყვეს და... ორი პარასკევი დამრჩენია, წყალსაც წაუღია ყველაფერი!

სული შემეკრა, ვინმე ხომ არ გვისმენს-მეთქი. ავდექი, თითქოს მათთვის არ მომესმინოს. მოგზავნილები არ იყვნენ, ჩემს გამოსაცდელად არ ლაპარაკობდნენ.

— დაჯექი, ბიძია, დაჯექი, — მითხრა გრიგოლმა, — ამ ქვეყანას არაფერი არ უშველის, ისეთი კაცი ზის სათავეში, ქვას ქვაზე დაადუღებს და თავისას გაიტანს! ხომ ხედავ, ბიძია, სოფელში კაცები აღარ დარჩნენ, ახალგაზრდებს სულს მოუწამლავენ და, რა გამოვამართვან...

— არა, გაბრიელ ბიძია, — გავბედე შეკამათება, რომ სათქმელი მქონდეს, მათ შევეკამათე, — ვინც იშრომებს, ის იცხოვრებს კიდევ, კი, ძია სტალინმა თქვა, ვინც შრომობს, ის ჭამსო. — ასეთია ჩვენი ქვეყნის პრინციპი.

— კი, ბიძია, კი!.. — და სიმღერა წამოიწყო:

აქეთ ჩაი, იქით ჩაი,
კოლექტივში ყველამ ჩაი,
კოლექტივი თუ არ გინდა,
სადაც გინდა იქით წაი!

— აბა, ჩემო თეოფილე, პირველი თქვი, პირველი!

ეკლებზე ვიჯექი, თვალი გამიბრბოდა ეზოს ყოველი კუთხისაკენ, ვიდრე ისინი მღეროდნენ, ორჯერ შემოვიარე ეზო, სასიმილდესა და ფაცხის უკანაც კი გავიხედე, ვითომდა, ხბოს დავეძებდი. მართალი

გითხრათ, არავინ შემინიშნავს, გული მომეცა და დავბრუნდი, ისინი წარმავალი არიან, მე რა ვთქვა, თუ მათ ლაპარაკს ვინმე — ისმენს? — მომეწამლა ცხოვრება!

— ჩემო ბიძია, შენ რაცხა გეშინია, ისე დადიხარ! — მითხრა თეოფილე ბიძიამ, — ნუ გეშინია, შენ ისეთი მამის შვილი ხარ, კაცს ვერ გაყიდი და, ჩვენი ნუ გეშინია!

— არა, რისი უნდა მეშინოდეს! — ვთქვი მხნედ.

— ეჰ, სოფელში ყოველ სამ კაცში ორი გამყიდველია!

— მერე?

— მერე... ის რომ, თავს გაუფრთხილდი!... ყმაწვილი კაცი ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, მხარი აუბი ამ ქვეყანას, თორემ გაგთელავენ!.. არასოდეს არ თქვა, რასაც ფიქრობ, სხვების ნათქვამი გაიმეორე. პოლიტიკას არ გამოეკიდო, თორემ ერთ დღეს რომ დიდ სკამზე დაგსვამენ, მეორე დღეს შენსავე სიბინძურეში თავს ჩაგაყოფინებენ! სანამ პირში სული გიდვას, იმაზე ბედნიერი ვარო!

— ჰო, ჰო, ჰო, — ჩაიქირქილა თეოფილემ, — აი ბიჭი შენ უკუკუო ხომ არ გგონია, ვერ ხედავ, კედელზე სტალინის სურათი უკიდია, იცის, რა გააკეთოს!

ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდნენ. ღვინო კარგად რომ მოეკიდათ, მეორედ წამოიწყეს სიმღერა, სტალინ, სტალინ საყვარელო, შენ მოგძახის საუკუნეო. წელში გავიმართე. მართალი ვითხრათ, ნამდვილად მინდოდა ყველას გაეგონა, რომ ჩემს ოჯახში სტალინზე მღეროდნენ. ახლა ჭიქა მე ავწიე და ავდექი, სტალინს გაუმარჯოს-მეთქი, ხმამაღლა ვთქვი, ბედნიერი ცხოვრებისათვის, თავისუფლებისათვის, ჩვენ ყველაფერი გვაქვს, ჩვენ დიდებულ დროს მოვესწარი!

— კი, ბიძია, კი, — თავი დამიკრა გრიგოლმა, — ჯერ სად ხარ, ისე მაგ სადღეგრძელოს რომ იტყვი, ხელი უკან დაიფარე, არაფერი გამოგიჩნდეს!

ვითომც არ გამეგონოს, ჭიქა დავცალე და დავჯექი. სალამო ბინდი შემოგვეპარა და მიკვირდა, რატომ არ აპირებდნენ წასავლას. დედას ჩვენთვის არ ეცალა, ძროხას წველიდა სასიმიინდეს ქვეშ, ღორები ეზოში დაბორიალობდნენ. მიზეზი ვნახე და გამოვეკიდე ღორებს. უკან რომ მოვბრუნდი, ისინი ფეხზე იდგნენ და ვახტანგურად ჭიქებს ცლიდნენ. მესიაშოვნა, იქნებ საშველი დაადგეთ და წავიდნენ-მეთქი.

— ა, ჩემო ბიძია, — მითხრა გრიგოლ ბიძიამ, — ეგერ, ე, ბოძი, რომ დაასვეს; რა არის იგი?.. დენი, ბიძია, დენი! მალე სახლში სინათლეს შემოგიყვანებენ, დააჭერ ღილაკს თითს და ოთახი გახათდება. აბა, ასე საოცარი ხალხია კომუნისტები. მერე, იცი რა მო-

ხდება, დაგიდგამენ მოლაპარაკე რკინას და ქვეყნის ამბებს შინ მო-
სმენ! ჰო, ჰო, ასეა!

— მაგას რა სჯობს, ბიძია!

— არაფერი!... ამბობენ, მალე ტრაქტორიც ეყოლება სოფელსო.
შენ იცი, რა არის ტრაქტორი?.. ჰმ!.. ხარები არ სჭირდება, ისე დახ-
ნავს მიწას! აბა?!

— ულვაშა გვყავს ზემოთ, ულვაშა! — საჩვენებელი თითი აღმა-
რთა თეოფილე ბიძიამ.

მერე მათ ერთმანეთს მხარი მხარს გადადევს და ჭიშკრისკენ სიმ-
ღერით წავიდნენ, „აქეთ ჩაი, იქით ჩაი, კოლექტივში ყველამ ჩაი“...
მიიმდგომდნენ და მიდიოდნენ. მე სუფრას ხელი დავავლე და სახლში
შევიტანე. დედას თავისი ლეიბ-საბანი ქვემოთ ჩამოეტანა, ვიდრე სა-
წოლებს არ ვიყიდით, მე აქ დავწვებით, მითხრა მან. მე ოდაში ავე-
დი და მაშინვე იატაკზე დაგებულ ჩემს ლეიბ-საბანში გავეხვიე. ლა-
მის ციალი შემოდინდა ფანჯრებში. ძილი არ მომეკარა, ვნერვიულ-
ობდი, ვინმეს ჩვენი საუბარი ხომ არ გაუგონია-მეთქი. სტალინის
სურათს შევთხოვე პატიება, მე მართალი ვარ, ბერიკაცებმა რაღაც
წაიბუტბუტეს, ეგ რა სათქმელია. მე არც კი მახსოვს, რა თქვეს მათ,
არა, არ მახსოვს!.. მათ ცუდი არაფერი უთქვამთ!.. ვგრძნობდი, ღვი-
ნოს თავისი გაჰქონდა და — ჩამეძინა ტკბილი ძილით. მესიზმრებოდა,
ჩემი ახალი ოდა, ხან გაწყობილი, ხან რკინის საწოლები.. მესიზმ-
რებოდა მოგიზგიზე ბუხარი და.. სტალინის სურათის წინ დაჩოქილი
ვიდექი!

ღილით ადრე გამეღვიძა, ავდექი, ჩემს წიგნებს ძლივს
ივაგენი, ჩავაწყვე ხელჩანთაში და სკოლაში წავედი. ოდ-
აგ რომ წამოწვიმდა, თავი დამისველდა და შემცივდა.
დედამ მთხოვა, თავზე რაღაც წაიფარეო, მე ვითაკილე, თავ-
ზე ტილოს ნაჭერი როგორ წამეფარებინა. მხრებში მოკუნტული მივა-
ბიჯებდი. კოდმეზე გადმომდგარი ეკალ-ბარდი რომ გავიარე, გზის გა-
დაღმიდან ხველა შემომესმა. გულზე გამეკენწლა, მაშინვე ვიგრძენი,
ვინც იქნებოდა, არ გამიხედავს იქითკენ და ნაბიჯს ავუჩქარე, რომ
ჩქარა გავცლოდი იჭაურობას. ხველა განმეორდა, ვიცანი, ბიჭტორი
იყო..

— სად მიგეჩქარება, ყმაწვილო?! — დამცინავი იყო მისი ხმა.

ადვილზე გავქვავდი, თავი მძიმედ მივაბრუნე, ნუთუ წუხელ გვი-
სმენდა. მას მომღიმარე სახე ჰქონდა, კმაყოფილი. ხელით მანიშნა,
მასთან მივსულიყავი. ვერ ვიტყვი, ვინმე გვიყურებდა თუ არა, გზი-
დან გადავედი და მის წინ გავჩერდი. მან ამხედ-დამხედა, ისევ ჩაე-
ცინა.

— ა, კარგი სახლია?! — თქვა მან.

— კი, კარგია! — წარბი არ შევიტეხე.

— ჰო და, ბიძია, მაგას დაფასება უნდა, ტყუილად არაფერი არ კეთდება ამ ქვეყნად!

ენა ჩამივარდა. წვიმამ იმატა. ვგრძნობდი, სახეზე ჩამომდიოდა წვიმის წვეთები. მხრებიც დამისველდა. ხისკენ მიმწია, რომ წვიმას მოვრიდებოდი. მას ტყავის ქურთუკი და ჩექმები ეცვა, თავზე ბოხო-ხი ეხურა. ულვაშებზე ხელი გადაისვა და ისევ ჩაილიმა ცინიკურად.

— წუხელ კარგად იქეიფეთ... გაგიგონე შენი სადღეგრძელო, — უცებ გულზე მომეშვა, რომ მან სხვა არაფერი თქვა, — კარგი ბიჭი ხარ, მარა, უნდა იცოდე, როდის უნდა დალიო. სადღეგრძელო რომ შემოგელევათ, მაშინ კი არა — თავში. ეს დანაშაულია, იცოდე, ბავშვი ხარ, თორემ არ გაბატიებდი!

— მე თამადა არ ვყოფილვარ!

— ვიცი, იმიტომ გაბატიებ!.. სხვა რა ილაპარაკეს?

— არაფერი ისეთი!

— ნამდვილად?

— კი, ნამდვილად!

— არ მოიტყუო, თორემ... ციმბირი არ აგშორდება, ჩვენ, ხომ იცი, ყველაფერს გაგიგებთ!

— გასაგებია!

— შენ შინ ნუ ზიხარ, ხოლმე, ხალხში გადი, შენზე ექვს ვერაგინ ვერ აიღებს!

თვალები ისე გადმომიტრიალა, ტანში გამცრა, მიწა გამსკდომოდა მერჩივნა მის წინ დგომას. ჩემს გაშვებას არ აპირებდა. გატყობ-დი, ჩემი არ სჯეროდა, მაგრამ ვერც მიმტკიცებდა, რა თქვენს მათ წუ-ხელ. კანკალმა ამიტანა.

— წადი, სკოლაში არ დაგაგვიანდეს, მეორეჯერ არ გაბატიებ! ამბავი უნდა მომიტანო!

შევხედე თვალებში.

— თუ არაფერი არ ვიცი?

— როგორ?! წმინდანები გახდით? თვალის ახვევა, ბიძია, ჩემ-თან არ გამოგივა, წადი და გახსოვდეს, რასაც გეუბნებიან!

გაქვეთილების დამთავრებამდე მერხიდან არ ავმდგარვარ. სველი ტანსაცმელი ტანზე შემამრა, წამიდან-წამზე ველოდი, დირექტორი კარს შეამოალებს და მანიშნებს, გარეთ გამოდიო. მერე უცნობი და-მიწყებს გამოკითხვას... ალბათ, ბავშვებს ათვალისწინებული ყყავარ, ჩემთან სათამაშოდ არ მოდიან, არც მელაპარაკებიან. საკუთარ თავზე მე თავად ცუდი წარმოდგენა მქონდა და მეგონა, ყველა ჩემსავით

ფიქრობდა ჩემზე. მასწავლებლებიც მერიდებიან, გაკვეთილს არ მეკითხებიან, არც ახალი სახლი მოულოცავს ვინმეს. მე ხომ მათ ვეწვევო-
ლას მიეულოცავდი, ჩემს სიტბოსა და სიხარულს გამოვხატავდი. მე
კრინტი არ დამიძრავს, მაგრამ სოფელს თვალს ვინ აუხვევს. იქნებ
ბიჭტორთან დამინახა ვინმემ, გზის გადაღმა, ხის ქვეშ. საკმარისია!..
რა მინდა მასთან თუ წმინდა წყალი ვარ?! ათას კულს გამოაბამენ.
განა მათ იციან, მე რა დღე მადგას?! არა, არ იციან!

სიხალისე დაეკარგე. არაფერი არ მახარებდა. გაკვეთილების შემ-
დეგ მინდა ბიჭებში გავერიო. არ გამომდის. გავჩერდები ერთთან და
ისე ვდგავარ, თითქოს დამნაშავე ვიყო, შემდეგ მეორეს ვეტმასნები,
მაგრამ ხმას ვერ ვიღებ, ალბათ, ვინმეს ჰგონია, ყურს ვუვდებ მათ
ლაპარაკს. ხომ შეიძლება ისინიც ჩემს დღეში იყვნენ, ანდა, პირიქით,
აქეთ მითვალთვალებენ?! თუფილვე ბიძიამ ასე არ თქვა, სამ კაცში
ორი დამსმენიაო? **საკუთარ დედას ვეღარ ვნდობ**, სადმე რომ წამოც-
დეს ჩემი ნათქვამი, **დავიღუპებით**. იქნებ დედაც ასე ფიქრობს ჩემ-
ზე, მისი ნათქვამი სადმე არ წამომცდეს. აკი თავის აზრს ბოლომდე
არ ამბობს. თითქოს გულახდილია, თითქოს ახალი ცხოვრების კმაყო-
ფილია. მაგრამ ხომ ვხედავ, ერთ გულახდილ ფრაზას, მეორე, დამა-
ლული აზრი მოსდევს. არც ამბობს და კიდევ ამბობს ახალი დროის
კარგსა თუ ცუდს. დედას ჩემი ეშინია, მე მისი. საკუთარ თავში უნ-
და ვიხარშო, ვიწვა და ვიდაგო, მხოლოდ კარგის თქმის უფლება მაქვს,
რომ ვარ ბედნიერი და თავისუფალი. ალბათ, მალე საკუთარ თავთა-
ნაც შემეშინდება გულახდილი ფიქრი, რომ გაბრაზებულზე არაფერი
წამომცდეს. თავში არ უნდა გამიჯდეს ჭეშმარიტება, რეალურზე თვა-
ლი დავხუჭო და შთავაგონო ჩემი თავი — ჩვენ კარგად ვცხოვრობთ.
არ მაქვს უფლება ვიაზროვნო დამოუკიდებლად, მქონდეს საკუთარი
შეხედულებები.

მივიხედ-მოვიხედე, საკლასო ოთახში მარტოდ ვზივარ. საწიგნე
ხურგზე მოვიგდე და გარეთ გავედი. როგორმე უნდა დავძლიო საკუ-
თარი თავი, სასაყვედურო არაფერი მაქვს, ფაცხაში ვცხოვრობდი, ახ-
ლა ოდა მიდგას, ხვალ საწოლებს ვიყიდი, ოთახებს გავაწყობ, ვიყიდი
შარვალსა და ფეხსაცმელს, სასაყვედურო არაფერი მაქვს, რა მაში-
ნებს, დღითი დღე ცხოვრება უმჯობესდება, რატომ უნდა მქონდეს
უარყოფითი შეხედულებები.. ადამიანები უმადურები ვართ, არ გვი-
ნდა კარგი დავინახოთ!.. სურვილის მიხედვით ყველა ვერ იცხოვ-
რებს, ქვეყნის თარგს უნდა მოერგო, არ მოგწონს, კარგად იყავი, გზა
მშვიდობისა!.. რაც მოგივა, საკუთარ თავს დააბრალე.

ჯერ შრიალი მომესმა, მერე ხველა. თავი ავწიე, გზის გადაღმა

ბიქტორი იდგა, იქ, სადაც დილით შემხვდა. ხელით მანიშნა, აქ, მო-
დიო. მივედი.

— რატომ დადიხარ მარტოდ? — მეკითხება იგი.

— ბავშვები გამირბიან.

— რატომ?

— არ ვიცი, იქნებ იციან, აქ რომ მხვდები!

— მერე?... — გესლით გაიცინა მან, — გეშინია ჩემი?

— შენი არა, ბავშვებს ეშინიათ ჩემი!

— რა იციან მათ?

— ვერ გეტყვი!

— შენ არ ხარ გულწრფელი!

— რატომ, ბატონო?

— განა არ ვიცი, ვისი ნაშვირცა ხარ. შენ ხალხში არ დადიხარ, რომ არაფერი გაიგონო და თავი იმართლო, არაფერი გამიგონიაო!

— იქნებ მე მეტი არ შემიძლია!

შემომიბღვრია და მკლავზე ხელი ჩამავლო.

— შენ ბედისწერას ხომ არ აუტანისარ?

— რა გინდა ჩემგან?

— არ იცი?

— კი, ვიცი, მაგრამ ტყუილს ხომ ვერ ვიტყვი!

— თუ საჭიროა, უნდა თქვა შენდა სასიკეთოდ! მეც მხარს დავიჭერ და ერთგული კაცის სახელს დავიმკვიდრებთ!

— მასეთი სახელი მე არ მჭირდება! — თავად გამიკვირდა ისე გაბელულად ეუთხარი და მკლავზე ხელი გავაშვებინე.

— შენ, ბიჭო, თავს დაილუბავ!.. გიჯობს დაფიქრდე!.. სოფელში ხნას დავიყრი, ვისზე რას ამბობ!.. ჩემს თავს შენ არ გავაფუჭებინებ!.. შენ საშიშდ ყოფილხარ!

— რატომ, ბიქტორ ბიძია, ცუდი რა გავიკეთე, არსად კრინტი არ დამიძრავს!

— იტყვი! — თითით დამემუქრა, — მე რატომ უნდა მქონდეს შენი შიში?!

— არა, ბიქტორ ბიძია, არა!

— ჰმ! რეგვენო! შენ გააკეთებ იმას, რასაც გეუბნებიან! ჩემგან თავს ვერ დაიხსნი!

— მე არ ვაპირებ თქვენს წყენინებას, არა, არ ვაპირებ!.. მე როგორც საბჭოთა ახალგაზრდა, ვალდებული ვარ, ცუდი თუ რამ გავიგე, ვითხრათ!.. ხალხის მტრებს განა ხელს დავაფარებ?! არა, არ დავაფარებ!

ჩემი სიტყვები ესაიშოვნა, წარბი გახსნა.

— ნუ თამაშობ!

— არა, არ ვთამაშობ!

— კარგი, წადი და ვნახოთ!... როცა დაგჭირდეს, იცი, როგორ მნახო. არ დაივიწყო, რაც გითხარი. მტერი ბევრია, კიდეც მეტი, თითოეულ ადამიანში შეგიძლია აღმოაჩინო იგი. გამიგე, რა გითხარი?!

შებრუნდა და თავქვე დაეშვა ხევისკენ. მეც პირი ვაქციე, უკან რომ მოეხედა, არ დავენახე, თვალი დავატანე. არადა, იარაღი რომ მქონოდა, ტყვიას ზურგში დავახლიდი. დავახლიდი, რაც არ უნდა მომსვლოდა. მე იგი არ მომეშვება, მე მისი მეშინია, მას კი ჩემი. ვიცი, ვინც არის და ეშინია, არ ვთქვა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ითქმება!

ან მე უნდა ვიყო სოფელში, ან ის!...

ან ერთი და ან მეორე!...

დედას არ ესაიშოვნა ჩემი გამომეტყველება, შეშფოთებული თვალებში შემომცქეროდა.

— მშვიდობა ხომაა, შვილო?

— კი, დედა!

— არა, შენ რაღაც გაწუხებხარ!

— ალბათ, დავიღალე! — საწიგნე შიშველ საწოლზე მივაგდე და ჯორჯოზე ჩამოვჯექი. ფეხი სველი მქონდა, თითები ცურავდნენ წყლით გაყენითილ წინდებში. წაღები წავიძვრე და ცეცხლთან დავაწყვე.

დედამ გადმოხედა.

— შარვალი გაიხადე და გავრეცხავ!

— რა ჩავიცვა?

— სახლში იყავი, პერანგსაც გავრეცხავ, დილამდე ცეცხლთან გავაშრობ!

— კარგი, დედა, ავალ ოდაში და დავწეები!

დედამ ეჭვით შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. შარვალი და პერანგი აივნისაგან გადმოვუგდე, ლეიბ-საბანი იატაკზე გავშალე და გავგორდი. ჯერ ადრე იყო, შუადღის პირი, დილამდე გამიძნელებოდა საწოლში ყოფნა, მაგრამ ასე სჯობს, ჩემთვის ვიქნები, ვიფიქრებ მხოლოდ კარგზე, მხოლოდ კარგზე! ცუდი თვალთ არაფერს არ შევხედავ, ან საერთოდ, არ ვიფიქრებ!... ასე სჯობს, არ ვიფიქრებ! ავდექი, ავიღე ჩვარი და ბელადის სურათი გავწმინდე. მალე სინათლე მექნება, დავაჭერ დილაკს თითს და ნათურა აინთება, ილიჩის ნათურა, სინათლე შემოვა ჩვენს ოჯახში. დავგიდგამენ რადიოს და მოვის-

მენტ ქვეყნის ამბებს. მეცოდინება, რა ხდება ქვეყნად. რატომ უნდა
ვიფიქრო მე, როცა ჩემზე ბელადი ფიქრობს!... ბიქტორი მეტყველებს რომ
შემხვდება, ვეტყვი, თავი დამანებოს, თორემ მთავრობაში განვაცხა-
დებ... დამიჯერენ?... ტანში დამყრუოლა, შემცივდა და მოვიკუნტე,
მყისვე საბანში გავეხვიე. ცოტა ხნის შემდეგ დედამ სადილი ამომი-
ტანა, სასთუმალთან, იატაკზე გამიშალა და მთხოვა, მესადილა!



ვისი ვარ ღა ვისთან ვარ

აირია მონასტერი,
აირია, აირია,
არაკაცად ყოფა არ მსურს,
კაცად ყოფნაც შაირია.

ჩვენი ხარ თუ ხუნტისაო,
ვაიმე, სული მეხუთება,
ერთი მუჟა ქართველი ვარ,
აბა, რალა მეხუნტება.

ლეკვებს ტანში აყრილებით
ალგეთის და თრიალეთის,
ეს მარჯვენა მომაჭერით,
ოჟი ჩემს ძმას ტყვიას ესვრის.

სკვითები თუ მოგვესიგნენ
ხმალში არც მე დაგზარდები,
ოღონდ ახლა შესძელი და
ამაშორე ბაზალეთი.

ლაშქრის ბოლოს ვერვინ მნახავს.
ლაშქარს მუდამ წინ წავუვლი,
ოღონდ ახლა შესძელი და
ამაშორე წიწამური.

მეფე ხარ თუ მსახური ხარ,
უნდა ენთო კელაპტრებად,
კაცს გინება მოსწყენია,
ტკბილი სიტყვა ენატრება.

აგნიდან რომ ვუცინოდი,
ვეფერები იმ ცის ტატნობს,
ვისიც ვარ და ვისთანაც ვარ,
საქართველომ იცის მარტო.

* * *

თუმცა მხედარენ მარტოსულს,
სულ მალე ავღორძინდები,
ზამთარში ფიფქზე გამოსულ
იაზე დავქორწინდები,

* * *

ბასრი დანით ნაჭერ-ნაჭერ
ოლეში ცხრაჯერ ავიქნები,
მერე რალაი ცრემლის ღვარი,
როცა ქვეყნად არ ვიქნები!
ნეტავი მას, ბედის ჩიტი
ვის სახელზეც წამოფრინდა,
მერე რალაი სიბრალული,
როცა წავალ ამ სოფლიდან!
შენ რომ ეფერები, ციცავ,
უფრო ამაყია ის ცა,
მერე რალაი სინანული,
როცა დამაყრიან მიწას!
ჭაბუკები, ჩაუქები
იწყევლიან დაბადებას,
რალაი სიყვარული, როცა
სული პატრონს ჩაბარდება!

* * *

ვინც შენ გიყვარდა, მისტერ, ის
დღეს იმ სიყვარულს მისტირის,
იმჟამად შენი მკვლეელი და
ამჟამად ცოლი მიწისტირის.
ახლა ფიქრია მადამის:
დალუბა სულ სხვა მადამ ის.

თურმე ვცხოვრობდით სიზმრების სახლში,
დიდხანს გვეძინა და გვიან მივხვდით,
სიხარულს, მაშინ აღებულს ვახშით,
ახლა ორმაგი წვალეებით ვიხდით.

იყო ჩემს გამო ლამაზი ცრემლიც,
შენი წამწამის უბიწო განძი,
მაგრამ გულწრფელი გაოცდა მრევლი,
როცა ყოველი დასრულდა მარცხით.

და ახლა გვიკვირს, გვიკვირს ძალიან,
იმ წამწამების განძის გამჩენმა,
იქნება ისიც ბედის ბრალია,
ღმერთს ფუჟვარდით და რომ ვერ გვამჩნევდა.

გაბოვნე... თი, რამდენს გეძებდი,
სიხარულისგან რამდენს ვროკავდი!..
მე რა ვიცოდი, ამდენს შეძლებდი,
მიტირებდი და მაინც მომკლავდი.

* * *

საფლავთან კოცონივით მოცხარია,
მარადისობისკენ რომ ეშურება,
იმისი ბედი შემშურდება,
ვინაც საფლავშიც ცოცხალია.

* * *

ძნელია, მაგრამ რა საამოა,
ყველას ამაყად ღავენახვები,
როცა... ჩართულად სული ამოვა,
როცა... ქართულად დავიმარხები.

დავხუჭავ თვალებს და... აღარ გვენტობ,

მზის მალეწყებელ ანგელოსის ვდგევარ

მხარდამხარ...

გამიგონე და (ხადშიც ისე მაცოცხლე, ღმერთო,
 როგორც სიზმარში ვცოცხლობ ხანდახან.

შენ რამდენჯერაც

...და ქარი ღამით აწვალებს გვიან
 ფეჭრით ისედაც დაღლილ ზაღრანებს.
 სულ თუ ნაზიწი მისრულე ტყვია
 და თვითმკვლელობა რად დამაბრალეს?!
 ვერ დაგინახეს (არა გაქვს ბიძე).
 თუ სხვათაშორის არ შეიმჩნიეს?!
 მე კი მომვარდა ბაჭემ ცხრა ყბილი
 და თავის ცხრაჯერ მოკილა მირჩიის.
 ამ სიძლერასაც სიგიჟე ჰქვია,
 არ ეშინია თავის გამხელის, —
 შენ რამდენჯერაც ამაცდენ ტყვიას,
 ზოსტად იმღინჯიერ დავიმარხები.

მზეა თუ ზეცის მცხუნვარე ლოყა,
 თვალებს დავხუჭავ შინზე ოცნებით.
 შენ რამდენჯერაც შეძლიერ და მომკლავ,
 ზუსტად იმდენჯერ გააიტოვებლები.
 ჩვენზე მგოსნები ლექსს გარიტმავენ,
 ლექსი უხდება პოეტის მარჯვენს.
 ერთხელ სიკვდილი არ ჩაგვითვალეს,
 თუ მოკვლა არის, მომკალი ცხრაჯერ..

გასათხოვარი ტყვედღეი

ამერიიდან ტყემლებს ტყვე ვარ
 (აბა, დაიხსენ თავი როგორმე!),
 ან გული როგორ ვატყინო ტყემლებს.
 სოფლის ყველაზე ლამაზ გოგონებს?!

ცხადშიაც ათას სიზმარს მოვიარ,
სულ არ სურთ ჩემი სრა-დარბაზები,
მე თავი უშნო ვინმე მგონია,
ამათ საიდან ველამაზები?!
ჩემს გამო ბაჩემ ათმა ათია
ლამე და რიდი არ მაპატიეს,
ათი კი არა, ათჯერ ათია,
აბა, გაუძელ ათჯერ ათივს.
რა გამაჩერებს ამ ცრუ ქვეყანას,
საკუთარ ხელით ოთხ ფიცარს გავთლი,
რომ არა მქონდეს თვითკაბიანა
ამ საბატარძლო ტყემლების ხათრი.

* * *

ჩანგურივით ჩაატარებს კლდეს ჩანჩქერი
ჩამდინარი,
ერთი საქართველო მყავს და ათასერთი შადიმანი.
წყლის ნაცვლად სისხლს ადუღებენ, ქვაბში მაგრად
მოურევენ,
აფსუს, სისხლში იხარშება ხორცი დიდი მოურავის.
ქეიფისთვის ემზადება ამდენი ნაპაშიმარი,
საიდან ქრის, საიდან ხრის მუხებს ქარი საშიშარი?!
სულს იღვამს და თვალებს ახელს შაპ-აბასის თავის
ქალა,
რომ ქართველი ლამაზმანი კვლავ დაისვას თავის
ქალად.
რუსთაველის ნატერფალი ისე დავწვით,
გადავხანით,
სამარეში გულზე შურით სკდება ალა-მაჰმადხანი.
— ერთი საქართველო მყავს და ათასერთი
შადიმანი, —
ჩანგურივით ჩაატარებს კლდეს ჩანჩქერი
ჩამდინარი.

ავი ზრახვებით გაზრეგნილი შავი ავაზა —
 კვალში მომყვება ბედისწერა ოხერტიალი,
 კარგა ხანია ლუსკუმეთში დავხეტიალობ.
 ღმერთმა სინათლის ერთი წვეთიც არ მითავაზა.

გავერთადერთდი... როგორ მინდა ვიქცე სამასად,
 რომ ვესამარო სიკვდილივით მღუმარ ყიამეთს,
 გაგსიზმარდები... რად ვინატრო მეტი სიამე?!
 შუა გაფატრულს ლეკერტები დამდის ლამაზად.

ვინაც მიწამა, წამომიღებს ალბათ წამალსაც,
 მისი გულისთვის ბეწვის ხიდზე ბევრჯერ ვიარე,
 აჰა, წამი და... ბავის მზითაც წაშლის იარებს,
 იყავი მშვიდად, ეს — ოცნებამ წაიმამაცა.

მე ვარ ბრძოლის ველს შერჩენილი კენტი კენტავრი,
 მოვდივარ, მომაქვს მკერდის ჩანგი ნალეკერტალი.

* * *

ცის ტრამალები მოძოვა ღველფმა.
 ცა უსაშველოდ დამაშვრალია.
 ტირილის ნიჭი მეც მომცა ღმერთმა,
 მაგრამ ცრემლების ზღვა დამშრალია.

გადაუხდელი ვისი მაქვს ვალი
 ცხელსისხლიან და ამაყ აზიელს?!
 გაგლიჯეს მკერდის ოთხივე კარი
 და გული ნაჭერ-ნაჭერ გაზიდეს.

აკაპსულია გული სამწვადედ.
 და ცეცხლის ალზე აშიშხინებენ,
 შიმშილისაგან რომ არ გაწვალდეთ,
 მოდიეთ, რამდენიც ვინდათ, ინებეთ!

მე კი... რა მიწავს, ამ ლამაზ ფოთოლს
 ვემახსოვრები შემოდგომამდე,
 გიდრე ცის ფერფლი ამ მთებზე მოთოვს,
 გული გაუძლებს ხანძარს ორ ამდენს.

ამ ბიძიუხის აზიციუხი

„— გაღმოვიხედო, თუ მსურს, პარნასით,
ვინ გამამტყუნებს, აბა, ამაში?!
აღმართს ავრბივარ ორმაგ თამაშით
ღა ეს თქვენ რატომ გეუცხოებათ?!
ამ ღვთის დალოცვილ საქართველოში
ხან ეშმაკი ვარ, ხან ანგელოსი,
ვერ მოესწრებით ჩემსას პანაშვიდს
თქვენი ცხვარივით სულის ცნობება!“

ამ ბიძიუხის
ამბიციებით,
მომგებიანი აზრის ძიებით...

მიღის ცხოვრება.



აუხდენელი ოცნებავ ჩემო!

მშვიდობით ტრფობავ, სიყვარულო, ლხინო, იმედო,
ნეტავ შემიძლოს მოგონებავ, შენც გაგიმეტო.

ჯორჯ ბაირონი

— იცი, თამაზ, იმ დღეს რალაც გამაოგნებელი მშვენიერება ჰქონდა თოვლით დაფარულ ეზო-კარს. უკეთილშობილესად გამოიყურებოდნენ თეთრად გადაპენტილი ხეები, რომლის წვეროკინებს ჩვეულებრივი ფორმა დაეკარგათ და კითხვის ნიშანს დამსგავსებოდნენ. გადავწყვიტე ტანი თოვლით დამეზილა. ცაზე აშლილ ღრუბლებს თვალი რომ შევავლე—გავიფიქრე, კიდევ ხომ არ გათოვდება-მეთქი. ღრუბლებს წინ უზარმაზარი თეთრი აქლემი მიუძლოდა. კუდზე გამობმული დათვის ბელებით. რა გაცინებს თამაზ? მართლა დათვის ბელებს გავდნენ. ალბათ განსხვავებულ ხასიათზე ვიყავი და მიტომ აღვიქვი ასეთნაირად ყველაფერი. ჯერ სადა ხარ... ბელების ესკორტს ცალი თვალით უტყეპროდა მელია და სახეს თათით იწმენდა. მთის წვერზე კი ლომი მარტო მოკალათებულიყო და თვლემდა. ღრუბლების ცქერამ ისე გამართო, რომ ტანის თოვლით დახედა სულ გადამავიწყდა. წინათგრძნობა არ არსებობსო, არ თქვა თამაზ! უჩვეულოდ კარგ ხასიათზე ვიყავი. სინამდვილეში საკარგხასიათო არაფერი მქონდა. დაცარიელებულ კარმიდამოში ორი დღით ჩამოსულს უგზოობის გამო თბილისში დაბრუნება ვერ მომეხერხებინა. ვინ იცის, ცოლ-შვილი როგორ ნერვიულობდა ჩემს დაგვიანებას. კათედრაზე კი უამრავი გადაუჭრელი და ძნელად გადასაჭრელი პრობლემები მელოდა. დაძაბული ნერვები თითქმის მოშვებულებო. ის დრო დამდგომოდა, რომ მინდოდა, ყველაფერი სიმართლე მეთქვა. თუმც, რა თქმა უნდა, განა ყველა ჩვენთაგანი არ ვგრძნობთ, რომ ამ საზოგადოების პროდუქტი ვართ და ჩვენი გარდაქმნა აწი ძალიან ძნელია? უდავო ჰეშმარიტებაა: „აგესა კარგით ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“. თავის მოტყუილება იქნება იმაზე ფიქრი, რომ იგივე ადგილზე მყოფნი ქრთამს არ ავიღებთ, ნათესავს არ მივეხმარებით და პროტექციას მოვსპობთ. ხომ გაიგე „ვერხი“ რამდენი უნდოდა ფასიან სამედიცინოზე მოწყობას?

— სოფელში ჩასვლა იყო შენი კათარზისის მიზეზი?

— ნუ გეცინება, თამაზ. ვიცი გულში არ მეთანხმები, რომ წელს სიღარბაისლით, სტუმართმოყვარეობითა და რაინდობით განთქმული ხალხი როგორ უფსკრულამდე მივდიოთ. უწინ თუ კორუპციამ შეგვიქამა გულ-ღვიძლი, ახლა ერთმანეთს ვჭამთ.

— მაგისტრის დამირეკე, რომ პოლიტიკაზე მელაპარაკო? თათბირიდან მოვდივარ და თავი გასკდომაზე მაქვს.

— არა, რა თქმა უნდა. ეს იმიტომ, რომ მინდა გითხრა, წინ რა უძღოდა ყველაფერ ამას, იცი? ყოველ ადამიანს გულში რაღაცის მოლოდინი აქვს. ასე მგონია მთელი ჩემი ცხოვრება ამ დღეს ველოდი. თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. მაინცდამაინც ჩემი მშობლების სიკვდილი იყო აუცილებელი, რომ სოფელში ჩამოსულს მას შეეხვედროდი? ეს მანამ მაინც მომხდარიყო, სანამ ჭაღარა გამეჩრდოდა.

— კარგი, ჯაბა, რა არის, რაღაც ნიკორასავით შუბლზე თეთრი გადაგყვება? მერედა იგი კი არ გაუგებს, პირიქით, გიხდება კიდევ.

— მაგაში კი არ არის საქმე. მხრებზე ოთხი ათეული წელი და ცოლ-შვილი რომ მაწევს, ეს არაფერია? იცოდე შენ, რომ ისინი ნერვების აშლის მეტს არაფერს მიკეთებენ.

— სოფელში ერთი კვირით მარტო ყოფნამ და ზამთრის ზოზინა ღამეებმა განაპირობა, ალბათ, შენი ასეთი განწყობილება.

— რა განწყობილება, თამაზ! რა განწყობილება! კაცი განახევრებული ვარ.

— რამდენადაც მახსოვს შენ ღია სტუდენტობისას შეირთე სიყვარულით. კახამ გუშინ საბჭოს სხდომაზე მშვენიერი მოხსენება გამოიტანა, გოგონაც ნორმალური ჩანს.

— გეგონოს შენ მაგენი ნორმალური. შორიდან ყველაფერი ცისფრად მოჩანს და თითო ქოთანს ყველა ოჯახში დუღს. სოფელში მე მარტო უნდა წავსულიყავი? რომელიმე არ უნდა გამომყოლოდა? კარგი, ადრე არ მოდიოდა ქალბატონი, დედაჩემს ვერ იტანდა. ახლა? ახლა ვინდა ჰყავს ხელისშემშლელი, როცა დედაჩემს ერთი საუენი მიწა აყრიან?.. არის კატეგორია საქმეებისა, რომლის პატიება არ შეიძლება... სახლის დათოვლისას რომ სახურავიდან ჩამოვვარდნილიყავი, ვინ იყო ჩემი პატრონი. ერთბაშად მეზობლები არ მყავდეს ახლოს... რაღაც უხილავი ხმა ჩამძახოდა, რაც მშობლები დაგეხოცა, მის შემდეგ შენ მარტო ხარ ამ ქვეყანაზეო. თუმცა, რა ხმა მიხდოდა, ამას მე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი. ყველაფერი, ალბათ, წლების მანძილზე გროვდებოდა და იმ დღეს მე ვიღაცას ქვეშეცნულად ველოდი. ველოდი, რათა ჩემი უფერული ცხოვრება შეცვლი-

ლიყო. ისევ ამეხედა ცისკენ და ისევ მომესმინა რაფაზე შემომსხდარი ჩიტების ჟღერტული.. ეს შეგოწმებული ცოლქმრობაა მამაკაცებს სულიერად და ფიზიკურად რომ ანადგურებს, იცოდე.

— ჯაბა! შენ გგონია, მარტო შენ გაძძიმებს ოჯახის უღელი? ცდები, თუ ასე ფიქრობ. გუშინდელ ამბავს გეტყვი და გავეცანება. უნივერსიტეტის წემოთ ავტობუსს ველოდებოდი. მშვენიერმა გოგონამ ჩამიჭროლა და უცხოური სუნამოს სურნელი მომაფრქვია. კინალამ თავბრუ დამესხა. გონება სწრაფად მოვიკრიბე და გავეკიდე. მალე დავეწიე, სახელოში ხელი მოვკიდე და მოვაბრუნე. დიდი ზურმუხტისფერი თვალები ჰქონდა. გამაოგნებლად ღამაში იყო. გაკვირვებულმა თვალები რომ მომაბრიალა, მაშინ გამახსენდა ოცდათექვსმეტი წლის ცოლიანი კაცი რომ ვიყავი და სიცილი ამიტყდა. სულელი ხარ, ვიღაცა ხარო, მითხრა ამ პროფესორ კაცს. რომ ვიღაცით გატაცება კიდევ შემიძლია, რომ ჩემს ალქაჯ ცოლს ჩემში ჯერ კიდევ არ ჩაუვლავს ყოველივე ზეამაღლებული, ამან უსაზღვროდ გამახარა.

— არა, თამაზ! ჩემი საქმე უფრო რთულადაა. დღეს მე თვალები ამეხილა. მეჩვენება, რომ წყვდიადიდან ამოვედი და სამოთხეში მოვხვდი, რაც მთავარია, ამქვეყნიური არა მცხია რა. სათამაშო ტიკინებად და დეკორაციებად მეჩვენება ირგვლივ ყველაფერი, თითებზე ვითვლი იმ დღეებს, როდის ვიყავი ბედნიერი, მგონი არც არასდროს..

დაახლოებით ხუთი საათი იქნებოდა, ჭიშკრიდან მამაჩემის სახელი რომ გავიგონე.

— ამბაკო ბიძია, ამბაკო ბიძია.. გული შემეკუმშა. მამაჩემი თითქმის წელიწადია, მიწას მივაბარეთ და ახლა მის სახელს ვინ იძახის მეთქი. ჭიშკარს გავხედე. ვერ ვიცანი, შემობრძანდით მეთქი. მეტი ხვეწნა არ დამჭირებია. ჩამოსულს თვალს არ ვაშორებ. მოდის ჩემსკენ მშვენიერება, რაღაც დიდებულება იგრძნობა მის სიარულში. თვალი არ მოუშორებია, ისე მომიახლოვდა, მორჩილება და სიყვარული იხატებოდა მის ნაღვლიან თვალებში. ვატყობ, ძალიან ღელავს, თითებით თავსაფრის ფოჩს აწვალებს.

— ფერმის გამგემ, ისიღორე ბიძიამ შემოგითვალათ.. მე მისი მღვდური ვარ, ამბაკო ბიძიას რომ დეკანოზი ჰყავდა მობარებული, მალე ხბოს მოიგებს და ხომ არ წაიყვანთო. ჩვილბოიანს განსაკუთრებული მოვლა უნდაო.

თამაზ! ხომ არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი წუთები, რომ არ იცი, რა გააკეთო, ვისთან მიხვიდე, რაზე იოცნებო. ხარ გამოცარული, თითქმის ვიღაცის უხილავმა ძალამ თავის ქალიდან ტვინი ამოგიღო და ამის გამო არ შეგიძლია აზროვნება. უცხო ქალთან შეხვედრამ თითქმის რეალურ სამყაროს მომწყვიტა. ახლ! ამას ასე დაწ-

ვრილებით იმიტომ გიყვები, რომ შენზე ახლობელი არაფერი მყავს, რომ დაგიჩვეო და მითხარი, მალე მოვალ, შენს მოსვლამდე ადგილს ვერ ვოულობდი. რომ არ მეთქვა ყველაფერი, ალბათ, გული გამისკდებოდა. ლექციები დავამთავრე და სახლში წასვლა არ მინდოდა. იმაზე საშინელაა არაფერია, როცა შინ არ მიგიხარია. შენს მოსვლამდე წუთებს ვითვლიდი..

იმას გეუბნებოდი, თოვლმა ტრიალ-ტრიალით რომ იწყო წამოსვლა, მიხვდი, ბევრს დადებდა და სახურავის დაუთოვლავად თბილისში დაბრუნებაზე ფიქრს აზრი არ ჰქონდა..

გუცქეროდი ამ ლამაზმანს და ვფიქრობდი.. ვინ უნდა იყოს ნეტავი, ან ამ მთებში რა ქარმა გადმოისროლა მეთქი. საღაც ცის დასალიერისკენ იცქირებოდა თავისი ლამაზი, შავი წამწამებით შემოჯარული დიდი ცისფერი თვალებით. ვერგამხელილი სევდა დაფათურობდა მის სულში და მთლად მდუმარებაში ჩაძირულიყო. უეცარმა სიხარულმა თითქოს დამამუწვა. ან რა მიხაროდა, ვერ გამერკვია. ასე მომეჩვენა, ჩვენ ერთმანეთს დიდხანს ვეძებდით და ახლა შევხვდით, რათა აბღღვიალებულ კიბეებზე ხელიხელჩაკიდებულებს გვევლო და უსრულებლივ.

— სახლში შემობრძანდით. აქ გაცივდებით. — უკვე თოვლის ბაბუას დაემსგავსეთ. — როგორც იქნა შემოვიპატიეთ.

— არა! არა..

— გთხოვთ, ძალიან გთხოვთ. — ისე შევეხვეწე, მგონი, ცრემლებიც კი მომადგა. ჩემს თხოვნაში იმდენი მუდარა ჩანდა, უარი ვერ მითხრა.

მე თვითონ არ ვიცი, რატომ ვეპატიყდებოდი ასე უსაშველოდ. მართო ყოფნა არ მინდოდა თუ რა იყო, ვერ გამერკვია. ეგებ, უბრალოდ, მომეწონა ეს ფერმკრთალი უსაშველოდ ლამაზი ქალი, მერცხლის ფრთასავით გაფრენილი წარბები რომ უმშვენებდა შუბლს. ხანში შესულებმა რომ იცინან, ისე ჰქონდა შესკვნილი გრძელი ფოჩებით დამშვენებული სამყურა თავსაფარი, შავი თმები თეთრ შუბლზე უწესრიგოდ ჩამოეყარა. „სიმეტრია ჰქმნის სიმეტრიას“ — რატომღაც ეს აზრი ამეკვიტა. პატარა სქელი ტუჩები მუქი ფერის პომადით შემოვხაზა. იფიქრებდი, ალბათ, საღებავი არ ეყო და ტუჩები მთლიანად იმიტომ არ შეუღებიაო... უკვე ღამდებოდა. ირგვლივ ქათქათა მშვენიერება გამეფებულყო. მალე ორივენი თოვლის ბაბუას დავემსგავსებოდით. უხერხულობა არც კი მიგრძენია, ხელი მოვკიდე და ოთახში შემოვიყვანე. პალტოს გახდა იუარა. ახლავე უნდა წავიდეთ. ორიოდვე გაცვეთილი ფრანგად ვუთხარი. მოსვლა იყო თქვენი ნება, ხოლო წასვლა კი არა მეთქი. გაიცინა. მერე უცებ მოიღუშა. ეტყობა, პირ-

ველად ვერ იაზრა, ისე გადმოდგა ნაბიჯი. ახლა, თავი უცხო მამაკაც-
თან რომ დაიგულა, წასვლა დააპირა.

— ოღონდ ახლა ნუ დამტოვებთ და მთელი ცხოვრება სალოცავ
ხატად მეყოლებით-მეთქი — შევეხვეწე.

— ნუ იტყვით მაინც, — შემომიწყრა, შხვართა თითები პირთან
მიიტანა და დაიორთქლა.

— ცეცხლს დავანთებ ბუხარში, — შევთავაზე.

— არა. არა... შეშინებულმა მითხრა.

— ვინ ხართ? ყაჩაღივით სახლში რომ შემომეჭერით და ახლა
ყველაფერზე უარს მეუბნებით-მეთქი.

— შემოგეჭერით ხომო — ისე მაღიანად გაიცინა. საცქერად ღირ-
და. — მასწავლებელი ვარ. 5 თვეა რაც აქ ვმუშაობ. წარმოშობით
კი მეგრელი ვარო..

— მეგრელი რაჭაში როგორ გამოგიშვეს? — შევეკითხე.

— ხდება ზოგჯერ. თქვენ რაჭველი გერჩივნათ, ალბათო.

— არა. რატომ! მეგრელი ქალების ერთგულება და სილამაზე გა-
ნთქმულია. სიმღერაში ხომ ქურუმები არიან, მეთქი.

— კი, სიმღერა კი ვიცითო, — გამიღიმა, ტირილი ხომ მაღალ დო-
ნეზო..

— ახლა მე ყველასაგან მიტოვებულს, მამაპაპისეულ სახლში ეუ-
ლად მყოფს რომ რაიმეს მიმღერებდე, ალბათ ჩემზე უბედნიერესი
კაცი ქვეყანაზე არ იქნება მეთქი, — ყელი თითებში მოვიქციე. მეტი
თხოვნა არ დამჭირებია.

— უცნობმა რომ გიმღერო, ნამეტანი ფუფუნება ხომ არ იქნება
თქვენთვის, ნეტავიო. — მიღიმის რალაც მომაჯადოებლად და თვ-
ლს არ-მაშორებს. პალტოს ღილების წვალება და სიმღერა ერთად დაიწ-
ყო. არა, თამაზ! ეს სიმღერა არ იყო. ეს მოთქმა იყო ძალიან უბე-
დური ადამიანისა, რომლის საცოდაობითაც მიწა უნდა ატირდეს..
ოჲუ ნანაა, დი-დავოი ნანაა.. ისე სევდიანად იმღერა... უფრო სწო-
რად იტირა, რომ ტანზე ბურძგლები დამაყარა. მსგავსი არაფერი მო-
მისმენია..

— ხომ კარგად ვტირი? — შემეკითხა. თვალებში შევხედე. იგი
ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— სხვანაირად არ შემიძლია. ჩემდა უნებლიეთ მეტირება: „ჩონ-
გუროს“ რომ ვმღერო, ტირილი მაშინ უნდა ნახო. ღვარღვარად ჩამო-
მდის ცრემლები. არ იფიქრო, დიდი გრძნობის გამო ვტირი, უბრალოდ
მეტირება და ვტირი. ტირილი მიყვარს საერთოდ. იგი მაშვიდებს
და მერე კარგ ხასიათზე ვდგები.

— აბა ახლა კარგ ხასიათზე იქნები და მითხარი: ჩემნაირმა ჭა-

ღაროსანმა რომ გითხრას, ცოლად გამოყევით, ხომ არ გააწილებ მეთქი, — ვუთხარი.

ახლაც მიკვირს რაზე ვუთხარი ეს სიტყვა. წინასწარ მოფიქრებული არ მქონია. არა, რაღაც ბუნებრივი ძალები განაგებენ ადამიანის გონებას ნამდვილად.

— მასე მხოლოდ უცოლოები ლაპარაკობენ, — მითხრა და თავისი ცრემლით სავსე თვალები სახეზე წრიულად გადამატარა. მერე უცებ მობრუნდა, კარებისკენ გაემართა და კიბეები სასწრაფოდ ჩაირბინა.

დაუოკებელი სევდა დამეუფლა. და დავედევნე სწრაფად მიმავალს.

— ცოტა ხანს ჭიშკართან გამიჩერდი, თორემ თავს მოვიკლავ მეთქი — ისე სასოწარკვეთილი ხმით დავუძახე — წამით შეჩერდა, რომ მიეუახლოვდი, გაკვირვებული მომაჩერდა. უკვე მის მეტი ქვეყანაზე არავინ და არაფერი მახსოვდა. რაღაც ყოვლისმომცველი, უზარმაზარი გრძნობა დაუფლებოდა ჩემს სხეულს და გასაქანს აღარ მადლებდა. ეს იყო ზებუნებრივი, ხელშეუხებელი. მე შემეშინდა ამ გრძნობის. ცრემლად და კაეშნად მომდგომოდა იგი. ეს მარტო ქალი არ იყო. ეს იყო წმინდა ტაძარი, სადაც სალოცავად შედიან მხოლოდ. ჩვენ ხომ ღმერთს სიზმარშიც კი არ ვნახულობდით და საკმევლის სუნიც დიდი ხანია დაგვაფიწყდა, თითქოს ახლა გამოვიღვიძე და მივხვდი, რომ ღმერთმა სალოცავი დამიბრუნა. გულმა სიხარული ვერ დაიტია. მას ფანტელები აცვიოდა და თანდათან არაბუნებრივი ხდებოდა. მიეუახლოვდი, თოვლი ჩამოვუფერთხე და ვაკოცე. უცებ მომიცილა — კარგად იყავი ჯაბო, — მომადახა და გაიქცა.

— სანამ არ მეტყვი საიდან იცი ჩემი სახელი, თოვლის გუნდებს არ აგაცილებ მეთქი, — დავემუქრე.

— მაგ სევდიანი ისტორიაა და ასე ჰარი-ჰარად სათქმელი არააო, — შემომტირა... ისიდორე ბიძია ფერმიდან საღამოს ბრუნდება იცოდეთ.

დიდხანს ვიხეტიალე. დაღამებას ვუცდიდი... ისიდორეს ჭიშკარს რომ მივადექი, ფანჯარასთან მდგარი შევნიშნე. ხელები დაეღლიავენა და ქუჩისკენ იცქირებოდა, ვინ იცის, ეგებ, მე მელოდება მეთქი — ამის გაფიქრებამაც უზომო სიხარული მომგვარა. უკვე თოვლს გადაელო და მთვარეს გარემო ვერცხლისფერში გაეხვია. ფანჯარასთან მდგარი ანგელოზს გავდა. დამინახა თუ არა, თმაზე ხელი გადაისვა. გამიღიმა და თვალს მიეფარა.

მერე კარებში გამოჩნდა და შემომეგება.

— ნუ, სიცოცხლევ ასე გაცივდები. შალი მაინც მოიხურე, მეთქი.

— მინდა გავცვიდე და მოვკვდე, რომ შენ დამიტიროო.

— მე რომ შესავით ტირილი არ ვიცი. ჯობია მე მოვკვდე და შენ დამიტირე, მეტიქი.

მის თვალებში საყვედური აირეკლა. თქმით კი არაფერი მითხრა.

— მომენატრე, ძვირფასო! — ვუთხარი და გულზე მივიკარი.

— მჯერა, ჯაბა! — დაგუდული ხმით მითხრა.

— საიდან იცი ჩემი სახელი, სანატრელო, ახლა მაინც მითხარი, მეტიქი.

— თქვენ ჩემს უფროს დასთან, მაგდასთან სწავლობდით სამედიცინოზე. ერთ ზაფხულს მაგდას ჩამოაკითხეთ და სამ დღეს დარჩით ჩვენთან. მაგდას აღრე უთქვამს, პატარა დაიკო მყავსო. თქვენ მართლა პატარა გეგონეთ და დიდი თოჯინა ჩამომიტანეთ. მე მაშინ 12 წლის ვიყავი. ის თოჯინა ახლაც მაქვს. მაგდას მეგობრებში ყველაზე მეტად ჯაბა მომეწონა და შემეყვარდა, მეტიქი. — ბებიას ვუთხარი. — მაგ არ თქვა, შენ პატარა ხარ და სირცხვილიაო. რატომ იყო სირცხვილი, მაშინ არ მესმოდა. გახსოვს? „ბახმაროს მთებო რატომ დათოვე, შეყვარებულო, რად მიმატოვეო“ რომ ვტიროდი სიმღერის დროს და შენ გულში მიხუტებდი.

— მერე, მერე... სულის მოთქმა გამიჭირდა.

— სამი წლის შემდეგ თბილისში ბიძაშვილის დაბადების დღეზე ვნახე. ამხანაგს მოვეყვი. ვერ მიცანი. სულ ჩემს სიახლოვეს გინდოდა ყოფნა. ფლირტი მეთამაშე. „ასი სიცოცხლე რომ მქონდეს ერთად, შენ შემოგწირავ, შენ განაცვალებ“... გაკვირვებულმა შემოგხედე, როცა წავიკითხე, დიახო... თვალებით მანიშნე. მერე წასვლა აიჩემე. ძალიან მეჩქარებაო. სახლში რომ მივალ, ჯერ კარებს მივაღებ ყურს, ჩემი ცოლი თუ ყეფს „ჰაფ, ჰაფ“... მაშინვე მოვბრუნდები და ქეიფი განვაგრძობთ. ჩემი სადღეგრძელო სულმნათის სიტყვებით დაამთავრე: „შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა“...

შინ მიმავალი ჩემს მუდარით სავსე თვალებს წააწყდი, წამით შეჩერდი... რა ვქნა, შენ პატარა ხარ, მე კი ცოლიანიო — გულდაწყვეტილად მითხარი.

მუდამ მიყვარდი. სიცოცხლეზე მეტად მიყვარდი. მაგდა რომ დავგელუბა, ასე მეგონა შენი მოსვლით დარდი შემიშუბუქდებოდა. თქვენი კურსელები თითქმის ყველანი იყვნენ. ჯაბა არაბეთში წავიდა სამუშაოდო, — გვითხრეს.

ექვსი თვის შემდეგ დამასკოდან შენი წერილი მივიღეთ, მაგდას წლისთავზეც არ იყავით. ეს შენი ჯაბა როგორ სულ დიკარგაო, — მითხრა ბებიაჩემმა.

— სუ, ბებო! სირცხვილია, ნუ იტყვი მეთქი. — ახლა არ არის სირცხვილი, შენ დიდი გოგო ხარო.. მერე ტურისტულ ჯგუფს დამასკოში ჩამოვყვები.

ალეგზანდრე ერთი კვირით წასულიო — მითხრეს. სამშობლოში ჯერ ვერ დაბრუნდება; კონტაქტი გაუგრძელესო — შებოლილი სულუგუნით დაგიტოვე. ამხანაგის და ვარ მეთქი დაუბარე. კარგა ხნის შემდეგ გაზეთით გავიგე, რომ ხარისხს იცავდი. დაცვაზე დავესწარი. რას მიცნობდი. დარბაზს რომ თვალი გადაავლე, თვალი ჩემზე შეაჩერე.. არ ვიცი, ეგებ მომეჩვენა ან ეგებ ჩემი დაჟინებული მხერბი იგრძენი.

— არა, მასე არ ყოფილა—ჩემს ასისტენტს გადაუჩურჩულე: მწვანე ფერის კაბა რომ აცვია, ის ლამაზმანი საღამოს ვახშამზე დამიპატიჟე, მეთქი. იმ ბოთელ ვერაფერი გაარკვია. არავის მოყოლია, მარტო მოსულაო. ყველაზე უწინ აპირებდა წასვლას და რომ მოვიპატიე, ასე მითხრა — სხვისი დაცვა მეგონა, შემთხვევით მოგხვდი, მერე წასვლა უხერხული იყო და ამიტომ დავჩი ბოლომდეო.

— როგორ მეგონა, თუ შენ გამომიგზავნე. ვიფიქრე, ალბათ, მორიგი არშიყია. მეთქი. მოკლედ, შენთან დაახლოების ყოველი გზა მოიჭრა. მაგდას ათი წლისთავზეც სირიაში იყავი.

— როგორც კი არაბეთიდან დაბრუნდი, მაშინვე მაგდას საფლავზე წამოვედით. სასაფლაოდან თქვენს სახლში ბიჭი გამოგზავნეთ — გააგებინეთ ჩამოსული ვართ მაგდას ამხანაგები თქვა. იმ ბიჭმა ამბავი მოიტანა: სახლში არავინ არის. ქოლობანში მამიდა გარდაცვლია და დასაფლავებაზე წასულან ყველანიო.

— მოკლედ, ღმერთს არ ნდომებია ჩვენი შეხვედრა.

— როცა გავიგე საზღვარგარეთიდან შენი საბოლოოდ დაბრუნება, განათლების სამინისტროს შენს მშობლიურ სოფელში გადმოყვანა ვთხოვე. ბინაც შენს ახლოს დავიქირავე. ვიცოდი, მშობლებს ჩამოაქითხავდი. მათი გარდაცვალება აქ ჩამოსვლის შემდეგ გავიგე. ყოველ საღამოს ზოფლის შარას დავადგებოდი, შენს სახლს თვალს შევავლებდი და მერე ვიძინებდი. ერთი კვირაა, რაც შენს სახლთან ნაბიჯს უფრო ვუნელებ და გაჩირაღდებული სახლის ხილვისას გულში სიტბო მეღვრება. დღეს კი ისიდორე ბიძიას დავალება შევასრულე. ყოველთვის მჯეროდა, რომ შეგხვდებოდი, ადრე თუ გვიან მაინც შეგხვდებოდი. განუზომლად ტკბილი იყო მოლოდინის წუთები, დღეები, წლები.. მჯეროდა, შეგხვდებოდი და ყველაფერს შემოგწირავდი, ეს წუთიც რომ დადგა, ვგრძნობ, რომ არ შემიძლია. ჯერ ჩემი თავი შემძულდება და მერე სოფელიც შემიძულებს. აქ აღარ და-

მედგომება. არა სწორია, რომ ამბობენ: ქალს ერთგულება არ შეუძლიაო. მას ბევრჯერ უცრუვდება იმედი და ეს არის მიზეზი, იცოდე, უნებლიე ღალატისა. მოლოდინის ტკბილი წუთები დამთავრდა, ამოიწურა და სანატრელი აღარაფერია.

— როგორ თუ არაფერი? ჩემი ხილვით ყველაფერი გაქრა?

— დიახ. ნატვრა აღარაა უკვე. ყველაფერი რეალური და ხელშესახება. გაურკვეველი და ბუნდოვანი ლოდინი ჩემი ცხოვრების მიზანი იყო. გიხილვ და ყველაფერი ჩვეულებრივადაა. მამაკაცი მოისწრაფი ცოტა ლამაზი ქალისაკენ. სხვა მეტი აქ არაფერი არაა.

— როგორ თუ არაფერი, — ყელში რაღაც გამეჩხირა.

— დიახ! არაფერი. ეს გამრავლების ინსტინქტია, სწრაფვაა კაცობრიობის გადარჩენის. სხვა რაიმე განსაკუთრებულს მე ამაში ვერ ვხედავ.

— ამას როგორ ლაპარაკობ. როგორ თუ ვერ ხედავ. მე რომ უბედნიერესი კაცი ვარ დღეს, ეს არაფერია?

— ეს ლამაზი მამაკაცის თავმოყვარეობის დაკმაყოფილებაა, თურქმე, დიდხანს ყვარებიხარ ვილაცას.

— შენ დღეს ჩემთვის ვილაცა კი არა, მთელი ცხოვრება ხარ. მთხოვე, რაც გსურს და ყველაფერს გავაკეთებ შენთვის. თუ საჭიროებამ მოითხოვა, ჩემს სიცოცხლეს უყოყმანოდ შემოგწირავ. მე შენ ჯურღმულიდან ამომიყვანე, ცისფერში დამანახე სამყარო და ამ სიხარულს ნულარ წამართმევ. ბედნიერებით მთვრალს ვერ გამირკვევია, როგორ მოვიქცე. მაგრამ გჯეროდეს, ისე მოვიქცევი, როგორც ამ ზეამაღლებულ გრძნობას ეკუთვნის. ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცა დანუ წამართმევ ამ სიხარულს, გევედრები.

— იცი, ჯაბა ამ წუთს შენს წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ. მე არ მეგონა თუ ყველაფერს ამას ასე ახლოს მიიტანდი გულთან. მე წინასწარ არ გამითვითცნობიერებია, რა ჩარჩოებში უნდა ჩატეულიყო ჩვენი ურთიერთობა. ერთი კი უცილობლად ვიცოდი, ბედნიერება მელოდა და მეც ველოდი მას. დაღამება მიხაროდა, რადგან მხოლოდ მაშინ მეძლეოდა საშუალება დაუსრულებლად მეფიქრა შენზე, აუხდენელო ოცნება, ჩემო... ერთხელ ძილში შენი ხმა ჩამესმა: თეონა, თეონა! მე მოვედი, ჯაბა მოვედი და კარები გამიღეო... იმ წამსვე წამოვხტი და აივანზე გავედი. კიბესთან ჩვენი მეზობელი, მუნჯი გიგოლა იდგა და მანიშნებდა თოხი მათხოვეო.

— ხომ არ შეგიძლია, თეონა, აღადგინო ის თარიღი მეოჭი.

— როგორ არა, შარშან იყო 9 მაისსო.

— 9 მაისს შარშან სვანეთში ვიყავი. მანქანით წავედიო მეგობრის ძმისშვილის ქორწილში. უკან დაბრუნებისას, მოსალამოვებულ

იყო. ჩემს მამიდაშვილს თეონა ონიანს გავუარე. ჭიშკარე დაკეტილი დამხვდა.

— თეონა, თეონა! მე მოვედი. ჯაბა მოვედი, კარები გამიღე მეთქი..

კარები არავინ გამიღო. ჩემი მამიდაშვილი ტყვარჩელში წასულიყო შვილთან.

— იცი, ჯაბა, როცა შენზე ბევრს ვფიქრობდი, მაშინ ღმერთს ვუახლოვდებოდი.

— ახლა? — სული ვერ მოვითქვი.

— ახლა კი ჩვენი დაშორების დროა. სანამ ჩვენი სიყვარული მთქნარების მომგვრელ ამბად გადაიქცეოდას, წადი, ყოველგვარი ემოციების გარეშე. ხვალდან მე შენს ოჯახში ვიცხოვრებ. შენს ცოლს უთხარი, ყველაფერი დანესტიანებული დამხვდა და სახლში მღვმური დავაყენე თქო. მეორე დიდი თხოვნა. ცოლ-შვილის გარეშე არასოდეს ჩამოხვიდე. გავა წლები და შენს ოჯახს ისე შევერწყმები, ვერავინ იეჭვებს იმ დიდ გრძნობაზე, წლებით რომ ვატარე. მე იმ ტახტზე დავწვები, ბავშვობისას რომ წოლილხარ.

— იმ გაზრიგინებულ ტახტზე რა დავაწვენს, — სული ვერ მოვითქვი.

— შენი სიყვარული ყველაფერს შემადლებინებს. წადი ეხლა ოცნების კოშკი არ დამიმსხვრიო. ეგებ მერე ჩემი თავის კონტროლი ვეღარ შევძლო და ყველაფერი ჩაიფუშოს. ობოლ ძმისშვილს ვზარდი. მეზობლადაა გადასული ვიდეოს საცქერად. უხერხულია რომ მოგისწროს. მას ჩემს ოთახში მამაკაცი არასოდეს დაუღლანდავს. ჩქარა... მე არ მინდა ჩემი ოცნების მზე ჩაესვენოს. მე სავსე ვარ შენზე ფიქრით, ეს რომ მომისბო, თავს ერთ ღღესაც აღარ ვიცოცხლებ.. მან პირამდე სავსე საფერფლე ასწია და ნამწვავები ქალაქში გაახვია და სათუთად ჩანთაში შეინახა.

— დაგახრჩვე სივარეტის ბოლში ხომ? — დაუდღული ხმით გუთხარი, არა და ცრემლები მახრჩობდა. მერე ხელი მოვხვიე. სახე დავუკოცნე, თმებზე ხელი გადავუსვი და ნერვული მოძრაობით მოვიშორე..

ჩამოვედი თბილისში და გაოგნებული დავდიოდი. ასე მეგონა, ახფალტზე ფეხს არ ვადგამ, რაღაც ზევით-ზევით დავდივარ. სახლში შესულმა, უცხოდ ვიგრძენი თავი. მივხვდი, რომ ოჯახური სითბო მაკლდა. რა გეცინება. მაკლდა, დიას! ჩემი ხელით დავისხი კერძი. ქალი ხარ, ერთი კვირაა ქმარი არ გინახავს, ათორიე ეს საძროხე წელი და ადამიანურად შეხვდი, გავიგონია? სადილი მაცივარშია... და ამით მოიზადა ცოლქმრული ვალი.

—პა.. მოდი ხომ?—მესროლა რეპლიკა ქალიშვილმა ისე, რომ ტელევიზორისთვის თვალი არ მოუშორებია. რა უბედურება გახდა ეს ტელევიზორი, რა არის ამნაირი უსაშველო, ყველას და ყველაფერს რომ გვაფიწყებს...

თამაზ! ადამიანის გული თურმე უზარმაზარ სევდასა და ნალევს იტევს. საშინელებაა სულიერი მონატრება. ახლა უსაზღვროდ გულ-დაწყვეტილი მოვისაკლისებ შორს მყოფს და ასე მგონია, ყველაფერი ეს ვილაცის მიერ დადგმული სპექტაკლი იყო, რომელშიც მე ემონა-წილეობდი, მაგრამ როლიდან გამოსვლა ვერ შევძელი. დღემდე ვერ დამიდგენია, რა უნდოდა, საითკენ მიისწრაფოდა. ნუთუ დაპყრობილი მწვერვალი არ არის საინტერესო და ის ხიბლი, რაც დაპყრობამდე ჰქონდა, მერე არ ექნება?... ჩემს თავს ვერ ვცნობ. სულ დარდად გადავიქეცე. სიყვარული ცრემლად და კაეშნად თუ მომადგებოდა არ მე-გონა, დავშორდი და დავცარიელდი. ასე მგონია, ჩემმა წილმა დედამიწამ ბრუნვა შეწყვიტა. ამიტომ მოგიყევი ეს ყველაფერი, რომ უნდა მირჩიო, ჩემო მეგობარო, როგორ მოვიქცე, რა გზას დავადგე?!!

მეგობარი გაოგნებული იჯდა და არაფრით ეტყობოდა, რომ ხმის ამოდებას აპირებდა.

ჯაბას ირგვლივ კი მარადიული სიყვარული დაფარფლებდა, სიყვარული აუზდენელი და სანატრელი..



ღია ბარათი

— მაშინ, ოთხი წლისა ვიყავი, — თქვა ნატალიამ. — როცა დედა მამას გაეყარა, რათა იმ ლამაზ გერმანელს ცოლად გაჰყოლოდა. მამა ძალიან მიყვარდა, მაგრამ ის სუსტი და მორჩილი კაცი იყო. მან ჩემი თავი, სიტყვის უთქმელად დაანება მათ და მოსკოვიც დაეტოვეთ. უნებურად მამინაცვლის გავლენის ქვეშ მოვხვდი. იგი, ჩემს მიმართ, დიდ ყურადღებას იჩენდა. უარს ვამბობდი, მისთვის მამა მეწოდებინა, მაგრამ ბოლოს შევთანხმდით, რომ დედასავით ჰაინრიხი დამეძახა.

ლაიფციგში სამი წელი დავრჩით. ერთხელ დედა იძულებული გახდა, საქმეების მოსაგვარებლად, მოსკოვში დაბრუნებულიყო. იგი, ტელეფონში საკმაოდ გულთბილი საუბრის შემდეგ, მამას შეპირდა, რომ ერთ დღეს მასთან გამგზავნიდა ველავდი, რადგან ვიცოდი, რომ ხელახლა ვნახავდი მამას და მშობლიურ სახლს, სადაც იმდენს ვთამაშობდი და რომლის მოგონებებსაც სათუთად ვინახავდი.

მოტყუებული სულ არ დავრჩენილვარ. კარისკაცი კართან მელოდა და თოვლით დაფარული დიდი ეზო, გონებაში წარმოდგენებთან ერთად ცოცხლდებოდა. მამამ რა არ გააკეთა, რომ ის დღე მშვენიერი ყოფილიყო. იყიდა ახალ-ახალი სათამაშოები. შეუკვეთა საუკეთესო საუზმე, ხოლო ღამისათვის ბაღში პატარა შუშუნა მოაწყო.

მამიკო კეთილი, მაგრამ საშინლად მოუხერხებელი გახლდათ. ყველაფერმა, რაც გულით და სულით მოამზადა, ამაოდ ჩაუარა. ახალი სათამაშოების დანახვავზე ძველი მომაგონდა და ავწრიალდი. მამას საშველი არ მივეცი, რომ ისინი მოეძებნა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ვილაცის მიერ ცუდად მომზადებულმა საუზმემ მაწყინა. შუშუნას ერთი მაშხალა სახლის სახურავზე დავარდა და ჩემი ძველი ოთახის საკვამურით ძირს ჩავვარდა. მალე, იქვე დაგებულ ჭილოფსაც წაეკიდა ცეცხლი. გაჩენილი ხანძარი რომ ჩაექროთ, მთელი სახლი ფეხზე დიდა და ყველამ, კასრებით ხელში, წაღმა-უკუღმა სირბილი დაიწყო. მამამ იმ დღეს, როცა მას ძალიან უნდოდა მხიარული ყოფილიყო, ხელი დაიწვა, მოგონებად კი ცეცხლის შემზარავი ენები და ჭრილობის სახვევების გულისამრევი სუნი დამიტოვა.



სადამოს გერმანელმა აღმზრდელმა მომავითა და თვალცრემლიანი მნახა. პატარა ვიყავი, მაგრამ უკვე შემეძლო, ავიკარგისაგან გავე-
ჩიო: ვიცოდი, რომ მამას ვუყვარდი და ჩემი სიამოვნებისათვის რას
არ ეცადა, მაგრამ ხელიდან არაფერი გამოუვიდა. მებრალეობდა და
ამავე დროს, მრცხვენოდა კიდევ მისი. ჩემი ფიქრები რომ დამეფარა,
ვცდილობდი გაღიმებას, მაგრამ ვტიროდი.

წასვლისას მამამ მითხრა, რომ რუსეთში ახალ წელს მოხატული
ბარათებით ულოცავდნენ მეგობრებს, ერთი ცალი ჩემთვისაც ეყიდა
და იმედი ქონდა, რომ მისი მიღება გამახარებდა. იმ დროს ბარათი მა-
რთლა მომწონდა, თოვლის ბრჭყვიალა წინწყლები, ღამის ლურჯ ფონ-
ზე წითელი ვარსკვლავები და მოძრავი მარხილი, რომელსაც სრიალი
სურდა. მამას საჩუქრისათვის მადლობა გადავუხადე, ბოლოს ერთმა-
ნეთს გადავეხვიეთ და ამით დავშორდით. შემდეგ რევოლუცია მოხდა
და ის თვალით არ მინახავს.

აღმზრდელმა ქალმა სასტუმრომდე მიმაცილა, სადაც დედა და მა-
ჩინაცვალი იყვნენ. ისინი ემზადებოდნენ, რომ სავახშმოდ მეგობრებთან
წასულიყვნენ. დედა, თეთრ კაბაზე, აღმასის გრძელ ყელსაბამს იკეთე-
ბდა. ჰაინრიხს უკვე ჩაეცვა. მათ მკითხეს, მამასთან თუ გავერთე და
მეც აღვლევებით ვუპასუხე, რომ ჩინებულად გავატარე დრო. ვუამბე
მამხალების შესახებ, ისე რომ სიტყვა არ მოთქვამს მომხდარ ხანძარზე.
შემდეგ, როგორც მამის კეთილგანწყობის საბუთი, მათ მისგან ნაჩუ-
ქარი ბარათი ვანახე.

დედამ ის ხელში აიღო და ღიმილმა უცებ სახე გაუნათა.

— საბრალო, ღმერთო ჩემო!.. — თქვა მან. — პიერი სულ არ
შეცვლილა.. რა საშინელებაა, ასეთი რამ მუზეუმშია დასადები!..

მამინაცვალი, რომელიც მე მიყურებდა, ღედისაყენ გაბრაზებული
დაიხარა.

— ნუ ამბობ!.. — ხმადაბლა უთხრა მას. — არ გინდა, ბავშვთან...

ჰაინრიხმა ბარათი გამოართვა, თოვლის წინწყლების დანახვაზე
გაიღიმა, და მითხრა:

— ასეთი ღამაში ბარათი, არასოდეს მინახავს. ეცადე, გაუფრთ-
ხილდე.

შვიდი წლის ვიყავი, მაგრამ, ვიცოდი, რომ ტყუოდა, ისიც დედა-
ჩემივით ფიქრობდა. თუმცა ორივენი მართალნი იყვნენ და ჰაინრიხი
მამას მხოლოდ სიბრალულის გამო ექომაგებოდა.

ბარათი დავხიე და იმ დღიდანაა, მამინაცვალი რომ მძულს.

თარგმნა ზაზა ხუნწარიამ.

სინონიმები კ. გამსახურდიას თხზულებებში

ჩვენ გვახსოვს ბატონი კონსტანტინე — ჩვენი ეპოქის ეს ჭეშმარიტი ქართველი, რუსთაველის პროსპექტზე ქართული ეროვნული ტანსაცმლით ნელი ნაბიჯებით მოსიარულე, უძირო სიბრძნით სავსე მოელვარე თვალებითა და ვაჟკაცური გამოხედვით, ადამიანი, რომლის სიტყვაც და აზრიც ერის ღიდ სახნავში ჩაღვენილა, რომლის მგზნებარე მხატვრული სიტყვა ნახევარ საუკუნეზე მეტია ქართველობას კელაპტარივით უნათებს საოცნებო ტაძრისაკენ მიმავალ გზას.

კ. გამსახურდიამ განვლო სულიერი ცხოვრების დაძაბული და ბოხოქარი გზა. თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე არსად ჩამუხლულა, არსად წაფორხილებულა.

კ. გამსახურდიას ნაწერები დაუშრეტელი წყაროა ენათმეცნიერული კვლევისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ერთი კონკრეტული საკითხი, როგორ არის წარმოდგენილი სინონიმები მწერლის თხზულებებში.

სინონიმები, ჩვეულებრივ, ორი ან მეტი სიტყვაა, რომლებიც საგნობრივი მიმართების მიხედვით იგივეობრივია; აქვე იმასაც დავსძენთ, რომ ისინი მხოლოდ ემოციური ელფერისა და ფუნქციური სტილის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. „რეფერენციის იგივეობა არის სინონიმის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარის პირობა“, „ნამდვილი სინონიმები ფიქციაა: რაიმეგვარი განსხვავება არ შეიძლება არ იყოს ან იმის გამო, რომ ერთი და იმავე საგნის დასახელებისას ამოსავალია სხვადასხვა მომენტი, ანდა იმის გამო, რომ განსხვავებულია სუბიექტის დამოკიდებულება სიტყვაში აღნიშნული ობიექტური მონაცემებისადმი“. ეს მეორე ციტატა არნ. ჩიქობავას ნაშრომიდანაა. მაშასადამე, არნ. ჩიქობავას აზრით, „ნამდვილი სინონიმები ფიქციაა“, სიტყვებს შორის რაიმეგვარი განსხვავება ყოველთვისაა. სწორედ ამას გულისხმობს კ. გამსახურდიას შემორემოყვანილი

მოსაზრება; ამ შემთხვევაში გამოჩენილი ენათმეცნიერისა და ბუნების
წვლე პროზაიკოსის მოსაზრება იდენტურია; ესაა მოსაზრებათა დამ-
თხვევის ბედნიერი შემთხვევა.

მიუხედავად ამისა, კ. გამსახურდიამ შესანიშნავად იცის, რომ სი-
ნონიმთა არსებობა ენაში ფაქტია. ეს მისი სამწერლობო პრაქტიკიდა-
ნაც ჩანს.

ბრწყინვალე ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებაში („ლან-
დებთან ლაციცი“) არის ასეთი ადგილი: „ლამდამობით მომესმოდა მის
ნაპირებიდან მგლების ყმუილი და ტურების ხორხოცი“.²

ცნობილი ლექსიკოლოგი ალ. ნეიმანი თავის ლექსიკონში სიტყვა-
სთან ყმუილი წერს: „ნ. ყვირილი“ (გვ. 353)³ ყვირილთან კი დაძე-
ბნილია 90-ზე მეტი სინონიმური ცალი, თანაც ისეთი მდიდარი საი-
ლუსტრაციო მაგალითებია მოყვანილი, რომ რომელიც გნებავთ ენცი-
კლოპედიას დაამშვენებდა. აი, რამდენიმე მაგალითი: ყვირილი, კივი-
ლი, წივილი, ძახილი, შეყვირება, ყაყანი, ღრიალი, ღრიანცელი, ხმაუ-
რი, ვნასი, ყიყინი, ყივილი, ჭრიჭინი, ჭახჭახი და სხვ.

იმავე „ლანდების ლაციცში“ იკითხება: „მერე იწყებოდა ყრმუი-
ლი, სიზმრები, ბაიებით მოფენილ მინდორზე შოშინის ბარტყების
ჭრიამული, ტკბილი და საყვარელი არსებების ფრთხილი და
ჟღურტული“. ჭრიამული და ჟღურტული სინონიმებია. ჭრიამუ-
ლი ფრინველთა ან ადამიანთა ხმაური (უპირატესად მხიარული), —
„ჟივილი“ (ქეგლ VI, 335); ჟღურტული მრუდი ლაპარაკი, გინა
ჩხიკვთა და კაჭკაჭთა ლაპარაკი“ (საბა, 1928, გვ. 277).⁴

სინონიმებით მდიდარია კ. გამსახურდიას ყველა ჟანრის ნაწარმო-
ები — ეს იქნება დიდტანიანი რომანები თუ ნოველები, ორიგინალუ-
რი ლექსები თუ თარგმანი, პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები.

კ. გამსახურდიას მიერ შერჩეულ სინონიმებს ფრაზაში, კონტექს-
ტში საგნობრივი მიმართების იდენტურობაც აკავშირებს ერთმანეთ-
თან, ემოციურ ელფერსა და ფუნქციურ სტილსაც გულისხმობს. აქ
სახეზეა შეხამებულობის, ანუ დისტრიბუციის, ფაქტორიც.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ კ. გამსახურდია დიდი დაკვირვებით
არჩევს სინონიმებს. ჩაიკითხეთ ეს მაგალითები: „გაუმაძღრო-
ბით, ღორმუცელობით სახელგანთქმული, თუნდაც რომ სჭამოს
დღე და ღამე დაუცხრომლად“; „ასე გავსწორდი მოდრეკილი სული-
ერ დაღლით, და განმიმტკიცდა მე იმგვარი მხნეობით გული, რომ გა-
ბედულად და თამამად მიუფეც ოსტატს“; როცა პირველი გა-
დასახა მათ ანგელოსმა, გადმოხტნენ სულნი ხომალდიდან მყისვე ხმე-
ლეთზე და იგი სწრაფად ისევ განქრა, გაუჩინარდა“; „სწორედ
ისევე უმოწყალოდ გლეჯდა ტიღეე, გაცოფებული მენალიპეს საფეთ-

ქლებს კბილით, მას შემდეგ, რაც მან თავის ქალა და ღრმად მოხრა, „როს აღივსება სიმძიმით ან სიხარულით ერთ-ერთი ნიჭი სულის ჩვენის კიდითკიდემდის, მაშინ ეს ერთი სულს შეიპყრობს და დაატყვევებს“; „ვიდრე ოსტატი იდგა აგრე თავმოდრეკილი, აკვირდებოდა, ირკვევდა გზის ავანჩავანს, მე მთის მწვერვალებს შევესცქეროდი, ვუთვალთვალე ბი“; „უკაცრიელი, უდაბური და გაუვალა თვით მოგონება წამიერი ერთხელ ხილულის საშინელია ამჟამად და შემზარავი“; „მყუდროებაა ირგვლივ და სიმშვიდეა ჩემს სულში“. „გამბედაობა და მხნეობა საღ გაჰქრა შენი?“ „დაიგრუნუნა და დაიჭექა და გამოვფხიზლდი, ჩემი სხეული აიტანა ელდის ცახცახმა. გზარეული ვაწყდებოდი მე აქეთ-იქით“. „აჰა, მოცულობა ჩვენ ორივეს კვნესა და გმინვა, და მივადწიეთ ისეთ ადვილს, საღ საშინელი ქვეთინი, ურვა და უინი სმენას აწყდება“; „და თანაბარი სიკვდილითა მოგვიღო ბოლო, „კანის გარსი ელოდება მას, ვინც სიცოცხლეს ასე უწყალოთ მოგვაშორა, გამოგვასაღმა“; „ვიმოყვებოდი მე იმჟამად მესამე გარსში, სადაც მსუსხავი, დაწყევლილი, ცივი და მძაფრი გადაუღებლად, განუწყვეტლად იღვრება წვიმა“.

„დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორის ენისა და სტილის დაკვირვებული მკვლევარი, პროფ. ნ. ლემონჯავა სწორად მიუთითებს: კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში „მეტად ლაკონიურ ფრაზებში თუ მომიჯნავე წინადადებებში დიდოსტატურადაა განლაგებული სხვადასხვა სიტყვა, მსგავსი სემანტიკით აღჭურვილნი. ეს კი სტილის ორიგინალობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ფრიად ნაცადი საშუალებაა“.

სინონიმებისადმი (და საერთოდ ლექსიკისადმი) მწერლის დამოკიდებულება კარგად არის გამოვლენილი მის ერთ-ერთ წერილში, სადაც ვკითხულობთ: „მე იძულებული გავხდი საკმაოდ ჭარბად შემომეშვა ლიტერატურულ ქართულში ჩემამდე უხმარი სიტყვიერი დოვლათი... იმ შემთხვევაში, როცა ლიტერატურულ ენაში მათი ბადალი არ დამხვედრია. არც პარალელური სიტყვებისა და სინონიმების შეზღუდვაა საუფო, რადგან ეს მხოლოდ ამდიდრებს ენას“ (იხ. გაზ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1945, 6 სექტ., № 29)⁶

მწერლის თეორიული მოსაზრებები სინონიმთა გამოყენების საკითხზე ხორცს ისხამს მის სამწერლო პრაქტიკაში; სინონიმებით მდიდარია მწერლის ენა. აი, რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი:

„თავათ არაბია კი მიჯირითებდა, მიგელავდა, მიკუნტრუშებდა. სწყრებოდა არზაყან, მკაცრად ღუშავდა თავის წაბლისფერ წარბებს“.

„თავის გახუნებულ, ბერულ ჩოხაში მორთული, ყოველგვარი თაყვანისმცემის მოძულე, არცთუ მჭირდავი კაცთა სიძაბუნისა, განმკითხავი უპოვართა და გლახაკთა“.

„დაჯდა ჭყონდიდელი სააჯო კარსა და შეუდგა ობოლთა, ქვრივთა და მოძალებულ მოჩივართა განკითხვას, თუმცა ისევ და ისევ თოვდა დაუცხრომლად, მაინც მოაწყდნენ ლიბარტისეულ სასახლეს უპოვარნი და გლახაკნი, დიდძალი დრაჰკანი, პერპერი და ბოტინატი დაურიგა ჭყონდიდელმა მეფის სახელით მათ“.

„გოგვითა და როკვით წამოვიდნენ და ერთობლივად ესროლეს თხილის ჯოხები მოპირდაპირე ბანაკს, შემოაბრუნეს ცხენები მყისვე და ისევ თავიანთ ნადგომს მიაშურეს.“

„მოუღალავი და შეუპოვარი მიესწრაფოდა აფხაზეთისაკენ, ახლად გაყვანილ გზისკენ. თითქოს იმიტომაც, რომ ეს გზა ჯერაც არ მოსწყენოდა“.

„თამარსავით გრძელი და ჯიშინი ფეხები ჰქონდა არაბიას, მასავით ელასტიური სახსრები, თამარსავით ამაყი იყო არაბია, თავს მშვიდად და მოკრძალებით მოაჩვენებდა კაცს, თვით გულზვიადი და ამპარტავანი“.

„მობაჯბაჯებდა, მოძუნძულებდა ძველი სახელოვანი ცხენოსანი, ეკლესიაშიც ცხენით რომ დადიოდა ოდესლაც...“

„ყოველ ახალ უძიროს და აზიურ წაღას საპნით იცვამდა არზაყან და მერმე მთელი კვირა ფეხზე გაუხდელად, წაღებიანად წვებოდა, რათა წაღები ფეხს შეჰგუებოდა“.

„მისი დინჯი ბუნება უამიდანეამზე ამიღვრეოდა და ისეთ რამეს ჩაიდენდა, რაც მეორე ადამიანს უთუოდ გულს ატკენდა, ზიანს მიაყენებდა, ან აწყენინებდა“.

„აუმღვრეველად, მშვიდად, გონებამახვილ საუბრებში გართული უწყინარად სცხოვრობდა გოეტე ეპრენბრაიტშტაინის კოშკში“.

„ვოლფგანგის გულში ჯერაც არ იყო ამოვსებული „ლოტეს დარგვისაგან“ დარჩენილი უფსკრული, ახლა მისი სიყრმის მეგობარი სათნო და გულისხმიერი დაიკო გათხოვდა“.

„ლაფატერი ისე გატაცებული იყო თავისი ფიზიონომისტიკით, რომ საზოგადოებაშიც ვეღარ ითმენდა უშნო და მახინჯ გარეგნობის ადამიანებს“.

„თუ კი თქვენ ძალგიძთ წარმოიდგინოთ ასეთი გოეტე: გალონებით შემკული გეროკით, თავიდან ფეხებამდის გალანტურად მორთული და მოკაზმული, კედლისა და კრონშანდლების ლივლივა“

სინათლის ქვეშ ნაირნაირ ადამიანების საზოგადოებაში მოთუხებული — მაშინ თქვენს თვალწინ წარსდგება ნამდვილი კარნავალის გოეტე... (ტ II, 343).

„ტალანტი თავისთავად არაფერს იძლევა თუ იგი დიდ შრომის-მოყვარეობასთან არ იქნა შეუღლებული, სწორედ ამ გარჯასთან დაკავშირებული ტალანტის შემწეობით გაიკაფა გზა გოეტეანს გვარმა და თავათ გოეტემ“.

„საზოგადოების, გარესამყაროს უტოლობას, მუხანათობას აბრა-ლებდა თავისი დიდი ბედნიერების შებღალვას. მაგრამ დაბრძენებულ-მა მშვიდი რეზინაციით აღვიარა „გარესამყაროს“ მტკიცე და ურ-ყევი ძალა“:

„ბღაველით, ზუზუნით, ზმუილით მიმოჰქრიან კრი-ალა, პრილა-ავტომობილები, ორსართულიანი ომნიბუსები და მო-ტოციკლები დაგელავენ გზატკეცილებზე (რომლითაც ვაიმარში შემო-დიოდა ალბათ ჟღარუნა ზანზალიკებიან ეტლში მჯდომარე გოეტე)“.

„გაყრა და განშორება გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ვოლფ-განგს კიდევ უნდოდა მისი სახელის ხსენება, კიდევ და კიდევ ენატ-რებოდა მისი სახელის გაგონება“.

ყველაფრიდან ჩანს, რომ სინონიმები ორი ან მეტი ისეთი სიტყვაა, რომლებიც ფორმით სხვადასხვანი არიან, მაგრამ ერთგვარ ან მსგავს სემანტიკას ატარებენ.

სინონიმი გარკვეული სემანტიკური დამოკიდებულებაა ენის რამ-დენიმე ლექსიკურ ერთეულს შორის.

ქართულ სინონიმთა ლექსიკონის ავტორმა ალ. ნეიმანმა სინონი-მები შეაღარა ფერადებს, რომლებითაც ხელოვანი სარგებლობს ფერ-წერაში თავისი ნაწარმოებისათვის სრულქმნილობის მისაცემად.

სინონიმთა ძირითად წყაროდ ალ. ნეიმანი თვლის ევფემიზმებს, სიტყვის ტაბუსა და სესხებას. კ. გამსახურდიას ნაწარმოებებზე დაკ-ვირვება სავსებით ადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებას. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ კ. გამსახურდია სინონიმებს ზომიერად იყენებს, არ-სად არ ჩანს მიდრეკილება მათი გადამეტებული გამოყენებისა, რად-გან მწერალმა კარგად იცის, რომ ასეთ შემთხვევაში თხრობის სტილი დამძიმებულია, კ. გამსახურდიასეულ ფრაზაში სინონიმები ბეჭდის თვალივით ზის, რაც გამოსათქმელს ანიჭებს იშვიათ ლაკონიურობას. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ლექსიკის ამ ფენას მწერალი განსაკუთრებული გულმოდგინებით სინჯავს, თითქოს აფთიაქის სას-წორზე წონის და შემდეგ ათავსებს მისთვის ზუსტად გამოიზნულ ადგი-ლას.

კ. გამსახურდია ქართული ენის მდიდარი ლექსიკის ბრწყინვალე მცოდნეა, მისი უშესანიშნავესი მტვიფრავია. მწერლის თხზულებები (რეატომეული, თორმეტტომეული) აღსავსეა მშვენიერი სინონიმებით, მარჯვედ შერჩეული ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებით. მწერლის მხატვრული სიტყვათმცოდნეობა მასწავლებელია ქართული ენის ლექსიკური და გრამატიკული პოტენცია, ჩვენი ენის ეროვნული ენერგია. მწერალი დიდი გულისყურით ეძებს სინონიმებს, არჩევს, ახარისხებს, აჯგუფებს და ბეჭდის თვალისწილად სიზუსტის ზუსტად განკუთვნილ ადგილას. ეს იმიტომ, რომ ვინ ვინ და კ. გამსახურდიამ მშვენიერად უწყის ის ზემოაღნიშნული, რომ „ლექსიკა ერის ისტორიაა, ენობრივ ფორმებში გადასახული, და თითოეული სიტყვა — ამ ისტორიის შემადგენელი ნაწილი“.⁷

სინონიმები ერთმანეთს მეტნაკლები შინაარსობრივი სიახლოვით უკავშირდება. სწორედ ამიტომ ფრაზაში, კონტექსტში მათი ურთიერთშენაცვლების არათანაბარი, ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები შესაძლებლობები არსებობს. სიტყვათა მსგავსება და კონტექსტში ურთიერთთანაცვლება აბსოლუტური იგივეობის მაჩვენებელი როდია, თანაც გასათვალისწინებელია, რომ ორი სახესებით ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სიტყვა ენაში არ არსებობს.⁸ (ეს გაცვრიტ ზემოთაც აღვნიშნეთ).

კ. გამსახურდიას თხზულებებში სინონიმების როლში გამოდის არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები, ზმნიზედები, საწყისები და მიმღეობები. აქედან ყველაზე უფრო ხშირად ამ ფუნქციით ზმნებია აღჭურვილი. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალკე.

I არსებითი სახელები სინონიმებად:

„აგრე მიამბობდა მამაი გიორგი. იმ ხანებში დიდი ტაძრებიც ასაშენებლად არც საშუალებანი გააჩნდა ერს, არცთუ ეძალეობოდნენ დიდი ეკლესიების აგებას, რადგან მტერს თვალს მოსჭრიდა დიდშენთა ბრწყინვალეობა“.

„მახარას ველის ყვავილებით შეემოსა მუხარადიდან ფოლადის საბარკულამდე თავი. ცხენის ფაფარში შროშანები ჩაეწნა, ხოლო ძუა შეედება ინითა, ასკილის ყვავილებით შეემკო ვადანი ორთავე ხმლისა. ჩუმჩუმად ილიმებოდნენ ხუცები: ეშმაკს თავისი მათრახისათვის მიუგნიაო“. (ტ. III, 418). „ეშმაკის მათრახი — ასკილის ერთ-ერთი სახელია“ (კ. გამს.).

„მარიამი ამას ამჩნევდა, ცდილობდა წარბეზამდის ჩამოეფხატა

მანდილი, მაგრამ სვლის დროს ეხდებოდა კაშემირის თაფსაბუ-
რავი და ასეთ დროს იგი გრძნობდა ათასი თვალის მომწიფეობას
რას და ებლანდებოდა ფეხი“.

მოვიყვანთ კონტექსტის გარეშე კიდევ რამდენიმეს მოწესეთა და
მონაზონთა, სადაურობა და ვინაობა, ლხინი — ნადიმი, მიმწუხრი —
ბინდი, მხედრებს — ცხენოსნებს, ხვრელები და ჭუჭრუტანები, ნაძ-
მობს — ჭუჭუმტეს, ზანდუკები — სკივრები, დარბაზობა — ნადიმი,
თმები — ბალანი, სურსათი — ხორავი, ლაშქარი — ჯარი, ბავშვი —
ბალლი, დედაბერი — დედაკაცი, ექიმბაში — ბალახებით მკურნალი
— შემლოცველი, სამშობლო — მამული, დრო — ჟამი, მიცვალებუ-
ლი — ცხედარი, ჟრუანტელი — ჟრუოლა, მკითხავეები — მარჩიელე-
ბი, ძველმანები — ძონძები, ჭკუა — გონება, სიცრუე — ფლიდობა,
ჯადოსნები — მისნები.

II. ზედსართავი სახელები სინონიმებად:

„უფრო მეტად აუტანელი იყო მისთვის გამგელთა მოურიდებე-
ლი ჭვრეტა და უტიფარი, უხამსი ლაშლაში“.

„ორი ქალი მოდიოდა მცხეთისკენ, ერთს შავი ჯვალ ეცვა,
ტანმაღალსა და ღაწვმაღალს, მეორეს, ყმაწვილ ქალს, თალხი სამო-
სი“.

„ტკბილად შესაყრელი და ამოდმოუბარი ეჩვენა საერთოდ ბუზ-
ღუნა და ჭირვეული მოხუცი“.

„სიჭაბუკეშივე დარწმუნდა იგი, რომ ებრაელები ჭკვიანი,
მხნე, გონიერი, გამრჯელი ხალხია“.

ზედსართავი სახელებია სინონიმებად: ჯადოსანი და მისანი, ამა-
ყი—გულზვიადი, ბოროტი — მეშურნე, ცეცხლისფერი — ალისფერი,
დაფეხვილი — კოჭლი, გლახაკნი და ბედშავნი, ღარიბი — საწყალი,
ქველი — სათნო, ფიცხელი — ტემპერამენტისანი, თეთრი — თოვლის-
ფერი, არამზადა — გაიძვერა, უკაცრიელი — უდაბური, საწყალი —
საბრალო, თავაწყვეტილი — შმაგი, პატარა — პაწია, მოხუცებული —
ბებერი, საკუთარი — პირადი, ამაზრზენი — შემზარავი, ღრმად მო-
ხუცებული — მიხრწნილი, შურიანი — გულბოროტი, შესანიშნავი —
უბადლო...

III. ზმნები სინონიმებად:

„თუმცა უჩვეულოდ ენამრავლობდა ლიპარიტი, მაგრამ ზო-
გჯერ მისი დუმილი უფრო მეტად ენამჭევრობდა“.

„ახლა ის შეიდი აზნაურნი მოაგონდა თრიალეთელნი. გუშინ-

დელი ცნობა გაახსენდა თავისი მსტოვრისა: ჯერაც არ გამოტყუებულაო თრიალეთელი აზნაურები“.

„ეს ის მშვილდია, რომელიც თორღულებგმა აჩუქა პაპაჩემს ლიბარიტს, მე ტყვეებით მოვაჭრე არ გახლავარ, ან შენისთანა ვაჟაკს როგორ გავყიდო, უთხრა, გადაკოცნა და ეს მშვილდი უბოძა“.

„ჩოქვით მიეახლა ჯერ უფლისწულს, მერმე ჭყონდიდელს, მუხლებზე ეამბორა ორივეს. შემდგომ ამისა ადგა, საერთო სალამი მიაგო მეინახეთა დაბალი, ხელზე ემთხვია ერისთავს“.

„ისპაპანური მწევრები უქო, კოლხური მშვილის ნუკრები მოუწონა, წალკოტებში უნდა გადავყვანიოთ“... სინონიმური **ზმნებია**: ხოცავდა — მუსრავდა, კაკანობდნენ — კრიახობდნენ, იმსხვერპლა — მოკლა, განკურნება — გაჯანსაღება, სწუხდი — შფოთავდი, გამოიგონა — მოჩმახა, ყვირის — ღრიალებს, დაეთანხმა — ნება დართო, გაწვილდა — იმედი გაუცრუვდა, მიართვა — უბოძა, წაართვეს — წაგლიჯეს, შეტოკდა — შეირხა, ეფერება — ეალერსება, ხტის — როკავს, აენთო — გაშმაგდა, შეკრთა — შეშინდა, მოსთქვამდა — გოდებდა, მოიკლაკნება — მოიზღაზნება, შეტორტმანდა — შექანდა, ფშვინავდა — ქშინავდა, გაარტყა — ლეწა, გადარაზა — გადაკლიტა, დამარხვა — დაკრძალვა, შეფერხდა — გაჭიანურდა, ლოცულობდნენ — ლიტანიობდნენ...

IV. სინონიმური ზმნიშედეგი:

„ბიურგერების ოჯახებში გაწვრთნილი ტოლბიჭები უფანტაზიოდ და უსიცოცხლოდ ეჩვენებოდნენ ვოლფგანგს“.

„ჯიხვის ტყავები ზედ მახურავს და შაშვისოდენა რწყილები მესევა ტანზე. ისე ურცხვად დალოლავენ, ისე უტიფრად არ მეტუებიან, თითქოს მლილოების შემოსევის ქამიც უკვე მოწეულიყოს“.

„და ეს „დედა, დედა“ ისე საბრალოდ, ისე უმწეოდ მეორდებოდა თამარის ტირილში, რომ თარაშ ემხვარს მთელი სხეული დაერღვა ამ სიტყვების გამგონეს“.

„უკანასკნელ მუგუზულებს ფრთხილად, მორიდებულად წაჰკრა ფეხი ზოსიმიამ“... ანალოგიურია: ფრთხილად და მორიდებით, მხნედ და შეუბოვრად, ფრთხილად — წინდახედულად.. ერთი მაგალითიც ფრაზაში, წინადადებაში:

„მას კვერცხისგულის ფერის სახე ჰქონდა, მხრები და ხელ-ფეხი ისე უმარჯვოდ და პრიმიტიულად გამოხატული, ბალების სათამაშო გოჯილას უფრო მიაგავდა იგი, ვიდრე ადამიანს“.



„როცა გიორგი მეფე, დედოფალი ელენე და გვარამ ერისთავი შემოვიდნენ დარბაზში, ანაზღად შეწყდა ჩოჩქოლი და დარტყინა“.

„ეს ორ ბანაკად გაყოფილი ფრანგფურტელი ახალგაზრდობა დიდხანს ებრძოდა ერთიმეორეს, ერთნი ფრანგ ოსტატს აქებდნენ, ხოლო მეორენი გერმანელსა და მათი დავა ისე დაბურღული და გაუთავებელი იყო, როგორც ფრანგობასა და გერმანელობას შორის ოდითგანვე არსებული პაექრობა და ქიშპობა“..

„უცებ შემოესმა ემხვარს ისეთი გრუხუნის, თითქოს ლალუმებით დასძრეს კლდეები, დახვადნენო გრიალით მთები“.

„ახლა? ახლა რაღაც იდუმალი მწუხარებით სუნთქავს, მის სმენაში „თამარ“, ძველი იარების გამხსნელია იგი, სევდით აღვსილი“.

„გაოცებული შესცქერის არზაყანს, როგორც მოჩვენებას, როგორც მკვდრებით აღმდგარ მიცვალებულს, მერმე თვალებზე ხელს დაიფარებს და სტირის, ისევ მოიწმენდს თვალებს, მკლავში ხელს წააგლებს, სინჯავს ხორციელია თუ მოლანდეზა“.

„აუტანელი გახდა მისთვის ცხვრის ტყაპუჭის სუნი, წივის სუნი... ანწლის არაყი, თხის ხორცის ჭამა, სვანების ხმამაღალი როხროხი, ქოჩა მახვშისა და მისი ვაჟების ჯლოყინი“.

ასეთივე მაგალითებია: ფრიალით — რიალით, ბარბაციით — ტორტმანიით, მოთქმა-ვიშვიში, გუგუნი — ხმაური, ძალა — მხნეობა, სიკვდილი — წარმავლობა, შენდობა — შებრალება, აბურღული — არეული, გაკეთება — მოწყობა, გამოხატვა — გამოსახვა, მოთქმა — გოდება, აღფრთოვანება — აღტაცება და სხვ.

VI. მიმღეობები სინონიმებად:

„აქოჩრილი თმები აქვს, გაბურძღნული და ბინძური“.

„როცა საომარმა კატარლამ ჭვინტი ჰკრა აზვავებულ ტალღებს და მინებდა ამბოხებულ ზღვას, „ჭეშმარიტად შმაგია“ გაიფიქრა მარიამ დედოფალმა, თავისი ამალი დასტოვა და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა თავის ფაეტონს“ (III, 663).

„ბევრი მისაყვედურებს — გაუგებარი მწერალი ხარო, ჯერ ერთი სტრიქონი არ ამოუწერია, არც ერთი აბზაცი, რათა დამენახა, სახელდობრ, რომელი ადგილებია გაუგებარი, რომელი ფრაზები ან სი-

ტყეები ძნელად გასაშინებელი? ერთი რამ უნდა აღინიშნოს: რა ჩვენს
ცა წიგნს ვერ გაიგებენ, ყოველთვის ავტორის ბრალი როდია? „**გეოლოგიური**“
„დიხს, დიდ ომსა ჰგავს დიდი ხელოვნება, ოღონდ იმ განსხვავე-
ბით, რომ ომში დამარცხებული, საბრალთა, ხოლო ხელოვნება-
ში ხელმოცარული — სასაცილო“.

მიმღეობების სინონიმებად მაგალითებში: დამკვიდრებული — და-
წესებული, გადაგვარებული — წაბიწული, ბრაზმორეული — გულ-
ნაწყენი, აშლილი — აღერლილი, დამხმარე — მშველელი, დაღწი-
ლი — შემუშრული, სათქმელი — საუწყებელი, გაშტერებული — გა-
ოცებული...

სინონიმების უაღრესად დახვეწილი, მომჭირნედ და დანიშნულე-
ბისამებრ ხმარება კ. გამსახურდიას ენისათვის დამახასიათებელი მოვ-
ლენაა. სინონიმების მარჯვედ გამოყენებით მწერლის სტილი მაქსიმა-
ლურად ავლენს უფაქიზეს მოქნილობასა და შესაშურ დახვეწილო-
ბას.⁹ ეს გასაგებიცაა, რადგან სტილი დაკავშირებულია ენის ყველა
მხარესთან.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მეტყველების ნაწილე-
ბიდან კ. გამსახურდიას თხზულებაში იშვიათია ისეთი შემთხვევები,
როცა სინონიმად გამოყენებულია ნაცვალსახელები, რიცხვითი სახე-
ლები და შორისდებულები. თუმცა თეორიულად საგნებით შესაძლე-
ბელია ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები და შორისდებულები
სინონიმებად; მაგ., ნაცვალსახელები სინონიმებად: ესენი,
ეგენი, ისინი; ის, იგი; ერთმანეთი, ერთურთი, ერთიმეორე; თვით,
თითონ, თვითონ; თითოეული, ყოველი, ყველა; ზოგი, ზოგიერთი; ერ-
თი, ვინმე; 2. რიცხვითი სახელები: დუჟინი — თორმეტი ცა-
ლი, დუჟინ-ნახევარი — თვრამეტი ცალი, ნახევარი — ერთი მეოთხე-
დი: ცალი (ორისაგან, წყვილისაგან ერთი), წყვილი (ორი ცალი —
ერთგვარი საგნების თვლისას), ტყუბი [ერთი დედის ერთდროულად
ნაშობი ორი (ან მეტი) ბავშვი]... 3. შორისდებულები: ვაჰ, ოჰ, უჰ.
ყოჩაღ, ბიჭოს, ერიჰა, ახ, ოხ..

კიდევ მეტი, როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, სინონიმურ წყვი-
ლებად ზოგჯერ აფიქსებიც გვევლინება; მაგ., ან და ენ, ს და ა..¹⁰

არც თუ ისე იშვიათად სინონიმურ ცნებას ორი სიტყვა გამოხა-
ტავს; მაგ., „ჰერდერი სიტყვის შებრუნებას და შეკამათე-
ბას საერთოდ ვერ ითმენდა“.

კ. გამსახურდია დიდი დაკვირვებით არჩევს სინონიმებს. აი, მხო-
ლოდ ერთი მაგალითი: „მთვარის მოტაცებაში“ იკითხება: „და ეს
იმას ჰგავს, ალვის ხე გიყვარდეს, ტანკენარი და ცაში ალანძუ-
ლი, ხოლო მისი ტალახიანი, დაღვარჭნილი ფესვები გადგდეს“. რას

ნიშნავს ტანკენარი? „ტანკენარი.. მაღალი და კოხტა, წვეწვანა, კენარი“ (ქეგლ VI, 1246); ან კიდევ: „შეხტა, რუ შდა ულაყი“, ატქმუტუნდა, ატოკდა კაცის ცხენიც; „თავდაც ახოვან ლიპარიტს თან შემოჰყვა სამი აზნაური, თრიალეთის ნაძვებივით აშოლტილნი“; ერთი მაგალითიც: „თუმცა უჩვეულოდ ენამრავლობდა ლიპარიტი, მაგრამ ზოგჯერ მისი დუმილი უფრო მეტად ენამჭევრობდა“. ბრწყინვალე წინადადება; შესანიშნავად მომარჯვებული სინონიმები ღრმად გვახედებენ დუმილის შინასკნელში. — გარკვეული შინაგანი მდგომარეობის გამომხატველ ცნებაში, იმ დუმილში, რომლის შესახებაც „სინურ მრავალთავში“ იკითხება: „გმადლობ შენ, მეუფეო საუკუნეო, რომელ-იგი დუმილით საცნაურ არს“.11

ერთი მაგალითი იმის დასტურად, თუ როგორ ოსტატურად, ვიტყვით, ვირტუოზულად იყენებს მწერალი სინონიმებს ერთნაირი სემანტიკის სიტყვების განმეორების თავიდან ასაცილებლად. „გოეტეს ცხოვრების რომანში“ ვკითხულობთ:

„სეირნობის დროს მოხუცი მღვდელი ახალგაზრდებს აედევნებოდა ზოლმე; ვოლფგანგს ეცოდებოდა ბერიკაცი და ჟამიდანჟამზე ფრედერიკეს მკლავს ხელს შეუშვებდა და გამოესაუბრებოდა მოხუცს.

ცნობილია, რომ სინონიმების პარალელური ხმარება ზოგჯერ გავებულია აზრის გამაძლიერებელ საშუალებად, პოეტურ ენაში მაქსიმალური ლიტერატურული ეფექტის ერთ-ერთ მეთოდად. ეს არის თავისებური რიტორიკული ფიგურა, ანუ შეუტყნობელი ტავტოლოგია, რომელიც ხშირია სასაუბრო მეტყველებასა და ლიტერატურაში. მაგრამ ამის გვერდით გვხვდება განსაკუთრებული ჯგუფი სინონიმთა, რომელთა დანიშნულება ტავტოლოგია როდია, არამედ უცხოური სიტყვის დანერგვისათვის შემუშავებული ფორმულა; მაგ., ხვეწნა და მუდარა, ბედ-იბალი, სჯა-ბაასი..12 ამ სახის სინონიმებს შ. ძიძიგურმა სინონიმური პარალელიზმი უწოდა. ამის მაგალითები საკმაოდაა კ. გამსახურდიასთან. წერილში „თეატრი და ექსპრესიონიზმი“ წერია:

„ომამდის არსებული კრიზისის ნიადაგზე წარმოიშვა ის დიდი ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც ექსპრესიონიზმის ანუ აქტივიზმის პაროლით გამოვიდა“.

ექსპრესიონიზმი ფრანგული სიტყვაა და აღნიშნავს გარკვეულ მიმართულებას ბუჩუყაზიულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში; მისი წარმომადგენლები ძირითად ამოცანად თვლიდნენ მხატვრის შინაგანი სამყაროს ასახვას. კ. გამსახურდიამ კარგად იცოდა, რომ ეს სიტყვა ყველასათვის გასაგები არ იქნებოდა, ამიტომ ფრაზაში მის

სინონიმად გამოიყენა აქტივიზმი, რომლის ძირი ლათინურია წარმოშობით (აქტივი — მოქმედი), ეს უკანასკნელი უფრო გასაგებად ქარგელისათვის, ვიდრე ფილოსოფიური ტერმინი ექსპრესიონიზმი.

ერთ თავის ნაწარმოებში მწერალი შენიშნავს:

„თამადა ახალ-ახალ სადღეგრძელოებს ომახიანი ხმით ამბობდა, ამ დროს ლევანამ შამფურზე წამოგებული გოჭი შემოიტანა და ტოლუმბაშს მიაართვა“. აქ თამადა ქართული სიტყვაა, ტოლუმბაში კი — თურქული (თურქ. თულუმბაში — ტიკის უფროსი) და იგივეა, რაც თამადა.

„გოეტეს ცხოვრების რომანში“ წერია: „შეგირდს კარგად შეარცხვენდნენ, ულაზათობას და ბედოვლათობას იოლად გამოამჟღავნებინებდნენ“. ულაზათობას და ბედოვლათობას სინონიმებია, რომელთაგან პირველი უცხოურია (ლაზათი არაბული სიტყვაა და ნიშნავს სიამოვნებას, გემოს; სილამაზეს, მოხდენილობას) და მეორეც — ბედოვლათი სპარსულ-არაბულია და ნიშნავს უყიარათოს, მფლანგველს.

„ბარბაროსი“ ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს: ველურ ადამიანს, მოძალდეს, კულტურის მტერს. ამის სინონიმად კ. გამსახურდია იყენებს „საშინელს“; მაგ., „ვინ მოიგონა ასეთი ბარბაროსული სიტყვები, ცხელი და მწველი, როგორც დომნების ღარიდგან გადმონთხეული ფოლადის ღვართაფი? უდაბნოს ცხუნვარება მოჰქრის ამ საშინელი სიტყვების ღვარცოფიდან“.

საყურადღებოა, რომ კ. გამსახურდია არც თუ ისე იშვიათად უცხოურ სიტყვას ხსნის ქართულით, რაც სინონიმურ წყვილს ქმნის.

„აქვე იმართებოდა „საიდუმლო სათათბიროს“ სხდომები, პერცოგის სასახლის პირდაპირ პატარა სახლში ცხოვრობდნენ შტალმაის ტერ ჩვენებური მეჯინიბეთ-უხუცესი ფონ შტაინ და მისი მეუღლე შარლოტე ფონ შტაინ“.

პირმოთენ აღნიშნავს პირფერს, მლიქვნელს, ფარისეველს. ეს უკანასკნელი კი ბერძნული სიტყვაა, შემოსული ძვ. ებრაული ენიდან. ეს არის რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობის მიმდევარი, რომელსაც ახასიათებდა ღვთისმსახურების წესების პედანტური შესრულება სხვის დასანახავად (ქეგლ VI, 29). „გოეტეს ცხოვრების რომანში“ ასეთი ადგილია:

„ცხადია მეტწილად მეხოტბენი, პირმოთენი და ფარისეველი ეტანებოდნენ ამგვარ ნასუფრალს, მაგრამ ათასში ერთხელ ღირსეულნიც პოულობდნენ თავშესაფარს მათ კარზე“.

თავაზი არაბული სიტყვაა, ნიშნავს ყურადღებას, სტუმართმოყვარეობას, ზრდილობას, პატივისცემას, მორიდებას, ამ სიტყვის სინო-

ნიმოდ ზოგჯერ „სათნო“ გვხვდება; მაგ., „პერდერი უფრო იმეორებს“
თბილ ქორეორგს ჰგავდა, რომელიც ცხოვრებაში ფრიალ სათნოა და
თავაზიანი, მაგრამ იარების გაჭრისას უბადლო გულგრილობას
იჩენს“.

ზოგჯერ სინონიმურ წყვილში ერთი ძველი ქართულივეული ლექ-
სიკური ერთეულია, მეორე — ახალი ქართულისა: გოდოლი ძვ.
ქართულში აღნიშნავდა მაღალ კოშკს, ზოგჯერ ზღუდე-გალავნით: გო-
დოლი გალავნის სინონიმად გამოდის წინადადებაში: „გამძვირებულ-
ლი იერიშებით მიადგა ანტიოქიის თავადი — ციხის გალავნებსა
და გოდოლებს“.

პროფ. ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებით, იმ შემთხვევაში, როცა სიტ-
ყვის მნიშვნელობა თავისთავად ასე ნათელი არ არის, მწერალი ცდი-
ლობს და კარგადაც ახერხებს მის ნათელყოფას კონტექსტის მეშვეო-
ბით. სამისოდ იგი ხშირად მიმართავს სინონიმებს. ასეთებია: მეჯაღა-
გე და მეჯღანე, უბოვარი და მათხოვარი, დედოფალი და დიდუფალი...
იმავე მკვლევარის სიტყვით, თუ ფრაზაში ურევია ძვ. ქართულის სი-
ტყვა, ასეთ შემთხვევაში დაცულია ერთი კანონზომიერება: არქაული
სიტყვა პერსონაჟის მეტყველებაში გვხვდება, მისი სინონიმი კი —
ავტორის ენაში.¹³ მაგ., წყალდიდობის აღსანიშნავად სწორედ კ. გამ-
სახურდიამ შემოიღო სიტყვა „დიდროაი“, რაც მარჯვედ შერჩეუ-
ლი ლექსიკური ერთეული გამოდგა.

სულხან-საბა ორბელიანი ცხენტან დაკავშირებით განმარტავს
მის სხედასხვა სახეს, რომ მამალ ცხენს ჰქვია ახტა, დედალს —
ხრდალი და ჭაკი, მათ შვილს — კვიცი.. კ. გამსახურდია ზოგჯერ
ცხენსა და კვიცს სინონიმებად წარმოგვიდგენს და ამაში არაფერია
უჩვეულო. „ვაზის ყვავილობაში“ იკითხება: „იცი, გოდერძი, საწყალ
მამაჩემს ერთი უხიაგი კვიცი ჰყავდა. არ იქნა და ვერ გახედნა ცხე-
ნი“.

„დავით აღმაშენებელში არის ერთი მშვენიერი ადგილი, სადაც
„ვენახის პატრონის“ სინონიმად „მეზვრე“ გამოდის: „დედისიმედს
ეცნაურა ეს სიტყვები, მახარაისგან განაგონი კლდეკარში“.

„ამიერიდან მე ვარ ამ ვენახის პატრონი და სეგებდნიერი
მეზვრე“.

„იავარი“ ძველი წიგნური სიტყვაა და ნიშნავს „ნაფორიაქალს“
(საბა), აკლებულს, დარბეულს; ამ ლექსიკური ერთეულის სინონიმად
გვევლინება სიტყვა „მოსრა“.

„თარაშ ემგვარსაც აქამდე უყვარდა ამ წიგნის კითხვა. თავათვე
ამბობდა: მერმე აღარ ღირსო იმის ამოკითხვა, თუ როგორ მოსრეს,
იავარჰყვესო ქართლი“.

„ლიტანია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საყოველთაო ლოცვას, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიდნენ; იმართებოდა დიდი ღღე-სასწაულის ან საერთო განსაცდელის დროს. აი, დააკვირდით, როგორ ოსტატურადაა გამოყენებული იგი სინონიმად:

„გოეტეს სხაგდა ეს წრე, ეჭვიანობდა კიდევ, თაკილობდა, რომ მისი ღვთაების წინაშე სხვანი და სხვანი მრავალნი ღოცულობდნენ და ლიტანიობდნენ“.

ძველ ქართულში „უზოვარი“ აღნიშნავს არასმკონეს, ღატაკს, „დავრდომილს“ (იხ. ილ. აბულაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 429). ამ სიტყვის სინონიმად გამოდის „გლახაკი“: „იმავე დღეებში დაუბრუნეს სამადლო გლახაკთა და უზოვართა“.

სიტყვა „ანგალი“ სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და ნიშნავს წრესგადასულ მასხარასა, უადგილო, თავშეუკავებელ ოხუნჯს. იგი ოხუნჯობის სინონიმური ცალია.

„ჯონდი ერისთავს უდიდესი განსაცდელის ჟამსაც არ ეკარგებოდა
ოხუნჯობისა და ყმაწვილური ანგლობის უნარი“.

მოხუცი საბა განასხვავებს ცნებებს — სიძვა, მეძვი, მრუში: „სიძვა უმეუღლოსაგან“ ბოზობა (1928, გვ. 318); „მეძავი ქალი, უქმრო ბოზი“ (გვ. 208); „მრუშება მეუღლიანის ბოზობა“ (გვ. 228): ეს სამი სიტყვა სინონიმებად გვხვდება: „ჩემი თანადგომით აიღეთ თქვენ ანტიოქია. მიუხედავად ამისა, თქვენ ეძლევიტ მრუშობას და სიძვას“, „მეძავო, მრუშო, კიდევ არ იშლი ბოზობას?“

კ. გამსახურდიას ქართული სიტყვის დიდოსტატია. იგი განსაკუთრებული მონდომებით არჩევს ლექსიკურ ერთეულებს, სინჯავს დაერთმანეთს ადარებს, ახარისხებს; მწერლის თორმეტტომეულში ზღვა ლექსიკაა, სკრუპულოზურად შერჩეული და ქართული ენის ეროვნული ენერგიიდან ამოკრეფილი. ჩვენი აზრით, უკვე დადგა დრო შედგეს და გამოიცეს კ. გამსახურდიას თხზულებათა სიმფონია — ლექსიკონი, ზოლო მანამდე გადაუდებელი ამოცანაა მწერლის ნაწერებიდან ამოკრებოს სინონიმები და გამოიცეს „დავით აღმაშენებლის“ ავტორის მიერ გამოყენებული სინონიმურ სიტყვათა ლექსიკონი, რომლის აგების პრინციპებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ის დებულებები, რომლებიც ჩამოაყალიბა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ გამოსვლასთან დაკავშირებით რეცენზიაში.¹⁴

სინონიმები კ. გამსახურდიას ნაწერებში გამოიყენება მეტყველების ექსპრესიულობის, ემოციურობის მიზნით. ისინი აზრის მრავალფეროვნების ძირითად საშუალებებად გვევლინებიან. სინონიმები ამავე დროს სტილისტური საშუალებებიცაა — თავიდან გვაცილებს

ფრაზაში, წინადადებაში ერთი და იმავე სიტყვების განმეორებას, რადა ამისა, სინონიმები ხელს უწყობენ ფრაზის ემოციურობას, მის ლაკონიურობას, სათქმელის მოკლედ გადმოცემას. ლექსიკის ამ ფუნქციას ახერხებს მწერალი წინადადებათა ისეთ გამართვას, რომ გამოწვევებში სიტყვებმა სივსწროვე იგრძნონ, აზრებმა — სიდიადე.

სინონიმების ზომიერად გამოყენება დიდ ღირსებას მატებს კ. გამსახურდიას რომანებს, განსაკუთრებულ ელფერსა და გამორჩეულ სილამაზეს ანიჭებს გადმოსაცემ შინაარსს. შეიძლება დაბეჭდილებით ვთქვათ სინონიმთა შესახებ ის, რაც თ. კიკაჩიშვილიმა შენიშნა აფორიზმებთან დაკავშირებით: „კ. გამსახურდია ხშირად რამდენიმე სიტყვით ახერხებს ისეთი აზრების გათვალსაჩინოებას, რაც ჩვეულებრივ საკმაოდ ფართო მოცულობის მხატვრული პასაჟებით თუ გადმოიცემა“.¹⁵

„კ. გამსახურდიას სტილისათვის ისევე დამახასიათებელია სიტყვიერი ორნამენტები, როგორც ძვ. ქართული ტაძრებისათვის ნაირსახოვანი ჩუქურთმები“.¹⁶ ასევე ითქმის სინონიმებზეც.

ენის განვითარების პროცესში არც თუ ისე იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა სინონიმური სიტყვები და გამოთქმები კარგავს სინონიმურ გაგებას. ამის ცოცხალი მაგალითია პროვინცია და პერიფერია. ეს ორი სიტყვა დასტურდება ერთსა და იმავე გვერდზე, ოღონდ 17 სტრიქონის დაშორებით შუქია აფრიდონიძის წერილში „აბსოლუტური სინონიმების“ შესახებ“ (იხ. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1988, გვ. 291). პროვინცია და პერიფერია კ. გამსახურდიას ნაწერებშიც გვხვდება, ოღონდ სხვადასხვა ადგილას.

რ. შამელაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა

1. იხ. შ. აფრიდონიძე, ე. წ. „აბსოლუტური სინონიმების“ შესახებ: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII, თბ., 1988, გვ. 283.
2. მაგალითები მოგვყავს თხზულებათა რვატომეულიდან.
3. იხ. ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951.
4. სიცილის შესახებ იხ. ალ. ქუთელია, სიცილი და მისი სოციალური ძალა, თბ., 1961.
5. სინონიმები „დიდოსტატის მარჯვენაში“ კარგადაა გაანალიზებული პროფ. ნ. ლემონჯავას ნაშრომში „მწერლის ენის შესწავლა სკოლაში“, თბ., 1978, გვ. 26-28.

6. ნ. ლემონჯავა, კ. გამსახურდიას ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1981, გვ. 96.
7. ჯემალ სილაგაძე, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის საკითხები, თბ., 1981, გვ. 159.
8. ვ. კალანდაძე, სინონიმურ-სიტყვათა გამოყენებისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1985, № 1-2, გვ. 40.
9. ნ. ლემონჯავა, კ. გამსახურდიას ენისა და სტილის საკითხები, გვ. 101.
10. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 243.
11. სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ., 1959, გვ. 248.
12. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975, გვ. 55-56.
13. ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956, გვ. 111-112.
14. ზვიად გამსახურდია, ლიტერატურული წერილები, თბ., 1976, გვ. 143.
15. თ. კიკაჩიშვილი, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ პრობლემეტიკისა და მწერლის მხატვრული ოსტატობის საკითხები, თბ., 1974, გვ. 191.
16. ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987, გვ. 183.



კომენიოლოგიის ქართული კარადიგმები

იუნესკოს ეგიდით 1992 წელს მსოფლიოში აღინიშნება გენიალური ჩეხი მოაზროვნე დემოკრატის, პუმანისტის, პედაგოგის მეთ-ნიერების ფუძემდებლის, მსოფლიოს ხალხთა მასწავლებლის იან აშოს კომენსკის დაბადების 400 წლისთავი.

საქართველო ცნობილია კომენიოლოგიური კვლევა-ძიების მდიდარი ტრადიციებით.

ქართული კომენიოლოგია ისტორიული მოვლენაა. ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის იგი ძალდატანებით არავის მოუხვევია თავს უცხოეთიდან. ქართულ კომენიოლოგიას ღრმა და მყარი ეროვნული საფუძველი აქვს, რომელიც ქართულ სინამდვილეში უფრო ადრე მომწიფდა, ვიდრე ფაქტობრივად დაიწყებოდა იან აშოს კომენსკის იდეების პოპულარიზაცია და მეცნიერული ნაშრომების გავრცელება საქართველოში. ერთი შეხედვით, თითქოს პარადოქსთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით მოვლენებს, დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს არა პარადოქსთან, არამედ მეცნიერულ კანონზომიერებასთან. ამ მოვლენის ასახსნელად ჩვენ ვეშყარებით „მსგავსი იდეების“ კონცეფციას.

რა არის „მსგავსი იდეების“ კონცეფციის არსი?

„კაცობრიობა გონიერი არსებაა“. მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ ორი ქვეყნის ხალხის ცხოვრებაში ყოველი მსგავსი ისტორიული სიტუაციის წარმოქმნა წარმოშობს მსგავსი იდეებს. ამ მოვლენის მეცნიერული დასაბუთების პირველ და წარმატებულ ცდას წარმოადგენს მიხეილ კვესელავას ორტომიანი ვრცელი, კაპიტალური გამოკვლევა „ფაუსტური პარადიგმები“ (თბ. 1961 წ.). მკვლევარმა მსოფლიო ფაუსტიანას საფუძველზე განსაზღვრა დოქტორ ფაუსტის შესახებ ლეგენდებში ჩაქსოვილი მთავარი იდეები ბუნების ძალთა დაპყრობის, სამყაროს შეცნობის, ჭეშმარიტების ძიების და ადამიანის სრულყოფის შესახებ და შემდეგ დაადგინა მისი კონკრეტული გამოვლინებები ქართულ მწერლობაში. ასე მაგალითად, გოეთესელი ფორმულა „თავისუფალი ადამიანი თავისუფალ მიწაზე“, ასე გამოვლინდა ქართულ მწერლობაში ილიას „ჩრდილის“ სახით:

შრომისა ახსნა ეს არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის.

თავისუფლების, „შრომის ახსნისა“ და „შრომის სუფევის“ ილიახელი იდეები

მიხეილ კვესელავას დასაბუთებით არის ფაუსტური პარადიგმა, მაგრამ ეს არ არის არც მიბაძვა და არც ნასესხობა. „ლიტერატურაში პარადიგმებს ერთნაირი თემის, ან სიუჟეტის სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებებში გამოყენებას ვუწოდებთ“ — წერს მ. კვესელავა (5.7).

მსგავსი იდეების ჩამოყალიბება და მისი განხორციელების მიმართულება, გზა, საშუალება და მეთოდი მეცნიერებასა და ხელოვნებაში, როგორც წესი, უაღრესად სპეციფიკური ფორმით გამოვლინდება, მაგრამ შინაარსით მაინც მსგავსი იქნება. მსგავსი იდეების კონცეფცია დასტურდება პედაგოგიკის ისტორიაშიც. კერძოდ, ცნობილია, რომ მე-18 საუკუნეში დაახლოებით ერთნაირი საფრთხე შეექმნათ ჩეხეთს, უკრაინასა და ბელორუსიას. ჩეხეთს გაგერმანელების, ხოლო უკრაინელებსა და ბელორუსებს გაპოლონელების საფრთხე დაემუქრათ. საჭირო იყო ერების გადაჩენა. ჩეხეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში აზვითდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეს იყო მსგავსი ისტორიული სიტუაცია სამი სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში და სამივე ხალხის ეროვნული ცნობიერების წიაღში ერთნაირად მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი სკოლის მეშვეობით მოზარდი თაობის ეროვნული თვითშეგნების აღზრდით ერის გადარჩენის შესახებ. საჭირო იყო სწავლებისა და აღზრდის არსებითად გაუმჯობესება. სწავლებისა და აღზრდის მეშვეობით უნდა აშაღლებულიყო მთელი ხალხის ეროვნული თვითშეგნება. ამისათვის კარგად უნდა ესწავლებინათ, პირველ რიგში, ეროვნული ენა, ლიტერატურა, ისტორია, ხოლო გარდა სწავლების იდეის მეთოდური განხორციელებისათვის, ისტორიულად, ერთსა და იმავე დროს ჩეხეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში ლოგიკურად მივიდნენ სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემის აღმოჩენამდე. ჩეხი მეცნიერისა და პედაგოგის იან ამოს კომენსკის შრომებში „დიდი დიდაქტიკა“, „კარგად ორგანიზებული სკოლის კანონები“, ხოლო ბელორუსიისა და უკრაინის ძმობის სკოლების წესდებებში, ფაქტურად, ერთდროულად ჩამოყალიბდა სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემის კონცეფცია. დღეს ბევრს და პრინციპულად კამათობენ იმის შესახებ, თუ ვინ ვისი აღმოჩენით ისარგებლა: უკრაინელებმა და ბელორუსებმა კომენსკის აღმოჩენით, თუ იან ამოს კომენსკიმ ისარგებლა უკრაინისა და ბელორუსიის ძმობის სკოლების გამოცდილებით და სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემის თეორიის ჩამოყალიბებით შექმნა კემპარტად ახალი ეტაპი პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიაში. ამ საკითხზე სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა აღიარებულმა კომენიოლოგმა ე. ნ. მედი-ნსკიმ „Влияние братских школ Украины и Белоруссии на педагогическую систему Яна Амоса Каменского“. ავტორი მრავალნაირად ცდილობს საჭირო არგუმენტების მონახვას იმისათვის, რომ დაამტკიცოს თუ როგორი გავლენა იქონია უკრაინისა და ბელორუსიის ძმობის სკოლების წესდებებმა იან ამოს კომენსკის პედაგოგიკურ სისტემაზე. მკვლევარი მიმართავს იან ამოს კომენსკის შრომებისა და ლევიის ძმობის სკოლის წესდებების ტექსტუალურ შედარებებს და აკეთებს დასკვნას, რომ სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესები, რომელსაც კომენსკი გვთავაზობს, 70 წლით ადრე იყო დეტალურად დამუშავებული ლევიის ძმობის სკოლის წესდების სახით (7.80). მიუხედავად ამისა სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემის პირველდამოჩენის საკითხი მაინც გადაუწყვეტელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში სრულყოფილად გამოვლინდა „მსგავსი იდეების“ კონცეფციის რეალობა: — სამი ხალხის ისტორიაში ერთდროულად შეიქმნა მსგავსი კრიტიკული სიტუაცია და მისგან გამომდინარე სამივე ხალხმა ერთნაირად სწორი გადაწყვეტა მოუძებნა კრიტიკულ სიტუაცია. ის, რომ ეს გადაწყვეტები დამოუკიდებელ ხასიათს ატარებდა და ატარებს, იქიდანაც ჩანს, რომ ბელორუსიის პედაგოგიური აზროვნების ანთოლოგიის

სოლიდურ კრებულში, რომელიც ყოფილი სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა და რომელშიც მოთავსებულია ცნობილი ბელორუსი პედაგოგების საუკეთესო შრომები, 460 გვერდიან კრებულში, არც ერთხელ არ არის მოხსენებული მსოფლიო პედაგოგიის ფუძემდებლის იან ამოს კომენსკის სახელი. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ არც იან ამოს კომენსკის, რომელიც ძალზე სკრუპულოზურ დამოკიდებულებას იჩენს ავტორისადმი, ვისი ნაწარმოებიც კი გამოუყენებია, არც ერთხელ და არც ერთ თავის ნაშრომში არ დაუსახელებია უკრაინისა და ბელორუსიის ქალბის სკოლები. მაინც მიუხედავად ამისა, ბელორუსი მკვლევარები დაბეჭდვით ამტკიცებენ, რომ ბელორუსიის სკოლებში ინერგებოდა კომენსკის პედაგოგიური იდეები.

„მსგავსი იდეების“ კონცეფციის სასარგებლოდ მერყეულებს პროფესორ ადემ აბლავეის გამოკვლევა Я. А. Коменский и гуманизм педагогических идей Среднеазиатского Ренессанса, რომელიც მან მე-16 საუკუნისათვის კომენიოლოგიურ ხიმპოზიუმზე წაიკითხა 1989 წელს ქ. უშერსკი-ბოროში (ჩეხოსლოვაკია) (13,116).

„მსგავსი იდეების“ კონცეფციით უნდა ავსხნათ ქართული კომენიოლოგიის ისტორიული საფუძვლების ჩასახვა და განვითარებაც. ეს ისტორია, ჩვენი თვალსაზრისით, იწყება არა უგვიანეს მე-17 საუკუნისა. მე-17 და მე-18 საუკუნეებში მსგავსი ისტორიული სიტუაციები მწიფდებოდა ჩეხეთსა და საქართველოში, მე-15 და მე-16 საუკუნეების ჩეხეთი დაქუცმაცებულ ფეოდალური ქვეყანა აღმოჩნდა გერმანელი კოლონისტები, ერთი მხრივ, და კათოლიკური ეკლესიის მესვეურები, მეორე მხრივ, ერთობლივად უტევდნენ ყოველგვარ ეროვნულს და დევნიდნენ ჩეხურ ნაციონალურ კულტურას (6,28). ანალოგიური ვითარება შეიქმნა მე-13, მე-14 და მე-15 საუკუნეების საქართველოში. ეს ვითარება პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან ზნეობრივ კრიზისშიც გადაიზარდა მე-17 და მე-18 საუკუნეებში შინაური და გარეშე მტრების ძალმომროების, თვით ქართველ ხალხში საქვეყნო ხაქმისადმი ფესმოკიდებული ინდიფერენტუზისა და უიმედობის გამო ქვეყანაში მოიშალა მეურნეობა, შეფერხდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარება. დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი ღრმა გულისტკივილით წერს ამის გამო:

ქართლის ჰირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენამწვერი,
იფქლი ღვარძლად გარდაიქმნა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარჩქევის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწვერი.

მაგრამ დავით გურამიშვილის თვალსაზრისით, ამით არ ამოიწურება ქვეყნის წახდენის მიზეზების დახასიათება. მისი აზრით ქვეყნის წახდენის ერთ-ერთი მიზეზი საზოგადოებაში ფესმოკიდებული ზნეობრივი კრიზისია, რაც, პირველ რიგში, რწმენის საფუძვლების შერყევასა და შესუსტებაში, და შესაბამისად, მისგან გამომდინარე ანტიზნეობრივ მოვლენებში გამოიხატა. ადამიანური არსებობის ზნეობრივი ღირებულებებისათვის ბრძოლა, არ ვალდაჟარბებთ თუ ვიტყვი, რომ ქართული ცნობიერების უმთავრესი მიმართულებაა. არ გვეგულება თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული საისტორიო და მხატვრული ლიტერატურის არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელშიც გმირის თუ მოვლენის ასახვას გარკვეული ზნეობრივი კონცეფცია არ ედოს საფუძვლად. „საქართველოს ზნეობაში“ — ეს აუტორმა კიდევ უფრო გააფართოვა ქართველი კაცის წარმოდგენა ადამიანურ ღირებულებებზე და თქვა, რომ „ყოველი ცოდნა ზნეობაა“, და რომ „საქართველოში იტყვიან სამასსამოცდახუთსა ზნეობას, სხვას არ ავადებენ ქვეყნისას თუ არ მათხა“ (11,563,568).

მე-17 და მე-18 საუკუნეების საქართველოში საზოგადოებრივი და კერძო პირთა ცხოვრების წესობრივი საყრდენების მოშლაში დანახა დავით გურამიშვილმა სამშობლოს თავზე დატრიალებული უბედურების ერთ-ერთი მიზეზი და მიუთითა:

„შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა.
ამპარტაგენობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა,
აეზაყობა, ჭურღობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება — ქვრივთა ობოლთა, მწირისა“.

პოეტი თვლის, რომ ხალხის წესობრივი ღირებულებების დევალაციის მიზეზია ხალხის შეორგულება უფლის მიმართ:

„გულ-მანკიერად შეიქმნენ, ქმნეს სამსახურზედ კლებანი,
დაცაივიწყეს მათ მისი (ღვთის — ი. ბ.) ურიცხვი მოწყალებანი“.

საზოგადოების წესობრივი დაცემის ამგვარი სიტუაცია ყოველთვის წარმოიქმნებოდა ფეოდალურ ქვეყანაში. მსგავსი სიტუაცია ბატონობდა მე-16 და მე-17 საუკუნეების ჩეხეთშიც, რის გამოც იან ამოს კომენსკიმ მთელი ძალით დააყენა საკითხი პიროვნების ფორმირებისა და საზოგადოების გაჯანსაღების საქმეში აღუდგინა გადამწყვეტი როლის შესახებ: „ადამიანს ესაჭიროება სწავლა, თუ იგი უნდა გახდეს ადამიანი“, „ის არ შეიძლება გახდეს ადამიანი, თუ არ ისწავლა: „ადამიანი არის ყველაზე უფრო მშვიდი და ყველაზე უფრო ღვთაებრივი სულდგმული, თუ იგი მოშინაუბრებულია ჭეშმარიტი აღზრდით და თუ მას არ მიუღია აღზრდა, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც დედამიწა წარმოშობს“ (დიდი დიდაქტიკა, VI, 6), „ყველას, ვინც კი ადამიანად დაიბადა, ესაჭიროება სწავლა, რადგან მათი დანიშნულებაა იყვნენ ადამიანები და არა გარეული მხეცები, უგუნური ცხოველები, ან უხეში კუნძები“ (იქვე VI, 10), მაგრამ ამასთან ერთად, საინტერესო და ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კომენსკიმ დაიწყო ფიქრი არა ზოგადად საყოველთაო აღზრდისა და განათლების, არა პამპედიის, პანარესიის, პანარტოზიის, არამედ საკუთრივ ჩეხი ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ. არის ამაში დიდი განსხვავება. ამ მიზნით ახლა საყოველთაოდ ცნობილი და საყოველთაო საკუთრებად ქცეული „დიდი დიდაქტიკა“, თავდაპირველად მხოლოდ ჩეხურ ენაზე დაიწერა და მხოლოდ ჩეხი ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების ამოცანებს ისახავდა მიზნად, ამის შესახებ დიდი პედაგოგი საგანგებოდ მიუთითებს თავისი „დიდაქტიკური შრომების სრული კრებულის“ ამსტერდამისეული გამოცემის წინასიტყვაობაში და აღნიშნავს, რომ „ჩეხური დიდაქტიკა — გამიზნული იყო იმისათვის, რომ დახმარებოდა მრავალტანჯულ ჩეხ ხალხს მშობლიური ენის დაცვისა და განვითარების საქმეში. ამიტომ ამ წიგნს თავდაპირველად „ჩეხეთის სამოთხე“ ერქვა (6.61). ამ პრობლემებზე დღესაც დიდი ინტერესით მუშაობენ ჩეხი კომენიოლოგები. 1969 წელს ინგლისის ქ. შეფფილდში ჩეხმა მეცნიერმა დაგმარა ჩაპკოვამ აღმოაჩინა იან ამოს კომენსკის სამუშაო დღიურის ვრცელი ტექსტები, რომლიდანაც ირკვევა, რომ პანსოფიის პედაგოგიური დამუშავების პირველ ეტაპზე კომენსკი მთელ თავის ყურადღებას ჩეხი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას მიაპყრობდა და ამ მიზნით 1631 წელს დაწერა „ჩეხეთის სამოთხე“.

როცა ეს ამოცანა შეასრულა, მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა კომენსკის დიდაქტიკის“ შექმნის იდეის განხორციელებას. კომენსკის მოღვაწეობაში მნიშვნელოვან როლს ითამაშა დ. ჩაპოვა ამ პერიოდს „პანსოფიის პედაგოგიური დამუშავების მეორე ეტაპს“ უწოდებს“ (12.106).

ამრიგად, საცხებით საფუძვლიანად მიგვაჩნია ძიება მსგავსი ისტორიული სიტუაციების პირობებში მსგავსი პედაგოგიური იდეების პარადიგმური ფორმების დადგენისათვის და ამ შემთხვევაში კომენიოლოგიური პარადიგმებისა — საქართველოში.

პირველი ზოგადპედაგოგიური პრობლემა, ჩვენი აზრით, რომელიც კომენიოლოგიის იდეების შუქზე უნდა იქნეს განხილული ქართული პედაგოგიური აზროვნების სრულმდებელში, ეს არის აღზრდისა და აღმზრდელის პიროვნების გადამწყვეტი და განმსაზღვრელი როლის პრობლემა პიროვნების ფორმირებაში. როგორც ზემოთ დავინახეთ, იან ამოს კომენსკი ადამიანის შვილის ნამდვილ ადამიანად ქცევის წინაპირობად აღზრდას მიიჩნევს: „ის არ შეიძლება გახდეს ადამიანი, თუ არ იხწავლა“ (1.6.1).

ეს იდეა ბატონობს დავით გურამიშვილის პოეტურ-დიდაქტიკურ მემკვიდრეობაში. დავით გურამიშვილი სწორედ აღზრდის შედეგად თვლიდა ადამიანის გამოჩენას პირუტყვისაგან. კომენსკისებურად გურამიშვილიც სწავლა-აღზრდას მიიჩნევდა ადამიანის შვილის გაადამიანების ძალად. თუ ადამიანის შვილი არ აღიზარდა, მისგან სიკეთეს ნუ ელით. დავით გურამიშვილი წერს:

სკობს ყოლა უწვრთის ძაღლისა, უწვრთნელის შვილის ყოლასა.

ძაღლი უწვრთნელი პატრონსა ასეთს რას დაუშავენსა,
რომ შვილი ბრიყვი, უცები, დედამას განათავენსა?
უცოდინრობით ასეთსა საქმეებსა იქმს ავენსა
გვარსა და ნათესავენსა სირცხვილი სჭრიდეს თავებსა.

დ. გურამიშვილის ღრმა რწმენით ყმაწვილმა აუცილებლად უნდა გაიაროს კარგი აღზრდისა და კარგი სწავლების სკოლა. მისთვის ეს უნდა იყოს არა უბრალოდ რჩევა-დარიგებების პროცესი, არამედ წრთობის პროცესი. ხოლო ეს პროცესი მას რკინის წრთობის ანალოგიით აქვს წარმოდგენილი: „ყრმა სწავლებაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების“-ო — გვიქადაგებს დიდი პოეტი.

აღზრდა თავისთავად აბსტრაქტული ცნებაა თუ კონკრეტულად არ არის დასახული აღზრდის მიზანი — რისთვის ვზრდით, რას და რისთვის ვასწავლით? პედაგოგიის ფუძემდებლის იან ამოს კომენსკის აზრით „მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ ყველაფერი, რაც მან უნდა იცოდეს“, „ყველაფერი, რასაც ვასწავლით, უნდა ვასწავლოთ როგორც ნამდვილად არსებული და სასარგებლო საგანი. მოსწავლემ ნათლად უნდა დაინახოს, რომ ის, რასაც იგი სწავლობს, არ არის არც უტოპია, არც პლატონისებური იდეები, არამედ ჩვენს გარშემო გადამზდილი სინამდვილე, რომლის ზედმიწევნითი ცოდნა მოგვცემს ცხოვრებაში უღაო სარგებლობას“ (1.15.16.).

ცხოვრებისათვის მომზადების ანალოგიური იდეა დადასტურებულია დავით გურამიშვილის შემოქმედებაშიც. დავითიც ფიქრობს, რომ ცხოვრებისათვის თავის ღროზე მოუშაადებლობა ადამიანს სიბერეში გაამწარებს;

უსწავლელი ვაჟაკი სიბერის ღროს გაწილდების,
რიკ-ფაინის ღრო გარდუა, ვეღარ გაჰრავს, ჩაჰბილდების.

უწვრთნელი ძაღლის შენახვა ოჯახში უფრო ადვილია, ვიდრე ცხოვრებისათვის მოუმზადებელი ადამიანის ცხოვრება ოჯახში. დ. გურამიშვილი ამბობს:

უსწავლელი ძაღლი კარში ჰყვებს და გარემოებს ჰფარავს,
ნადირს აფრთხობს, ჭურღს აშინებს, ძნელად რასმე მას მოპარავს,
ბრიყვი კაცი წამოწვების, ღამით კარსაც არ მისჯარავს.
თვით იქნების გასაკმარი, ვინც ამ სწავლას გამიკმარავს.

ანალოგიური იდეის სპეციალურად დამუშავებას მიუძღვნეს თავიანთი კლასიკური თხზულებები მე-17 და მე-18 საუკუნეების ქართული ცივილიზაციის გამოჩენილმა მოღვაწეებმა სულხან-საბა ორბელიანმა (1658-1725 წწ.) და დავით გურამიშვილმა (1705-1792 წწ.).

აღზრდისა და განვითარების სწორუპოვარი აპოლოგია ჩამოაყალიბა თავის „სიბრძნე-სიცრუეში“ სულხან-საბა ორბელიანმა. უფლისწულ ჭუმბურის აღზრდისა და მასწავლებლის მკაცრი მომთხოვნელობით აღშფოთებულ მეფეს ბრძენი ლეონი ასეთ შეკითხვას უსვამს: „ძე შენი სამეფოდ გინდა თუცა მწყემსად?“ და იქვე იძლევა მეფისა და ცხვრის მწყემსის დანიშნულებათა დახასიათებას: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უცვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იბირვოდეს, კეთილთა ბაღახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდელი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუმცა ვერ ყოს, სამწყსო შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ისეთი ხამს: გლახკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს, თუმცა ეგოდენ ფეხზე არ მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს — აღდგება, უნებს — დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნას, რას მოიჭირებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუმცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საქმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჯამს და სვამს, არ მოიმშვესა. არაკად თქმულა: მაძლარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფუნეტდა და ზედ დაჰყვედრიდა — რად ღორულად სჯამო, თუმცა უცხენოდ სვლა და ფეხშიშველობა არ გამოეცადა, ბაჟირთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა სცნას, რომლითა სიბრალულთა შეიბრალდებდა, იგი მერანთა ანუ თხარაკითა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს? არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებრძანა ასისა და ორასისა არგნისა კერა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. ახლა ყოველთა გლახკთა, უღონოთა და მდაბლთა ჭირნი მისწავებია, და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა?“ ლეონის ეს პედაგოგიური პრაქტიკა და კონცეფცია კომენტის პედაგოგიური თეორიის მკვეთრად გამოხატულ პარადიგმას წარმოადგენს. კომენტის თვალსაზრისით „არაფერია ადამიანის შეგნებაში ისეთი, რაც წინათ არ ყოფილა მის შეგნებაში. ამიტომ გონება ღებულობს მასალას ყოველგვარ განსჯისათვის მხოლოდ შეგრძნებისაგან და აზროვნების აქტი ხდება არა სხვაგვარად, თუ არა შინაგანი შეგრძნებების საშუალებით, ესე იგი საგნებისაგან აბსტრაქტიზებულ გამოსახულებათა კვრეტის საშუალებით“ (დიდი დიდაქტიკა მე-15,8). თეორიისა და პრაქტიკის ამგვარი შერწყმა მნიშვნელოვნად ამაღლებს პედაგოგიური პროცესის ეფექტურობას. თეორიისა და პრაქტიკის ამგვარი ერთიანობის მნიშვნელობას ყოველთვის კარგად გრძნობდნენ ქართველი მოაზროვნე პედაგოგები. ეს განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეში“. კერძოდ, ლეონის გონიერებით მოხიბ-

ლული მეფე ფინეზის შესახებ მწერალი ამბობს: „ნახა მეფემან და მოსმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი. დიდად მოეწონა და შეინანა, რაცა ლეონისათვის აგი ექნა“. მეფეს კი ლეონის პიროვნებაში თეორიული განათლებისა და პრაქტიკული საქმიანობის უნარის შერწყმა მოეწონა.

პედაგოგიური ჰუმანიზმი და ოპტიმიზმი, რომლითაც გამოირჩევა იან ამოს კომენსკის მთელი მოძღვრება, მასწავლებელი და სრულიად ბუნებრივი პრინციპებია მე-17 და მე-18 საუკუნეების ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის. იან ამოს კომენსკი მოითხოვდა, რომ „ყველას, ვინც კი ამქვეყნად შემოდის არა როგორც მაცურებელი, არამედ როგორც მომავალი მოღვაწე, ვასწავლით თუ როგორ გამოიყენონ ძირითადი საფუძვლები, კანონები და მიზნები ყოველივე იმისა, რაც უმოთაურესია, რაც არის და ღდება ამქვეყნად. არაფერი შეზღუდეთ ისეთი უცნობი რამ, რის შესახებაც მათ არ შეეძლებათ თუგინდ მარტივი მსჯელობა და რასაც ისინი ვერ დააოციებენ გარკვეული ღიშინისათვის გონივრულად, სხვათა შეცდომების დაუშვებლად (1.10.1).

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ მთავარი პერსონაჟის — აღსაზრდელ უფლისწულ ჭუმბერის აღზრდას ისე გეგმავს ლეონი (სულხან-საბა ორბელიანი) რომ იყოს არა მხოლოდ მაცურებელი, არამედ როგორც მომავალი მოღვაწე, რომ აღსაზრდელმა რეალისტურად შეიცნოს ცხოვრება, ისწავლოს ყველაფერი ის, რაც ცხოვრების სინამდვილეს ახასიათებს. ამიტომ ს. ს. ორბელიანი იმის მომხრეა, რომ უფლისწული სასახლიდან მოშორებით იზრდებოდეს, ნამდვილი ცხოვრების შუაგულში. საგულისხმოა შენიშვნავე „ქართული პედაგოგიის ისტორიის“ ავტორები, რომ „აღმზრდელი მეფისწულს სასახლის ფუფუნებას შორებს და ნამდვილ ცხოვრებაში შეჰყავს, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით აცნობს ცხოვრების სინამდვილეს“ (9.110).

თავის მხრივ კარგად აღზრდილი და გონიერი ჭუმბერიც უაღრეს მაღლიერებას გამოხატავს თავისი აღმზრდელის მიმართ. ჭუმბერს, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული კარგი აღზრდის მნიშვნელობა, მამასთან საუბარში ამბობს: „გალატოჰმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა ანუ აღმაშენებლისა? მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიცის საქებელია თუ მხედრისა? შენი ზორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულების საქმე — შენგან, და წვრთილობა — ლეონისაგან“. (10.84).

მასწავლებლის დამსახურების ესოდენ ამაღლებული წარმოდგენაც მასწავლებლის შესახებ იან ამოს კომენსკის ცნობილი შეხედულების პარადიგმად გვესახება. კომენსკიმ მასწავლებლის თანამდებობა ყველაზე მაღალ თანამდებობად დასახა მზის ქვეშ: „მასწავლებელი დაყენებულია ისეთ უაღრესად საპატიო პოსტზე, მას ჩაბარებული აქვს ისეთი ყველაზე საუკეთესო თანამდებობა, რომელიც მაღალიც არაფერია შეიძლება იყოს ამ მზის ქვეშ“ („კარგად მოწყობილი სკოლის კანონები“ 21,2). მე-17-მე-18 საუკუნეების მოღვაწე ს. ს. ორბელიანიც, ანალოგიურად, ყველაზე ამაღლებულ და უაღრესად საპასუხისმგებლო მისიის მატარებლად სახავს მასწავლებელს. საგულისხმოა, რომ ფინეზ მეფის კარზე საქმენელი როდია ჰქვიათ კარისკაცი. მათ შორის ვაჟირი სედრაქი ზნეობრივი კეთილშობილებითაც გამოირჩევა, მაგრამ მეფე ფინეზმა ჭუმბერის აღმზრდელად არც ერთი კარის მსახური არ დანიშნა, რადგან ს. ს. ორბელიანის აზრით აღზრდა უაღრესად სათუთი, ძნელი და

საპასუხისმგებლო საქმეა, იგი წინააღმდეგობების დაძლევის გზით მიმდინარეობს. ეს პროცესი კი ყოველთვის სასიამოვნო როდია. მით უმეტეს აღსაზრდელისათვის. ამიტომ აღმზრდელი მასწავლებელი, როგორც უკვე დავინახეთ ლეონ-ჭუმბერის ურთიერთობიდან, ზოგჯერ იძულებული გახდება მიმართოს რადიკალურ ზომებს. ამას კი უფლისწულთან დამოკიდებულებაში მეფის ვაზირი ვერ გადადევს, აღზრდაში დაშვებული ყოველგვარი ფორმალობა კი დამლუპველია აღზრდის საქმისათვის. მაგალითად, სანქცო კარზე დადგენილი წესის მიხედვით „მეფეთა თანა მყოფთა სამინი“ საქმენი უნდა სჭირდეთ: პირველად: რომელიც კაცი უყვარდეს, იგი არ შეასმინოს, თვარა სიყვარულით არ შეისმენს და შენ დაზიანდები, მეორედ, ვისაც სიტყვა იამება, შენც უქო, თვარა თუ უძაგო, არ ეძაგება და შენ გასცრუდები“ (10.68). შეილზე უფრო საყუარელი აღამიანი ვინ იქნება ერთადერთი ჭუმბერას პატრონი ფინეზისათვის?! შესაბამისად, ნებისმიერი კარის ვაზირი ჭუმბერის გამუდმებულ ქება-დიდებაში იქნებოდა ფინეზის წინაშე, რაც, არ შეიძლებოდა ჭუმბერის აღზრდაში საზიანო შედეგებით არ დამთავრებულიყო. ამიტომ გადაწყვიტა ს. ს. ორბელიანის ნაწარმოების გმირმა ჭუმბერის აღმზრდელად მოეწვია კაცი განათლებული, ბრძენი და სრულიად თავისუფალი, ფიზიკურად უნაკლო და ლამის ღვთიური წარმოშობისა. პედაგოგიური პროფესიის ეს ზენაარობის იდეა ასეა გადმოცემული „სიბრძნე-სიბრუნეში“: ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჰაბუკი ვინმე შევნიერი, მსგავსი ღმრისა; მხნე, ასოვანი, პირწყაზარი, ტაწხარო. ახლად სუმბული ამოსვლოდა და მცირედ ქუფვი მომხვეოდა საყვარლად სახალგევი. უთხრა მეფესა.

— ღმერთმა გადღეღგრძელოს ძე ეგე შენი და თუცა მე არ მომპარებ, ნება შენდა, ეგრავინ გასწვართოს. თუ მეძებო, მპოვო, თუ არა, შენვე ინანდო. — სახე თვისი, ეტრატსა ზედა გამოწერილი, ხელთა მისცა და უთხრა: — მეძებე, თავმან ენგანო! — და თვით წავიდა (10.11). დიდი ხნის ძებნის შემდეგ ფინეზ მეფე მართლაც აღმოაჩინა ლეონს, რომელიც ობლობაში გაზრდილა, მაგრამ ქვეყნად ბევრის მცოდნე და მნახველია. თვითონ ლეონი ამბობს: „მე აქა-იქ სვლითა გავზრდილვარ“ (10.18). მეფის ვაზირმა ლეონს დიდი სამსახური და სიკეთე შეპირდა სამეფო კარზე: „ღია მხარის სიტყვატკბილობა შენი და მომწონს ზრდილობანი და ქცევანი შენი. აჲ მოვედ, მეფესა ემსახურე და იყო თავი ვაზირთა და უზუცესი ჩემი და მეფემან ძმურად პატივი გცეს“, მაგრამ თავისუფლებაში აღზრდილმა და დამოუკიდებლობის ფასის მცოდნე ლეონმა კატეგორიულად უარყო ეს მაცუთუნებელი თუ მომხიბლავი წინადადება მეფის ვაზირისა და კვლავ თავისუფალ აღმზრდელად დარჩენა ირჩია. აღმზრდელი და მასწავლებელი, ლეონის აზრით, ისე დიდი საქნის მოთავეა და ისე უადრესად საპატიო პოსტზეა დაყენებული, რომ იგი მეფის კარის ვაზირივით ვერ იქნება ყოველთვის ყველას მამებელი. ლეონი ასე განმარტავს თავის შეზღუდულობას ამ საკითხზე: „მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის, სიცხე დასწავს, და თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზრავს. მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს: ერთი, რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედავდეს და მეორის თვლით ბრმისაგან უბრმესი იყოს. მეორე: აგრეც ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუვოს. მესამე: გული ფუნდუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს. მეოთხე: რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და ჰკუის საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას, მეხუთე: ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სანახალა ორივე სდიოდეს (10.22.23). მასწავლებლის პროფესიის დამოუკიდებლობის დასაცავად, და ამით აღზრდის ძნელი საქმის წარმატებით განხორციელების პრიო-

რიტების სასარგებლოდ კიდევ ერთ სიბრძნეს იტყვის ლეონი: „ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი ხანთელია: თავსა თვისსა დასწვავს და სხვათ გაუნათლებს. მეფისა საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და სრიკითა მასცა შეაძულებენ“ (1023.), ამიტომ ლეონი მოითხოვს პირობის წიგნს ფინეზისაგან, როგორც მამისა და ხელმწიფისაგან: „ხელწერილი მომეც ფიცისა, ვირემ ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომკვდინო, და ეგრე ვიქმო“ (12.26-34). ამით, ს. ს. ორბელიანმა მასწავლებელი, ფაქტიურად მეფის თანატოლ პოზიციაში წარმოგვისახა. მასწავლებელი ვერ იქნება ვერავის მიმართ მონურ და მოკიდებულდებაში შემდეგ, როცა დაბეჭდეს მეფესთან ლეონი და მეფე უსაზღვროდ გააცოფეს, ლეონმა შეასენა მას: „ეგრე მომკლავ, მეფეო, ვერა! აჰა, საფიცარი შენი, ამ დღისათვის გამოვართვი, ამას ველოდი და ვიცოდი“.

მეფემ მანც ბრძანა: „მოვედ და ვისამართლოთ!“ მაგრამ ლეონმა მტკიცედ შეინარჩუნა აღმზრდელის ავტორიტეტისა და ღირსების დონე და მიუგო: „არა, ჭირთ მოწყალებისა ქართა მრისხანებისა ღველფი განაბნივე და სიტკბოს წყლითა მისი აღი დასრიტე და მერმე მეტყოდე“. მწერალი შენიშნავს: „სიტყვასა მასა ზედა მოვიდა მეფე ცნობასა, დაწყნარდა და დამშვიდდა. ლეონ მყოვარ უამ დადუმებითა იდგა. მერმე აუბნა თავისი ბულბულის უტკბესი ენა“ (10.26-34).

შრიგად, ასე შთამბეჭდავად და ღირსეულად ჰყავს წარმოსახული ს. ს. ორბელიანს აღმზრდელ-მასწავლებელი, რომელსაც იან ამოს კომენსკი „მზეს და წყაროს“ უწოდებს („დიდი დიდაქტიკა“, XIX, 19).

მესამე პრობლემა ზემოაღნიშნული ზოგადპედაგოგიკური პრობლემების შუქზე, **რომელიც თანაბარი თვალსაზრისით იმსახურებს ყურადღებას** იან ამოს კომენსკის მოძღვრებასა და XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიურ ნაშრომებში, ეს არის კარგად სწავლებისა და სწავლების პროცესის არსის, კერძოდ, სწავლების პროცესის სიძნელე-სირთულის გარკვევის პრობლემა.

კომენსკი მოითხოვდა სწავლების პროცესის აგებას სიძნელეთა დაძლევაზე და ამ გზით მოსწავლეთა მიყვანას ახალ ცოდნასთან. კომენსკი გადაჭრით ილაშქრებს ყოველგვარი მექანიკური და გაუაზრებელი დაზეპირების წინააღმდეგ: „ახალგაზრდობის წესიერად აღზრდა არ ნიშნავს იმას, რომ თავში ჩავუტენოთ ავტორებიდან ამოკრეფილი სიტყვების, ფრაზების, გამოთქმებისა და აზრების ნარევი, არამედ ნიშნავს, იმას, რომ განუვითაროთ მას საგანთა გავების უნარი, რათა სწორედ ეს უნარი გახდეს იმ ცხოველ წყაროდ, საიდანაც ცოდნის ნაკადულები გადმოედინება“ წერდა ი. ა. კომენსკი (დიდი დიდაქტიკა, XVIII, 22). მაგრამ კომენსკი ამასთან, თავისთავად ამ ძნელი პროცესის ერთგვარი გაადვილებისაკენაც მოუწოდებს მკითხველს და წერს: „უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ აქ ყველაფერი შეგუებული იყოს ბავშვის უნართან, რომელსაც ბუნებრივი მიდრეკილება აქვს ყოველივე იმიხადში, რაც სახიამოვნოა, სახუმაროა და თამაშობის ხასიათი აქვს და გაუბრძნო ყოველივე იმას, რაც მკაცრი და სერიოზულია იმისათვის, მაშასადამე, რომ მოსწავლემ ადვილად და სიამოვნებით შეითვისოს სერიოზული მასალა, რაც ოდესმე მას დიდ სარგებლობას მოუტანს, ყოველთვის უნდა შეაერთოს სასარგებლო და სასიამოვნო, რომ ამით მუდამ მივიზიდოთ მოსწავლეთა გონება და წარვმართოთ საითკენაც გვსურს (დიდი დიდაქტიკა. XIX, 10).

ამ პრობლემისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ XVII-XVIII საუკუნეების ქართველი მოღვაწეებიც და მათ ნაშრომებში პრობლემათა არა მარტო დასმის, არამედ გადაწყვეტის კონცეპტუალური მსგავსებასაც კი ვხედავთ. წმინდა კომენსკისებურ იდეომას ავლენს სწავლების პროცესის სიძნელე-სიადვილის საკითხისადმი ცნობი-

ლი ქართველი მეფე და მოაზროვნე არჩილი (1647-1713 წწ.). „საქართველოს ზნეობა“-ში სწავლების პროცესის ასეთ გააზრებას გვთავაზობს ის:

მასწავლებელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედი სწავლებით ძნელს საცოდნსა გაუადვილებს.
ცოტა რამ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალე ასადილებს,
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდროს დააქადილებს“ (11.562).

მაგრამ ამავე პრობლემას განსხვავებული კონცეფციით წარმოსახავს XVIII საუკუნის დიდი პოეტი და მოაზროვნე დავით გურამიშვილი. მისი აზრით „სწავლის ძირი“ და მთელი სასწავლო პროცესი სიძნელეთა დაძლევის სისტემატური და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ასევე დიდ გარჯასა და მონდომებას მოითხოვს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის მხრივ. პოეტი საგანგებოდ აფრთხილებს აღმზრდელსა და მასწავლებელს იმისათვის, რომ მათ არ შეაწუხონ მომთხოვნელობა მოსწავლის მიმართ, თორემ ერთ მშვენიერ დღეს სასტიკ საყვედურს მოისმენენ მოსწავლისაგან, რომელიც თავის დროზე სიბრალულით მოაჩივრებს სწავლის სიძნელეს და სინამდვილეში ზიანი მიაყენებს მის პიროვნებას, ამიტომ გვიან იტყვისო აღსაზრდელი: „რომ არ ვსწავლობდი, რად არა მცემდიან ტაჭანალასა“. აქედან გამომდინარე პოეტი-მოაზროვნე დარწმუნებით წერს:

ნუ გენადვლებით სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი,
მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი,
რა მოიზარდოს, მოყვინჩილდეს, მამლურებ შექმნას ყივილი, —
უფრთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექმნა ჩივილი.

ყრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების,
უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების.
რკ-ფანის დრო გარდუა, ველარ გაჭრავს, ჩაწბილდების,
სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

კომენსკისა და გურამიშვილის შეხედულებებში, აქ გარეგნულად, მართლაც ერთგვარ წინააღმდეგობას შენიშნავს მკითხველი. გურამიშვილისეული მოთხოვნა „სწავლის ძირი მწარე არის“ და კომენსკისეული მოთხოვნა სწავლების პროცესის წარმართვა პრინციპით „как бы игра“ მართლაც ერთმანეთის გამომრიცხავი ჩანს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. კომენსკიც სიძნელეების დაძლევის აუცილებლობაზე მიუთითებს სწავლების პროცესში. ნაშრომში „კარგად ორგანიზებული სკოლის კანონები“, კომენსკი საჭიროდ თვლის საგნების არა უბრალოდ გაცნობასა და დასწავლას, არამედ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზედ არსებულ სიძნელეთა მთელი სისტემის დაძლევას: „მხოლოდ ლაპარაკი რომ ვასწავლოთ და ამასთან ერთად არ ვასწავლოთ გაგება (ე. ი. ვასწავლოთ ენა საგნის გაგების გარეშე) — ეს ნიშნავს იმას, რომ არ სრულდევით ადამიანის ბუნება, არამედ მივცეთ მას გარეგნული, ზერე-ე მორთულობა.

ვასწავლოთ საგნის გაგება, მაგრამ ამავე დროს არ ვასწავლოთ მოქმედება — ფარისევლობის ერთ-ერთი სახეა“ თქმით ვთქვათ, მაგრამ არ გავაკეთოთ („ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ — გვაფრთხილებს ქრისტე, — რამეთუე სიტყვიან და არა ჰყვიან“ (სახარება მათესი, 23,3).

ბოლოს ვგვსმოდეს და ვაკეთებდეთ საგნებს, მაგრამ ვერ ვერკვეოდეთ ცოდნისა და მოქმედების სარგებლობაში, ეს — ნახევრად უვიცობაა“ (2.273). აი, ასე ღრმად

იხედება ი. ა. კომენსკი სწავლების პროცესის არსში და „სიბრძნის მატება არა მხოლოდ ცოდნაში, არამედ მოქმედებისა და ღვაწლის უნარში ხდება და ამოხსნის“ „ეს არის მთელი ადამიანური სიცოცხლის აუცილებელი სიტკბოება, ურომლისოდაც ყოველივე უაზრო, უგემური და დასაღუპავად განწირული 'იქნებოდეს'“ (2.272).

მიუხედავად ამისა, როცა სწავლების მეთოდზე მიდგება საქმე, კომენსკი სწავლების პროცესის გადავილებაზე მიუთითებს და მეტ ჰუმანუზმს მოითხოვს: „ყველა გონებრივი ვარჯიშობა, — წერს კომენსკი, — შეიძლება თამაშობად ჩაითვალოს... ვინაიდან ახალგაზრდობის ასაკი ისეთია, რომ მოითხოვს დროის გატარებას უფრო სხეულის მოძრაობებში, ვიდრე გონებრივ ვარჯიშობაში“, მაგრამ ამასთანავე იქვე მიუთითებს დიდი პედაგოგი, რომ „საქიროა ისე მოეწყოს თამაში, რომ თამაშობანი მოადგეს სერიოზული საგნების შესწავლის წინკარად“ (2.280-281).

როგორც ჩანს, შინაარსობრივად, სწავლების პროცესის სიღრმისეული გააზრების დროს არც კომენსკი აშარტოვებს ცოდნის შეძენის პროცესს, მაგრამ მეთოდის პერსპექტივას, ჩვენს პედაგოგს მეტი საფუძველი აქვს სწავლების პროცესის ჰუმანიზაციისათვის, ვიდრე XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეს. ჩვენი აზრით, ესეც უფრო ექსტრემალური პირობებით უნდა აიხსნას. მოსახლეობის მცირერიცხოვნება საქართველოსათვის ყოველთვის მწვავე პრობლემებს წარმოქმნიდა და მათ შორის ერთ-ერთ მარადიულ პრობლემას ხალხის აღზრდა-განათლების ხარისხი წარმოადგენდა. ეს პრობლემა მთელი სისრულით აიხსნა ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე-ც“.

მასწავლებელი ლეონი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამარჯვებული გამოვიდა მეფესთან და ვეზირებთან კამათში და მეფე იძულებული იყო ელიარებინა მასწავლებლის „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“, უფლისწულ ჭუმბერის აღზრდაში ლეონი სწორედ მკაცრ, სპარტანულ მეთოდებს მიმართავდა: „ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და დამე წართვით სვა. ჭუმბერი მწდიდ დაიყენა, არც დასვა და არც არა აჯამა. ფეხზე დგომითა და შიმშილით ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუნდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პური... (10.26) „ლეონ ნადირობდა და ლხინობდა. არას ზრუნავდა. დღესა ერთსა წავიდა ნადირობად. თვით თოხარიცა შეჯდა. ჭუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცნოდ წინ წაიბმდვანა, საღამომდინ არბენინა, ქორსა და ქორის ნახულს ადევნა, მეორეს დღეს მწევრები მისცა ხელთ. მათა და ქორთა არბენინა. ფეხთასაცემელი გასცივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო.“

მესამე დღეს წინ შეირკად გამოიბმდვანა. მეტად დაშვრა, მალ-მალ დაეცემოდის, და არ მოეშვა. მანამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა“. (10.30).

დღესა ერთსა ლეონ გაწყრა ცუდად. შეიპყრა ჭუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯიხი ჭკრა და დიდად ჰცემა“ (10.33).

ბარალელური მაგალითების მოტანა, შეპირისპირება, მათ შორის მსგავსება-იანსხვავებათა ძიება შორს წაგვიყვანდა. ეს არ არის მთავარი, მთავარი და არსებითი ეს არის, რომ სწავლების პროცესის არსი XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიურ ნააზრევში ისეთივე პრინციპულ დონეზე განიხილებოდა, როგორც ამას პედაგოგიის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი აყენებდა თავის მოძღვრებაში.

ზოგადკომენიოლოგიურ პრობლემატიკის წრეში ერთ-ერთ პრინციპულ საკითხს სწავლების ასაკის პრობლემა წარმოადგენს. კომენსკიმ ეს საკითხი „დიდი დიდაქტიკის“ VII თავში სპეციალურად დასვა და მიუთითა, რომ „სიცოცხლე მოცემული გვაქვს არა სწავლისათვის, არამედ მოქმედებისათვის („დიდი დიდაქტიკა“, VII, სს.),

აქედან გამომდინარე ის პრინციპულად მოითხოვს, რომ „ადამიანის განათლება ყველ-
აზე უფრო მოსახერხებელია ადრინდელ ასაკში. კიდევ მეტი, იგი მხოლოდ ამ ასაკშია
შესაძლებელი“ (იქვე, თავი VII). ეს იდეა, როგორც ვ. დ. ჭანტურიაშვილს დაადგინა, ჭერ
კიდევ XI საუკუნეში გააზრებული ჰქონდა ქართველ მოაზროვნეს გიორგი მთაწმინდ-
ელს, გიორგი მთაწმინდელი, პირველ რიგში მთარგმნელი და განმანათლებელი იყო. მან
წარავლი ფილოსოფიური, თეოლოგიური და ლიტერატურული ქმნილება თარგმნა ქა-
რთულად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასაკში შესულ ადამიანებს უჭირთ ახალი და სა-
ჭირო ცოდნის შეძენა-შეთვისება. გიორგი ათონელის ბიოგრაფი გიორგი მცირე
წერს, გიორგი ათონელმა „თავს იდეა და მრავალნი წიგნი ეთარგმნეს და ენება,
რათამცა ნათესავმან ჩვენმან დაისწავლა, ხოლო ვინაითგან შეუძლებელი იყო ჰასა-
კითა სრულთა და განმწიგნებულთა განსწავლა“; გიორგი ათონელი მივიდა იმ დას-
კვნამდე, რომ ცოდნის შეთვისებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასაკზე შერჩევას,
ხოლო ეს ასაკი აუცილებლად უნდა იყოს ადრეული. სწავლებისათვის „ბუნება იგი
ღმერთი და ჩჩვილი, რომელი ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლე-
ს“ (11.121). ამრიგად, ასაკობრივი პრინციპი, რომელსაც ემყარება კომენსკის
დიდაქტიკური სისტემა, სრულიად ნათლად და გარკვეულად იყო წარმოდგენილი XI
საუკუნის ქართველი მოაზროვნის პედაგოგიურ შეხედულებებში: — ცოდნის შეძე-
ნისათვის გონება უნდა იყოს ნორჩი, „დაბალი და ჩვილი, რომელი ვითარცა ცვილი
საბეჭდავისა“. ბიოგრაფი შენიშნავს, რომ ამ პრინციპის საფუძველზე გიორგი მთა-
წმინდელმა შეკრიბა 80 ობოლი „რომელთაგან წუთ არცა მარჯუნე უწყოდეს და
არცა მარცხენე“ (11.117).

სწავლების ორგანიზაციაში ასაკობრივი მიდგომის პრინციპიდან გიორგი ათონე-
ლი, როგორც ეს ვ. დ. ჭანტურიაშვილს გამოიკვლია, უშუალოდ მიადგა სწავლების ხაკლა-
სო-საკავცეთილო სისტემის შემუშავების იდეას (14.68). 80 მოსწავლე მთაწმინდელმა
ჭერ ასაკობრივ ჯგუფებად დაჰყო („სწავლულებისა მიერ ურთიერთას მოჰასაკე
იყუნეს“) და რამდენი ჯგუფიც გამოიყო, იმდენი მასწავლებელი მოიწვია: „რამეთუ
არა სხვათა მოძღვართა მიერ ასწავლიდა ესოდენსა ამას სიმრავლისა ანუ თუ სხვა-
თა თანაშემწეთა მიხედვად“ (15.120). ეს უკვე არის კლასი. „ერთ მწყობრად და ერთ
რიცხვად შეკრებილნი“ — როგორც ადასტურებს გიორგი მცირე. ამ ცნობების სა-
ფუძველზე ვ. დ. ჭანტურია აკეთებს დასკვნას, რომ «Георгий Мтацминд-
ели в данном случае составил класс из восьмидесяти учеников» (14.76)
ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა „составил классы“, რადგან, როგორც
გიორგი მცირეს ნაშრომიდან „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ დავინახეთ, გიორ-
გი მთაწმინდელმა ის 80 ბავშვი, ასაკობრივი პრინციპის მიხედვით დაჰყო ჯგუფებად
და თითოეულ ჯგუფს თავის აღმზრდელი მიუჩინა.

საგულისხმოა, რომ სწავლების ორგანიზებული და კოლექტიური ფორმა, რასაც
ყარება იან ამონ კომენსკის მიერ თეორიულად გააზრებული და პრაქტიკაში შე-
მოქმედებული საკლასო საკავცეთილო სისტემა, საქართველოში წინარეკრისტიანული
ეპოქიდან მომდინარე ტრადიციად არის დახასიათებული ვ. ჭანტურიაშვილს გამოკვლე-
ვაში: «На введение Георгием Мтацминдели классно-урочной системы обу-
чения, между прочим, могло оказать положительное влияние грузинское
хоровое церковное пение «галоба», которое берет свое начало с языче-
ского периода (IV в. до н. э.) в виде народной музыки. Последняя, как
установлено, выдержала многовековую борьбу с наступающим христиан-

სთვით იმ რაიმე საშუალებით გამოვიყენებოდა, რომელიც უკვე არსებობდა. ამიტომ, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩემი მიზანმიმართული ძიებები დასრულდეს. (იხ. ვლ. ჯანტურის დღიურს).

ვლ. ჯანტურის გამოცემის საფუძვლიანობა აღიარა აკად. დ. ლორთქიფანიძემ თავის მონოგრაფიაში „იან ამოს კომენსკი“ (თბ. 1970) და აღნიშნა: „არსებობს მოსაზრება, რომ გაკვეთილი პირველად არსებობდა საქართველოში X საუკუნეში და მისი იდეა მოცემულია გიორგი მთაწმინდელის შრომებში (იხ. ვლ. ჯანტურის დღიურს).“

ამრიგად, ქართული პედაგოგიური აზროვნების ზოგადი მიმოხილვა ადასტურებს იმას, რომ კომენიოლოგიური პარადიგმები საქართველოში ვითარდებოდა არა მხოლოდ იან ამოს კომენსკის მოღვაწეობის შესაბამის პერიოდში, არამედ ზოგიერთი კომენიოლოგიური იდეა თავის ნაირსახეობით უფრო ადრეც ყალიბდებოდა საქართველოში. მსგავსი მონაპოვრები ევროპის სხვა მოწინავე ქვეყნებშიც გააჩნდათ. ასე, რომ კომენიოლოგია თავისი ბუნებითა და ხასიათით მსოფლიო ცივილიზაციის ნაყოფია, სოლო ქართული კომენიოლოგია მისი ერთ-ერთი ეროვნული შენაკადი, რომელიც არა მხოლოდ ითვისებდა იან ამოს კომენსკის თეორიულ მემკვიდრეობას, არამედ თავდაც გააჩნდა ეროვნული ტრადიციები, რომელიც ხელს უწყობდა მეცნიერული პედაგოგიის ფუძემდებლის თეორიული მემკვიდრეობის შემოქმედებითად შეთვისებისა და საქართველოს ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის სამსახურში მის ჩაყენებას.

იური გიგინეიშვილი,
ლოცენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იან ამოს კომენსკი — რჩ. პედ. თხზ. ტ. I, თბ., 1949
2. იან ამოს კომენსკი — რჩ. პედ. თხზ., ტ. II, თბ., 1958
3. არჩილი — საქართველოს ზნეობანი — ქართ. მწ. ტ. 6.
4. გურამიშვილი დ. — დავითიანი, თბ., 1954.
5. კეცელავა მ. ფაუსტური პარადიგმები, თბ., 1961
6. ლორთქიფანიძე დ. იან ამოს კომენსკი, თბ., 1970
7. მელნიკი ე. ნ. — უკრაინისა და ბელორუსიის ძველი სკოლები და მათი როლი რუსეთთან უკრაინის შეერთებაში, მოსკ. 1954 წ. (რუს.)
8. ორბელიანი ს. ს. „სიბრძნე სიტყვისა“, თბ., 1958
9. სარიშვილი ტ. — ახალგაზრდობის აღზრდის აქტუალური საკითხები — თბ., 1978.
10. ქართული პედაგოგიის ისტორია, თბ., 1956
11. ქართული პროზა, ტ. 5.
12. ქართული მწერლობა, ტ. 6
13. Studia Comeniana et historica, № 8—9, 1974.
14. Studia Comeniana et historica, № 41, 1990.
15. ჯანტურია ვ. — XI-XII საუკუნეების ქართული პედაგოგიის პედაგოგია, ბათ. 1954 (რუს.)
16. ქართული მწერლობა, ტ. 2.
17. Антология педагогической мысли Белорусской ССР, 1986.

კოლხური კულტურის სათავეებთან

ბრინჯაოს ხანა საქართველოს ძველი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია. ჩვ. ერამდე IV-III ათასწლეულებისათვის ივარაუდება კავკასიის ავტოქტონური პროქარიული ენისა და ეთნოსის (მცირე კავკასიონის ცენტრალური და დას. ნაწილი. ე. ი. ამიერკავკასიის მთიანეთი) არსებობა, რომელსაც გარკვეული შემსხები წერტილები მქონდა ახლო აღმოსავლეთის თანადროულ პროტოინდოევროპულ და პროტოსემიტურ ენებთან და ხალხებთან. ჩვ. ერამდე III-II ათასწლეულის დიდი საფეხურიდან იწყება საერთო ქართული პროქარიული ფუძე ენის დიფერენცია. მას ჯერ გამოეყო სვანური, ხოლო შემდგომ საკუთრივ ქართული და მცირე-ქანური (კოლხური, ზანური) დიალექტები; საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება თვითმყოფადი აღმოსავლურ-ქართული იბერიული და დასავლურ-ქართული კოლხური კულტურა.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო საყოველთაოდ ცნობილი გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ფორმირების, დასავლურ-ქართული ეთნოსის კონსოლიდაციის საწყის თარიღად ჩვ. ერამდე XVI-XV სს მიჩნეული. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ჩვ. ერამდე II ათასწლეულის შუა ხანებიდან წიწხურდება ჭოროხის აუზის მეტალურგიული კერა, რომელიც თანდათანობით წამყვან ცენტრად იქცევა. მნიშვნელოვანი კერები იყო აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი და ა. შ.¹ უახლოესი აღმოჩენების მიხედვით კოლხური კულტურის გენეზისის რიონის დაბლობის მოსახლეობასაც უკავშირებენ² მაგრამ მაინც ჩვენ უფრო სარწმუნოდ გეგმავნება ტრადიციული შეხედულება, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში ბრინჯაოს ინდუსტრიაში ტექნიკურ გაუმჯობესებათა დამენერგავი სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, ჭოროხის აუზი, მისი შემოგარენი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ მხარეში არსებობს მეტალურგიისათვის აუცილებელი სპილენძის მადნის ბუდეები და აღმოჩენილია ბრინჯაოს ნივთების შემცველი განძები, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, კოლხური კულტურის გავრცელების სხვა არცერთ მიკრორაიონში არ არის წარმოდგენილი ისე სრულად ბრინჯაოს უძველესი იარაღები, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი კი საკმაოდ ფართოა. კულტურის განმსაზღვრელი კომპონენტების (კოლხური ცული, წალდი, თოხი, ნამგალი, სეგმენტისებური იარაღი და სხვ.), ერთგვაროვანი სამეთუნეო ნაწარმისა და ხის ჯარგვალური ტიპის ნაგებობების მიხედვით ჩანს, რომ დასავლურ-ქართული კოლხური კულტურის არეალში ექცეოდა მთლიანად დასავლეთ საქართველო (დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მდებარე ტერიტორია) და მისი მოსაზღვრე რაიონები აღმოსავლეთით ლიხის მთების იქეთ, ნაწილობრივ შიდა ქართლი, მცირე კავკასიონის სამხრეთით მესხეთი, სამხრეთ-დასავლეთით ორდუ, ართვინი, ყარსი (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია). აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „ძველი კოლხური სამეფო (იგულისხმება კოლხის უძველესი გავრთიანება — ა. კ.) სადღაც უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო და არა ფაზისზე (რიონზე), სადაც მას უფრო მოგვიანო ტრადიცია ათავსებს. იგი უფრო მეორე დი-

დი მდინარის — ჭოროხის ქვემო წელზეა სავარაუდო... არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ ჭოროხის აუზში არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური კულტურის სამშობლო, მისი უმთავრესი სამრეწველო რაიონი. ძველი კოლხური სამეფო, უძველესია ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო.³ ბუნებრივია, ჭოროხის აუზის ადრე დაწინაურება გარკვეულად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სიახლოვეთა და მჭიდრო კონტაქტებითაც იყო განპირობებული.

ძველდამოსავლური წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ჭოროხის აუზისა და სამხ. აღ. შავი ზღვისპირეთის უძველეს მოსახლეობებსა და ქართველ ტომთა ადრეკლასობრივ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (მხედველობაშია ჩვ. ერამდე XIII-VIII სს. არსებული დიოხასა და კოლხას გაერთიანებები — ა. კ.) ხანგრძლივი, უშუალო კონტაქტები აქვთ მცირე და წინა აზიის ცივილიზაციებთან, განსაკუთრებით კი ხეტების, ხური-მითანელბების, ასირიისა და ურარტუს სახელმწიფოებთან.⁴ ასე, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოლხური კულტურის გენეზისისა და მის საბოლოო ფორმირებაში.

წინამორბედი მკვლევარების კვალდაკვალ კვლავაც აღვნიშნავთ, რომ საკვლევი ტერიტორიის დაწინაურებას ბრინჯაოს ხანაში მნიშვნელოვან წილად ხელი შეუწყო სხვადასხვა სახის მადნეულის არსებობამ. სპილენძისა და რკინის გარდა მოიპოვება ოქრო, ვერცხლი, თუთია, ტყვია და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მითითებანი ათეულობით სპილენძის გამოსავლების არსებობაზე; მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ძანსულის, მურღულის, გუმიშხანის, ხოდისა და სხვ. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო სპილენძის საბადოების ძიება და საქარხნო წესით დამუშავება. 1889 წელს ს. ერგეში აშენდა პირველი ქარხანა, რომელიც ძანსულის, ხოდისა და მერისის სპილენძის საბადოთა ბაზაზე მუშაობდა. შემდგომ ქარხნები აშენებული იქნა ძანსულში, კვარცხანაში და ხოდში (ეს ადგილები 1921 წლიდან თურქეთის ხელში აღმოჩნდა). სპილენძის მაღალი პროცენტის შემცველობით ძანსულის მაღანი ცნობილი იყო არა მარტო ჭოროხის აუზში, არამედ მთელ კავკასიაში.

ჭოროხის უძველესი კერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსტოება ჩანს აჭარის წყლის ხეობა. როგორც აღვნიშნეთ, ერგეს სპილენძის სადნობი ქარხნის სანედლეულო ბაზის გარკვეული ნაწილი მერისის პროდუქციაზე მოდიოდა. მნიშვნელოვანი საძიებო სამუშაოები დაიწყო ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, რომელიც ახლაც გრძელდება. მერისის მადნიანი ველის გეოლოგიური აგებულება განიხილება როგორც დიფერენცირებული სპილენძ-პორფირული სისტემა, რომლის პერიფერია სპილენძ-პოლიმეტალური გამადნებით ხასიათდება, ხოლო ცენტრალური ნაწილი სპილენძ-მოლიბდენის ღარიბ მადნებს შეიცავს. საინტერესო კვლევა განხორციელებული მერისის მადნიანი ველის თბოფიზიკური მოდელის დადგენის მიზნით.⁵ მერისის მიდამოებში მადნეულის რამდენიმე ძარღვია აღმოჩენილი. წამყვანია ყან-დოყაია, წყალბოკელა, ვერხენარა, ობოლო, სათევზია, ვარაზა, ნამონასტრევი და სხვ. ნაირვსიას საბადო ადგილობრივ მკვიდრ ომერ ხალვაშს მიუკვლევიან. მერისის სისტემას ეკუთვნის უჩამბის სპილენძის გამოსავლებიც (სოფ. ლაკლაკიძეები, მდ. ჭალისხევის სანაპირო). სპილენძის საბადოები აჭარის სხვა ადგილებშიცაა აღმოჩენილი (ხინო, ზოზუყვათი, მარადიდი, სკურდიდი, ჩიქუნეთი, ხხალთა და სხვ.), მაგრამ აქ ხანძრული გეოლოგიური სამუშაოები ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

უძველესი სათამაშოდო ლითონების დამამუშავებელი კერები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქერ კედზე არაა მიკვლეული. მაგრამ მათი არსებობა მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს. როგორც ითქვა, სწორედ ეს რეგიონი ხასიათდება სპილენძის

საბადოების სიმდიდრითა და ბრინჯაოს ნივთების შემცველი განძების აღმოჩენის სიხშირით. ასევე იქმის ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო აჭარისწყლის ხეობის შესახებად. ღორჯომიდან (ადგილი ნომაჩარი) მომდინარეობს ყველაზე ადრეული ცული აჭარიდან, რომელიც ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება (ჩვ. ერამდე III ათასწლეულის II ნახევარი). საუყურადღებოა, რომ ეს ფორმა ჩვ. ერამდე IV-III ათასწლეულში ჩამოყალიბდა მესოპოტამიაში. შემდეგ გავრცელდა მცირე აზიაში, ამიერკავკასიაში, ჩრდ. კავკასიასა და აღ. ევროპაში. შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება (ჩვ. ერამდე XVIII-XVI სს). მახუნცეთის ორფერდა ყუამილიანი ცული, რომელიც საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის სხვა მონაპოვრებიდან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და დახვეწილი ფორმის მქონეა.

კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ჩვ. ერამდე). II ათასწლეულის II ნახევარი — I ათასწლეულის I მეოთხედი) მასალები, აჭარისწყლის ხეობიდან. პირველ რიგში აღსანიშნავია დიდაჩარის განძი, რომელშიც I ტიპის 20 კოლხური ცული შედიოდა. საკმაოდ ადრეულდება ბრინჯაოს ცულები ჭვანისწყლის ხეობიდან და საღორეთიდან—პირველი მაისი (ამთხვე ქვემოთ). გარდა ზ-მით აღნიშნული ორფერდა ყუამილიანი ცულისა, მახუნცეთში აღმოჩენილია, აგრეთვე, გვიანბრინჯაოს ხანის ბარ-თოხის ნატეხი და წალდი. სოფ. ფუშრუკაულიდან და ხიხაძიიდან მომდინარეობენ ჩვ. ერამდე. I ათასწლეულის I მეოთხედის შესა. ნიშნავი სადა თუ გრავირებული დეკორით შემკული ბრინჯაოს კოლხური ცულები, წალდი და სეგმენტისებური იარაღები.

ჩვენს საგანძურში კიდევ ერთი უახლესი მონაპოვრით შეივსო: კიდევ ერთხელ ჩავახედა მადლიანმა მიწის წიაღმა საუკუნეების, ათასწლეულების ფოლიანტებში. მოკლედ ვისაუბრებთ ამ უახლესი აღმოჩენის შესახებ. 1991 წლის 12 ივნისს აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მთავარმა მცველმა ნაზი ლორთქიფანიძემ შეგვატყობინა, რომ ქედის რ-ის სოფ. სიხალიძეებში გზის გაფართოებისას გამოჩენილა არქეოლოგიური მასალები. ეს ცნობა მიაწოდა სოფ. კუჭულის (ეს სოფელი სიხალიძეებთან ახლოს მდებარეობს) დაწყებითი სკოლის გამგე მასწავლებელმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დ/სწავლების სტუდენტმა რომან დევაძემ. მაშინვე მოვწახვეთ ლექციებზე რ. დევაძე და ეკონ. მეცნ. კანდ. დ. ღიასაშიძე და თ. თურმანიძესთან ერთად გავეზიარეთ სოფ. სიხალიძეებში.

განძის აღმოჩენის პირობები ასეთია: სოფ. სიხალიძეებში, მდ. აკავერეთას მარცხენა სანაპიროზე, დაბა ქელიდან დაახლოებით 6,5 კმ-ის დაშორებით, ჯამიკარიდან, სოფლის ცენტრიდან მიკრორაიონ ერგუელისაკენ მიმავალი გზის ტრაქტორით გაფართოებისას (გზის მეორე შტო გარეტყისკენ მიემართება) გამოჩენილა ბრინჯაოს ნივთები. მე-10 კლასის მოსწავლე ვია თურმანიძემ 4 მთლიანი და 1 ყუანაკლული ცული შეაგროვა; ბრინჯაოს ერთ-ერთი ნივთი აღმოჩნდა რამაზ თურმანიძესთან (გა-სულ წელს დაამთავრა მეჩისის საშუალო სკოლა), რომელიც სამწუხაროდ გეგნა ჯერჯერობით ჩვენამდე ვერ მოაღწია. წინასწარი აღწერილობის მიხედვით. იგი ბრინჯაოს ფართო სარტყლის აბზინდას უნდა წარმოადგენდეს. ბუნებრივია, ზემოთ მოტანილი ცნობების შემოწმების მიზნით მოვსინჯეთ აღმოჩენის ადგილი. შავი ჭუმუსოვანი ფენის პრეპარაციის შედეგად იქვე მოპოვებული იქნა კიდევ ერთი ყუანაკლული ცული და ყუა, რომელიც ადრე აღმოჩენილ ცულს მოერგო. არის სხვა ცულების ყუის ნატეხებიც, რაც განსაკუთრებით საუყურადღებოა, ბრინჯაოს ფართო სარტყლის ფირფიტები და თიხის ქურქლის ნატეხები, რომელიც გარკვეულ სამსახურს გვიწევს განძის დათარიღების საქმეში. ამავე განძიდან კიდევ ერთი ნა-

ლოული ცული ბათუმში გადმოგვცა სტუდენტმა რ. დევამძემ, სოფ. სიხალიძეში მცხოვრებერა ც მოგიწია ასვლა. თამაშ თურმანძის ოჯახში ინახება პატარა წიგნი, სადა მხი, რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანით, XI-XIII სს. თარიღდება. ამ ტაძის სახმისები ფართოდ ყოფილა გავრცელებული აჭარისწყლის ხეობაში. ბუნებრივია, ყველა მათგანის მაღალი მოქალაქეობრიობა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

ასლა თვით განძის შესახებ.

როგორც ვხედავთ, განძში წამყვან ადგილს ბრინჯაოს კოლხური ცულები იკავებენ. მასში წარმოდგენილია ორი სახის ცული. ერთ-ერთი მათგანი საყოველთაოდ ცნობილი ე. წ. პირველი ტაძის კოლხური ცულია, რომელსაც აქვს საკმაოდ მასიური შეგებო, ექვსად დაწახნაგებული ტანი, ორფერად მახვილი ყუა, მაღალი, გორდა, ასიმეტრიული პირი, უკანა ნიღრი უფრო მაღალია, წვეტიანოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელი; სატარეს სამი წიბური დაუყვება.

ადრინდელი ტექნიკური სიხალენი დასრულებულ სახეს ამ ტაძის კოლხურ ცულებში პოვებენ. ისინი ბრწყინვალე ბრინჯაოს კოლხური კულტურის ყველაზე არსებითი კომპონენტებია. ძირითადი ტაძი ჩვ. ერამდე XIV საუკუნისათვის ჩამოყალიბდა. ზემოთაც აღინიშნა, როგორც პროტოტიპები, ასევე კოლხური კულტურის უძველესი იარაღები უპირატესად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშია გავრცელებული. ეს განსაკუთრებით იქმის პირველი ტაძის კოლხური ცულის შესახებ. გარაუდობენ, რომ ეს ფორმა შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; შემდგომ ფართოდ გავრცელდა სხვა რაიონებში. აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს განძების როგორც ადრეულ, ასევე მოგვიანო კომპლექსებში წამყვან ადგილს სწორედ ამ ტაძის ცულები იკავებენ.

სიხალიძეების განძის I ტაძის კოლხური ცულიც მხატვრული ხელოსნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია. გამოირჩევა დახვეწილი ფორმითა და პროპორციებით. ადრეული ნიმუშები (მხედველობაშია ჩვ. ერამდე XIV-XI სს), მათ შორის სიხალიძეების ცულიც სადა, უფრო გვიანდელი (ჩვ. ერამდე X-VIII სს), ზოგჯერ წყნულია პლასტიკური გამოსახულებებითა და გრავირებული მხატვრული სახეებით. სარტყლებად განლაგებულ ორნამენტს (სპირალები, ზიგზაგები, ქდეები, რომბისებური ბადე, ქდეული წერტილები, ჭვარი, წიწვოვანი სამკაული და ა. შ.) ერწყმის მზის, მთვარის, ვარსკვლავების ასტრალური ნიშნების სიმბოლური და ცხოველთა (ძაღლი, ცხენი, ირემი, მგელი, თევზი, გველი და სხვ.) სტილიზებული გამოსახულებანი. ისინი წარმოადგენენ თვითმყოფადი კოლხური სახვითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სიხალიძეების განძის მეორე სახეობის ე. წ. ყუაყერიანი ცულები. განძში მთლიანი თუ ნაკლები რ ცული შედის. როგორც ქვემოთაც ვნახათ, ამ რაოდენობის ყუაყერიანი ცულები პირველად აღმოჩნდა ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე.

სიხალიძეების ყუაყერიანი ცულებს აქვთ სწორი ექვსად დაწახნაგებული ტანი, წიბურებიანი სატარისაგან ყელით გამოყოფილი ჩაჭურჩისებური ყუა, წვეტიანოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელი, გორდა ორფრთიანი სიმეტრიული პირი.

ამ ტაძის ცულების გენეზისიც აჭარის უძველეს მოსახლეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამაზე ნათლად უნდა მიუთითებდეს მათი გავრცელების არეალი. საქმე იმაშია, რომ ყუაყერიანი ცულები არც თუ ისე ფართოდაა გავრცელებული კოლხურ კულტურაში. ისინი უპირატესად აღმოჩენილია აჭარასა და მის მოსაზღვრე რაიონებში. 1961 წელს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა ქედის რ-ის სოფ.

საღორეთში (პირველი მაისი) აღმოჩენილი ბრინჯაოს ორი ცული. ერთ-ერთი მათგანი ორფრთიანი გორდა პირის მქონე ყუაკვერიათი ცული.⁷ მეორე ცული შუახევების რ-ის ქვანის ხეობაშია აღმოჩენილი (ქვის თაღოვანი ხიდის მახლობლად). იგი სწორ-სუბლოანია, პირი ცალფრთიანი. აქარის სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა 1955 წელს.⁸ აქარისწყლის ხეობიდან ცნობილია კიდევ ერთი ყუაკვერიათი ცული. 1977-1978 წლებში ხიხაძის ერთ-ერთი მიკრორაიონის წყლით მომარაგების მიზნით გაჭრილ არც თუ ისე ღრმა არხში (ადგილი იბოდდეს ახლები — ხიხაძისა და კალთას შორის) ქვის ლოდის ქვეშ გამოჩნდა ბრინჯაოს შესანიშნავი ნივთები — სეგმენტები, წაღდი, სადა თუ კოლხური მხატვრული ხელოსნებისათვის დამახასიათებელი გრაფიკული დეკორით შემკული ცულები. ამ უკანასკნელთა შორის ერთ-ერთი მოზრდილი ორფრთიანი სადა ყუაკვერიათი ცულია; აქვს მკვეთრად გამოყოფილი ჩაქუჩისებური ყუა, სწორი ტანი, დაბალი წელი და გორდა პირი. ხიხაძის განძი ზოგადად ჩვ. ერამდე VIII-VII სს თარიღდება. ყუაკვერიათი ცული შესაძლოა ცოტათი ადრეულიც იყოს.⁹

ამ ტიპის ერთი ცული ჩაქვისწყლის ხეობიდან მომდინარეობს. იგი მოპოვებულია სოფ. ჩაისუბანში ციტრუსების პლანტაციისათვის ნიადაგის მომზადების დროს 1954 წელს (დაცულია აქარის სახელმწიფო მუზეუმში).¹⁰ კოლხური კულტურის ცნობილი მკვლევარი დ. ქორიძე ამ განძს ჩვ. ერამდე XII-XI სს ათარიღებდა.¹¹ ჩაისუბნის მხგავსი განთიადისა და ართვინის ვერტიკალურხვრელიანი ცულებისა (ამ სახის ცულებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი) და არქაული თხზების მიხედვით აღ. რამიშვილს უფრო სარწმუნოდ მიაჩნია ჩაისუბნის განძის დათარიღებას ჩვ. ერამდე XIII-XII სს.¹² მკვლევარმა მონოგრაფიულად შეისწავლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადრე შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს განძები.

ცალფრთიანი ყუაკვერიათი ცული წარმოდგენილი იყო ქობულეთის რ-ის სოფ. ხუტუბანში 1944 წელს პროფ. ა. იოსელიანის მიერ შეგროვილ მასალებში.¹³ აღმოჩენის ადგილია ნაურიალი, მდ. კინტრიშთან ერის დელეს შესართავის მახლობლად, სოფ. ხუტუბანსა და სოფ. ქობულეთს შორის.

გერჩერობით აქარის მოსაზღვრე რაიონებიდან ყუაკვერიათი ცულების აღმოჩენის სულ ორი შემთხვევაა ცნობილი. ერთ-ერთი მათგანი სოფ. უდეს უკავშირდება (ადგილის რ-ნი, მდ. ქვბლიანის მარჯვენა სანაპირო). 1958 წელს მიწის სამუშაოების დროს 1,5 მ სიღრმეზე გამოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი (100-ზე მეტი ნივთი). ესენია: კოლხური ცულები, შუბისა და ხელშუბისპირები, სარტყლის აბზინდები, საკინძები, პინცეტები და ა. შ. ზოგიერთი ნივთი გრაფიკულად გეომეტრიული და ცხოველური სახეებით; სარტყლის აბზინდები რკინითა და სხვადასხვა პასტითა ინკუსტრირებული¹⁴; ზემო ქართლის ეს ნაწილი ადრეული რკინის ხანაში უდეს განძის მასალების მიხედვით ე. წ. დასავლურ-ქართული კულტურის წრეში შედიოდა. უდეს განძის დათარიღებასთან დაკავშირებით არაა აზრთა ერთიანობა. ტ. ჩუბინაშვილი პირველ ხანებში ჩვ. ერამდე XI-IX სს ათარიღებდა, ცოტა მოგვიანებით XI-X სს-ით.¹⁵ რ. აბრამიშვილის მოსაზრებით განძი XIII-XII სს უნდა დათარიღდეს.¹⁶ ამავე შეხედულების იყო დ. ქორიძე.¹⁷ უფრო სარწმუნო უნდა იყოს XI-X სს, როცა ვრცელდება კოლხური კულტურის სხვადასხვა სახის ნივთებზე გეომეტრიული თუ ცხოველური სახეების გრაფირება.

მეორე ყუაკვერიათი ცული გურიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. იგი შედიოდა ხევის განძში, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა 1958 წელს მდ. გუბაზეულის

მარჯვენა სანაპიროზე, ერკეთისაკენ მიმავალი გზის პირას, ე. მამალაძის ეზოში. კოლხური ცული (ზოგი გრავირებული), ორი წალდი და ერთი თოხი თინის ქუთხე ღში ყოფილა მოთავსებული. ეს მასალები თბილისში აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში ჩაიტანა დეაწლმოსილმა მეცნიერმა ალ. კალანდაძემ. განძი ჩვ. ერამდე X-VIII სს თარიღდება.¹⁸

მოგვიანო ეპოქებისათვის გვხვდება განსხვავებული ფორმის ყუაკერიანი რკინის ცულები. ოთხწახნაგა ყუაკერიანი რკინის ცულები აღმოჩენილია სვანეთში, ლარსის საზღვარებში ჩვ. ერამდე VI-IV სს მასალებს შორის.¹⁹

დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური ცულის ამ სახეობის შექმნა აჭარისწყლის ხეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც ვნახეთ, მათი დიდი ნაწილი სიხალიძეების, საღორეთის, ქვანის ხეობისა და სიხაძირ-კალოთის განძების მიხედვით სწორედ აქედან მომდინარეობენ. ამავე ხეობიდან უნდა იყოს გავრცელებული სხვა მოსაზღვრე რაიონებშიაც (მხედველობაშია ჩაისუბანი, ხუცუბანი, სევი და უდე).

სიხალიძეების ყუაკერიანი ცულები, როგორც ვხედავთ, მრავალმხრივ იქცევენ ყურადღებას. ჯერ ერთი, ისინი უკავშირდებიან სპილენძის მადნის ბუდობებით მდიდარ რაიონებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქვე ხდებოდა საჭირო ნედლეულის მოპოვება-დამუშავება და სასურველი იარაღების ჩამოსხმა. გარდა ამისა, სიხალიძეების ცულები კოლხური კულტურის საკმაოდ ადრეული საფეხურით თარიღდებიან. ზემოთ უკვე აღნიშნული ქვანის, საღორეთისა და ჩაისუბნის განძების მიხედვით ისინი ჩვ. ერამდე XII-XI სს ნაკეთობებს უნდა წარმოადგენდნენ. ამათი ქრონოლოგიური გაგარძელება უნდა იყოს უდეს განძში შემავალი ყუაკერიანი ცული — სადლაც ჩვ. ერამდე XI-X სს. შედარებით გვიანდელი ჩანან სიხაძირის, ხუცუბნისა და სევის ყუაკერიანი ცულები — ჩვ. ერამდე IX-VIII სს. როგორც ვხედავთ, ამ სახის საძეურნეო თუ საბრძოლო იარაღები თითქმის 500-600 წლის განმავლობაში ყოფილა გამოყენებაში.

ცულებს გარდა, სიხალიძეების განძში წარმოდგენილია ბრინჯაოს ფურცლოვანი სარტყლის ფრაგმენტები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სარტყლის კაუჭიანი აბზინდა ჯერჯერობით გაბნეულია. ყველა ფირფიტა ერთიდაიმავე სარტყლისაა. მოზრდილი თუ წვრილი ფირფიტების მიხედვით მოხერხდა სარტყლის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. მისი სიგრძე დაახლოებით 88 სმ-ია. იგი დამზადებული ყოფილა ერთიანი მკაოდ ფართო (სიფართო 12 სმ) ბრინჯაოს თხელი ფურცლოვანი ფირფიტისაგან. ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ წელზე მოხდენილად მორგების მიზნით სარტყლის ზედა ნახევარი ოდნავ ფართოა. მის ერთ მომრგვალებულ ბოლოზე აბზინდის დამაგრების მიზნით გაკეთებულია 8 წვრილი მრგვალი სამანქველ ნახვრეტი. სარტყლის მეორე ბოლოზე, უფრო ცენტრალურ ნაწილში, უკეთდებოდა წრისებრი ნახვრეტები კაუჭიანი აბზინდას მორგების მიზნით. სიხალიძეების სარტყლის ეს მონაკვეთი არაა შემორჩენილი. როგორც ცნობილია, ბრინჯაოს მსგავს სარტყლებს ქსოვილისა თუ ტყავის სარჩულებს უკეთებდნენ. არაა გამორიცხული, რომ ჩვენს ნიმუშზე სარჩულად გამოყენებული იყო დამუშავებული ტყავი, რომლის გაგარძელებაზეც მაგრდებოდა კაუჭიანი აბზინდა.

ბრინჯაოს სარტყელი საყურადღებო მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. აჭარის ტერიტორიიდან ცნობილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ხუცუბნის სარტყლის ფრაგმენტები, რომლებიც შემკული არიან გეომეტრიული, ძირითადად ამოღარული გრეზილიური ზოლის რამდენიმე მწკრივით. როგორც ვიცით, ცულების მსგავსად სიხალიძეების სარტყელი ადრეულია. ჩვენთვის სელმისაწვდომ მასალებს შორის მას ჯერ-

ჭერობით ეძებნება ერთადერთი ანალოგი ჩრდილო კავკასიის ე. წ. ყოზანური კულტურის მასალებს შორის.²⁰

ყოზანური კულტურა საყოველთაოდ ცნობილი მაიკოპისა და ჩრდილო კავკასიის სიურის კულტურის ქრონოლოგიურ გაგრძელებას წარმოადგენს. იგი წარმოიშვა გვიანბრინჯაოს ხანაში ჩრდილო კავკასიის მთიანეთში (ყაბარდო-ბალყარეთი, ჩეჩენო-ინგუშეთი და ჩრდ. ოსეთი). სახელწოდება მიიღო მე-19 ს. 80-იან წლებში აულ ყოზაფში ქვის სამარხებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით (სადა თუ გრავირებული შესანიშნავი ბრინჯაოს ცულები, ფართო სარტყლები, სპირალისებური სამაჭურები, თოვლები, სატევრები, საკინძები, ფიბულები, ყელსაბამები და ა. შ.), კოლხური კულტურა მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისითა და ზოგჯერ შემკობის მოტივებითაც ახლოა ჩრდილო კავკასიის ყოზანურ კულტურასთან. თვითმყოფად ყოზანურ კულტურაში ზოგიერთი ელემენტი დასავლეთ ამიერკავკასიის კოლხური კულტურისა და ანადასა შესული. ერთ-ერთი ასეთი კომპონენტი ჩანს სიხალიძეების მსგავსი ბრინჯაოს სარტყლები, რომლის ერთ-ერთი ადრეული ნიმუში კოლხური კულტურის სხვა კომპონენტების მსგავსად ჩვენი საკვლევი ტერიტორიიდან მომდინარეობს. საერთოდ კი ბრინჯაოს სარტყლები ფართოდ ჩანს გაგრცელებული ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის საღებების გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურებში. ბევრი მათგანი გრავიურული სახეებითაა შემკული და მხატვრული ხელოსნობის უბრწყინვალეს ნიმუშებს წარმოადგენს. ერთერთი ასეთი სარტყელი კიევის ახლოს სოფ. პოდგორცისშიც აღმოჩნდა. პ. უვაროვა მას კავკასიიდან შემოტანილად მიიჩნევს.²¹

სიხალიძეების მონაპოვარში ცალკე ჯგუფს ქმნიან თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ესენი გარკვეულ სამსახურს გვიწვენ ბრინჯაოს ნივთების მიახლოებითი სიზუსტით დათარიღებაში. კერამიკული ნატეხების ერთი ნაწილი სადაა, მოშავო-მოყავისფროდ გამოშვარი. არის ორნამენტირებული ფრაგმენტებიც. ორნამენტაციის ერთ-ერთი წმყვანი მოტივია ტანის ზედაპირის საკმაოდ მჭიდროდ განლაგებული კანელურებით დაფარვა. საყურადღებოა მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებული კონცენტრული წრეების გადმოცემა. კანელურებს ხშირად ერწყმის ღარებისა და ჭდეებისაგან შედგენილი ჰორიზონტალური სარტყელი. კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტულობის გამო ფორმებზე ვერაფერს ვიტყვით; ორნამენტაციისა და კეცის მიხედვით (მოშავო-მოყავისფრო, მოყვითალო) ისინი გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ ფიქნარის ჩვ. ერამდე XII-XI სს საკულტო ძეგლზე აღმოჩენილ მასალებთან.

თიხის ჭურჭლის ნატეხების სისქისა და ფერის მიხედვით ჩანს, რომ ისინი რამდენიმე, სულ ცოტა 3-4 ჭურჭელს მაინც ეკუთვნოდათ. განსვ ჩვეულებრივ ერთ ჭურჭელში ჩაალაგებდნენ. აქვეა სამარხეული ინვენტარისათვის აგრერიად დამახასიათებელი ბრინჯაოს ფართო სარტყელი. არაა გამორიცხული სიხალიძეებში გვიანბრინჯაოს ხანის სამარხების არსებობა. ამ კითხვაზე საბოლოო პასუხს სავლეს სამუშაოები გასცემს. საჭირო სახსრების უქონლობის გამო მსგავსი სამუშაოების წარმოების პერსპექტივა უახლოეს მომავალშიც არც ჩანს.

ასეთია სიხალიძეებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების წინასწარული კვლევის შედეგები. ამ მონაცემებით კიდეც ერთხელ დადასტურდა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო კოლხური კულტურის ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი კერათაგანია. აქვე დაირწა პირველი სახელმწიფოებრიობის აკვანი. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთთან, ქოროხისა და აქარისწყლის ხეობებთანაა დაკავშირებული კოლხური კულტურის ძირითადი კომპონენტების (კოლხური პირველი ტიპის

ცული, ვერტიკალურხერდიაანი ცული, წალდი, თოხებისა და სევემენტების ზოგადი (თი აღრეული სახეები და ა. შ.) გენეზისი. სიხალიძეების აღმოჩენით დადასტურდა, რომ აქვე უნდა იყოს შექმნილი კოლხური ცულების ნაირსახეობა ე. წ. ყუავერიაანი ცულები. საყურადღებოა ბრინჯაოს ფართო სარტყელი, რომელსაც გავრცელების მკტად ფართო არეალი გააჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ერთი ნაწილი ამჟამად მუშაობს აჭარის ისტორიის ნარკვევებზე, ამიტომაც ყველას მოქალაქეობრივი ვალია მოგვაწოდოს ცნობები უახლესი აღმოჩენების შესახებ. სიხალიძეების მონაპოვარმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ამ საინტერესო მხარის ძველი ისტორიისა და კულტურის შესახებ.

შ ა ნ ი შ ზ ე ნ ა ზ

1. ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული — სსმ, XVI-B, 1952, გვ. 52; მისივე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში. — თსუ შრომები, 49, 1953, გვ. 180; დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, 1965, გვ. 6 და შმდ; რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974.
2. А. А. Иессен. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. — ИГАИМК, вып. 120, 1935 და სხვ.
3. О. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии, Тб., 1989, გვ. 201.
4. გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. — საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1970, გვ. 389.
5. დ. აფცხ. იხ. გ. მელიქიშვილის, დასახ. ნაშრ., გვ. 358 და შმდ.
6. ა. ქიქვა, ა. მაღალაშვილი, თ. თვალჭრელიძე, ახალი მონაცემები მერისის მადნიანი ველის გეოლოგიური აგებულების შესახებ. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 140, № 1, 1990; მათივე, მერისის მადნიანი ველის თბოფიზიკური მოდელი, თბ., 1991 (რუსულ ენაზე).
7. ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., ა. ინაშვილი, დიდაჭარის განძი და კოლხური კულტურის ზოგიერთი საკითხი, — სსსრ, V, 1975; ა. დავითაძე, აჭარის სახელმწიფო მუზეუმებში დაცული ადრებრინჯაოს ხანის მასალები აჭარისწყლის ხეობიდან. — სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1978.
8. ალ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24, ტაბ. XV/1, 5.
9. ალ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 21, ტაბ. XV/7.
10. ა. კახიძე, ი. დავითაძე, შ. მამულაძე, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. ხიხაძიიდან. — სსსრ, X, 1981, გვ. 95, ტაბ. IV.
11. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 21, ტაბ. XI/10; ალ. რამიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 13-14, ტაბ. VI/3.
12. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 111, 113.
13. ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99, 100.
14. ალ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 18-19, ტაბ. X/12, XI/2.
15. ა. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინაშვილი, უდეს განძი. — „საბჭოთა ხელოვნება“.

4. 1959; დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 19-20, სურ. 11.

15. ა. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

16. რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. — სსმ, XXII—B, თბ., 1961, გვ. 324-326.

17. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

18. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35, 36, ტაბ. XIX/9; ალ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 27, ტაბ. XVIII/6.

19. შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი, — საქართველოს კავკასიისა და მსოფლიო აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 305 ტაბ. V.

20. Уварова П. С. Моги́льник Северного Кавказа. — МАК, VIII, М., 1900, გვ. 34, სურ. 38.

21. Уварова П. С. დასახ. ნაშრ., გვ. 37-38, ტაბ. XIII.



„სხვისი არაა ერთი მისხალი“

გოჩა ყოჩიაშვილი! — ეს სახელი და გვარი. აქამდე უცნობი იყო და იგი, ცხადია, არაფერს ეუბნებოდა ჩვენი ქალაქის პოეზიის მოყვარულთ, რადგანაც აქამდე, რომ იტყვიან, მას არცერთი ლექსი, არცერთი სტრიქონი არ დაუბეჭდავს ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

როგორც კი ერთხელ მძაფრად შეეყარა პოეზიის უკუჩვენებელი სენი, აქამდე ლექსის ერთგული დარჩა და ლექსის წერა მისთვის ისე გახდა აუცილებელი, როგორც, ვთქვათ, ყოველ დილით სამსახურში წასვლა. წერდა ლექსებს გოჩა ყოჩიაშვილი და რომ წერდა, ეს მის გარდა თითქმის არავინ იცოდა. თვით მისთვის ყველაზე ახლობელმა ადამიანებმაც კი. წერდა ლექსებს და ინახავდა, რადგანაც ეუხერხულებოდა, ვერ გაეხდებოდა თავისი ნაჯაფარ-ნაღვანის სააშკარაოზე გამოტანა.

მხოლოდ ახლა, მიმდინარე წელს წარსდება იგი პოეზიის მოყვარულთა წინაშე — თანაც ერთბაშად ლექსების ორი კრებულით: „გულიდან გადაწერილი“ და „გამოაგზავნე მესია“. პირველი კრებული გამომცემლობა „აჭარამ“ დასტამბა, მეორე კი — გამომცემლობა „თამარიანმა“. ორივე კრებული ავტორის ხარჯით დიბეჭდა.

ერთ წელიწადში ორი წიგნის გამოცემა არაა სულ ადვილი საქმე, რადგანაც ღირ ხარჯთან ერთად დიდია იმისი შიშიც, თუ როგორ მიიღებს მკითხველი შენს ლექსებს — გულით თუ უგულოდ, დაკვირვებით, ინტერესით წაიკითხავს თუ ზერეღედ.

უნდა ითქვას, რომ გოჩა ყოჩიაშვილი ერთი ალალი, გულკეთილი, პირდაპირი ბიჭია და სასიხარულოა, რომ მისი ლექსებიც ასეთივეა.

გ. ყოჩიაშვილი, რასაც ხედავს, რასაც განიცდის და აღიქვამს, იმას წერს, ალაღად, გულანდილად, ყოველგვარი შეფერადება-შელამაზების გარეშე.

ჩვენ არც გვიფიქრია ამ პატარა წერილსა თუ შენიშვნაში, მისი კრებულები განვიხილოთ, დაე ეს მისმა მკითხველმა განსაჯოს, მაგრამ ჩვენი მხრივ, არ შეიძლება ის მაინც არა ვთქვათ, რომ რაც კი ამ კრებულებში დასტამბული ლექსებია, არცერთი არაა სხვისი მიბაძვით დაწერილი და მხოლოდ მისივე, მისეული, საკუთარი და ერთი ავტორისა, არ იყოს, „სხვისი არაა ერთი მისხალი“.

ჟ. რაჭავაძე.



შინაარსი
არაფიქსირებული

ამირან ბაგაში — ლექსები

გამალ სოფარი — ქალის ცხოვრების ერთი დღე (ნაწევები
რომანიდან)

გლადიმარ დარჩია — ლექსები

ნოდარ გოდაბაძე — ჩვენ ცხოვრება გვინდა (ნაწევები რომან-
ნიდან)

რეზო თეგბეძე — ლექსები

ანა დუნდუა — აუხდენელი ოცნება ჩემო! (ნოველა)

ახალი თარგმანები

ანდრე მორუა — ღია ბარათი, მოთხოვნა (თარგმანი ზ. ხუნიძე-
რიძის)

კრიტიკა და აუზლიტისტიკა

რატომ უამრავი — სინონიმები კ. გამსახურდიას თხზუ-
ლებებში

წიგნი უცხო

ივანე გიგინეიშვილი — კომენიოლოგიის ქართული პარადი-
გმები

ამირან კახიძე — ეთნოგრაფიული კულტურის სათავეებთან.

